სიმპოზიუმის პირველი, გამხსნელი პანელი „ცვლილებათა აგენტები“ ერთგვარი შესავალი იყო, რომელმაც მიმოიხილა პლატფორმა LINA-ს მთავარი სამუშაო პრინციპები, მეთოდოლოგია და პოლიტიკა; ისევე, როგორც მისი საქმიანობის მიმართულებები, ნევრი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები და მათი პროფესიული გამოწვევები თუ მიზნები. LINA (Learn, Interact and Network in Architecture / სწავლა, ინტერაქცია და პროფესიული ქსელი არქიტექტურაში) ახალი ევროპული არქიტექტურული პლატფორმაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელს აერთიანებს და კლიმატის ცვლილებისა თუ გარემოსდაცვითი კრიზისის საკითხს იკვლევს ღონისძიებების, თანამშრომლობების, ფესტივალებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. უკვე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების, ისევე, როგორც LINA-ს ქსელური ურთიერთობების განხილვით, ჩელიკმა პლატფორმის უმთავრესი მიზნები წარმოგვიდგინა: ევროპის წვლილი კლიმატური კრიზისის დაძლევაში, მწვანე და მდგრადი არქიტექტურა, შესაბამისი დაგეგმვა და პოლიტიკა, მწვანე პრაქტიკების დამკვიდრება და ამ ღირებულებებით სივრცითი პრაქტიკოსების ახალგაზრდა თაობის შთაგონება.





## „LIFT - Days/Nights of Architecture“, ირჰანა შეხოვიჩი და დუნია კრვავაჩი

ირჰანა შეხოვიჩი არქიტექტორი და აქტივისტია სარაევოდან, რომელიც ამჟამად ოსლოში ცხოვრობს. არქიტექტურული განათლების მიღება სარაევოში დაიწყო, შემდეგ კი ბარსელონასა და შტუტგარტში განაგრძო და საბოლოოდ, მაგისტრის ხარისხი NTNU-ში, ტრონდჰეიმში მიიღო. 2014 წელს ირჰანა LIFT Spatial Initiatives-ს შეუერთდა - ორგანიზაციას, რომელიც სარაევოს ადგილობრივ საზოგადოებას არქიტექტურულ დისკუსიებსა და თანამედროვე არქიტექტურული სცენების შექმნაში ჩართვისკენ უბიძგებს. 2019 წლიდან, LIFT-ის ფარგლებში, ირჰანა სხვადასხვა პროექტების კოორდინატორია. სანამ ნორვეგიაში, DARK-ში დაიკავებდა თავის ამჟამინდელ არქიტექტურულ პოზიციას, ის Urban-Think Tank-თან ერთად ურბანულ კონკურსებზე მუშაობდა, რომლებიც ტრანსფორმაციაზე, აღდგენასა და არსებულ გარემოში ახალ სიცოცხლეზე იყო ფოკუსირებული. ირჰანას ცირკულარული კონცეპტების დანერგვის გამოცდილებაც აქვს და მუდამ მდგრადი მომავლის შექმნის ახალი გზების ძიებაშია.



ირჰანას კოლეგა, დუნია კრვავაჩი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს სარაევოში, რომელიც ინკლუზიურ ურბანიზმსა და მიგრაციაზე დაფუძნებულ არქიტექტურას ეხება. ისიც LIFT Spatial Initiative-ს წევრია. დუნიას ფართო ინტერესების სფერო გრაფიკასა და პროდუქტის დიზაინს მოიცავს. ის მრავალი ჯილდოს მფლობელია, როგორც ავეჯის დიზაინის, ფესტივალების დიზაინისა და წიგნების ილუსტრაციების ავტორი. 2021 წელს, იასმინ და ილმა სირჩოსთან ერთად, კრვავაჩმა იმუშავა პროექტზე „MST923: Kazani“, რომელიც Collegium Artisticum 2022-ის ფარგლებში დაჯილდოვდა. დუნია მუშაობდა Urban Lab Sarajevo-ზეც, ერთობლივ პროექტზე UNDP BiH-თან, სარაევოს მუნიციპალურ ცენტრთან და უნივერსიტეტთან ერთად, რის ფარგლებშიც ქმნიდა ინკლუზიური ციფრულ პლატფორმებს სარაევოს სხვადასხვა ადგილებისთვის. დუნია დღემდე აქტივისტია და სარაევოს ერთ-ერთ არქიტექტურულ ოფისთან თანამშრომლობის გარდა, არაერთ დამოუკიდებელ პროექტშია ჩართული.

LIFT - Spatial Initiatives არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ადგილობრივი თემის განათლებაზე ზრუნავს არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის სფეროში. ორგანიზაციის ძირითადი პროექტი „სარაევოს არქიტექტურის დღეებია“, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული მოვლენაა ბოსნია და ჰერცეგოვინასა თუ მთელ ბალკანეთში. ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი არქიტექტორების ლექციებს, გამოფენებს, დისკუსიებს, ფილმების ჩვენებებსა და სხვა აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია არქიტექტურაზე, დიზაინზე, ურბანიზმზე, სივრცით დაგეგმარებასა და სივრცის კულტურაზე. თავისი არსებობის თექვსმეტი წლის მანძილზე, ამ ღონისძიებამ 150-ზე მეტი ლექტორი მოიწვია მსოფლიოს 30 სხვადასხვა ქვეყნიდან. არქიტექტურის დღეებთან ერთად, 2016 წელს დაიწერა ახალი ფორმატი, Nights of Architecture, როგორც ცალკეული ღონისძიებების დინამიური სერია საზოგადოების ჩართულობის წახალისებისა და ახალი პერსპექტივების შესწავლისთვის.



## **„ერთობლივი კითხვა (დროებითობის შესახებ)“, ეთელ ბარაონა**

ეთელ ბარაონა კრიტიკოსი, მწერალი და კურატორია. ის დამოუკიდებელი კვლევითი სტუდიისა და გამომცემლობის, dpr-barcelona-ს თანადამფუძნებელია. 2011-2016 წლებში, იყო Quaderns d'arquitectura i urbanisme-ის რედაქტორი და Volume-ის მრჩეველთა საბჭოს წევრი. მისი ნაშრომები არაერთხელ გამოქვეყნდა როგორც აკადემიურ, ისე დამოუკიდებელ გამოცემებში. ბარაონას კურატორული პრაქტიკა სხვა ნამუშევრებთან ერთად „Adhocracy ATHENS“-საც მოიცავს - ნამუშევარს ონასისის კულტურული ცენტრისთვის, სეზარ რეიესთან და პელინ ტანთან ერთად (2015); ასევე, მასშტაბურ გამოფენას „თორმეტი გამაფრთხილებელი ურბანული ზღაპარი“ მადრიდის მატადეროს ცენტრში (2020-21). ბარაონა კითხულობდა ლექციებს მონტევიდეოში, თელ-ავივში, გლაზგოში, პრაღაში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში, მეხიკოში, კიევსა და სხვა ქალაქებში. ეთელისთვის წიგნები პროტესტის განუყოფელი ნაწილია, ცნობიერების ამაღლების მექანიზმი და დიალოგის გზა; მოქმედების გეგმისა და მომავლისკენ სვლის მთავარი მექანიზმია.

ეთელმა წარადგინა dpr-barcelona, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი სტუდია და გამომცემლობა, რომლის აქტივობებიც არქიტექტურის, პოლიტიკური თეორიისა და სოციალური გარემოს გარშემო იყრის თავს. პრეზენტაციისას მან dpr-barcelona-ს ძირითადი პუბლიკაციები, კრიტიკული დიალოგები, მოვლენები და გამოფენები მიმოიხილა, რომლებიც დროებითობასთან არის დაკავშირებული. ასეთია, მაგალითად მრავალფეროვანი „მომავლის არქიტექტურის არქივი“, პლატფორმა Future Architecture-ის პროდუქცია, არქიტექტურული წიგნების ბაზრობები და „Archifutures“-ის მსგავსი სხვადასხვა საგამომცემლო სერიები.

## **„დროის ფარგლებში“, მარტინას გერმანავიჩუსი**

მარტინას გერმანავიჩუსი არქიტექტორი, კურატორი და პროდიუსერია, რომელიც კულტურისა და განათლების დარგებში მუშაობს. არქიტექტურა მან ვილნიუსის ტექნიკურ უნივერსიტეტში, შემდგომ კი შტუტგარტის უნივერსიტეტში შეისწავლა. 2020-2023 წლებში მარტინასი არასამთავრობო ორგანიზაცია Architektūros fondas-ს ხელმძღვანელობდა. ამჟამად ის საერთაშორისო პლატფორმა „Open House Europe“-ის და „Experiment's Platform“-ის ხელმძღვანელია.



როგორც კურატორ-მკვლევარმა, განახორციელა შემდეგი პროექტები: „(არა)ტიპური არქიტექტურა, როგორც მოვლენა“ ვიზაგინასში (2023); კულტურულ ცენტრ SODAS 2123-ში, 2022 წელს, მისი კურატორობით შედგა გამოფენა და სიმპოზიუმი „სივრცის პოლიტიკა“; ხოლო 2023 წელს გერმანავიჩუსი კურირებდა სემინარების სერიას „Maturing Matter“. მარტინასის პრაქტიკა ენერგიის, მატერიალურობისა და კოლექტიური წარმოსახვის ურთიერთობებს იკვლევს, ისევე, როგორც მათ გავლენას სივრცითი წარმოების პროცესებზე.

პრეზენტაცია „With(in) Time“ დროებითობაზე და სივრცის დროსთან კავშირზე საუბრობდა „Architektūros fondas“-ის საქმიანობის ფარგლებში. Architektūros fondas ვილნიუსში მოქმედი არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ადამიანების, ინიციატივებისა და იდეების ქსელს აერთიანებს და ცდილობს, გააბას კავშირები ფართო საზოგადოებასა და არქიტექტურას შორის. მარტინასმა წარმოადგინა „A Pokalbiai“ - საგანმანათლებლო პროექტი არქიტექტურის დისკუსიებისთვის; არქიტექტურული ტურების ინიციატივა სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში; „არქიტექტურული უქმეები“ ლიტვის პატარა ქალაქებში და სხვა არაერთი აქტივისტური/საგანმანათლებლო პროექტი, რომლებიც, საბოლოოდ, ლიეტუვის პავილიონში - „ქაობის პავილიონის“ პროექტში გაერთიანდა ვენეციაში, არქიტექტურის საერთაშორისო ბიენალეზე.

## **„არქიტექტურის მუზეუმი: დროებითობა და მუდმივობა“, ტრიინ ღიარი**

ტრიინმა სამაგისტრო ხარისხი 1996 წელს, ესტონეთის ხელოვნების აკადემიაში, ტალინში მიიღო. 1994-2000 წლებში ის ესტონეთის არქიტექტურის მუზეუმის კურატორი იყო. 2001-2013 წლებში ესტონური არქიტექტურული გამოცემის, MAJA-ს მთავარ რედაქტორად მუშაობდა, 2014 - 2024 წლებში კი ესტონეთის არქიტექტურის მუზეუმს ხელმძღვანელობდა. ტრიინის კრიტიკული პუბლიკაციები ძირითადად მე-20 საუკუნის ესტონურ არქიტექტურას, ახალ მიმდინარეობებსა და მემკვიდრეობას, თანამედროვე არქიტექტურასა და ქალაქგეგმარებას მიმოიხილავს. 2022 წელს ღიარი ევროპის საზოგადოებრივი სივრცის ჯილდოს წევრი, EU Mies van der Rohe-ს მრჩეველთა საბჭოს წევრი და Mies Award-ის ჟიურის წევრი იყო.

ღიარის მოხსენება შეეხო ესტონეთის არქიტექტურის მუზეუმის უახლეს პროგრამებს, გამოფენებსა და საგანმანათლებლო ინიციატივებს, რომლებიც ფემინისტური არქიტექტურის, საბჭოთა მოდერნიზმის, საბავშვო სამუზეუმო პროგრამების, სარეკრეაციო და დასასვენებელი ადგილების, ხმაურის, ტრადიციისა და მემკვიდრეობის შედარებით ანალიზსა და კრიტიკულ გააზრებას მოიცავს. ტრიინმა ტალინის არქიტექტურის ბიენალესთან თანამშრომლობასაც გაუსვა ხაზი: 2022 წლის სექტემბერში, მუზეუმში გამართულ ბიენალეს მთავარ გამოფენას, სახელწოდებით „შეჭმადი, ანუ მეტაბოლიზმის არქიტექტურა“.

## **ტრანსსოციალისტური სივრცეები, დეკოლონიური მომავლები**

განიცადა თუ არა სოციალიზმმა და სოციალისტურმა ქალაქმა „კოლაფსი“ ნამდვილად, 1989-1991 წლებში? თუ, სინამდვილეში, სოციალისტური ქალაქები (და მათ მიერ წარმოებული სივრცეები) ცდილობს სოციალისტური რეჟიმების ჩამოშლა დროებით გადალახოს? როგორ მონაწილეობს ომი, ძალადობა, ურბიციდი, გენოციდი და ადგილმონაცვლეობები სოციალისტური ქალაქისა და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოშლაში? რა კავშირია პოსტსოციალისტურ (ან ჯერ კიდევ სოციალისტურ, ზომბი-სოციალისტურ, ტრანსსოციალისტურ) და პოსტკოლონიურ (თუ დეკოლონიურ) ქალაქებსა და არქიტექტურას შორის? რა კავშირია დეკოლონიზაციას, დეკომუნიზაციას, განსაბჭოებასა და დერუსიფიკაციას შორის? რა



სახის (რადიკალურად განსხვავებული, დეკოლონიური) სოციალისტური მომავალი შეიძლება გაცოცხლდეს, გააღვიძოს ან სუბლიმაცია მოახდინოს ამ ტრავმული წარსულისა და ტრაგიკული ანმეოსგან?

## ნაწილი 1: მშვიდობიანი წარსული, უკან მომავლიდან

კრემლის დღევანდელი, მშვიდობიანი მომავლისთვის ომის რიტორიკა, ფაქტობრივად, „შებრუნებული ესქატოლოგიაა“, რომელშიც უკვე მომხდარია ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა - 1945 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება. დიდი ხნის განმავლობაში, მშვიდობის მოთხოვნა არა მხოლოდ მეხსიერების კულტურის ნაწილი იყო, არამედ (უპირველეს ყოვლისა) სამხედრო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ყველა სოციალისტური რესპუბლიკის „მეგობრობასა და ძმობას“ აძლიერებდა. არ არსებობს არავითარი გზა უკან (უკვე ჩავლილი) მომავლისკენ; არც მარტივად არსებობს - 1984 წლის ამავე სახელწოდების ფილმიდან, რომელიც წარსულში ბრუნდება, იმისთვის, რომ ანმეოს არადაამაკმაყოფილებელი ვერსია შეცვალოს. დღევანდელი „ზომბი-სოციალიზმის“ ეპოქაში,



ტერიტორიებზე გამოცხადებული პრეტენზიები და სამხედრო აგრესია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გაუკუღმართებული იდეაა. პატრიოტული ნაციონალიზმის პოპულისტური ნარატივი სუროგატულ იდეოლოგიად იქცა, რომელიც მშვიდობისა და ომის მოჭადოებულ წრეს კვებავს. პანელის ფარგლებში განსახილველი საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, იმასაც მოიცავდა, თუ როგორ იმოქმედა ომის კულტმა ნაშენ სივრცეებზე და როგორ შეიძლება ამ სივრცეების დეკოლონილიზაცია დღევანდელი პერსპექტივიდან; როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მეხსიერების ანტიიმპერიალისტური ესთეტიკა ან როგორ შეიძლება ყოფილი სოციალისტური იმპერი(ებ) ის არქიტექტურისა და ნაშენი გარემოს დეკონსტრუქცია ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების უახლესი ისტორიის გათვალისწინებით?

## **მოდერატორი: ელენა მარკუსი**

ელენა მარკუსი არქიტექტორი და არქიტექტურის თეორეტიკოსია. 2014 წლიდან ის მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში (YUM) ასწავლიდა არქიტექტურის თეორიას. იქამდე, ელენა კურატორად მუშაობდა ბაზელის შვეიცარიის არქიტექტურის მუზეუმში (S AM). ელენა 1980-იანი წლების არქიტექტურულ წარმოებასა და ბინძური რეალიზმის დივერსიულ არქიტექტურას იკვლევს. საკუთარ წიგნში „(ბინძური) რეალიზმი: ანალოგური არქიტექტურა 1983-1987“, ელენა გერმანულენოვან შვეიცარიაში ქალაქის არქიტექტურის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იკვლევს რეალიზმის დისკურსთან მიმართებით იმავე პერიოდის ხელოვნებასა და არქიტექტურაში. მისი უახლესი პროექტი საბჭოთა იმპერიაში რეგიონალიზმის ნარატივს ეთმობა, განსაკუთრებული ფოკუსით 1980-იან წლებსა და მის არქიტექტურულ კვალზე პოსტსოციალისტურ ეპოქაში.

## **ნინი ფალავანდიშვილი**

ნინი ფალავანდიშვილი კურატორი, პროექტების მენეჯერი, ავტორი და რედაქტორია. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის მიმართულება, ასევე, ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი (UdK) კომუნიკაციების განხრით სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში. იკვლევს შუა საუკუნის მოდერნისტულ არქიტექტურას, მონუმენტურ და დეკორატიულ ხელოვნებას, მათ როლს შექმნის პროცესში და მათ შესახებ არსებულ თანამედროვე

ინტერპრეტაციებს. ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტთან თანამშრომლობით, ნინი თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობის კონსერვაციისა და ადაპტაციის გეგმაზე მუშაობდა (2018 წლიდან - 2020 წლამდე, „Getty“ ფონდის მხარდაჭერით). ფალავანდიშვილის ტექსტები რეგულარულად ქვეყნდება საერთაშორისო გამოცემებში; ის რამდენიმე წიგნის ავტორი, რედაქტორი და ინტერდისციპლინარული პროექტების კურატორია. ნინი ფალავანდიშვილი ბერლინში ცხოვრობს და Deutscher Künstlerbund-ის (გერმანელი მხატვრების ასოციაციის) მმართველი დირექტორია.



## დიანა ვუჩინიჩი

დიანა ვუჩინიჩი არქიტექტორი, მკვლევარი და ინტერდისციპლინარული პრაქტიკის, DVARP-ის დამფუძნებელია. დიანა APSS ინსტიტუტის პროგრამის დირექტორია და დამფუძნებელი პლატფორმისა, რომელიც არქიტექტურული კვლევის, დიზაინის გააზრებასა და განვითარებაზე მუშაობს. დიანა იყო Solana-ს, მონტენეგრული პავილიონის კომისარი ვენეციის XV არქიტექტურის ბიენალეზე და 2014 წლის ვენეციის ბიენალეზე გამოფენის „Treasures in mask - Montenegro Pavilion“ - თანაკურატორი. ვუჩინიჩი 2021 წლის ვენეციის ბიენალეზე წარდგენილი გამოფენის „Skirting the Center: Svetlana Kana Radević, On the Periphery of Postwar Architecture“- კურატორიც იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპულმა Zavod Big-მა მას „წლის არქიტექტურული ხედვის“ ჯილდო მიანიჭა ლიუბლიანაში.



## არმინა პილავი

არმინა პილავი ფემინისტი, არქიტექტორი და მკვლევარია. იყენებს მედია ინსტრუმენტებს, ფსიქო-სივრცულობისა და რადიკალური დაკვირვების მეთოდს, რათა ცხადი გახადოს ომის შედეგად მდინარეების, მიწების, მათთან დაკავშირებული ბუნებრივი ფორმების, არქიტექტურისა და საზოგადოებრივ ტრანსფორმაციათა ეკოლოგიები. ხშირად აქვეყნებს ნაშრომებს აკადემიურ გამოცემებსა თუ ჟურნალებში და გამოფენებსაც რეგულარულად აწყობს. მისი ბოლო კვლევა სარაევოს, მოსტარის განადგურებასა და იქ მაცხოვრებელთა მიერ ძალადობის ტრანსფორმაციის შესახებ წარდგენილი იყო ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე (2018), როგორც პროექტ „სირცხვილის არქიტექტურის“ ნაწილი მატერაში, 2019 წელს. არმინა „ომის მოწინააღმდეგე კოსმოსური ლაბორატორიის“, „Divja Brač“-ის დამფუძნებელია, რომელიც მცენარეების პედაგოგიკაზე მუშაობს. ასევე, კულტურისა და ხელოვნების ასოციაციის წევრია. ამჟამად, არმინა ბრაჩის კუნძულზე ცხოვრობს, კუნძულის ეკოსისტემასთან თანაარსებობისა და მცენარეების, ზღვისა და ქვების წარმოქმნას იკვლევს.

## მანუელ ჰერცი

მანუელ ჰერცი ბაზელში, შვეიცარიაში მოღვაწე არქიტექტორია. მრავალი ჯილდოს მფლობელი მისი პროექტებიდან აღსანიშნავია საავადმყოფო ტამბაკუნდაში (სენეგალი) და ბაბი-იარის სინაგოგა (უკრაინა) - უნიკალური სინაგოგა ბაბი-იარის ხეობაში, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანები მასობრივად დახვრიტეს. ჰერცი ხშირად მონაწილეობს გამოფენებსა და ბიენალეებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით; მისი ნამუშევრები მრავალი მუზეუმის კოლექციის ნაწილია, მათ შორისაა ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (MoMA). ასწავლიდა ჰარვარდის, ციურიხისა და ბაზელის უნივერსიტეტებში; არის რამდენიმე წიგნის ავტორი: „From Camp to City - Refugee Camps of the Western Sahara“ („ბანაკიდან ქალაქში - დასავლეთ საჰარას ლტოლვილთა ბანაკები“) და „African Modernism - Architecture of Independence“ („აფრიკული მოდერნიზმი - დამოუკიდებლობის არქიტექტურა“).

## მაქსიმ როკმანიკო

მაქსიმ როკმანიკო დიზაინერი, მკვლევარი და პედაგოგია, რომელიც დიზაინისა და არქიტექტურის სფეროებში

მუშაობს. იკვლევს ურბანული ცხოვრების ახალ ფორმებსა და განვითარებად ტექნოლოგიებს. როკმანიკო სივრცითი ტექნოლოგიების ცენტრის დამფუძნებელია. ის არქიტექტურასა და კვლევას ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ინფრასტრუქტურებისთვის იყენებს მომავლის ქალაქის შესაქმნელად კიევში, უკრაინაში. ამჟამად, მაქსიმი უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული სამოქალაქო ზიანის ანალიზზე მუშაობს.

## ნაწილი 2: მეგობრობის მომავალი: „ძმობის“ დეკოლონიზაცია და დემასკულინიზაცია

2022 წლის მაისში, კიევში რუსულ-უკრაინული მეგობრობის ძეგლის დემონტაჟის (თავის მოკვეთის) დროს, ვოლოდიმირ კლიჩკომ - ქალაქის მერის, ვიტალი კლიჩკოს ძმამ მკვახე საჯარო კომენტარი გააკეთა საბჭოთა-რუსული ძმობის იდეის შესახებ: „ადამიანი არ კლავს თავის ძმას და არ აუპატიურებს თავის დას“. რას შეიძლება ნიშნავდეს საბჭოთა „ძმობის“, „ნათესაობისა“ და „მეგობრობის“ იდეოლოგიები დღეს, ამ შემთხვევაში? რით განსხვავდება ისინი მეგობრობისა და ნათესაობის იდეებისაგან სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში, განურჩევლად იმისა, სოციალისტურია სახელმწიფო, ლიბერალ-კაპიტალისტური თუ არა-ევრო-ამერიკული? გააჩნია თუ არა ამ იდეოლოგიებს დღეს რაიმე პროგრესული, რადიკალური ან განმათავისუფლებელი? იქნებ, საერთოდ უნდა დავგმოთ ისინი, ისევე, როგორც მათი არქიტექტურული და ესთეტიკური გამოვლინებები







ხატმებრძოლური სულისკვეთებით? როგორი შეიძლება იყოს მეგობრობის, ნათესაობის, დობისა თუ სხვა სახის ნათესაური კავშირის მომავალი ფორმები და ესთეტიკა (პოსტ)საბჭოთა, ჰიპერპატრიარქალური, თეთრკანიანებით დომინირებული რუსული იმპერიის (მისი რესურსებითა და თანამგზავრებით) (გარდაუვალი?) ჩამოშლის შემდეგ? პანელურ დისკუსიაში არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიკოსების, არქიტექტორებისა და ანთროპოლოგების ჯგუფმა ზემოხსენებული თემები უკრაინის, საქართველოს, ბრაზილიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთ-ჩინეთის სასაზღვრო ტერიტორიების მაგალითზე განიხილა.

## მოდერატორი: მიხალ მურავსკი

მიხალ მურავსკი არქიტექტურისა და ქალაქების ანთროპოლოგია. ის ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის სლავური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების სკოლის ასოცირებული პროფესორია. მურავსკი ავტორია შემდეგი წიგნების: „A Form of Friendship: The Museum on the Square“ („მეგობრობის ფორმა: მუზეუმი მოედანზე“) - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ვარშავა/ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა, 2024; „Recolonial Russia: architecture & ecology, violence & artifice in Putin's Paradise“ („რეკოლონიალური რუსეთი: არქიტექტურა და ეკოლოგია, ძალადობა და ხელოვნება პუტინის სამოთხეში“) - MIT Press 2025, გამოცემის პროცესში; და „The Palace Complex: A Stalinist Skyscraper, Capitalist Warsaw and a City Transfixed“ („სასახლის კომპლექსი: სტალინური ცათამბჯენი, კაპიტალისტური ვარშავა და გადაშენებული ქალაქი“) - ინდიანას უნივერსიტეტის გამოცემა, 2019. მურავსკის თანარედაქტორობით გამოქვეყნდა პუბლიკაციები: „Anti-Atlas: Critical Area Studies from the East of the West“ (ვენდი ბრეისველთან და ტიმ ბისლი-მიურეთან ერთად, UCL Press 2024) და „Re-Centring the City: Global Mutations of Socialist Modernity“ (ჯონათან ბახთან ერთად, UCL Press 2020). მურავსკი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში PPV-ის სემინარის (ვერტიკალური ძალაუფლების გაუკუღმართება: პოლიტიკა და ესთეტიკა) და ლონისძიებების პლატფორმის დამფუძნებელია ([www.michalmurawski.net](http://www.michalmurawski.net)).

## ედ პულფორდი

ანთროპოლოგი ედ პულფორდი მანჩესტერის უნივერსიტეტის ჩინეთის კვლევის სკოლის ლექტორია. მისი კვლევითი ინტერესები და სწავლების საგანი



ევრაზიის საზღვრების შესახებ ანთროპოლოგიური და ისტორიული მიდგომები, ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები და სოციალიზმისა და იმპერიის შედარებითი გამოცდილებებია. პულფორდის ბოლო წიგნი „წარსულის პროგრესი“ დროის, ისტორიისა და თანამედროვეობის გამოცდილების ეთნოგრაფიულ ანგარიშს მოიცავს ჩინეთი-რუსეთი-კორეის სამმხრივ საზღვარზე. პულფორდის ნაშრომები ძირითადად სოციალისტური „მეგობრობის“, ტრანსნაციონალური მოსახლეობების ჯგუფებისა და პოსტსოციალისტური მიგრაციის კვლევებს გულისხმობს და სხვადასხვა აკადემიური და პოპულარული გამოცემების მიერ არის გამოქვეყნებული.

## დაპიონგ ჯონგი

დაპიონგ ჯონგი პრინსტონ-მელონის პოსტდოქტორანტია პრინსტონის უნივერსიტეტის არქიტექტურის სკოლაში; დოქტორის ხარისხი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში მოიპოვა ხელოვნების ისტორიის განხრით. მისი დისერტაცია იკვლევდა არქიტექტურული პოსტმოდერნიზმის აღზევებას საბჭოთა „პერიფერიებში“. ჯონგის კვლევას მხარს უჭერდა „Getty“-ს კვლევითი ინსტიტუტი (ლოს-ანჯელესი, აშშ), სადაც ის ასპირანტი იყო 2021-2022 წლებში; ასევე, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (ნიუ-იორკი, აშშ). MoMa-მ დაპიონგს Mellon-Marron Museum Research Consortium-ის კვლევითი სტიპენდია



მიანიჭა, რომლის ფარგლებშიც მან კურატორული კვლევა ჩაატარა გამოფენისთვის „დამოუკიდებლობის პროექტი: არქიტექტურა და დეკოლონიზაცია სამხრეთ აზიაში, 1947-1985 წწ.“

## პოლინა ბაიციმი

პოლინა ბაიციმი ხელოვნების ისტორიკოსი და კურატორია უკრაინის საბჭოთა ვიზუალური ხელოვნების ისტორიის განხრით. ის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტია შედარებით ისტორიაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი/ვენა, ავსტრია), ასევე, უკრაინის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის (UMCA) ბიბლიოთეკის თანაკურატორი (კიევი, უკრაინა). პოლინა ორი წიგნის თანაავტორია უკრაინული საბჭოთა მოზაიკის შესახებ: „Art for Architecture. Ukraine. Soviet Modernist Mosaics from 1960 to 1990“ („ხელოვნება არქიტექტურისთვის: უკრაინა - საბჭოთა მოდერნისტული მოზაიკა 1960 წლიდან 1990 წლამდე“) - ბერლინი: DOM Publishers, 2020; და „The Chips: Ukrainian Naïve Mosaics, 1950-1990“ („ჩიპები: უკრაინული ნაივური მოზაიკა, 1950-1990“ - ხარკოვი: გამომცემლობა ist, 2024. ბაიციმი გამოფენის „რეტროტოპია: დიზაინი სოციალისტური სივრცეებისთვის“ (2023) უკრაინული ნაწილის თანაკურატორი იყო ბერლინის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში, გერმანიაში.

# Shorisdebuli

Physical Project

Davit Beitrishvili,  
Aleksandre Gachechiladze

The topic of our discussion at the Tbilisi Architecture Biennial was the phenomenon of temporality. We analyze it in terms of the coexistence of time-space construction. The research interest lies in the instability in the contemporary history of Georgia and the permanent sense of temporality. Here, we hear a citizen's voice — what will be next? The author of this question is a subject who stops its action by posing the question and starts the observation, surrendering to the present and searching for a sign in space. A thesis that emerged during the research is that the space of emptiness is a temporal phenomenon in an unhealthy urban environment; this idea can be solidified by observing the surroundings of the Tbilisi Sports Palace. The shift from a socialist to a capitalist economic model has radically transformed the country. The rapid development and weakness of the city's urban policy created a space like the surrounding area of the Tbilisi Sports Palace. Here, the space is overflowed with buildings and cars. Often, walking between the buildings is impossible, and the residents need to use the ground floors of convenience stores or building entrances to get from one street to another.

Shorisdebuli perceived the empty spaces left in the vicinity of the Tbilisi Sports Palace in terms of longevity and re-imagined that those spaces could also be filled. A space of three meters in width, twelve meters in depth, and forty meters in height has been chosen for the installation. It was filled by the high structure of the scaffold, covered with a construction safety net. With this, we hung a curtain between the two buildings. The net was pinned on the façade of scaffolding by climbers Gia Imnadze and Levan Eradze. The installation, which consisted of the temporary elements used at the construction site, temporarily marked and filled the void with objects. Passersby became curious, and the following questions arose:

- What's behind the curtain?
- Are they building something here?





The notion of emptiness has an essential place in culture. It is crucial to look at it from different perspectives to thoroughly analyze it and perceive the full picture. The Shorisdebuli team decided to organize a discussion on the question of emptiness and devote the pavilion space to authors from different disciplines.

The installation opened with the choreographic performance “Tempor[e]ality” by Natia Chikvaidze, Valeria Khripach, and Maria Shalagina. The artists explored the experience of moving through space using body language. The performance transformed the installation into a scene, transforming random passersby into spectators. It also highlighted the dynamics of movement and rhythmic behaviors in space. The performance made the heaviness of the buildings and the lightness of the distance between them clearer and more pronounced. The music for the performance was created by Nino Davadze. Dozens of volunteer dancers participated in the project.

Another research object for Shorisdebuli was the phenomenon of sound as a time-space memory. The sound exists as long as it is heard, and it is heard as long as it exists. Artist Ilia Ioseliani (Kacivinme) brought sounds from different places in the city to cover the time-space layers and express the limitless potential for voicing emptiness. Artist Sandro Chinchaladze (Tete Noise) installed microphones on the high part of the installation. Wind-induced oscillation vibrations of the construction were amplified live, and the audience could listen to the sound directly. As a result, the place gained voice and intensified the viewer’s auditory interaction with it.

Shorisdebuli also led to the creation of a collective work called “Amboben” (“They Say...”). For the project, the form of sentence construction in the structure of the Georgian language was selected, which creates a sense of anticipation and future ambiguity in the content. Up to twenty people used this form to compile and voice sentences with socio-cultural content. The recordings were assembled and expressed polyphonically in the installation pavilion. Scientists Gia Dvali and Akaki Rusetsky discussed the concept of the void as part of the emptiness discourse. They explored how the concept of emptiness is interpreted in physics, describing the current knowledge about the universe’s origin and engaging the audience by posing questions.



Art historian Gogi Gvakharia spoke about the role of emptiness in cinema and how directors use the concept in their creative and thought processes. He discussed the episodes from the films of Sergei Eisenstein, Theodor Dreyer, Michelangelo Antonioni, Yasujiro Odzu, and Robert Bresson and answered questions from the audience.

Photographer Giorgi Shengelia spoke about the sense of emptiness, drawing on his own work and life experiences. Later, the dialogue with the listeners went beyond the pavilion and continued on the street.

Director Data Tavadze created a text and theatrical performance, "Lars and Hubris" on the topic of emptiness and city." Here, the urban space yet again became a spectacle to watch. The stage was designed by the theater artist Ketis Nadibaidze. A treadmill was placed at the center of the installation, where actor Sandro Samkharadze represented a newly arrived person in a foreign city. The performance managed to turn a tiny area of the pavilion into many streets and avenues of a foreign city. The text voiced the inner monologue of the character, and with this rhetoric, it delivered multiple meanings to the listener. The technical part of the performance was taken care of by the choir of the Royal District Theatre of Tbilisi. The invited authors have made an important contribution to the project. Their engagement has shown us how diverse the concept of emptiness can be in an urban context and its significance in our everyday lives. The process allowed the audience to observe the descriptive representation of reality in various languages.



A cultural phenomenon has also been revealed, shaping our reality, generating boundaries between concepts, and creating and exploring the diversity of forms. As observers of the process beyond the authorship of the project, we can say that culture begins with the separation from emptiness and that reality and the void are pre — linguistic phenomena. Recognizing their origins, devoid of cultural signs, removes individuals from the illusory partition of reality and returns them to the creator's consciousness - a place where form has not yet emerged. On the one hand, the temporary installation of Shorisdebuli emphasizes the importance of maintaining a balance between the constructed and empty spaces and, on the other hand, speaks about the individual. The citizen has become an observer and must return as a conscious actor.



# შორისდებული

ფიზიკური  
პროექტი

დავით ბეიტრიშვილი,  
ალექსანდრე გაჩეჩილაძე

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში ჩვენი დისკუსიის საგანი დროებითობის ფენომენია, რომელსაც დრო-სივრცე-ნაშენის თანაარსებობაში განვიხილავთ. კვლევის ინტერესი საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებული არასტაბილურობა და მუდმივი დროებითობის განცდაა.

აქ მოქალაქის ხმა გაისმის - რა იქნება შემდეგ? შეკითხვის ავტორი არის აქტორი, რომელიც სწორედ ამ კითხვის დასმით შეწყვეტს მოქმედებას და მაყურებლობას იწყებს; ნებდება ანმყოს და ელის ნიშანს სივრცეში.

ამ საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა თეზისი, რომ არაჯანსაღ ურბანულ გარემოში თავად სიცარიელის სივრცეა დროებითი ფენომენი. ამ თვალსაზრისს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკვირვება გაამყარებს. დროთა განმავლობაში, აქ იზრდებოდა სიმჭიდროვე და იცვლებოდა საცხოვრისის ტიპოლოგია. ირგვლივ მიზიდულობის წერტილები და მომყოლი დასახლებები ჩნდებოდა.

სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტური მოდელით ჩანაცვლებამ ქვეყნის უახლეს ისტორიაში რადიკალური გარდატეხა მოახდინა. სწრაფმა განაშენიანებამ და ქალაქის ურბანული პოლიტიკის სისუსტემ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის მსგავსი სივრცე წარმოქმნა. ეს სივრცე ნაშენითა და მანქანებით ივსება. ხშირად კორპუსებს შორის გავლაც შეუძლებელია, მოსახლეობა კი მაღაზიისა თუ სადარბაზოს პირველ სართულს იყენებს, რათა ერთი ქუჩიდან მეორეზე მოხვდეს.

„შორისდებულმა“ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ცარიელი სივრცე ხანგრძლივობის კუთხით გაიზარა და წარმოიდგინა, რომ მასაც შეავსებენ.







ინსტალაციისთვის ორ მაღლივ შენობას შორის არსებული სიცარიელე შეირჩა - სამი მეტრის სიგანის, თორმეტი მეტრის სიღრმისა და ორმოცი მეტრის სიმაღლის მქონე მანძილი. ცარიელი ადგილი ხარაჩოს მაღლივმა სტრუქტურამ შეავსო, რომელიც სამშენებლო ბადით დაიფარა - ასე მივიღეთ ფარდა შენობებს შორის. ხარაჩოს ფასადზე ის მთამსვლელებმა, გია იმნაძემ და ლევან ერაძემ დაამაგრეს. ინსტალაციამ, რომელიც სამშენებლო მოედანზე დროებით გამოყენებული ელემენტებისაგან შედგებოდა, დროებით განასხეულა სიცარიელე და ამგვარად აღნიშნა ის. გამვლელები დაინტერესდნენ და გაჩნდა კითხვები:

- რა არის ფარდის მიღმა?

- აქაც რაიმეს ხომ არ აშენებენ?

სიცარიელის ცნებას კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმისთვის, რომ საკითხი საფუძვლიანად განვიხილოთ და უკეთესად შევძლოთ სრული სურათის აღქმა, ნიშვნელოვანია, ამ ცნებას სხვადასხვა კუთხით შევხედოთ. „შორისდებულის“ გუნდმა გადაწყვიტა სიცარიელის საკითხზე დისკუსია მოეწყო და პავლიონის სივრცე სხვადასხვა დისციპლინაში მოღვაწე ავტორებს დაეთმო.

ინსტალაცია გაიხსნა ნათია ჩიკვაიძის, ვალერია ხრიპაჩისა და მარია შალაგინას ქორეოგრაფიული პერფორმანსით „tempor[e]ality“. არტისტებმა სხეულის ენის მეშვეობით იკვლიეს ცარიელ სივრცეში მოძრაობის გამოცდილება. პერფორმანსმა ინსტალაცია სცენად, შემთხვევითი გამვლელი კი მაყურებლად აქცია. გამოიკვეთა სივრცეში მოძრაობისა და რიტმულ ქცევათა დინამიკის სახეები. გამძაფრდა და უკეთ აღსაქმელი გახდა შენობების სიმძიმე და მათ შორის არსებული მანძილის სიმსუბუქე. პერფორმანსისთვის მუსიკა ნინო დავაძემ შექმნა. პროექტში მონაწილეობა ათობით მოხალისე მოცეკვავემ მიიღო.

„შორისდებულის“ კიდევ ერთი საკვლევი ფენომენი იყო ბგერა, როგორც დროით-სივრცული მეხსიერება. ის არის იქამდე, სანამ ისმის და ისმის მანამ, სანამ არის. არტისტმა ილია იოსელიანმა (Kacivinme) ინსტალაციის ინტერიერში ქალაქის სხვადასხვა ხმა შემოიტანა, რითიც გადაიფარა დროით-სივრცული შრეები და ბგერით აღინიშნა სიცარიელის გახმოვანების უსაზღვრო პოტენციალი.



არტისტმა სანდრო ჩინჩალაძემ (Tete Noise) ინსტალაციის მაღლივ სხეულზე მიკროფონები დაამონტაჟა. კონსტრუქციის ქარისმიერი თუ სხვა სახის რხევითი ვიბრაცია ცოცხალ რეჟიმში გაძლიერდა და შეკრებილი აუდიტორიაც პირდაპირ ეთერში ისმენდა ხმას. ასე ახმოვანდა ადგილი და დამთვალიერებელს მასთან სმენითი ინტერაქციის შეგრძნება გაუმძაფრა.

„შორისდებულის“ ინიციატივით შედგა, ასევე, კოლექტიური ნამუშევარი „ამბობენ...“. ქართული ენის სტრუქტურაში შეირჩა წინადადების აგების ფორმა, რომელიც მოლოდინისა და მომავლის ბუნდოვანების განცდას ქმნის შინაარსში. ამ ფორმის გამოყენებით, ოცამდე ადამიანმა შეადგინა და გაახმოვანა სოცო-კულტურული შინაარსის მქონე წინადადებები. ჩანაწერები აიკინდა და პოლიფონიურად გაჟღერდა ინსტალაციის პავილიონში.

სიცარიელეზე დისკუსიის ფარგლებში მეცნიერებმა - გია დვალმა და აკაკი რუსეცკიმ ისაუბრეს. მათ განიხილეს, თუ როგორ იკითხება სიცარიელის ცნება ფიზიკაში, აღწერეს სამყაროს წარმოქმნის შესახებ დღემდე არსებული ინფორმაცია და დააინტერესეს მსმენელი აუდიტორია, რომელიც მათთან ინტერაქციაში კითხვების დასმით შევიდა.

ხელოვნებათმცოდნე გოგი გვახარიამ ისაუბრა სიცარიელის როლზე კინოში, იმაზე, თუ როგორ იყენებენ რეჟისორები სიცარიელის კონცეფციას საკუთარ შემოქმედებასა თუ აზროვნების პროცესში; იმსჯელა ეპიზოდებზე სერგეი აიზენშტაინის, თეოდორ დრეიერის, მიქელანჯელო ანტონიონის, იასუძირო ოძუს და რობერტ ბრესონის ფილმებიდან; უპასუხა აუდიტორიის შეკითხვებს.

ფოტოგრაფმა გიორგი შენგელიამ საკუთარი ნამუშევრებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების მოშველიებით სიცარიელის საკითხის მისეულ განცდაზე ისაუბრა. მოგვიანებით, მსმენელთან კითხვა-პასუხი პავილიონს გასცდა და ქუჩაში გაგრძელდა.

მეცნიერების პოპულარიზატორმა, პათოლოგანატომმა დეა ყოლბაიამ ლექცია-პერფორმანსი ჩაატარა თემაზე - „ევოლუციის ღმერთები და დემონები“. მსმენელმა კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების თვითშემეცნების ისტორიაში იმოგზაურა. წარმოდგენილმა მასალამ აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია და ლექცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

რეჟისორმა დათა თავაძემ სიცარიელისა და ქალაქის თემაზე ტექსტი და თეატრალური პერფორმანსი, „ლარსი და ჰიბრისი“ შექმნა. აქ ურბანული სივრცე კვლავ საყურებელ მოცემულობად იქცა. სცენის დიზაინი თეატრის მხატვარმა, ქეთი ნადიბაიძემ დაამუშავა. ინსტალაციის ცენტრში განლაგდა სარბენი ბილიკი, რომელზეც მსახიობი სანდრო სამხარაძე უცხო ქალაქში ახლადჩასულ ადამიანს განასახიერებდა. ასე მოიხელთა პერფორმანსმა პავილიონის უკიდურესად მცირე პროპორცია უცხო ქალაქის არაერთ ქუჩად თუ გამზირად. ტექსტი ახმოვანებდა პერსონაჟის შინაგან მონოლოგს და რიტორიკით მსმენელამდე არაერთი სათქმელი მიჰქონდა. პერფორმანსის ტექნიკურ ნაწილზე სამეფო უბნის თეატრის გუნდმა იზრუნა.

მონვეულმა ავტორებმა პროექტში ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათმა ჩართულობამ გვაჩვენა, თუ რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს სიცარიელე ურბანულ კონტექსტში და რამხელა როლი შეიძლება ჰქონდეს მას ჩვენს ყოველდღიურობაში. პროცესმა წარმოშვა დაკვირვების შესაძლებლობა იმაზე, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ერთი რეალობა სხვადასხვა ენით აღიწერება.



აქვე გამოაშკარავდა კულტურული ფენომენი, რომელიც განაგრძობს რეალობის გადამუშავებას, აწარმოებს ცნებებს შორის არსებულ საზღვრებს, შობს და იკვლევს ფორმათა სხვადასხვაობას.

როგორც პროცესზე დამკვირვებლებმა პროექტ „შორისდებულის“ ავტორობის მიღმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურა სიცარიელიდან გამოყოფით იწყება; რომ რეალობა ენამდელია და სიცარიელე ენამდელი სივრცეა. კულტურული ნიშნებისგან დაცლილი საწყისის შეცნობა ინდივიდს რეალობის ილუზორული დანაწევრებისაგან აშორებს და შემოქმედის ცნობიერებასთან აბრუნებს - იქ, სადაც ფორმა ჯერ არ გაჩენილა.

„შორისდებულის“ დროებითი ინსტალაცია, ერთი მხრივ, საუბრობს სიცარიელებზე - ნაშენ და ცარიელ სივრცეს შორის ბალანსის დაცვის მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ კი ინდივიდზე - მოქალაქეზე, რომელიც გახდა მაყურებელი და რომელიც უნდა დაბრუნდეს, როგორც ცნობიერი აქტორი.





# Tumbleweed Rodeo

Physical Project

Sarah Aziz



**Photo:**  
Tumbleweed Rodeo  
Drawing Performance  
at CO-OPt Research +  
Projects in Lubbock,  
Texas, 2020. Photo by  
Eric J. Simpson.

Tumbleweed Rodeo is a multi-sensory approach to understanding temporality, migration, and the arbitrary nature of borders by tracing the vectors of movement of tumbleweeds from where they're from — the South Caucasus Region — to where they've ended up: America. The Rodeo reveals the plant's complicated histories and legacies through impromptu, Dadaesque performances and dinners, design-build projects, GPS-informed landscape drawings, and material explorations. Tumbleweeds intersect everything from President Thomas Jefferson's efforts to create a nation of yeoman farmers to President Herbert Hoover's control over wheat prices in World War I and Georgia's steppe biome degradation during the Russo-Georgian War. By tracing tumbleweeds' movement from their place of origin to their host country, the slow commercialization and banalization of America's Southwestern landscapes come into high relief. The plant symbolizes America's reverence for resilient individualism



1  
Kelly Buchanan, "The Impact of Russian Laws on US-Russia Economic Relations | In Custodia Legis," webpage, The Library of Congress, August 16, 2012, //blogs.loc.gov/law/2012/08/the-impact-of-russian-laws-on-us-russia-economic-relations.

2  
Rachel Nuwer, "America's Tumbleweeds Are Actually Russian Invaders," Smithsonian Magazine, August 15, 2014, <https://www.smithsonianmag.com/smart-news/americas-tumbleweeds-are-actually-russian-invaders-180952360/>.

3  
Sidney Stevens, "Everything You Ever Wanted to Know About Tumbleweeds," Treehugger, February 7, 2022, <https://www.treehugger.com/everything-you-ever-wanted-know-about-tumbleweeds-4864166>.


4  
Matthew Kerns, Texas Jack: America's First Cowboy Star: America's First Cowboy Star (TwoDot, Montana: TwoDot, 2021), 28.

5  
Benjamin Sutton, "Val Kilmer Denies Copyright Infringement in Lawsuit over Bronze Tumbleweed," Artsy, May 9, 2019, <https://www.artsy.net/article/artsy-editorial-val-kilmer-denied-claims-copied-artists-work-making-bronze-tumbleweed>.

and is a proxy for idealized renditions of the American frontier. It positions the question of invasive species (what came first, and what's truly invasive?) not as disasters but as displays of the majesty of nature and life. The Rodeo collaborates with artists, farmers, and ranchers across the Great Plains and the South Caucasus Region to find and represent the plant's true impact on America's identity and ecology. It asks how we can partner with non-human actors without subjugating them to be in the service of humans.

## Context

The second iteration of the Russian-American Commercial Treaty was ratified in 1833 under the auspices of President Andrew Jackson. Signed against the backdrop of the Monroe Doctrine — President James Monroe's 1823 suppression of colonization to protect America's sphere of influence from European forces — the agreement provided general bilateral trading rights between America and the Russian Empire until it was repealed nine years later because of Russia's discriminatory immigration policies.<sup>1</sup> During this tumult, the tumbleweed, AKA Russian thistle (*salsola tragus*), was smuggled into America by Russian sailors, hiding them in their clothes, sacks of flaxseed, and other agricultural exports.<sup>2</sup> As tensions between the two states grew over questions of citizenship, territory, and militarism, America's second invasion took hold — the colonial plant species started perverting existing orders to bring others in.



**750'-Long Tumbleweed Landscape  
Drawing in Shallowater, Texas, 2021  
by Eric J. Simpson and Sarah Aziz.  
Photo by Eric J. Simpson.**

6  
Paula Mejia, "West Texas Farmers Battle Them, but Now Tumbleweeds Have Become Trendy Decor - Texas Monthly," *Texas Monthly*, December 3, 2021, <https://www.texasmonthly.com/style/tumbleweeds-have-become-trendy-decor/>.

7  
Same Tree, "The Native Chandelier - Rustic - Chandeliers - by Same Tree," *Houzz*, accessed June 13, 2023, <http://www.houzz.com/products/the-native-chandelier-prvw-vr~15298444>.

8  
Barbara Will, "The Nervous Origins of the American Western," *American Literature* 70, no. 2 (1998): 293–316, <https://doi.org/10.2307/2902839>.


9  
Texas A&M Agrilife Extension, "Plants of Texas Rangelands » Russian Thistle, Tumbleweed," accessed June 13, 2023, <https://rangeplants.tamu.edu/plant/russian-thistle-tumbleweed/>

10  
Rachel Nuwer, "America's Tumbleweeds Are Actually Russian Invaders."

By the late 1800s, European settlers had removed millions of acres of native flora and enacted agricultural practices incompatible with the colonized landscapes.<sup>3</sup> The disturbed ground, persistent winds, and evolution of the railway allowed the ruderal weed to rapidly migrate across the U.S. and, unexpectedly, become an integral part of the developing nation's identity. Traveling theatrical productions, such as Soldier Buffalo Bill Cody's Wild West Show, created nostalgic and isolationist renditions of the American West using tumbleweed, live buffalo, cowboys, and mestizo and indigenous peoples, making the plant synonymous with the American frontier.<sup>4</sup> Once again, the plant raises questions of identity, agency, and ownership through its role in contemporary art and consumerism. In 2018, actor Val Kilmer became embroiled in legal disputes when he was accused of plagiarizing artist Terry Bale Allen's bronze tumbleweed creations.<sup>5</sup> Kilmer dismissed Allen's suit as harassment, claiming the sculptures lacked the "requisite originality for copyright protection." To complicate matters further, a burgeoning market<sup>6</sup> for tumbleweeds has cropped up on eBay, Etsy, Instagram, and Facebook in recent years, with retail prices up to \$2988.<sup>7</sup> The forced migration of tumbleweeds from the Southwest to suburban homes worldwide offers a packaged, simulated version of the West's curative powers. In the 19th century, men sought refuge from the adverse effects of city life by engaging in physically demanding work on the wild frontier. The belief was that being on the precipice of danger in the West would cure their discontent and transform them into resilient, heteronormative men.<sup>8</sup> Today, the commercialized tumbleweed is a surrogate for that bygone time and its practices.

## Biology

The life cycle of a tumbleweed begins with seed germination in late winter to early spring. In its nascent stages, the plant is an edible reprieve amidst the arid expanses of its adopted territories. As a summer annual, it grows rapidly into a verdant green bush that can reach towering heights of up to six feet.<sup>9</sup> By early fall, it transitions into senescence, then desiccates, disconnects from the ground, and transforms into a formidable wind-propelled seed-sowing machine capable of producing around 250,000 progenies. Each tumbleweed can travel several miles before disintegrating. Its cyclic dispersion and aggressive propagation strategies have earned it the moniker "Russian invader."<sup>10</sup> The latter was particularly troubling during the Cold War at the U.S. Department of Energy's Hanford plutonium manufacturing complex in Washington state — the country's most contaminat-



11  
Linda Ashton, "Radioactive Tumbleweeds Create Latter-Day Red Menace in Washington - Los Angeles Times," April 15, 2001, <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2001-apr-15-me-51273-story.html>

12  
Sarah Zhang, "How Tumbleweeds Spread Radiation From Old Nuclear Sites," Gizmodo, January 28, 2014, <https://gizmodo.com/how-tumbleweeds-spread-radiation-from-old-nuclear-sites-1508617887>

ed nuclear waste site.<sup>11</sup> With taproots that reach down as far as 20' into the ground, tumbleweeds are extraordinary hyperaccumulators that can absorb harmful radionuclides such as strontium and cesium.<sup>12</sup> They were the first plant to grow back after aboveground atomic testing ceased and quickly became one of the most uncontrollable biological vectors, contaminating other areas.<sup>13</sup>

The Rodeo's drawing experiments involve affixing live GPS trackers to tumbleweeds to trace their vectors of movement. In America, this always appears contrary to the Jeffersonian grid - the 18th-century rectangular land survey system used in the early US Republic to displace indigenous peoples. Alongside artist and farmer Eric Simpson, Sarah Aziz creates inhabitable landscape drawings that ask people to experience the American landscape anew. On Eric's farm in Shallowater, Texas, he has taken a 750-foot-long segment of a tracked tumbleweed's route and planted 10-foot-tall native plants along both sides. Within this segment, activities such as dinners and tours occur. Once migratory birds consume the drawing, a new version travels to a different site, such as Tbilisi, Georgia, for the 2022 Tbilisi Architecture Biennial. American tumbleweeds, equipped with tags, are released at two different locations. The first is a 70-hectare former Soviet-era military garrison in Tbilisi with unclear ownership, and the second is the Tserovani Refugee Camp - a product of the 2008 Georgian-Russian war, which displaced hundreds of thousands of people. The event coincides with the announcement of Vladimir Putin's draft, prompting an enormous Russian emigration. In this context, the project mirrors geopolitical dynamics and historical currents. At the former military base, the American tumbleweeds encounter their Russian counterparts; what was once estranged is now reunited.





Still from Tumbleweed  
Rodeo Video made  
for the 2022 Tbilisi  
Architecture Biennial  
by Sarah Aziz, 2022.



# ბურბურას როდეო

სარა აზიზი

ფიზიკური პროექტი

1

Kelly Buchanan, "The Impact of Russian Laws on US-Russia Economic Relations | In Custodia Legis," webpage, The Library of Congress, August 16, 2012, [//blogs.loc.gov/law/2012/08/the-impact-of-russian-laws-on-us-russia-economic-relations](http://blogs.loc.gov/law/2012/08/the-impact-of-russian-laws-on-us-russia-economic-relations).

„ბურბურას როდეო“ მულტი-სენსორული მიდგომაა, რომელიც დროებითობას, მიგრაციასა და საზღვრების თვითნებურ ხასიათს ბურბურას ბურთების გადაადგილების ტრაექტორიით იკვლევს: აკვირდება, თუ საიდან მოდიან ისინი (სამხრეთ კავკასია) და სად აღმოჩნდებიან საბოლოოდ (ამერიკა). მცენარის ჩახლართულ ისტორიასა და მემკვიდრეობას როდეო იმპროვიზაციით, დადასტურებული სპექტაკლებით, ვახშმებით, თუ GPS-ის საშუალებით შექმნილი ნახაზების მეშვეობით ავლენს. ბურბურა უამრავ ისტორიულ მოვლენასთან იკვეთება, იქნება ეს პრეზიდენტ ტომას ჯეფერსონის მცდელობები, შეექმნა იომენ მინათმოქმედთა ერი; I მსოფლიო ომის დროს პრეზიდენტ ჰერბერტ ჰუვერის მიერ ხორბლის ფასის კონტროლი თუ რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს სტეპური ბიომის დეგრადაცია. თუ დავაკვირდებით ბურბურას გადაადგილებას მისი წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ქვეყნამდე, ცხადად დავინახავთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ლანდშაფტების კომერციალიზაციისა და ტრივიალიზების ნელ პროცესს. ეს მცენარე ერთგვარი სიმბოლოა ამერიკის მოწინებისა მდგრადი ინდივიდუალიზმისადმი; ამერიკის საზღვრების იდეალიზებული სახე-ხატების გამოვლინებაა. ინვაზიურ სახეობათა არსებობის საკითხს (რა იყო პირველი და რა არის ნამდვილად ინვაზიური?) ბურბურა წამოჭრის არა როგორც კატასტროფას, არამედ როგორც ბუნებისა და სიცოცხლის დიდებულების მაგალითს. როდეომ გააერთიანა ხელოვანები, მინათმოქმედები და ფერმერები დიდი ვაკეებიდან სამხრეთ კავკასიამდე, რათა ერთად ეკვლიათ და წარმოეჩინათ მცენარის რეალური გავლენა ამერიკის იდენტობასა და ეკოლოგიაზე. ის სვამს შემდეგ კითხვას: როგორ შეიძლება ვითანამშრომლოთ არა-ადამიანურ აქტორებთან ისე, რომ არ დაუქვემდებაროთ ისინი ადამიანის სამსახურში ყოფნას?

2

Rachel Nuwer,  
"America's  
Tumbleweeds Are  
Actually Russian  
Invaders," Smithsonian  
Magazine,  
August 15, 2014,  
<https://www.smithsonianmag.com/smart-news/americas-tumbleweeds-are-actually-russian-invaders-180952360/>.

3

Sidney Stevens,  
"Everything You Ever  
Wanted to Know  
About Tumbleweeds,"  
Treehugger, February  
7, 2022, <https://www.treehugger.com/everything-you-ever-wanted-know-about-tumbleweeds-4864166>.

4

Matthew Kerns, Texas  
Jack: America's First  
Cowboy Star: America's  
First Cowboy Star  
(TwoDot, Montana:  
TwoDot, 2021), 28.

5

Benjamin Sutton,  
"Val Kilmer Denies  
Copyright Infringement  
in Lawsuit over Bronze  
Tumbleweed,"  
Artsy, May 9, 2019,  
<https://www.artsy.net/article/artsy-editorial-val-kilmer-denied-claims-copied-artists-work-making-bronze-tumbleweed>.

## კონტექსტი

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის რატიფიკაცია 1833 წელს, ენდრიუ ჯექსონის პრეზიდენტობის დროს მოხდა. შეთანხმება ამერიკასა და რუსეთის იმპერიებს შორის ორმხრივ სავაჭრო უფლებებს არეგულირებდა და 9 წლის განმავლობაში მოქმედებდა, სანამ რუსეთის დისკრიმინაციული საემიგრაციო პოლიტიკის<sup>1</sup> გამო არ გაუქმდა. ხელშეკრულება დაიდო მონროს დოქტრინის საწინააღმდეგოდ, რაც პრეზიდენტ ჯეიმს მონროს მიერ 1823 წელს კოლონიზაციის შეზღუდვას გულისხმობდა ამერიკის ევროპული ძალების გავლენისგან დასაცავად. ამ აურზაურის დროს ბურბურა, ცნობილი, როგორც „რუსული ნარშავი“ (*Salsola tragus*), რუს მეზღვაურებს ამერიკაში უკანონოდ შეჰქონდათ. ისინი მცენარეს სამოსში, სელის თესლით სავსე ტომრებსა და სოფლის მეურნეობის სხვა საექსპორტო პროდუქტში<sup>2</sup> მალავდნენ. როცა ორ სახელმწიფოს შორის დაძაბულობამ იმატა მოქალაქეობის, ტერიტორიული და მილიტარისტული საკითხების გარშემო, ამერიკაში მეორე შეჭრა მოხდა - მცენარეთა კოლონიურმა სახეობებმა არსებული წესრიგის რღვევა დაიწყეს, რათა სხვებისთვის გაეხსნათ გზა.

1800-იანი წლების მიწურულს ევროპელმა ახალმოსახლეებმა ადგილობრივი ფლორის მილიონობით აკრი გაანადგურეს და დანერგეს სოფლის მეურნეობის თავისებური პრაქტიკა, რომელიც შეუთავსებელი იყო კოლონიზებულ ლანდშაფტთან.<sup>3</sup> დაზიანებულმა ნიადაგმა, მუდმივმა ქარმა და რკინიგზის განვითარებამ ხელი შეუწყო რუდერალური სარეველას აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე მიგრაციას და მოულოდნელად, მცენარე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერის იდენტობის განუყოფელ ნაწილად იქცა. „ჯარისკაც ბაფალო ბილ კოდის ველური დასავლეთის“<sup>4</sup> შოუს“ მსგავსმა თეატრალურმა წარმოდგენებმა ნოსტალგიური და იზოლაციონისტური წარმოდგენები შექმნა ამერიკის დასავლეთის შესახებ, ცოცხალი კამეჩების, კოვბოების, მესტიზოების, მკვიდრ ხალხთა პორტრეტებისა და, რა თქმა უნდა, ბურბურას გამოყენებით, რომელიც ველური დასავლეთის სინონიმად იქცა. თანამედროვე ხელოვნებასა და სამომხმარებლო კულტურაში მისი როლით, მცენარემ კიდევ ერთხელ წამოჭრა იდენტობის, აგენტობისა თუ ფლობის საკითხები. 2018 წელს მსახიობი ველ კილმერი სამართლებრივ დავაში გაეხვა. მას ბრალად ედებოდა ხელოვან ტერი ბეილ ალენის ნამუშევრის, ბრინჯაოს ბურბურას ფიგურების<sup>5</sup> პლაგიატი. კილმერმა უარყო ალენის სარჩელი, როგორც

6

Paula Mejia, "West Texas Farmers Battle Them, but Now Tumbleweeds Have Become Trendy Decor - Texas Monthly," Texas Monthly, December 3, 2021, <https://www.texasmonthly.com/style/tumbleweeds-have-become-trendy-decor/>.

7

Same Tree, "The Native Chandelier - Rustic - Chandeliers - by Same Tree," Houzz, accessed June 13, 2023, <http://www.houzz.com/products/the-native-chandelier-prvw-vr~15298444>.

8

Barbara Will, "The Nervous Origins of the American Western," American Literature 70, no. 2 (1998): 293-316, <https://doi.org/10.2307/2902839>.

9

Texas A&M Agrilife Extension, "Plants of Texas Rangelands » Russian Thistle, Tumbleweed," accessed June 13, 2023, <https://rangeplants.tamu.edu/plant/russian-thistle-tumbleweed/>.

10

Rachel Nuwer, "America's Tumbleweeds Are Actually Russian Invaders."

შევიწროება და განაცხადა, რომ სკულპტურებს არ გააჩნია „საავტორო უფლებების დაცვისთვის აუცილებელი ორიგინალობა“. სიტუაცია იმან გაართულა, რომ ბოლო წლებში eBay-ზე, Etsy-ზე, Instagram-სა და Facebook-ზე ბურბურას სწრაფად მზარდი ბაზარი<sup>6</sup> გაჩნდა, საცალო ფასით 2988<sup>7</sup> დოლარამდე. ბურბურას ხელოვნური მიგრაცია სამხრეთ-დასავლეთიდან მსოფლიოს სუბურბანულ სახლებამდე გვთავაზობს მკურნალი დასავლეთის დაფასოებულ, მოხმარებისთვის მზა სიმულაციურ ვერსიას. მე-19 საუკუნეში კაცები ქალაქში ცხოვრების უარყოფით შედეგებს გაურბოდნენ და მიძიმე ფიზიკურ შრომას ველურ დასავლეთში ეწეოდნენ. მათ სწამდათ, რომ დასავლეთში საფრთხის ქვეშ ყოფნა მათ უკმაყოფილებას უწამლებდა და მედეგ, ჰეტერონორმატიულ კაცებად აქცევდა.<sup>8</sup> კომერციალიზებული ბურბურა დღეს გარდასული დროისა და მისი ჩვეულებების ნოსტალგიური სუროგატია.

## ბიოლოგია

ბურბურას სასიცოცხლო ციკლი ზამთრის ბოლოს, გვიან გაზაფხულზე თესლის გაღვივებით იწყება. საწყის ეტაპზე მცენარე საკვებად ვარგისია და ერთგვარი შვებაც კია მშრალ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისა და საქონლისთვის. სეზონური მცენარე სწრაფად იზრდება ზაფხულში და მწვანე ბუჩქად იქცევა, რომლის მაქსიმალური სიმაღლეც ექვსი ფუტია.<sup>9</sup> ადრეულ შემოდგომაზე, ბუჩქი სიბერის სტადიას აღწევს - შრება, მიწას სწყდება, ქარის მეშვეობით გადაადგილდება, თესლს ფანტავს და 250000-მდე შთამომავლის დატოვება შეუძლია. სრულ დაშლამდე, თითოეული ბურბურა რამდენიმე მილს გადის. ციკლური გავრცელებისა და გამრავლების აგრესიული სტრატეგიის გამო, მცენარეს „რუსი დამპყრობელი“<sup>10</sup> შეარქვეს. მისი ეს თვისება განსაკუთრებით დიდ საფრთხედ იქცა ცივი ომის დროს აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის პლუტონიუმის წარმოების კომპლექსში ჰენფორდში, ვაშინგტონის შტატში - ქვეყანაში ბირთვული ნარჩენებით ყველაზე მეტად დაბინძურებულ ტერიტორიაზე. მიწის ქვეშ 20 ფუტის სიღრმემდე გადგმული ფესვებით, ბურბურა ძლიერი ჰიპერაკუმულატორია, რომელსაც მავნე რადიონუკლიდების შთანთქმა შეუძლია, მაგალითად სტრონციუმისა და ცეზიუმის.<sup>11</sup> ბურბურა იყო პირველი მცენარე, რომელიც ხელახლა გაიზარდა ხმელეთზე მიმდინარე ატომური ცდების შეწყვეტის შემდეგ და მალევე იქცა დაბინძურების ერთ-ერთ ყველაზე უკონტროლო ბიოლოგიურ გამავრცელებლად.<sup>12</sup>



11

Linda Ashton,  
"Radioactive  
Tumbleweeds Create  
Latter-Day Red Menace  
in Washington - Los  
Angeles Times," April  
15, 2001, [https://www.  
latimes.com/archives/la-  
xpm-2001-apr-15-me-  
51273-story.html](https://www.latimes.com/archives/la-xpm-2001-apr-15-me-51273-story.html).

12

Sarah Zhang, "How  
Tumbleweeds Spread  
Radiation From  
Old Nuclear Sites,"  
Gizmodo, January 28,  
2014, [https://gizmodo.  
com/how-tumbleweeds-  
spread-radiation-  
from-old-nuclear-  
sites-1508617887](https://gizmodo.com/how-tumbleweeds-spread-radiation-from-old-nuclear-sites-1508617887).

„როდეს“ ექსპერიმენტები გულისხმობს რეალურ ბურბურებზე GPS-ტრეკერების დამაგრებას მათი გადაადგილების ვექტორებზე დასაკვირვებლად. ამერიკაში ეს ყოველთვის ჯეფერსონის ბადის საპირისპიროდ ხდება - მე-18 საუკუნეში მიწების კვლევის მართკუთხა სისტემისა, რომელიც აშშ-ის რესპუბლიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე ძირძველი ხალხების იძულებით გადაადგილებისთვის გამოიყენებოდა. არტისტი და ფერმერი ერიკ სიმპსონი და სარა აზიზი ერთად ქმნიან საცხოვრებლად ვარგისი ლანდშაფტის ნახატებს, რომლებიც ხალხს ამერიკული პეიზაჟის ხელახლა განცდისკენ უბიძგებს. ტეხასში, შელოუვოტერსში მდებარე საკუთარ ფერმაში, ერიკი 750 ფუტის სიგრძის ნაკვეთზე აკვირდებოდა ბურბურას გადაადგილებას, ნაკვეთის ორივე მხარეს კი 10 ფუტის სიმაღლის ენდემური მცენარეები დათესა. სწორედ ამ ტერიტორიაზე ეწყობოდა ვახშმები და ექსკურსიები. მას შემდეგ, რაც გადამფრენი ფრინველები ნახატს დააზიანებდნენ, მისი ახალი ვერსია სხვა ადგილზე უნდა გამგზავრებულიყო, როგორიც იყო თბილისი, 2022 წლის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში. ნიშნულებით აღჭურვილი ამერიკული ბურბურები ორ ტერიტორიაზე დავრგეთ: თბილისში, 70 ჰექტრის ფართობის ყოფილ საბჭოთა სამხედრო გარნიზონზე (მფლობელი გაურკვეველია) და წეროვანის დევნილთა დასახლებაში, რომელიც 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შედეგად გაჩნდა და სადაც იძულებით გადაადგილებული ასი ათასობით ადამიანი დასახლდა. ეს მოვლენა დაემთხვა ვლადიმირ პუტინის 2022 წლის განცხადებას ომში განვევების შესახებ, რომელმაც რუსეთიდან საქართველოსკენ ემიგრაციის დიდი ტალღა დაძრა. ამ კონტექსტში, პროექტი გეოპოლიტიკურ დინამიკასა და ისტორიულ დინებებსაც ასახავს. ყოფილ სამხედრო ბაზაზე ამერიკული ბურბურები თავის რუსულ ანალოგებს ხვდებიან - რაც ოდესღაც ერთმანეთს განშორდა, ახლა ერთდება.









“(Im)permanent Circumstances” was an exhibition that sought to observe the ever-changing lives of internally displaced people through time, in the past, present, and future, and aimed at documenting the living conditions of sanatorium “Kartli’s” residents, analyze their interwoven community dynamics, mainly recurrent separation, outlook towards the process of repetitive displacement, and unfamiliar future dwellings, with collective examination through photo and video mediums, created by Georgian emerging photographers and curated by Tbilisi Collective.

# (Im)permanent Circumstances

Photo  
Exhibition

**Curator:**

Tbilisi Collective,  
Tbilisi Architecture Biennial

**Photographers:**

Ketevan Barbakadze, Sopio Chikhradze,  
Tatia Dvali, Elene Ereli, Ana Gazdeliani,  
Juba Karmazanashvili, Nina Khutsishvili,  
Goga Kobalia, Mariam Lobzhanidze,  
Katie Okruashvili, Sandro Siamashvili

**Set Design:**

Sesili Karchaidze, Nanuka Laghidze,  
Baka Mamuchishvili, Sesili Metreveli,  
Giorgi Sartania, Mariam Shekelashvili,  
Dea Trapaidze

**Coordinators:**

Irma Natchkebia, Tamar Sautieva



# (არა)მუდმივი გარემოებები

ფოტოგამოფენა

## **კურატორი:**

თბილისი კოლექტივი,  
თბილისის არქიტექტურის ბიენალე

## **ფოტოგრაფები:**

სანდრო სიამაშვილი, ელენე ერელი, თათია  
დვალი, ჯუბა ყარმაზანაშვილი, გოგა ქობალია,  
მარიამ ლობჯანიძე, სოფიო ჩიხრაძე, ქეთი  
ოქრუაშვილი, ნინა ხუციშვილი, ანა გაზდელიანი,  
ქეთევან ბარბაქაძე

## **ექსპოზიცია:**

სესილი ქარჩაიძე, ნანუკა ლალიძე,  
ბაკა მამუჩიშვილი, სესილი მეტრეველი, გიორგი  
სართანია, მარიამ შეყელაშვილი,  
დეა ტრაპაიძე

## **კოორდინატორები:**

ირმა ნაჭყებია,  
თამარ საუთიევა

„(არა)მუდმივი გარემოებები“ გამოფენაა რომელიც მოიცავდა იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივად ცვალებადი ცხოვრების კვლევას: წარსულში, აწმყოსა და მომავალში. კოლექტიური გამოკვლევით, ფოტო და ვიდეო მედიუმების საშუალებით, გამოფენა მიზნად ისახავდა სანატორიუმი „ქართლის“ მაცხოვრებლების საცხოვრებელი პირობების დოკუმენტირებას, მათი ურთიერთდაკავშირებული კომუნის დინამიკის ანალიზს, მრავალჯერადი განცალკევების ეფექტების ვიზუალიზაციას, განმეორებადი გადაადგილების პროცესებისა და უცნობი მომავალი საცხოვრებლების მიმართ მათი დამოკიდებულებების შესწავლას. ფოტოგრაფებმა და ქართლის ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ერთად იმუშავეს საკუთარი, ან უკვე „ყოფილი“ ოთახების ინსტალაციებად თუ ექსპოზიციებად ქცევაზე. მაცხოვრებლების მსჯელობის საგანი ძირითადად სახელმწიფოსაგან ახალი მიღებული, მომავალი საცხოვრისები იყო - მზერა გაურკვეველი მომავლისკენ.

















# Checkpoint

Physical Project

## “Protected Lands”

ΦOPMA

Since the beginning of the war in Ukraine, essential routes were equipped with defensive fortifications-checkpoints. All of them were built hastily from locally available materials-concrete, metal, wood, earth, or sand.

A checkpoint provides movement control and defense and can be part of a more extensive fortification system with surveillance, cover, and fire functions. The most effective protection of defensive structures is provided when they are combined with natural obstacles, mountains and ravines, rivers and swamps, and impenetrable forests. People have long settled where the landscape can protect them. The sharper the relief, the older the woods, the greater the chances for survival and development.

In the current Russian attack on Ukraine, we saw with our own eyes how the landscape works: wet river valleys and swamps slowed down the advance on Kyiv, and the enemy was defeated there. At the same time, the southern regions, where once there was a steppe and now agricultural fields, were captured in the first weeks.

Since the reign of the Russian empire and the Soviet Union, the natural wealth of Ukraine has been exploited to strengthen the military potential of our enemy: forests have been combed in search of centuries-old “ship pines,” and millennial swamps have been drained to turn them into collective farm fields. But even now, mining continues: old forests, swampy peat, and water from rivers and lakes are not an inexhaustible resource. For the land to protect us from attacks and climate change, we must defend it, including our excessive activities.



Forests, swamps, rivers, ravines, and mountains have been formed over hundreds, thousands, and millions of years. We collect checkpoints in a matter of hours. How long will we need new checkpoints? We do not know, but we are doing everything, so they become history, overgrown with herbs, mosses, and mushrooms, lost among the landscapes.

Our installation and discussion are about protecting the land before, during, and after the war. About working on new projects with an understanding of our environmental impact. About interacting with nature instead of dominating it.



# საგუშაგო

ფიზიკური პროექტი

## „დაცული მიწები“

ФОРМА

ჩვენ ვიცავთ ტერიტორიებს, ტერიტორიები გვიცავენ ჩვენ.  
უკრაინაში ომის დაწყებიდან არსებითი მარშრუტები  
აღჭურვილი იყო თავდაცვითი ფორტიფიკაციებით  
საგუშაგოებით. ყველა მათგანი ნაჩქარევად აშენდა  
ადგილობრივად ხელმისაწვდომი მასალებისგან-ბეტონის,  
ლითონის, ხის, მიწის ან ქვიშისგან.

საგუშაგო უზრუნველყოფს მოძრაობის კონტროლსა და  
თავდაცვას და ასევე, შეიძლება იყოს უფრო ვრცელი  
საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილი სათვალთვალს,  
დაფარვისა თუ ცეცხლის ფუნქციებით. თავდაცვითი  
ნაგებობების ყველაზე ეფექტური მუშაობა მაშინაა  
უზრუნველყოფილი, როდესაც ისინი შერწყმულია ბუნებრივ  
დაბრკოლებებთან, მთებთან და ხევებთან, მდინარეებთან,  
ჭაობებთან და გაუვალ ტყეებთან. ხალხი დიდი ხანია  
დასახლდა იქ, სადაც ლანდშაფტს მათი დაცვა შეუძლია.  
რაც უფრო მკვეთრია რელიეფი, რაც უფრო ძველია ტყე, მით  
მეტია გადარჩენისა და განვითარების შანსი.

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის დროს ჩვენ საკუთარი  
თვალთვალ ვნახეთ, თუ როგორ მუშაობს ლანდშაფტი:  
მდინარის სველმა ხეობებმა და ჭაობებმა შეანელეს  
კიევზე წინსვლა და მტერი იქ დამარცხდა. ამავე დროს,  
პირველ კვირებშივე დაიპყრეს სამხრეთ რეგიონები, სადაც  
ოდესლაც სტეპები იყო და ახლა სასოფლო-სამეურნეო  
მინდვრებია.

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა მმართველობის შემდეგ,  
უკრაინის ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი მტრის სამხედრო  
პოტენციალის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა:  
ტყეები იჭრებოდა მრავალსაუკუნოვანი „გემის ფიჭვების“  
საძიებლად; ათასწლოვანი ჭაობები დაიშალა და  
კოლმეურნეობის მინდვრებად გადაიქცა. მაგრამ ახლაც,  
სამთო მოპოვება გრძელდება: ძველი ტყეები, ჭაობიანი

ტორფი, მდინარეებისა და ტბების წყალი არ არის ამოუწურავი რესურსი. იმისათვის, რომ მიწამ დაგვიცვას თავდასხმებისა და კლიმატის ცვლილებისგან, ჩვენ უნდა დავიცვათ იგი, მათ შორის ჩვენი გადაჭარბებული აქტივობებისგან.

ტყეები, ჭაობები, მდინარეები, ხეობები და მთები ჩამოყალიბდა ასობით, ათასობით და მილიონობით წლის მანძილზე. ჩვენ რამდენიმე საათში ვაგროვებთ საგუშაგოებს. რამდენ ხანში დაგვჭირდება ახალი საგუშაგოები? ეს არ ვიცით, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ისინი ბალახებით, ხავსებითა და სოკოებით გადაჭედო პეიზაჟებს შორის დაკარგულ ისტორიად იქცნენ.

ჩვენი ინსტალაცია და დისკუსია ეხება მიწის დაცვას ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ. ასევე, ახალი პროექტების განხორციელებისას, ჩვენს ზემოქმედებას გარემოზე - ბუნებასთან ურთიერთობის შეცვლით, მასზე დომინირების ნაცვლად.





# Threshold Landscape

Physical Project

NOIA practice:

Duccio Fantoni, Salome Katamadze



The myth of the foundation of Tbilisi considers the presence of hot water as a propitious sign of destiny for the position of the future city. Urban fabric growth is constantly a water-control project, from the ford to the bridges, from the irrigation to the street, from the stream to the highway. In a country where the most prominent natural resource is water, the dominant political power disposes of the extraction and reshaping modalities, channeling them into different dimensions of sovereignty, starting from water as leisure activities to dams and water as a tool of infrastructure. Artificial water landscapes and territorial thematization have been shaping the urban context of Tbilisi, underlining certain presences while erasing others.

In fact, the Tbilisi sea symbolizes this extreme ambition to contain, control, and direct the natural elements. The result of this infrastructure is the illusion of having revealed and stabilized this restless force. The accident of the zoo flooding is the other face of the same ambition: modernity that aims to tame and control whatever is mobile and uncertain.

And waters are nothing but unstable.

On the city's territory, the bodies of water define a pattern that emerges and disappears in time. The presence and absence of water reflect the seasonal weather in its changes and whims. The summers are more prolonged and drier, and the rain is more concentrated. In this sense, these ephemeral and unpredictable entities offer a critical reading of the circumscribed ecology and the context's broader geographical and environmental state. Observing and caring for an inconstant and variable landscape, which provides an alternative narrative of the place, is an extraordinary practice.

The coexistence of the city of Tbilisi, with its peculiar landscape, transliterates into a combination of urban growth, natural topography, and infrastructure, composing a complex urban fabric concurrently dotted with spread bodies of water. The components of this heterogeneous network are highly interdependent with each other in an explicit dominant hierarchical relationship. The constant and hectic expansion of the city borders is one of the most prevailing forces that, during continuous extension, disrupt the underneath layers of the territory, often leading to the complete erasure of ephemeral landscape elements, such as seasonal bodies of water. Different from the densely frequented, already consolidated leisure areas around some lakes, the neglected, smaller seasonal lakes disappearing in summer and reappearing only at the end of the winter are silently overlapped

with the consecutive urban sprawl, risking their permanent obliteration without leaving traces. Mshrali Lake, in Georgian, means “dry lake,” and it is one of the invisible and unstable presences a few hundred meters from the well-known Lisi Lake.

Like many other lakes around Tbilisi, Mshrali Lake disappears for much of the year due to dry weather and the recent reduction in rainfall. Although the area is considered to be of natural significance and a recreational zone, it is subject to strong private interests in constructing a further city expansion. Because of its seasonality, Mshrali Lake is rarely visited. This condition of invisibility has preserved its ecosystem and particular habitat but simultaneously excluded it from the inhabitants’ attention.

The project Threshold Landscape represents the transient state of the lake and asks how an unstable edge of the city, with its peculiar landscape, can be enhanced before it permanently disappears. The project wants to reflect on what durability means for the Landscape and how its cyclic characteristics intersect with the rhythm and tendencies of everyday life. It asks how temporality is defined in nature and how it can be affected by fragile urban conditions. Can a simple gesture of reinforcing the qualities of a place stop it from being overlapped by uncontrolled and dominant urban expansion?

In the project, architecture is used as an artifact to initiate and enhance a conversation with the place and to act as a tool for measuring, understanding, inquiring, and emphasizing the existing yet, at first glance, invisible landscape. Within its geometry and composition, the project detaches from the context in an attempt to underline the contrast between the human measuring system of time and space with the spontaneity and temporality of the landscape. And even though the artifact does not formally try to disguise itself within the landscape, after nearly two years of presence on site, it managed to become an assimilated phenomenon of the lake’s ecosystem, offering non-human and human inhabitants different explorational declinations of dimensions and spaces.

Threshold Landscape consists of 121 wooden elements, laths of square cross-section, that emerge from the ground without ever exceeding the maximum height of the lake. Thus, during the wet season (around December-February), the entire installation should disappear, be hidden by the water, and reappear during



the dry season (May-October). This system of wooden elements, with the upper surfaces colored in reflective silver paint, speaks for the lake's water surface during the dry season, keeping the upper end at a constant level and the lower end tucked into the ground. The continuous circular shape in the plan acquires a playful dimension in the section while following the delicate inclinations and morphology of the lake. Each wooden element was carefully burned and elaborated towards its impermeability and lasting water resistance. The burned surface resonates with the peculiar dry biodiversity and recalls the circumscribed vegetation.



The installation's construction process reflected rudimentary landscape care and practice, with drawings, studies, measurements, a grid of alignments, and laths placed in the ground according to composition.

Regardless of the temporary character of the installation, Threshold Landscape remains in the Mshrali Lake and is already facing several seasonal and atmospheric changes. The artifact starts to degrade and corrode due to the minerals in the lake's water. Several elements start slowly inclining due to the livestock passage through the river and, therefore, through the installation. The observers moved the bench designed to observe the project several times. The project is patiently waiting for the expansive edge of the city to arrive.

# საზღვრისპირა პეიზაჟი

ფიზიკური  
პროექტი

პრაქტიკა „ნოია“:  
დურო ფანტონი, სალომე ქათამაძე

თბილისის დაარსების მითის მიხედვით, ცხელი წყლების აღმოჩენა კარგი ნიშანია მომავალი ქალაქის გასაშენებლად. ურბანული ქსოვილის ზრდა მუდმივად წყლის კონტროლთანაა დაკავშირებული: მდინარის ფონიდან ხიდებამდე, სარწყავი სისტემებიდან ქუჩებამდე, ნაკადულებიდან ავტომაგისტრალებამდე.





ქვეყანაში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი წყალია, დომინანტური პოლიტიკური ძალა მის მოპოვებასა და გარდაქმნას აკონტროლებს, ანაწილებს მას სუვერენიტეტის სხვადასხვა განზომილებაში: დასასვენებლად განკუთვნილი წყლის ობიექტებიდან - კაშხლებამდე, წყალი ინფრასტრუქტურის ინსტრუმენტიცაა. სწორედ წყლის ხელოვნური ლანდშაფტები და ტერიტორიული თემატიზაცია აყალიბებდა თბილისის ურბანულ კონტექსტს, როდესაც ხაზს უსვამდა ზოგიერთის არსებობას სხვების გადაფარვით. თბილისის ზღვა, სხვათა შორის, სწორედ ბუნებრივი ელემენტების შენარჩუნების, კონტროლისა და განკარგვის გადაჭარბებული ამბიციის სიმბოლოა. ამ ინფრასტრუქტურის შედეგი დაუდევარი ძალის გამოამკარავებისა და სტაბილიზების ილუზიის შექმნაა. იგივე ამბიციის მეორე გამოვლინებაა ზოოპარკის წყალდიდობის შემთხვევაც: თანამედროვეობა, რომელიც ყველაფერი მოძრავისა და განუსაზღვრელის მოთვინიერებას და კონტროლს ცდილობს.

წყალი კი სწორედ არასტაბილურობაა.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული წყლების განლაგება გარკვეულ თარგს, ქცევის მოდელს ქმნის, რომელიც ხან ჩნდება, ხან კი ქრება. წყლის არსებობა-არარსებობა სეზონურ ცვლილებებს, ამინდს და მის სპონტანურ ხასიათს ასახავს. ზაფხული სულ უფრო ხანგრძლივი და მშრალია, წვიმა - უფრო ინტენსიური. ამ თვალსაზრისით, ეს ეფემერული, გაუთვლელი მოცემულობები დასაზღვრული ეკოლოგიის კრიტიკულ ანალიზს და კონტექსტის უფრო ფართო გეოგრაფიულ და გარემოსდაცვით ნაკითხვას გვთავაზობს. არამდგრად, ცვალებად ლანდშაფტზე დაკვირვება და ზრუნვა ადგილის ალტერნატიულ შინაარსს ქმნის და თავისთავად, არაჩვეულებრივი პრაქტიკაა.

ქალაქ თბილისის თანაარსებობა საკუთარ უჩვეულო ლანდშაფტთან ურბანული გაფართოების, ბუნებრივი ტოპოგრაფიისა და ინფრასტრუქტურის კომბინაციად გარდაიქმნება და რთულ ურბანულ ქსოვილს ქმნის, რომელიც, იმავდროულად, წყლის ობიექტებითაა მოფენილი. ამ ჰეტეროგენული ქსელის კომპონენტები მჭიდროდ ურთიერთქმედებს ერთმანეთთან აშკარა დომინანტურ-იერარქიული მიმართებით. ქალაქის საზღვრების უწყვეტი და სპონტანური გაფართოება ყველაზე ხშირად ტერიტორიის ქვედა შრეების რღვევას და ლანდშაფტის იმგვარი ეფემერული ელემენტების სრულ გაქრობას იწვევს, როგორიც სეზონური წყალია. ზოგიერთი ტიპის ირგვლივ მჭიდროდ ათვისებული, დასასვენებელი



ზონებისგან განსხვავებით, უყურადღებოდ დატოვებული მცირე სეზონური ტბები, რომლებიც ზაფხულობით ქრება და მხოლოდ ზამთრის ბოლოს ბრუნდება, მდუმარედ შთაინთქმება თანმიმდევრული ურბანული გაფართოებით და უკვალოდ გაქრობის საფრთხის წინაშეა. მშრალი ტბა, რომელიც ცნობილი ლისის ტბიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარეობს, ასეთი უხილავი და არასტაბილური არსებობის ერთ-ერთი მაგალითია.

თბილისის შემოგარენში არსებული ბევრი სხვა ტბის მსგავსად, წლის განმავლობაში მშრალი ტბაც დიდი ხნით ქრება მშრალი ამინდისა და, ბოლო დროს, ნალექის შემცირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია მნიშვნელოვან ბუნებრივ რეკრეაციულ ზონად მიიჩნევა, ის მძლავრი კერძო ინტერესის საგანია მშენებლობისა და ქალაქის შემდგომი გაფართოებისთვის. სეზონურობის გამო, მშრალ ტბას იშვიათად სტუმრობენ. უხილაობის ამ მდგომარეობამ ხელუხლებლად შეუნარჩუნა მას ეკოსისტემა და თავისებური ბუნებრივი გარემო, თუმცა, ამავე მიზეზით,

ტბამ ვერ მიიპყრო ქალაქის მცხოვრებთა ყურადღება. პროექტი „საზღვრისპირა პეიზაჟი“ ტბის გარდამავალ მდგომარეობას წარმოგვიდგენს და აკვირდება, თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს ქალაქის არასტაბილური, განაპირა ადგილი, მის განსაკუთრებულ ლანდშაფტთან ერთად იქამდე, სანამ სამუდამოდ გაქრება. პროექტი ცდილობს აჩვენოს, თუ რას ნიშნავს მედეგობა ლანდშაფტის კონტექსტში, როგორ იკვეთება მისი ციკლური მახასიათებლები ყოველდღიური ცხოვრების რიტმსა და ტენდენციებთან. მას აინტერესებს, ასევე, თუ რა განსაზღვრავს დროებითობას ბუნებაში და რა გავლენას ახდენს მასზე მყიფე ურბანული პირობები. შეუძლია კი ადგილის მახასიათებლების გაძლიერების მარტივ შესტს მისი გადარჩენა გაბატონებული და უკონტროლო ურბანული გაფართოებისგან?

არქიტექტურა პროექტში გამოყენებულია, როგორც ადგილთან დიალოგის წამოწყებისა და გაძლიერების არტეფაქტი - როგორც ერთი შეხედვით უხილავი, მაგრამ თან არსებული ლანდშაფტის გაზომვის, აღქმის, კვლევისა და ხაზგასმის ინსტრუმენტი. პროექტი, მისი გეომეტრიითა და კომპოზიციით, ემიჯნება კონტექსტს, რათა ხაზი გაუსვას დროისა და სივრცის ადამიანურ საზომს და ლანდშაფტის დროებითობასა და სპონტანურობას შორის არსებულ კონტრასტს. მიუხედავად იმისა, რომ

არტეფაქტი არ ცდილობს, ფორმალურად დაიმალოს ლანდშაფტში, ამ ადგილზე არსებობის ორი წლის შემდეგ, ის ტბის ეკოსისტემასთან შეზრდილ ფენომენად იქცევა და მის წიაღში არა-ადამიანურ აქტორებსა თუ ადამიანებს განზომილებებისა და სივრცეების აღმოჩენის განსხვავებულ გზებს სთავაზობს.

„საზღვრისპირა პეიზაჟი“ ხის 121 ელემენტისგან შედგება. ეს არის კვადრატული განივი კვეთის სვეტები, რომლებიც მიწაშია ჩაფლული და არ აღემატება ტბის მაქსიმალურ სიმაღლეს. შესაბამისად, წვიმიან სეზონზე (დაახლოებით, დეკემბერ-თებერვალი) ინსტალაცია წყალმა უნდა დაფაროს, მშრალ სეზონზე კი (მაისი-ოქტომბერი) ის კვლავ უნდა გამოჩნდეს. ხის ელემენტების ეს სისტემა, რომლის ზედა ნაწილებიც ამრეკლავი ვერცხლისფერი საღებავით არის შეღებილი, მშრალ სეზონზე ტბის წყლის სარკის ზედაპირზე მეტყველებს - ზედა ბოლოები მუდმივად ერთ დონეს ინარჩუნებს, ქვედა ნაწილი კი ნიადაგშია ჩაფლული. სქემის უწყვეტი, წრიული ფორმა სახალისო განზომილებას ქმნის, როცა ტბის ფაქიზ მიხრილობასა და მორფოლოგიას მიჰყვება. ხის თითოეული ელემენტი საგულდაგულოდ გამოიწვა და დამუშავდა, რათა მაქსიმალურად ჰერმეტიკული და წყალგამძლე ყოფილიყო. გამომწვარი ზედაპირი ადგილის განსაკუთრებულ მშრალ ბიომრავალფეროვნებას და ადგილობრივ მცენარეულ საფარს ეხმიანება.

ინსტალაციის შექმნისთვის ლანდშაფტზე ზრუნვის საბაზისო პრინციპები გამოვიყენეთ. პროცესი მოიცავდა ხატვას, კვლევას, აზომვას, გამათანაბრებელი ბადის დამზადებასა და სვეტების მიწაზე განთავსებას კომპოზიციის შესაბამისად. „საზღვრისპირა პეიზაჟი“, ინსტალაციის დროებითი ხასიათის მიუხედავად, მშრალი ტბის ტერიტორიაზე რჩება და უკვე აწყდება გარკვეულ სეზონურ და ატმოსფერულ ცვლილებებს. არტეფაქტის დეგრადაციისა და კოროზიის პროცესის დაწყება ტბის მინერალებმა გამოიწვია. მდინარეში მსხვილფეხა საქონლის გადაადგილების შედეგად, ზოგიერთი ელემენტის ნელი დეფორმირების პროცესიც დაიწყო. სკამი, რომელიც პროექტზე დაკვირვებისთვის განთავსდა, დამკვირვებლებმა რამდენჯერმე გადაადგილეს. პროექტი მოთმინებით ელის ქალაქის გაფართოებადი კიდეების მოახლოებას.

# Future Presence Collateral Event

Anna Chorgolashvili



**Curator:** Ana Chorgolashvili

**Assistants:** Salome Sordia, Mariam Inashvili

**Project Manager:** Tamar Janashia

**Exhibition Design by:** David Brodsky

**Assistant:** Nikoloz Tsagareishvili

**Graphic Design:** Elene Gabrichidze

**Translation and Editing:** Ana Kamladze, Ana Chorgolashvili, Elene Kobidze

**Special thanks to the project's technical team:**

School of Visual Arts, Architecture, and Design  
Free University of Tbilisi

**Students:**

Megi Lelashvili, Nanuka Mardaleishvili, Gvantsa Modebadze, Nino Macharashvili, Aleksandre Pareshishvili, Ilia Osiashvili, Salome Sarishvili, Nikoloz Tsagareishvili, Vazha Japaridze, Saba Chubinidze, Nikoloz Kvachrelishvili, Saba Khvedelidze, Nini Jabadze

**Supervisors:**

Tomas Ibrahim, Nano Zazanashvili, Erekle Chinchiladze, Lasha Shartava

**Special thanks to the National Science Library**



The post-war political, economic, and systemic changes in the Soviet Union encouraged the abundant production of libraries, culture houses, sports complexes, and other similar buildings that served public functions — all oriented around the concept of the common good. However, in Tbilisi, as in many post-Soviet cities, many public buildings from that period have remained without a function, are privately owned, and face destruction or brutal alterations. The system that gave birth to this architecture has collapsed. The new political, economic, and social systems of the modern day do not allow for the preservation of these large-scale, public-good-oriented, heritage buildings. So they are subsequently, successively destroyed. Nevertheless, these brutalist buildings, often made of reinforced concrete, still stand in Tbilisi's city center and its suburbs. They are usually abandoned, radically altered to take on other functions, and unsystematically absorbed by individual practices.

The condition of this heritage is complex, and the future is uncertain. How should this architecture be returned to the city? How can it respond to the challenges of modernity and remain at the service of the common good? If we deny our past identities, what are we creating instead? Do we have little control over the processes that form our living environment? To consider these questions is to realize the present condition with which we are presented: what kind of city are we living in, and what might our collective future be?

The exhibition Future Presence addressed these questions and aimed to underline the social importance of the still-existing public buildings from this era. It was conceived as an opportunity to create a stronger feeling of identification towards the city and its recent past, to recall and actualize the memories of the broader society that have benefited from socially oriented processes.

The exhibition combined three independent expositions. The show, presented by the Tbilisi Architecture Archive about the aquatic sports complex Laguna Vere, addressed an architectural perspective and highlighted the socio-cultural significance of this structure. The exhibition ICONIC RUINS? revealed the parallels in the architecture of the four Visegrad countries' shared state-socialist past and initiated a broader discussion of the immediate future of late Modernism's critically at-risk cultural heritage. Finally, the exhibition Future Presence presented the results of a workshop conducted with 2nd-year students from the Architecture program in the Visual Arts, Architecture, and Design School of the Free University of Tbilisi. The buildings in Tbilisi that were selected for research and observation are still



operating (partly) as public buildings.

Unfortunately, the Laguna Vere complex has been fully privatized and is on the verge of destruction.

All these independent expositions were linked through the study of post-war socialist architecture and served to deepen discourse on the future of this heritage. Here, on the one hand, there was the task of dividing the exhibition space into three independent parts and simultaneously combining it with repetitive design elements and creating a visual line following the conceptual narrative of the exhibition. On the other hand, the exhibition also hosted a public program with the participation of local and foreign experts. The program included discussions and presentations about the past and future of the post-war Socialist Architecture of Tbilisi and Visegrad countries.

As mentioned above, the recent increase in interest and affection for Soviet architecture is evidenced by a number of exhibitions and publications. On the scale of the local Georgian context, there have been multiple publications and exhibitions dedicated to Georgian Soviet Architecture. These include the exhibitions Lado Alexi-Meskhishvili, Architect on The Edge of Epochs, 2022, Hotel Iveria, The City, and The Tower, 2022; Dynastien, 2018, Georgian Modernist Architecture 1955 — 1990, 2014 and the publications Building Socialist Georgia, 2022, Art for Architecture Georgia: Soviet Modernist Mosaics from 1960 to 1990, 2019, Soviet Bus Stops In Georgia, 2018, among others. This activity, along with the international attention given to Soviet architectural heritage in general, gives us hope that the irreversible destruction process will slow down in the future, and the tendency to forget will be replaced by a tendency to observe.

# მომავლის თანდასწრება

პარალელური ღონისძიება

ავტორი: ანა ჩორგოლაშვილი

კურატორი: ანა ჩორგოლაშვილი

ასისტენტები: სალომე სორდია, მარიამ ინაშვილი

პროექტის მენეჯერი: თამარ ჯანაშია

ექსპოზიციის დიზაინის ავტორი: დავით ბროდსკი

ასისტენტი: ნიკოლოზ ცაგარეიშვილი

გრაფიკული დიზაინი: ელენე გაბრიჩიძე

თარგმანი და რედაქტირება: ანა კამლაძე, ანა  
ჩორგოლაშვილი, ელენე კობიძე

განსაკუთრებული მადლობა პროექტის ტექნიკურ ჯგუფს:  
ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის  
სკოლა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სტუდენტები: მეგი ლელაშვილი, ნანუკა მარდალავიშვილი,  
გვანცა მოდებაძე, ნინო მაჭარაშვილი, ალექსანდრე  
ფარესიშვილი, ილია ოსიაშვილი, სალომე სარიშვილი,  
ნიკოლოზ ცაგარეიშვილი, ვაჟა ჯაფარიძე, საბა ჩუბინიძე,  
ნიკოლოზ ქვაჭრელიშვილი, საბა ხვედელიძე, ნინი ჯაბიძე

ხელმძღვანელები: ტომას იბრაჰიმი, ნანო ზაზანაშვილი,  
ერეკლე ჩინჩილაძე, ლაშა შარტავა

განსაკუთრებული მადლობა ეროვნულ სამეცნიერო  
ბიბლიოთეკას





საბჭოთა კავშირში ომის შემდგომმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სისტემურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სპორტული კომპლექსებისა და სხვა, მსგავსი ნაგებობების მშენებლობას, რომლებიც საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებდა და საერთო სიკეთის იდეას ემსახურებოდა. თუმცა თბილისში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქალაქებში, ბევრი ასეთი შენობა უფუნქციოდ დარჩა, იქცა კერძო საკუთრებად და ახლა ინგრევა ან უხეში ჩარევით იცვლება. სისტემა, რომელმაც ეს არქიტექტურა შვა, ჩამოშლილია. ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები არ იძლევა ამ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების საშუალებას და შედეგად, ისინი ერთმანეთის მიყოლებით ნადგურდება. მიუხედავად ამისა, ამგვარი ბრუტალისტური შენობები, რომლებიც ხშირად რკინაბეტონითაა ნაშენი, დღესაც დგას თბილისის ცენტრსა და მის შემოგარენში - ისინი ძირითადად მიტოვებული, ფუნქციაშეცვლილი და უსისტემოდ შთანთქმულია ინდივიდუალური პრაქტიკების მიერ.


შენობები რთულ მდგომარეობაშია, მომავალი კი - გაურკვეველი. როგორ დავუბრუნოთ ეს არქიტექტურა ქალაქს? როგორ შეიძლება პასუხობდეს ნაგებობები თანამედროვეობის გამოწვევებს და თან საერთო სიკეთის სამსახურში დარჩეს? თუ უარს ვიტყვით ჩვენს ძველ იდენტობებზე, რას შევქმნით მათ ნაცვლად? როგორ მოვიქცეთ, თუ ვერ ვაკონტროლებთ პროცესებს, რომლებიც ჩვენს საცხოვრებელ გარემოს აყალიბებს? ამ კითხვებზე ფიქრი ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობის გაცნობიერებისკენ გვიბიძგებს: რა ტიპის ქალაქში ვცხოვრობთ და როგორი შეიძლება იყოს ჩვენი საერთო მომავალი?

გამოფენა „მომავლის თანდასწრება“ სწორედ ამ კითხვებს პასუხობდა და მიზნად ისახავდა ამ ეპოქიდან შემორჩენილი საზოგადოებრივი შენობების სოციალური მნიშვნელობის ხაზგასმას. ის ჩაფიქრებული იყო, როგორც შესაძლებლობა, გაგვეჩინა ქალაქთან და მის უახლეს წარსულთან ძლიერი იდენტიფიკაციის შეგრძნება, გამოგვეჩვენა და გაგვეცოცხლებინა მოგონებები ფართო საზოგადოებაზე, რომელიც სარგებელს სოციალურად ორიენტირებული პროცესებისგან იღებდა.





გამოვენამ სამი დამოუკიდებელი ექსპოზიცია გააერთიანა. პირველი - „თბილისის არქიტექტურის არქივის“ წარმოდგენა წყლის სპორტულ კომპლექს „ლაგუნა ვერზე“ - მიმართული იყო არქიტექტურული პერსპექტივისაკენ და ხაზს უსვამდა კომპლექსის სოცო-კულტურულ მნიშვნელობას. გამოვენა ICONIC RUINS? - ის ვიშეგრადული ჯგუფის საერთო სოციალისტური წარსულის მქონე ოთხი ქვეყნის არქიტექტურას შორის ავლებდა პარალელს. ამ ღონისძიების მიზანი გვიანი მოდერნიზმის პერიოდის კრიტიკული რისკის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის უახლოესი მომავლის ფართო განხილვა იყო. და ბოლოს, გამოვენა „მომავლის თანდასწრება“, რომელმაც წარმოადგინა „თბილისის „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის არქიტექტურის პროგრამის II კურსის სტუდენტებთან ჩატარებული ვორქშოფის შედეგები. კვლევისა და დაკვირვებისთვის თბილისში შერჩეული შენობები ნაწილობრივ ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოებრივი ნაგებობები. სამწუხაროდ, კომპლექსი „ლაგუნა ვერე“ მთლიანად პრივატიზებულია და განადგურების პირასაა.





ეს დამოუკიდებელი ექსპოზიციები ერთმანეთთან ომის შემდგომი სოციალისტური არქიტექტურის კვლევამ დააკავშირა - სამივე მათგანი კულტურული მემკვიდრეობის მომავლის შესახებ დისკუსიის გაღრმავებას ემსახურებოდა. ერთი მხრივ, საჭირო იყო საგამოფენო სივრცის სამ დამოუკიდებელ ნაწილად გაყოფა და, იმავდროულად, მათი გაერთიანება იმ ელემენტებით, რომლებიც მეორდებოდა დიზაინში, რათა შექმნილიყო გამოფენის კონცეპტუალურ ნარატივთან შესაბამისი საერთო ვიზუალური ხაზი. მეორე მხრივ, გამოფენამ უმასპინძლა საზოგადოებრივ პროგრამასაც, რომელშიც ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა. პროგრამა მოიცავდა განხილვებსა და პრეზენტაციებს თბილისისა და ვიშეგრადის ქვეყნების ომის შემდგომი სოციალისტური არქიტექტურის წარსულსა და მომავალზე.

საბჭოთა არქიტექტურის მიმართ ბოლო დროს გაღვივებული ინტერესი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მთელი რიგი გამოფენებითა და პუბლიკაციებით მტკიცდება. ადგილობრივ კონტექსტში, საქართველოს საბჭოთა არქიტექტურას მრავალი პუბლიკაცია თუ გამოფენა მიეძღვნა, მათ შორის, შემდეგი გამოფენები: „ლადო ალექსი-მესხიშვილი, არქიტექტორი ეპოქების მიჯნაზე“ (2022), „სასტუმრო ივერია, ქალაქი და კოშკი“ (2022), „დინასტიები“ (2018), ქართული მოდერნისტული არქიტექტურა 1955-1990“ (2014); და პუბლიკაციები: „სოციალისტური საქართველოს მშენებლობა“ (2022), „ხელოვნება არქიტექტურისთვის: საბჭოთა მოდერნისტული მოზაიკა საქართველოში 1960-1990“ (2019), „ავტობუსის საბჭოთა გაჩერებები საქართველოში“ (2018) და სხვა. ეს პროცესები და ზოგადად, საერთაშორისო ინტერესი საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი, გვაძლევს იმედს, რომ ნგრევის შეუქცევადი პროცესი მომავალში შენელდება, ხოლო დავინწყების ტენდენცია დაკვირვების ტენდენციით შეიცვლება.

The digital program focused on three architectures that speak about future visions of eras that have already passed, but are made accessible through digital media. Here, the individual imagination serves as much as a moment of possibility for participation and co-creation, as concrete architectures. All three projects conceal fractured personal histories, addressing effects of war, displacement, migration, loss and hope through the lens of temporalities: past (Parus Hotel), present (Sanatorium Kartli) and future (Dream Together).

# Digital Program

Digital  
Project

Curated by Giorgi Rodionov,  
Thomas Dumke

## **Parus Hotel**

The project by Daniil Galkin, a Ukrainian born artist, discoverer and curator, proposed a digitized version of the Parus Hotel in Dnipro in the scale of 1:1, using its original sketches and architectural blueprints. This condensed representation is embedded in the artist's occupation with objects of Soviet heritage in Eastern Europe for their further rethinking and museumization. This specific project captures the Parus Hotel at a very crucial moment in time. Planned as a 32-storey modernist building in the city of Dnipro for 1996 people, it was left unfinished in 1989 after a 14-year construction period. In early 2022 its future became the city's responsibility, declaring it "a depressing symbol of the city." In between plans of demolition for a new shopping center and the possibility of destruction through Russian military aggression, the building lives on as a ruin with an unfinished past and uncertain future.

## **Sanatorium Kartli**


DoZa is a design practice founded by Maria Espinoza and Shirley (Dongwei) Chen that is currently based in the United States. The project consisted of a speculative drawing set that superimposed Hotel "Kartli's" past and present. The Hotel "Kartli" serves as one of many examples of a Soviet era sanatorium converted into temporary housing for internally displaced individuals, whose lives are conditioned by a state of permanent impermanence. With limited resources, the residents had to architecturally alter the sanatorium rooms to create more suitable living areas. The architectural drawing set, coupled with 3D digital files, was offered as a way to preserve the memory of Hotel "Kartli" in a virtual space, thereby making visible its altered state. Autobiographical in nature, the drawing set and 3D model formed the beginning of an archive on the "Kartli" Sanatorium and its residents. The intend was thus twofold: to register the labor and work put forth by Hotel "Kartli's" current residents in converting the sanatorium into living spaces, and to challenge the instructional nature of the architectural document.





## **Dream Together**

Panta Rhei Collaborative is a spatial agency founded in 2020 and currently based between Berlin, London and Zurich. The project team consisted of Bene Wahlbrink, Eugenio Cappuccio and Jan Bauer, focusing on decentralizing and opening up access to spatial discourse and regaining control of the public commons. For their project „Dream Together“, new digital technologies were used to involve as many people as possible in the process of co-design. The project conceived a digital and physical space in which the wishes, thoughts and reflections of both inhabitants and visitors were collected, exchanged and discussed, to involve them in the process of urban development. During the exhibition, visitors and residents were able to visit the Kartli Sanatorium, explore it and express their varying thoughts and desires in the form of sentences or keywords on an online platform, to imagine possible futures for the site. These thoughts were subsequently fed into the neural networks VQGAN (Vector Quantized Generative Adversarial Network) and CLIP (Contrastive Language-Image Pre-Training), which processed images based on a series of text prompts related to the given location in Tbilisi. The result was a video installation, which continuously changed from the first input on the digital platform.



ბიენალეს ციფრული პროგრამა ეძღვნებოდა ისეთ არქიტექტურას, რომელიც ან უკვე განვლილი ეპოქების სამომავლო ხედვებზე საუბრობს და მხოლოდ ახლა, ციფრული მედიის საშუალებით გახდა ხელმისაწვდომი. ასეთ აბსტრაქტულ მოცემულობაში, ინდივიდუალური ფანტაზია ისევე გვაძლევს მონაწილეობისა და თანაშემოქმედების შესაძლებლობას, როგორც კონკრეტული არქიტექტურა. ასეთი არქიტექტურის სამი სახე - სამი პროექტი, მიმოხილულ პირად ისტორიებს მალავს ომის, გადაადგილებების, მიგრაციის, დანაკარგის და იმედის შესახებ და მათ დროებითობის ლინზიდან აკვირდება: წარსული (სასტუმრო „პარუსი“), აწმყო (სანატორიუმი „ქართლი“) და მომავალი („ვიოცნებოთ ერთად“).



# ციფრული პროგრამა

ციფრული პროექტი

გიორგი როდიონოვის და ტომას დუმკეს  
კურატორობით

## სასტუმრო „პარუსი“

დანიილ გალკინის, უკრაინელი მხატვრის, მკვლევრისა და კურატორის პროექტმა ორიგინალური ესკიზებისა და არქიტექტურული ნახატების გამოყენებით დნიპროში მდებარე Parus Hotel-ის ციფრული ვერსია 1:1 მასშტაბით გვაჩვენა. სასტუმროს მიკრომოდელი არტისტის მიერ აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა მემკვიდრეობის ობიექტების გამოყენებითაა შექმნილი, ამ ობიექტების შემდგომი გადახედვისა და მუზეუმიზაციისთვის. ეს კონკრეტული პროექტი სასტუმრო პარუსს გარდამტეხ მომენტში ასახავს. 1996 მაცხოვრებლისთვის დაგეგმილი 32 სართულიანი მოდერნისტული შენობა ქალაქ დნიპროში, 1989 წელს - თოთხმეტწლიანი მშენებლობის შემდეგ - დაუმთავრებელი დარჩა. 2022 წლის დასაწყისში, მისი მომავალი ქალაქის პასუხისმგებლობად იქცა, ის „ქალაქის დეპრესიულ სიმბოლოდ“ იქცა. ახალი სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად დანგრევის გეგმებსა და რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად განადგურების შესაძლებლობებს შორის, შენობა ცარიელ და მიტოვებულ სივრცედ რჩება: დაუმთავრებელი წარსულითა და გაურკვეველი მომავლით.

## სანატორიუმი „ქართლი“

DoZa დიზაინისადმი მიძღვნილი პრაქტიკაა, რომელიც მარია ესპინოზამ და შირლი (დონგვეი) ჩენმა დააარსეს და ამჟამად შეერთებულ შტატებში მოქმედებს. პროექტი სპეკულაციური ნახატების ნუსხაა, რომელიც სანატორიუმი „ქართლის“ წარსულსა და აწმყოს ასახავს. „ქართლი“ - საბჭოთა პერიოდის სანატორიუმის ერთ-ერთი მაგალითი, დროებით საცხოვრებლად იძულებით გადაადგილებულ



პირთათვის გადაკეთდა. მათი სიცოცხლე დროებითობის მუდმივი მდგომარეობაა. საცხოვრებელი ფართების მეტნაკლებად შესაფერის მდგომარეობაში მოყვანისათვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, მოსახლეობამ სანატორიუმის ოთახები არქიტექტურულად შეცვალა. ამ არქიტექტურული ნახაზების კრებული, 3D ციფრულ ფაილებთან ერთად, სასტუმრო „ქართლის“ მესიერების ვირტუალურ სივრცეში შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენს, რითაც სივრცეზე ასახული ცვლილებები ხილვადი ხდება. 3D მოდელმა და ჩანახატებმა, თავისი ავტობიოგრაფიული ბუნებით, საფუძველი ჩაუყარეს „ქართლისა“ და მისი მოსახლეობის არქივის შექმნას. ამრიგად, მიზანი ორმხრივი აღმოჩნდა: სასტუმრო „ქართლის“ ამჟამინდელი მაცხოვრებლების მიერ სანატორიუმის საცხოვრებელი ფართად გადაქცევის შრომისა და შრომის რეგისტრაცია და არქიტექტურული დოკუმენტის საგანმანათლებლო ხასიათის ხაზგასმა.

### „ვიოცნებოთ ერთად“

Panta Rhei Collaborative სააგენტოა, რომელიც 2020 წელს დაარსდა და ამჟამად ბერლინს, ლონდონსა და ციურიხს შორის მოღვაწეობს. პროექტის გუნდს წარმოადგენენ ბენე უოლბრინკი, ევგენიო კაპუჩიო და იან ბაუერი; მათი ფოკუსი სივრცითი დისკურსების დეცენტრალიზაცია, ხელმისაწვდომობის გახსნა და საჯარო, საერთო სარგებლობაზე კონტროლის აღდგენაა. პროექტისთვის გუნდმა ახალი ციფრული ტექნოლოგიები

გამოიყენა, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართულიყო დიზაინის ერთობლივ პროცესში. „ვიოცნებით ერთად“ ციფრულ და ფიზიკურ სივრცეს წარმოადგენდა, რომელშიც გროვდებოდა, იცვლებოდა და განიხილებოდა, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების, ასევე ვიზიტორების სურვილები, აზრები და მიმართებები, მათ შორის ურბანული განვითარების შესახებ. გამოფენის მსვლელობისას დამთვალიერებლებსა და მაცხოვრებლებს საშუალება ჰქონდათ ქართლის სანატორიუმი გაეცნოთ და ონლაინ პლატფორმაზე, საკვანძო სიტყვებისა ან წინადადებების სახით, მის შესახებ განსხვავებული აზრები დაეფიქსირებინათ. ეს ნაკრები მოგვიანებით VQGAN-ის (Vector Quantized Generative Adversarial Network / ვექტორულად კვანტიზებული გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები) ნეირონულ ქსელებსა და CLIP-ს (Contrastive Language-Image Pre-Training) გადაეცა, რომლებიც სურათებს თბილისში მითითებულ ლოკაციაზე დაფუძნებული, ტექსტური ბრძანებების მიხედვით ამუშავებდა. შედეგად შეიქმნა ვიდეოინსტალაცია, რომელიც ციფრულ პლატფორმაზე შეყვანის მომენტიდან განუწყვეტლივ იცვლებოდა.





# Totem of Temporality

Physical Project

Megi Davitidze, Annamaria Chelidze,  
Bachir Benkirane



Architecture is not merely a static entity; it is intricately intertwined with time and memory, constantly evolving and accumulating layers of history. Each building holds the past, present, and future within it, serving as a physical embodiment of the passage of time. As individuals interact with these structures, they leave behind traces of their experiences, shaping the architectural memory of a place.

The permanence of architecture is evident in its built form, but its temporality lies in the dynamic interaction of people within its space. Every moment spent within a building adds to its temporal layer, enriching its narrative with memories and experiences. This interaction between the permanent and the temporary is a fundamental aspect of architectural design, influencing how we perceive and inhabit space.

In the context of the Biennial, this interplay of time and memory takes on a tangible form through the installation. We proposed a memory of an element we took for granted: trash... One tends to think that trash is temporary, yet it is far from it. Single-use items are a product of consumerism and practicality, which comes at a considerable cost (Pollution, effect on bio, microplastics, humans, etc).

What happens when we combine temporality and permanency into a physical form? With trash collected around the vicinity and the city, a more permanent, transparent, porous material eternizes and showcases the trash we use. As a result, this mixture forms a utilitarian object: a stool. For the sake of the Biennial, these stools were stacked on top of each other to form a single Totem, a reminder. Located near the landfill, the Totem is closely related to the site and raises awareness of our everyday uses and habits, showcasing the results of our consumption, thus questioning our daily habits and rethinking our actions. We used what we could find in our vicinity – reclaimed building materials from the streets and leftovers from the workshops. We took the temporary texture and eternalized it by indulging temporarily in a permanent substance. We wanted to have a simple approach to the construction method, so instead of having a continuous object, we opted for an incremental approach and referred to dimensions of stools that could be stacked on top of each other. These stools form a totem, and each has a story; each one is created with reclaimed materials, found abandoned, and given a second life.

The installation served as an example of how we can start questioning the way we live today. Within our generation, we have witnessed significant advancements — but we are also seeing more waste than we've ever created compared to our previous generations that had — in a way — a more resourceful and sustainable attitude — for example, the creation of plastic and how it changed our consumption. Totem reminds us that civilization can be too clever for its own good and that convenience comes at the price of our environment. Even the term temporality is a convenient term - a quick solution “for now” - and nothing else - overlooking its long-term nuance — This intervention as a form of a totem serves as a reminder of our attitude.



Beyond its physical presence, the Totem sparks introspection and dialogue about societal values and behaviors. It challenges us to reconsider our relationship with convenience and consumption, urging us to adopt more sustainable practices. The intention was to extend the lifecycle of the Totem beyond the Biennial. After being presented on the site, the Totem was dismantled as stools and transported to the symposium, where it was used as seating units for the Biennale moderators. Later on, the stools found new owners, and nowadays, they are spread around the city, serving as interior objects. The installation continues to provoke thought and action long after its initial presentation.

The significance of the stools extends far beyond their initial presentation at the Biennial. Their post-life use exemplifies the ethos of sustainability and longevity embedded within the installation. Their impact transcends the confines of a temporary exhibition by repurposing the stools and later dispersing them throughout the city as interior objects. These stools, symbols of environmental consciousness, continue to serve a practical purpose in everyday life, fostering a culture of reuse and resourcefulness. Their journey from installation to functional objects underscores the enduring relevance of the Totem and reinforces the idea that sustainable design is not merely a fleeting trend but a fundamental principle that can shape our built environment for generations to come.



# დროებითობის ტოტემი

ფიზიკური  
პროექტი

მეგი დავითაძე, ანამარია ქელიძე,  
ბაშირ ბენკირანე

არქიტექტურა უბრალოდ უძრავი მოცემულობა არ არის, ის მჭიდროდაა დაკავშირებული დროსა და მეხსიერებასთან, მუდმივად ვითარდება და ისტორიის მრავალ შრეს აერთიანებს. თითოეული შენობა წარსულს, აწმყოსა და მომავალს ინახავს და დროის მსვლელობის ფიზიკური განსხეულებაა. ამ სტრუქტურებთან ურთიერთქმედებისას, ადამიანები საკუთარი გამოცდილების კვალს ტოვებენ და ადგილის შესახებ მეხსიერებას ქმნიან. არქიტექტურის მუდმივობა მის ნაშენ ფორმაში ცხადდება, თუმცა მისი დროებითობა მისსავე სივრცეში მყოფი ადამიანების დინამიკურ ურთიერთობაში ძევს. შენობაში გატარებული ყოველი მომენტი არქიტექტურას დროებითობის კიდევ ერთ შრეს მატებს და სივრცის გარშემო შექმნილი მოგონებებისა და გამოცდილებების ნარატივს ამდიდრებს. მუდმივობასა და დროებითობას შორის არსებული ეს ურთიერთობა არქიტექტურის ფუნდამენტური ასპექტია და განსაზღვრავს, თუ როგორც აღვიქვამთ სივრცეს, როგორც ვცხოვრობთ სივრცეში.

დროისა და მეხსიერების ურთიერთქმედებამ ხელშესახები ფორმა ბიენალეს კონტექსტში მიიღო და ინსტალაციად იქცა. ჩვენ ვცადეთ შეგვექმნა იმ ელემენტის მახსოვრობა, რომელიც, თავისთავად, არაფრად მიიჩნევა - ნაგვისა და ნარჩენის. ადამიანები ფიქრობენ, რომ ნაგავი წარმავალია, რაც სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. ერთჯერადი მოხმარების ნივთები კონსუმერიზმისა და პრაქტიკულობის პროდუქტია, რაც ძალიან ძვირად გვიჯდება (დაბინძურება, გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, მიკროპლასტმასი, ადამიანები და სხვა).

რა ხდება მაშინ, როცა ჩვენ დროებითობასა და მუდმივობას ფიზიკურ ფორმაში ვაერთიანებთ? ქალაქსა და მის შემოგარენში შეგროვებული ნარჩენებით - მეტად გამძლე, ფოროვანი მასალით - უკვდავყავით

და წარმოვაჩინეთ თავად ეს ნარჩენები - მასალა, რომელსაც ვიყენებთ. ამ მასალის შერევით პრაქტიკული ობიექტი, ტაბურეტი შევქმენით. ბიენალეს ფარგლებში, ტაბურეტები ერთმანეთზე ვერთიკალურად დავანყვეთ და შეიქმნა ტოტემი, როგორც შეხსენება. ნაგავსაყრელთან ახლოს მდებარე ტოტემი მჭიდრო კავშირშია თავის მდებარეობასთან და ამაღლებს ცნობიერებას ჩვენი ყოველდღიური ჩვევებისა თუ რესურსების გამოყენების გარშემო, წარმოაჩენს რა მოხმარების შედეგებს და, ამასთან, კითხვას უსვამს ამ ყოველდღიურ ჩვევებს, გვაიძულებს, გადავიაზროთ საკუთარი ქმედებები. ჩვენ ყველაფერი გამოვიყენეთ, რისი პოვნაც გარშემო შევძელით - სამშენებლო მასალები ქუჩიდან თუ სააშქროთა ნარჩენები. დროებითი ტექსტურის მუდმივ სუბსტანციაში მოქცევით, ჩვენ წარმოვალს დროებითი მუდმივობა შევძინეთ. გვსურდა, მშენებლობის მეთოდი მაქსიმალურად მარტივი ყოფილიყო, ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ გვქონოდა განგრძობითი ობიექტი, დამატებითი მიდგომა გამოვიყენეთ და ტაბურეტის იმგვარ ზომებზე ვკონცენტრირდით, რომლებიც, საბოლოოდ, ერთმანეთზე შემოიდგმებოდა. თითოეულ ტაბურეტს, რომლისგანაც ტოტემი აეწყო, თავისი ისტორია აქვს; ყველა მათგანი გადაგდებულ მდგომარეობაშია ნაპოვნი, აღდგენილი მასალისგან არის შექმნილი და ახალ დანიშნულებას იძენს.

ინსტალაცია ქმნის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება დავიწყოთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესის ეჭვქვეშ დაყენება. ჩვენი თაობა მნიშვნელოვანი მიღწევების მოწმეა, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვხედავთ რეკორდული რაოდენობის ნარჩენს, რაც კი ოდესმე გვინარმოებია - წინა თაობებთან შედარებით. გარკვეულწილად, ისინი უფრო გონივრული და მდგრადი მიდგომით ცხოვრობდნენ, ახლა კი ვიმკით პლასტმასის შექმნის შედეგებს, რამაც მთლიანად შეცვალა მოხმარების კულტურა. ტოტემი გვახსენებს, რომ ცივილიზაციას შეუძლია ძალიან „ჭკვიანი“ იყოს, როცა საკითხი მის სარგებელს ეხება, კომფორტის ფასი კი გარემოს ხარჯზე უნდა გადავიხადოთ. თავად ტერმინი „დროებითი“ მოსახერხებელი ინსტრუმენტია - სწრაფი გადანყვეტა „ამ მომენტისთვის“ და არაფერი სხვა - ის, რაც არ ითვალისწინებს გრძელვადიანი განვითარების ნიუანსებს. ეს ინტერვენცია, ტოტემის ფორმით, ჩვენს მომხმარებლურ დამოკიდებულებას გვახსენებს.

ფიზიკური არსებობის მიღმა, ტოტემი გვიბიძგებს თვითნაალიზისა და დიალოგისკენ საზოგადოებრივი ფასეულობებისა და ქცევის შესახებ. ის გვთავაზობს გამოწვევას, გადავიაზროთ კომფორტისა და მოხმარების

მიმართ ჩვენი დამოკიდებულება და მეტად მდგრადი პრაქტიკა დავნერგოთ. პროექტის თავდაპირველი მიზანი იყო ტოტემს სასიცოცხლო ციკლი ბიენალეს ფარგლებს გარეთაც გაეგრძელებინა; ამიტომ, დემონტაჟის შემდეგ, ობიექტი ტაბურეტებად დაიშალა და ბიენალეს სიმპოზიუმზე მოდერატორებმა ისინი დასასხდომად გამოიყენეს. მოგვიანებით, ტაბურეტებს ახალი მფლობელები გამოუჩნდათ - ეს ობიექტები ახლა მთელ ქალაქშია მიმოფანტული, როგორც ინტერიერის დეტალები. პირველი პრეზენტაციიდან დიდი ხნის შემდეგ, ინსტალაცია კვლავ ფიქრისა და მოქმედების წინაპირობაა.

ტაბურეტების მნიშვნელობა ფართოდ გასცდა ბიენალეს პირველი პრეზენტაციის ფარგლებს. მათი შემდგომი გამოყენება ზედმინევნით ასახავს ინსტალაციაში ნაგულისხმევ მდგრადობისა და ხანგრძლივობის ცნებებს. მათი ზეგავლენა სცდება დროებითი გამოფენის საზღვრებს ახალი ფუნქციის მიღებისა და ინტერიერის ობიექტებად ქალაქში მიმოფანტვის შედეგად. ეს ტაბურეტები, როგორც გარემოსდაცვითი ცნობიერების სიმბოლოები, აგრძელებს ემსახუროს ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ მიზნებს და ხელს უწყობს ხელახალი გამოყენების, გონივრული მოხმარების კულტურის გაღრმავებას. მათი მოგზაურობა ინსტალაციიდან გამოყენებით ობიექტებად ქცევამდე განამტკიცებს იდეას, რომ მდგრადი დიზაინი არ არის უბრალოდ დროებითი ტრენდი, არამედ ის ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას ჩვენ მიერ ნაშენი გარემო მომავალი თაობებისთვის.





# Sololaki Architect Tour, October 2022

Collateral Event

Nino Tchatchkhiani

Sololaki is a perfect example of how European architecture influenced the urban development of Tbilisi in the 19th century. Events of historical significance took place in and around the old city during this period. With the beginning of industrialization, Tbilisi experienced unprecedented growth and significant social changes. Although the Old Town was destroyed several times by conquerors, it has largely retained its irregular medieval urban structure. The new districts built in the 19th century, such as Sololaki — the first new quarter outside the city walls — have a regular layout. Most of the buildings in this area date from the mid-19th century to the present day. The architectural styles range from classicism to art nouveau and many different neo- and pseudo-styles and movements. There is diversity, but one thing is very significant — the rear facades and courtyards of these European buildings are the characteristic of Tbilisi only, and you have to see them in motion in the everyday life of the inhabitants.

We started the tour in one of the courtyards, “Ezo” in Georgian. This particular “Ezo” is notable in every aspect — it’s a place of an ever-changing life: a restaurant, a meeting place, and a home for people and their cultural activities. We went up through a flat into the attic to see the wooden roof construction and to look out over other roofs of Sololaki. One can say that this building is typical for Sololaki. Still, nothing ever is “typical” in this area — one can find many unexpected details, unknown corners, and surprising viewpoints. All of this in combination with cracked walls, broken balconies, uneven floors, and sloping stairs. Over 100 years old, this building was lucky to meet an architect and his family from Zürich, who started its careful renovation and gave the house a new life — it is a story of how Europe came back to Sololaki.

Walking to the next destination, down Asatiani Street, we visited one of the oldest school buildings in Tbilisi. Engineer Alexander Ozerov created this building in 1903-1905 for the 3rd school for girls. The building has served as a school for over a century and currently belongs to the authorized school N 6. Its architecture is an excellent example of the neo-Gothic style, and most of the authentic architectural details have been preserved to this day. The restoration and modernization of the building started in 2012, with the project by Swiss architect Thomas Krayner.

It was an honor to work with Thomas on the school building where my mother went as a little girl, in Sololaki, where I was born and grew up. Sololaki is my home. I walked up and down daily on the paths between my grandmother's and our place. Everything was familiar to me; I knew which smell came from where or what pictures awaited me when I looked in the windows. I loved the tunnel that led me to the botanical garden. I could listen to the falling water drops in the tunnel, and everything I said came back as an echo. The smells have changed — and not only them. The Sololaki neighborhood from my childhood is more of a feeling than a memory today. Now, I am far away, but I observe everything “through the eyes of an architect,” when I walk here as a tour guide for someone, I think I can also convey my feelings.

Kristo is a TbilisiZurichArchitecture (TZA) member and organizes and participates in almost all the projects and events at “Ezo.” She still lives with her family in Sololaki, which has become a tourist destination and is becoming increasingly overcrowded. The creeping gentrification does not make life easy and brings many other problems with it. Living in Sololaki today also means facing challenges.

We (Nino and Kristo) visited two listed monuments with our guests — one of the living houses and the significant school building. Every building in Sololaki has a story to tell, from architecture to the people who designed, built, and lived here. The two thought-provoking tours lasted around two hours and gave around 100 architecture fans an insight into the inner life of two locations in Sololaki.

Every time we walk through Sololaki, we are reminded of its enduring beauty and the importance of preserving it for future generations.

# არქიტექ-ტური სოლოლაკში, ოქტომბერი 2022

პარალელური  
ღონისძიება

ნინო ჩახიანი

სოლოლაკში კარგად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა ევროპულმა არქიტექტურამ მე-19 საუკუნის თბილისის ურბანულ განვითარებაზე. ძველ ქალაქში და მის გარშემო ამ დროს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები ხდებოდა. ინდუსტრიალიზაციის დაწყებასთან ერთად, თბილისმა უპრეცედენტო ზრდა და მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე განადგურდა დამპყრობლების მიერ, ძველმა ქალაქმა მაინც შეინარჩუნა საკუთარი არარეგულარული, შუა საუკუნოვანი ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა. მე-19 საუკუნეში აშენებულ ახალ უბნებს, როგორც სოლოლაკია - პირველი ახალი კვარტალი ქალაქის გაღავანს მიღმა - რეგულარული გეგმა აქვს. შენობების უმეტესობა აქ მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან თარიღდება. კლასიციზმიდან არტ ნუვომდე, გვხვდება სხვადასხვა არქიტექტურული სტილი, ისევე, როგორც მრავალი ნეო- თუ ფსევდო-სტილი და მიმართულება. აქ მთელი მრავალფეროვნებაა, თუმცა არის რაღაც განსაკუთრებულიც - ამ ევროპული შენობების უკანა ფასადები და ეზოები, რაც თბილისს ყველაფრისგან გამოარჩევს და ჯობს, მათი აღქმა ცოცხლად, იქ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვებით მოხდეს.

ტური ერთ-ერთ ასეთ ეზოში დავინწყეთ. ეს კონკრეტული „ეზო“ ყოველმხრივ განსაკუთრებულია - ის მუდმივად ცვალებადი სიცოცხლის ადგილია: ადგილი, სადაც კარგია ყოფნა, რესტორანი, შეხვედრებისა და კულტურული ღონისძიებების ადგილი თუ საცხოვრებელი სახლი. ერთ-ერთი ბინიდან სხვენში ავედით, რათა ულამაზესი ხის გადახურვის კონსტრუქცია გვენახა და იქიდან გადაგვეხედა სოლოლაკის სხვა სახურავებისთვის. ერთი შეხედვით, ეს შენობა ტიპურია სოლოლაკისთვის, მაგრამ ამ უბანში ნამდვილად არაფერია „ტიპური“ - ყოველთვის შეიძლება, აქ მოულოდნელი დეტალები, უცნობი კუთხეები,





საოცარი ხედები აღმოაჩინო და ეს ყველაფერი დაბზარულ კედლებთან, დამტვრეულ აივნებთან, უსწორმასწორო იატაკებსა და დახრილ კიბეებთან ერთად. საუკუნეზე მეტი ხნის ამ შენობას გაუმართლა, როცა ციურიხელ არქიტექტორსა და მის ოჯახს შეხვდა, რომელმაც ნელ-ნელა დაიწყო მისი აღდგენა და სახლს ახალი სიცოცხლე შესძინა. ეს არის ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დაბრუნდა ევროპა სოლოლაკში.

მეორე შენობასთან, თბილისის ერთ-ერთ უძველეს სკოლასთან ასათიანის ქუჩით ჩავედით. ის 1903-1905 წლებში ინჟინერ ალექსანდრ ოზეროვის მიერ აშენდა ქალთა მესამე სკოლისთვის. აშენებიდან საუკუნეზე მეტია გასული და შენობას ფუნქცია არ შეუცვლია. აქ ახლა მეექვსე საავტორო სკოლაა. მისი არქიტექტურა ნეოგოტიკური სტილის შესანიშნავი მაგალითია, რომლის მრავალი ავთენტური არქიტექტურული დეტალი დღემდე შენარჩუნებულია. შენობის რესტავრაცია და მოდერნიზაცია შვეიცარიელი არქიტექტორის, თომას კრეიერის პროექტის მიხედვით 2012 წელს დაიწყო.

დიდი პატივი იყო თომასთან მუშაობა სკოლის შენობაზე, სადაც დედაჩემი სწავლობდა; სოლოლაკში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. სოლოლაკი ჩემი სახლია, მის ქუჩებზე ყოველდღე ზემოთ-ქვემოთ დავდიოდი, ბებიჩემის

სახლსა და ჩვენს ბინას შორის. აქ ყველაფერი ნაცნობი იყო ჩემთვის; ზუსტად ვიცოდი, რომელი სურნელი საიდან მოდიოდა ან რა სურათებს დავინახავდი, როცა სხვების ფანჯრებში შევიხედავდი. მიყვარდა გვირაბი, რომელსაც ბოტანიკურ ბაღამდე მივყავდი. გვირაბში წყლის წვეთებს ვუსმენდი და ყველა სიტყვას, რომელსაც ვამბობდი, უკან ექო მიბრუნებდა.

სუნები შეიცვალა, თუმცა - არა მხოლოდ ისინი. ჩემი ბავშვობის სოლოლაკი გრძნობა უფროა, ვიდრე მოგონება. ახლა მე შორს ვარ, მაგრამ ყველაფერს „არქიტექტორის მზერით“ ვაკვირდები და როცა აქ დავდივარ, როგორც გიდი - ქალაქის საჩვენებლად, იმედი მაქვს, რომ ამ დროს სხვებისთვის ჩემი გრძნობების გადაცემაც შემიძლია.

ქრისტო Tbilisi Zurich Architecture-ის (TZA) წევრია და თავად აწყობს ან მონაწილეობს თითქმის ყველა იმ პროექტსა თუ ღონისძიებაში, რომელიც „ეზოში“ იმართება. ის კვლავ სოლოლაკში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. სოლოლაკი ტურისტულ ადგილად იქცა და რაც დრო გადის, ის უფრო და უფრო გადატვირთული ხდება. მცოცავ ჯენტრიფიკაციას, რომელიც სულაც არ აადვილებს აქ ცხოვრებას, მრავალი სხვა პრობლემაც სდევს თან. სოლოლაკში ცხოვრება დღეს არაერთი გამოწვევის პირისპირ დგომასაც ნიშნავს.

ჩვენ ორმა (ნინომ და ქრისტომ) სტუმრებთან ერთად მოვინახულეთ არქიტექტურის ორი ძეგლი - ერთი საცხოვრებელი სახლი და სკოლის მნიშვნელოვანი შენობა. სოლოლაკის ყველა შენობას თავისი ისტორია აქვს, არქიტექტურით დაწყებული, იმ ადამიანებით დამთავრებული, ვინც ისინი ააშენა, ვინც იქ ცხოვრობდა. ეს იყო ორი, დამაფიქრებელი ტური, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა და 100-მდე არქიტექტურით დაინტერესებულ ადამიანს სოლოლაკის ორი საინტერესო ადგილის შიდა ცხოვრებაში ჩაახედდა.

ყოველთვის, როცა სოლოლაკში გავდივართ, მის საოცარ სილამაზესა და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნების მნიშვნელობაზე ვფიქრობთ.

# Street School

Workshop

Levan Asatiani

Didi Digomi is a vibrant suburban block characterized by its tranquil squares and pockets of greenery that offer a welcoming haven for residents to congregate, socialize, and relax amidst nature's embrace. It embodies the spirit of old Tbilisi, where strong communal bonds fostered close-knit relationships among neighbors. However, the socio-economic shifts in central areas have gradually altered this communal fabric. At the same time, the tumultuous aftermath of the Soviet Union's collapse and Georgia's civil war further compounded these changes. This period saw public spaces becoming associated with issues like unemployment, crime, and substance abuse, marking a stark departure from the idyllic scenes of yesteryears.





In response to these challenges, the Street School initiative emerged as a beacon of hope. It aims to showcase the untapped potential of public spaces and yards as catalysts for community building and empowerment. The project envisions transforming these overlooked areas into vibrant creativity, collaboration, and learning hubs.

One poignant example can be found in Didi Digomi's landscape, mirroring the narrative of many parts of Tbilisi. Garages hastily erected during the 90s now serve as mundane storage units, symbolizing unused potential and untapped opportunities. However, the metamorphosis of one such garage into the Street School is a testament to the project's mission: repurposing these seemingly "non-public" spaces into invaluable community assets. This transformation revitalizes the physical environment and breathes new life into the communal spirit, rekindling a sense of shared purpose and collective identity among residents.

At its core, the Street School functions as a dynamic platform for communal growth and enrichment, offering diverse initiatives and resources to nurture creativity and collaboration. Residents are encouraged to utilize this communal space for many activities, including idea exchanges, engaging discussions, cultural gatherings, and skill-building workshops. The Street School adopts a non-profit ethos, ensuring accessibility to essential resources such as projectors, computers, and various tools that foster a conducive environment for productivity and inclusivity.

Through informal knowledge exchange and collaborative endeavors, the Street School challenges prevailing stereotypes and showcases public spaces' transformative potential. The initiative aims to cultivate a vibrant and resilient community that thrives on collective empowerment and shared prosperity by fostering a culture of mutual respect, cooperation, and lifelong learning.

In essence, the Street School's journey in Didi Digomi encapsulates a larger narrative of urban revitalization and community empowerment, illustrating how overlooked spaces can be transformed into vibrant epicenters of creativity, connectivity, and positive social change.

# ქურის სკოლა

ლევან ასათიანი

ვორქშოფი



დიდი დილომი ცოცხალი და საინტერესო გარეუბანია, წყნარი მოედნებითა და გამწვანებული არეალებით, რომელიც მოსახლეობისთვის შეკრების, სოციალიზაციის და დასვენების ადგილია. ის განასახიერებს ძველი თბილისის სულისკვეთებას, სადაც მძლავრი სათემო კავშირები ხელს უწყობდა მეზობლებს შორის ახლო კავშირების გაჩენას, თუმცა მომხდარმა სოციო-ეკონომიკურმა ცვლილებებმა შეცვალა ეს თემური ქსოვილი. ამასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა მღელვარებამ და სამოქალაქო ომმა აღნიშნული კიდევ უფრო გაართულა. ამ პერიოდის საზოგადოებრივი სივრცეები უმუშევრობასთან, დანაშაულთან, ნარკოტიკის მოხმარებასთან და სხვა პრობლემებთან ასოცირდება, რაც ძალიან შორსაა წარსულის იდილიური მიდგომებისგან.

სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ ჩამოყალიბდა „ქუჩის სკოლის“ ინიციატივა, როგორც ერთგვარი იმედის შუქურა. მისი მიზანია გვაჩვენოს, რომ საზოგადოებრივ სივრცეებსა და ეზოებს გააჩნია გამოუყენებელი პოტენციალი სამეზობლოების თემური ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისთვის. პროექტმა სწორედ ამ დაუფასებელი ზონების ცოცხალ, შემოქმედებით სივრცედ გარდაქმნა დაისახა ამოცანად, სადაც ადამიანები ერთად მუშაობას და ერთად სწავლას შეძლებდნენ.



ამგვარი პრაქტიკის ერთ-ერთ ამაღელვებელ მაგალითს დიდი დიდი ლანდშაფტში შეიძლება წავაწყდეთ, რომელიც თბილისის სხვადასხვა ნაწილების ისტორიას ირეკლავს. 90-იან წლებში სახელდახელოდ აშენებული ავტოფარეხები დღეს მხოლოდ მოსაწყენ სათავსოებად გამოიყენება და გაფლანგული პოტენციალისა და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების სიმბოლოაა ქცეული. თუმცა, ერთ-ერთი ასეთი ავტოფარეხის „ქუჩის სკოლად“ მეტამორფოზამ დაადასტურა პროექტის მისია: ერთი შეხედვით ეს „არასაზოგადოებრივი“ სივრცე ფასდაუდებელ აქტივად შეიძლება გადაიქცეს ადგილობრივი თემისთვის. ფარეხის გარდასახვა არა მხოლოდ ფიზიკურ გარემოს აცოცხლებს, არამედ იმპულსია ახალი, კომუნალური ცხოვრების სტილისთვისაც, აძლიერებს საერთო მიზნის შეგრძნებას და ქმნის სამეზობლოს კოლექტიურ იდენტობას.



პლატფორმა, რომელიც ადამიანებს სთავაზობს სხვადასხვა ინიციატივასა და რესურსს შემოქმედებითი ზრდისა და თანამშრომლობისთვის. მოსახლეობას შეუძლია, ეს საერთო სივრცე არაერთი საქმიანობისთვის გამოიყენოს: იდეების გაცვლისთვის, დისკუსიებში მონაწილეობისთვის, კულტურული შეხვედრებისა თუ უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული ვორკშოპებისთვის. „ქუჩის სკოლა“ არაკომერციულ ეთიკას დაეფუძნა და უზრუნველყოფს სხვადასხვა რესურსზე, მათ შორის ტექნოლოგიებსა და სხვა საშუალებებზე ხელმისაწვდომობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას პროდუქტიულობისა და ჩართულობისთვის.

ცოდნის არაფორმალური გაცვლითა და ერთობლივი მცდელობებით, „ქუჩის სკოლა“ ცდილობს დაუპირისპირდეს გავრცელებულ სტერეოტიპებს და გვაჩვენოს, რომ საჯარო სივრცეს გარდასახვის პოტენციალი გააჩნია. ეს არის ინიციატივა, რომელსაც ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და ერთმანეთისგან მუდმივი სწავლის კულტურის ხელშეწყობით სურს შექმნას ცოცხალი, მედეგი თემი, რომელიც კოლექტიური ურთიერთგაძლიერებისა და საერთო კეთილდღეობისკენ მიისწრაფის.

„ქუჩის სკოლის“ მიერ დიდ დიღომში განვლილი გზა, თავისი არსით, ასახავს ქალაქის გამოცოცხლებისა და საზოგადოების გაძლიერების ფართო შინაარსს - გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გარდაიქმნას დაუფასებელი სივრცე ურთიერთობისა და დადებითი სოციალური ცვლილებების ცოცხალ, შემოქმედებით ეპიცენტრად.



In the early 1990s, certain groups of people left their homes due to the Abkhazia conflict in Georgia and resettled in different regions. Due to difficult socio-economic conditions and a lack of living space, they often lived temporarily in state-owned buildings of various functions, primarily unused, hoping to return to their homes soon. Sanatorium “Kartli” is one of these buildings where refugees from Abkhazia began settling in 1993, and many still reside there. With time, living conditions have worsened, making it incompatible with a safe and dignified life for people.

# Carpenter Workshop

Workshop

Lado Shonia

**Workshop Volunteers:**

Nino Patarkatsishvili, Erekle Kereselidze, Giga Khetaguri, Tekla Kandelaki, Ani Edzgeradze, Mariam Papava, Nikoloz Bitsadze, Gvantsa Tskhadadze, Otar Galdava, Zuka Zaridze, Gigi Zoidze



As part of the Tbilisi Architecture Biennale 2022, a wooden furniture workshop was held on the former “Sanatorium Kartli” premises near the Tbilisi Sea. The workshop aimed to create simple wooden furniture, such as tables and chairs, for the residents of Kartli; it commenced three days before the official opening of the Biennale, allowing the manufactured furniture to be showcased at the Biennale’s opening ceremony and various public lectures and symposiums held during the event.

The furniture-making process occurred in two stages: material preparation and furniture assembly. During the preparation stage, participants developed basic furniture design involving assembling two functionally different pieces, such as chairs and



tables, using the same method and elements. Each furniture piece comprised three components: a base, a support frame, and a surface, with only the dimensions varying. Beechwood was chosen as the primary material. The preparatory phase also entailed fabricating and machining the components needed to assemble ten tables and 40 chairs in the woodshop, streamlining the assembly process in the second phase.

The second stage involved transporting the prepared elements and necessary tools from the workshop to the “Kartli Sanatorium” building for furniture assembly. Volunteers and residents assisted in assembling the furniture directly on-site. Several weeks before the Biennale’s official opening, a call for volunteers was issued to participate in the furniture assembly process alongside Biennale team members. The assembly



occurred on the building’s terrace, which the local population utilized for various communal activities. Residents actively aided volunteers in furniture assembly and tool storage throughout the process. It took three days to assemble all the furniture fully. At the Biennale’s opening, a small-scale exhibition was held on the same terrace, showcasing the furniture and utilizing its surfaces to display drawings, photos, and artifacts related to the “Sanatorium Kartli’s” building and its history and serving Supra.

Given the workshop’s aim of delivering manufactured furniture to the residents, some Biennale visitors expressed a similar desire and voluntarily donated various types of furniture to the Kartli residents.





1990-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით გადასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და საცხოვრებელი ფართის არქონის გამო, ისინი ხშირად დროებით ითვისებდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებს, იმ იმედით, რომ ახლო მომავალში საკუთარ სახლებში დაბრუნებას შეძლებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შენობაა სანატორიუმი „ქართლი“, სადაც აფხაზეთიდან დევნილებმა შესახლება 1993 წლიდან დაიწყეს და მათი დიდი ნაწილი დღესაც ცხოვრობს იმ შენობაში, რომელიც უკვე დიდი ხანია, ამორტიზირებულია და შეუსაბამოა ადამიანების უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების სტანდარტებთან.



# ხის ვორქშოფი

ვორქშოფი

ლადო შონია

## ვორქშოფის მოხალისეები:

ნინო პატარკაციშვილი, ერეკლე კერესელიძე, გიგა ხეთაგური, თეკლა კანდელაკი, ანი ეძგვერაძე, მარიამ პაპავა, ნიკოლოზ ბინაძე, გვანცა ცხადაძე, ოთარ გალდავა, ზუკა ზარიძე, გიგი ზოიძე

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, „ქართლის“ ყოფილი სანატორიუმის ტერიტორიაზე, ხის ავეჯის ვორქშოფი ჩატარდა. ვორქშოფი მიზნად ისახავდა ქართლის მაცხოვრებლებისთვის ხის იმგვარი მარტივი და პირველადი მოხმარების ავეჯის დამზადებას, როგორცაა მაგიდა და სკამი. ვორქშოფი ბიენალეს ოფიციალურ გახსნამდე სამი დღით ადრე დაიწყო, რათა ავეჯი ბიენალეს გახსნაზე წარმოგვედგინა და მის ფარგლებში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებზეც - საჯარო ლექციებსა თუ სიმპოზიუმზე.

მუშაობის პროცესი მასალების მომზადებისა და ავეჯის აწყობის ეტაპებს მოიცავდა. პირველ ეტაპზე დამუშავდა ავეჯის მარტივი დიზაინი, რაც გულისხმობდა ორი ერთმანეთისგან ფუნქციურად განსხვავებული ავეჯის - სკამისა და მაგიდის - აწყობას ერთი და იგივე მეთოდითა და ელემენტებით. ორივე შემთხვევაში, ავეჯი სამი კომპონენტისგან: დგარის, შემკრავი ჩარჩოსა და ზედაპირისგან შედგებოდა. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ კომპონენტების ზომებითა და გაბარიტებით განსხვავდებოდნენ. მასალად წიფელის ხე შეირჩა. მოსამზადებელი ეტაპი ასევე მოიცავდა 10 მაგიდისა და 40 სკამისთვის საჭირო კომპონენტების შექმნას და მათ დამუშავებას ხის საამქროში, რათა გამარტივებულიყო პროცესის მეორე ეტაპი - ავეჯის აწყობა.



ავეტის ანყობის ეტაპი მოიცავდა სახელოსნოში შექმნილი ელემენტებისა და ანყობისთვის საჭირო ინსტრუმენტების ტრანსპორტირებას, შემდეგ კი უშუალოდ „ქართლის“ ტერიტორიაზე, მოხალისეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, ავეჯის ანყობას. ანყობის პროცესში მონაწილეობისთვის, ბიენალეს გახსნამდე რამდენიმე კვირით ადრე, დაინტერესებული პირებისთვის მიღებაც გამოცხადდა. უშუალოდ ავეჯის ანყობის პროცესი ქართლის შენობის ტერასაზე წარიმართა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა საერთო მიზნით იყენებს. შენობის რამდენიმე მოსახლე აქტიურად ეხმარებოდა მოხალისეებს ავეჯის ანყობასა და სხვადასხვა ინსტრუმენტის შენახვა-მოძიების პროცესში.

საერთო ჯამში, ავეჯის სრულად ანყობას სამი დღე დასჭირდა. მესამე დღის ბოლოს, ბიენალეს გახსნაზე, იმავე ტერასაზე პატარა გამოფენა მოეწყო, სადაც დამზადებული ავეჯი იყო წარმოდგენილი. ავეჯი - ისევე როგორც სუფრა - სხვადასხვა დანიშნულებით გამოვიყენეთ: მაგიდები და სკამები ნახაზების, „ქართლის“ შენობისა და მის ისტორიასთან დაკავშირებული ფოტოების თუ სხვადასხვა არტეფაქტების საჩვენებლად, ხოლო სუფრა - დამთვალიერებელთა გასამასპინძლებსთვის.

ვორკშოფის თავდაპირველი მიზანი იყო დამზადებული ავეჯის გადაცემა მაცხოვრებლებისთვის. შესაბამისად, ბიენალეს გახსნაზე, რამდენიმე დამთვალიერებელმა, საკუთარი ინიციატივით, „ქართლის“ მაცხოვრებლებს სხვადასხვა სახის ავეჯი აჩუქა.

# Ezo Film Screenings

Film Screening

Tinatin Gurgenidze

Film screenings at the 2022 Tbilisi Architecture Biennial offered distinctive perspectives and narratives, stimulating intellectual curiosity and a desire for knowledge.

Due to the constantly evolving circumstances resulting from the pandemic, the contribution of “C/O Now,” one of three partners of the Tbilisi Architecture Biennial in 2020, was also subject to constant modification. The initial objective was to create an “Untitled Film” based on the biography of Olga Ivanovna Lazović. This was intended to challenge the exotic clichés that obscure our shared humanity. Even before the onset of the pandemic, c/o now initiated the digitization of Lucius Burckhardt’s Strollology, following the traces of Lazović in Tbilisi.

The so-called Google walks, undertaken for this purpose, constituted the basis of the “Pre-Biennial-One-Minute-Videos,” which addressed various issues threatening the remaining commons. The videos were produced during the March and April 2020 lockdown, forming the background context. Subsequently, c/o now engaged in discourse with diverse individuals about the Biennial’s overarching inquiry, “What do we have in common?” The results of these discussions were presented in a film, “Sakhli Opisi,” which premiered in Tbilisi as part of the 2022 Biennial.

Another screening, entitled “Return from the Future,” was a film by Stefan Rusu that focused on the issue of conserving Soviet-era modernist architecture in Bishkek, Kyrgyzstan. This visual essay examined the fate of iconic buildings such as the State History Museum and the Gapar Aytiev Fine Art Museum, which lost their ideological significance following the dissolution of the Soviet Union. The film examined the potential for these buildings to serve contemporary society by promoting national history and culture while documenting the urban transformations in Bishkek since the 1990s. This documentary constitutes part of the “Insular Modernities”





series, which investigates modernist architecture in Central Asia. Furthermore, Anisa Sabiri's film, "Rhythms of Lost Time," explored the remote regions of Tajikistan, emphasizing the country's ancient cultural traditions currently facing threats from modern influences. The documentary emphasized musical traditions and featured British musician Leo Abrahams, who sought to experience Maddoh, a form of transcendental funeral music. Through interactions with local experts and observations of traditional ceremonies, the film portrayed the resilience of Tajikistan's cultural heritage. These screenings took place at the Ezo and offered a different activity for the Biennial, attracting an engaged audience.

# „ეზოს“ კინორეჟენერები

თინათინ გურგენიძე

ფილმის რეჟენერები

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს კინორეჟენერები გამორჩეულ პერსპექტივებსა და ნარატივებს გვთავაზობდა, აღვივებდა ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას და ცოდნისკენ სწრაფვას.

2020 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს სამი პარტნიორიდან ერთ-ერთის, „c/o now“-ის კონტრიბუცია, პანდემიით გამოწვეული ცვალებადი გარემოებების გამო, მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. მისი თავდაპირველი მიზანი ოლგა ივანოვნა ლაზოვიჩის ბიოგრაფიაზე დაფუძნებული „უსახელო ფილმის“ შექმნა იყო. ის ჩაფიქრებული იყო, როგორც ეგზოტიკური კლიშეების კრიტიკა, რომლებიც ბუნდოვანს ხდის კაცობრიობის საერთოობის განცდას. ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე, „c/o now“ შეუდგა ლუციუს ბურკჰარდტის „პრომენადოლოგიის“ გაციფრულებას, პარალელურად კი მიჰყვებოდა ლაზოვიჩის მიერ გავლილ ბილიკებს. ამ მიზნით მოწყობილი ე.წ. გუგლის გასეირნებები საფუძვლად დაედო პროექტს „Pre-Biennial-One-Minute-Videos“ („ბიენალემდელი ერთწუთიანი ვიდეოები“), რომელიც ეძღვნებოდა ჯერ კიდევ შემორჩენილი საერთოობისთვის საფრთხის შემქმნელ სხვადასხვა პრობლემებს. ვიდეოები მომზადებულია 2020 წლის მარტსა და აპრილში, დროებითი ჩაკეტვის დროს, რაც მათ განსაკუთრებულ ფონს ქმნის. მოგვიანებით, სხვადასხვა ინდივიდებთან ერთად, „c/o now“ არაერთ მნიშვნელოვან დისკუსიაში ჩაერთო ბიენალეს მრავლისმომცველი კითხვის - „რა გვაქვს საერთო?“ გარშემო. ამ დისკუსიების შედეგები ჯგუფმა წარმოადგინა ფილმში „სახლი ოფისი“, რომლის პრემიერაც თბილისში, 2022 წლის არქიტექტურის ბიენალეზე შედგა.

კიდევ ერთი ჩვენება სტეფან რუსუს ფილმს მიეძღვნა, სახელწოდებით „დაბრუნება მომავლიდან“. ფილმი ბიშკეკში, ყირგიზეთში საბჭოთა პერიოდის მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნებისა და დაცვის საკითხებს ეხებოდა. ეს ვიზუალური ესე ისეთი საკულტო შენობების ბედს განიხილავდა, როგორიცაა სახელმწიფო ისტორიის მუზეუმი და გაფარ აიტიევის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ამ ნაგებობებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავიანთი იდეოლოგიური მნიშვნელობა დაკარგეს. ფილმი შეისწავლის ამ შენობების პოტენციალს, ემსახუროს თანამედროვე საზოგადოებას ეროვნული ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის გზით, იმავდროულად კი ახდენდეს იმ ურბანული გარდაქმნების დოკუმენტირებას, რომლებიც ბიშკეკში 90-იანი წლების შემდეგ განვითარდა. ეს დოკუმენტური ფილმი ერთ-ერთია სერიიდან „Isular Modernities“, რომელიც ცენტრალური აზიის მოდერნისტულ არქიტექტურას იკვლევს.

გარდა ამისა, ნაჩვენები იქნა ანისა საბირის ფილმი „დაკარგული დროის რიტმები“, რომელიც ტაჯიკეთის შორეულ რეგიონებს იკვლევს და აკვირდება ქვეყნის უძველეს კულტურულ ტრადიციებს, რომლებსაც ამჟამად საფრთხეს უქმნის თანამედროვეობის ზეგავლენა. დოკუმენტური ფილმი მუსიკალურ ტრადიციებზე მოგვითხრობს და წარმოგვიდგენს ბრიტანელ მუსიკოსს, ლეო აბრაჰამსს, რომელიც ცდილობდა, თავად გამოეცადა „Maddoh“, დაკრძალვის ტრანსცენდენტული მუსიკის ფორმა. ტრადიციულ ცერემონიებზე დაკვირვებითა და ადგილობრივ ექსპერტებთან კომუნიკაციით, ფილმმა ტაჯიკეთის კულტურული მემკვიდრეობის გამძლეობა აღწერა.

ზემოთჩამოთვლილი ჩვენებები სოციალურ სივრცე „ეზოში“ გაიმართა და ბიენალეს ფორმატისგან განსხვავებული აქტივობა შემოგვთავაზა დაინტერესებული და პროცესში ჩართული აუდიტორიის მოზიდვით.



# C20: Guide to Architecture of Tskaltubo

Book Presentation

Martin Zaicek, Andrea Kalinová

C20: Guide to Architecture is an established Slovak format of a pocket guide to architecture of the 20th century. Pocket guides to “The Century 20th” architecture were already published for Slovak cities such as its capital, Bratislava, or several known spa towns like Trenčianske Teplice, Vysoké Tatry, and Piešťany. The book series comes from the art initiative Abandoned (re)creation, the artistic duo of photographer Andrea Kalinova and architect Martin Zaiček. It was created in 2011 in the Slovak spa town of Trenčianske Teplice. In 2019, they published the book *Architecture of Care - Slovak Spas in the Second Half of the 20th Century*. The main interest of the art group Abandoned (re)Creation can be considered to be the healing baths associated with a rich source of natural healing waters. These places are strongly influenced by the modern movement and architectural theories of ideal recreational zones for a working retreat. The spa resorts provide metropolitan services in high-end cosmopolitan architecture while situated in the most preserved natural areas. Here, we find the reason why Abandoned (re)creation visited the famous spa towns of Borjomi, Abastumani, and Tskaltubo during its first visit to Georgia in 2014.

C20: A Guide to the Architecture of the Georgian Spa Town of Tskaltubo is a follow-up to the previous intense research for the exhibition *Permanent Recreation* (2018 Gallery Médium Bratislava, 2020 State Literature Museum Tbilisi) and extends the series of the C20 book guides dedicated originally to Slovak cities to include a foreign locality. Tskaltubo was the largest spa

site in Georgia and one of the largest in the former USSR. In the Tskaltubo spa resort, 22 sanatoriums were in operation before the fall of the USSR. The bed capacity of this resort reached its peak of approximately 5000 beds with a year capacity of up to 100,000 guests.<sup>1</sup>

## **Tskaltubo, The biggest resort in Georgian SSR**

In 1928, the Scientific Research Institute of Bath and Physiotherapy of the Republican Association of Gruzkurort under the Council of Ministers of the Georgian SSR was founded. Since its establishment, this institution has been responsible for scientific research on the balneological potential of Georgian mineral resources. It was not until 1926 that the Tskhaltubo Therapeutic Baths were officially established. The baths developed, especially in the post-war period. Kurortproject, as a state design company, played an important role in this endeavor, especially because of the personality of architect Joseph Zaalashvili, the author of the Tskaltubo master plan. The sanatoriums in Tskaltubo were mostly realized in the style of socialist realism. The urban planning concept arranged the recreational monumental palaces in a circle composed around a central park area where the hot springs were located. Modernist architecture entered the resort in the late 1960s, the best example of this period being the large 600-bed Sakartvelo sanatorium opened in 1987, designed by architects Merab Chkhenkeli, Rezo Janashia.<sup>2</sup>

## **Breaking Point of 1992**

After seventy years as part of the Soviet Union, Georgia suddenly became an independent sovereign state. This year, the country's economy decreased to one-fourth of the 1988 level. Unemployment and money inflation raised at astronomical rates. Social deprivation led to a political crisis, which opened the way to civil war in 1992 in Tbilisi and immediately led to war in Abkhazia in the years of 1992-1994. Due to war, 200,000 ethnic Georgians were forced to move from the separatist region of Abkhazia, located on the coastline of the Black Sea, into the inland regions of Georgia - many of the migrants were temporarily accommodated in the modern hotels, dormitories, or healing spa resorts developments. These people got the status of internally displaced persons (IDP).<sup>3</sup> What seemed to be a short political crisis became an already 30-year-lasting frozen conflict.

## From healthcare to social care

In 1992, the sanatoriums were owned by the state organization “JanmTeloba,” a central state health insurance company based in Tbilisi. In the autumn of 1992, then-president Zviad Gamsakhurdia ordered the directors of the sanatoriums and other state-owned facilities with accommodation capacity, like hotels, to open doors to refugees seeking shelter. The streams of refugees were not organized, and the economically struggling society had no plan or capacity to solve the problem in any other way. For two years, until 1993, the hotels and sanatorium used to take care of all their new “clients.” Later, when people realized that the situation of their resettlement would not be solved, sanatoriums stopped serving the new inhabitants, and they got permission to stay long-term. The standard double room in the healing spa sanatorium has, on average, 16 square meters of space. Each room was given to one family, not counting the number of people in it. The people started to take care of themselves on their own and customized their new homes. This included gardening outside and refurbishing the rooms with an additional kitchen in the loggias.





## **The building's transformation**

Since 1992, most of the buildings have been occupied by IDPs from the Abkhaz-Georgian war. Some of the extraordinary buildings are already abandoned, and the lack of future plans produces the problem of either possible demolition or extensive renovation contrary to their original character. This architectural heritage may disappear irretrievably.

The whole process of transformation was an unorganized action. The material and quality of added structures varied from simple wooden, plywood, or sheet metal to brick-walled structures. People used locally available materials to improve their living standards, which sometimes came from surrounding social, cultural or healthcare facilities. The strategies of the transformations were followed to a greater extent in the case of the IDP's settlements as a result of the 2008 Russian-Georgian war.<sup>4</sup> The actual condition of the building varies from place to place. In general, the larger the original sanatorium was, the worse its physical condition is. Especially the former common spaces like dining rooms, administrative parts, kitchen and balneology, and cinema theaters, were abandoned or robbed.

Most sanatoriums are currently in a state that does not allow the reconstruction to its original form or use. These buildings are actually non-reconstructable, like one of the largest Georgian sanatoriums, Sakartvelo in Tskaltubo, where, in some moments, up to 1,000 people lived in slum-like conditions. Today, around 10,000 IDPs, or around 2,000-3,000 families, are still living in Tskaltubo. Originally in Tskaltubo 22 sanatoriums and one Intourist Hotel were operating. From this number, only one sanatorium operates in its original form. This former Army Sanatorium is now privatized as a spa resort. Two former resorts decayed into heaps of ruins, and the remaining 19 buildings function mostly as IDP's housing.

## **Publish or forget**

The archival research was fulfilled based on collaboration with Docomomo GE and Tbilisi Architecture Biennial, as well as intense collaboration with architect Nano Zazanasvili. C20: Guide to Architecture of Tskaltubo produced a systematic photo documentation of the current state of the buildings by photographer Andrea Kalinova. Martin Zaicek's and Nano Zazanasvili's architectural research is intended to report on the disintegration of modernist architectural utopias against the

backdrop of socio-political changes, to highlight parallel regional modernities, and to record the forgotten history of architecture.

The aim of the book was to capture the twilight of a great story. At its beginning was a thirst for humanism and health, crowned by the enormous efforts of architects and urban planners as well as investment efforts and large-scale construction activity. However, 40 years after the golden era of the original plan, the place suddenly fell into a whirlwind of unexpected historical events. Against the backdrop of human hardship, it is difficult to tell great stories of architecture and art. Due to this, as authors of the research and the book, we have decided to publish our research not in English but in the language of the people for whom Tskaltubos' Sanatoriums became a home for decades.



1

Ed: E.N. Tsazov, Курортны; энциклопедический словарь (Healing spa encyclopedic dictionary). Moscow: Sovjetskaja encyklopedija, 1983 p. 376

2

In: Kvirkvelia T., Mgaloblishvili N., Architecture of the Soviet Georgia, Moscow 1986, p. 223

3

Internally displaced persons are people who were involuntarily forced to flee their homes but remained within the boundaries of their country.

იძულებით გადაადგილებული პირები არიან ადამიანები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ სახლები, თუმცა არ დაუტოვებიათ ქვეყნის საზღვრები.

4

N. Zazanashvili, Dwelling Adaptations in the Settlements of Internally displaced persons. In: From Private to Public: Transformation of Social Spaces in the South Caucasus. Tbilisi: Heinrich Boell Foundation, 2015. p. 47-67

# C20:

წიგნის პრეზენტაცია

## წყალტუბოს არქიტექტურის გზამკვლევი

მარტინ ზაიჩეკი, ანდრეა კალინოვა

„C20: არქიტექტურის გზამკვლევი“ მე-20 საუკუნის არქიტექტურის ჯიბის გზამკვლევის დამკვიდრებული სლოვაკური ფორმატია. არქიტექტურული ჯიბის გზამკვლევები „მე-20 საუკუნე“ უკვე გამოიცა სხვადასხვა სლოვაკური ქალაქების შესახებ, მათ შორის დედაქალაქ ბრატისლავასა და ცნობილ კურორტებზე: ტრენჩიანსკე-ტეპლიცეს, მაღალი ტატრებისა და პიეშტიანის შესახებ. წიგნების სერია ფოტოგრაფ ანდრეა კალინოვასა და არქიტექტორ მარტინ ზაიჩეკის შემოქმედებითი ინიციატივის, „Abandoned re(creation)“-ის ფარგლებში გამოიცა. პროექტი 2011 წელს, სლოვაკეთის საკურორტო ქალაქში, ტრენჩიანსკე-ტეპლიცეში შეიქმნა. 2019 წელს მათ გამოსცეს წიგნი „ზრუნვის არქიტექტურა - სლოვაკეთის კურორტები XX საუკუნის მეორე ნახევარში“. „Abandoned re(creation)“-ის“ შემოქმედებითი გუნდის ძირითადი ინტერესი ბუნებრივი მინერალებით მდიდარი სამკურნალო წყაროებია. ამ ადგილებს იმ თანამედროვე მოძრაობისა თუ არქიტექტურული თეორიების მძლავრი გავლენა ეტყობა, რომლებიც შრომისა და განტვირთვისთვის იდეალურ რეკრეაციულ ზონებზე საუბრობს. ეს სპა-კურორტები, მაღალი დონის კოსმოპოლიტური არქიტექტურით, სტუმრებს დიდი ქალაქისთვის დამახასიათებელ სერვისებს სთავაზობს, ამავედროულად კი ყველაზე კარგად შენარჩუნებულ ბუნებრივ ზონებში მდებარეობს. სწორედ ამ მიზეზით ეწვია Abandoned (Re)Creation ბორჯომის, აბასთუმნისა და წყალტუბოს ცნობილ კურორტებს 2014 წელს, მისი პირველი ვიზიტისას საქართველოში.





„C20: ქართული სპა-ქალაქის, წყალტუბოს არქიტექტურის გზამკვლევი“ იმ ინტენსიური კვლევის გაგრძელებაა, რომელიც განხორციელდა გამოფენისთვის - „მუდმივი რეკრეაცია“ (გამოფენა 2018 წელს, ბრატისლავაში, გალერეა „მედიუმში“ გაიმართა, 2020 წელს კი - თბილისში, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში). პროექტმა გააფართოვა C20 გზამკვლევების მასშტაბი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სლოვაკეთის ქალაქებს მოიცავდა, ჩართო რა მასში უცხოური დასახლებული პუნქტებიც. წყალტუბო საქართველოს უდიდესი საკურორტო ტერიტორია იყო. ის ერთ-ერთი უდიდესი კურორტი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომლის დაშლამდეც აქ 22 სანატორიუმი ფუნქციონირებდა. ყველაზე აქტიურ წლებში, კურორტის სანოლფონდი 5000 სანოლს მოიცავდა და წელიწადში 100000 სტუმრის მიღება შეეძლო.<sup>1</sup>

## წყალტუბო - საბჭოთა საქართველოს უდიდესი კურორტი

1928 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გრუზკურორტის“ რესპუბლიკური ასოციაციის აბანოსა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. დაარსების დღიდან, ინსტიტუტი ქართული მინერალური რესურსების ბალნეოლოგიურ პოტენციალს იკვლევდა. წყალტუბოს სამკურნალო აბანოები ოფიციალურად 1926 წელს ამოქმედდა და ძირითადად ომის შემდეგ პერიოდში განვითარდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „კურორტპროექტმა“,

სახელმწიფო საპროექტო კომპანიამ, არქიტექტორ იოსებ ზაალაშვილის განსაკუთრებული დამსახურებით, რომელმაც წყალტუბოს გენერალური გეგმა შექმნა. წყალტუბოს სანატორიუმები ძირითადად სოციალური რეალიზმის სტილითაა აგებული. ურბანული გეგმარების კონცეფციის შესაბამისად, მონუმენტური, რეკრეაციული სასახლეები წრეზე, ცენტრალური პარკის ტერიტორიის გარშემო განლაგდა - იქ, სადაც ცხელი წყლებია. მოდერნისტული არქიტექტურა კურორტზე 1960-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. ამ პერიოდის თვალსაჩინო მაგალითია 1987 წელს გახსნილი უზარმაზარი, 600-საწოლიანი სანატორიუმი „საქართველო“, რომელიც მერაბ ჩხენკელმა და რეზო ჯანაშიამ დააპროექტეს.<sup>2</sup>

## 1992 წელი - გარდამტეხი მომენტი

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის 70 წლიანი პერიოდის შემდეგ, მოულოდნელად, საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ იქცა. ამავე წელს, ქვეყნის ეკონომიკა დაეცა 1988 წლის დონის მეოთხედამდე. უმუშევრობამ და ინფლაციამ ასტრონომიულ მასშტაბს მიაღწია. სოციალურმა ჩამორთმევამ პოლიტიკური კრიზისიც გამოიწვია, რომელიც ჯერ 1992 წლის თბილისის სამოქალაქო ომით, შემდეგ კი, 1992-1994 წლებში, აფხაზეთის ომით დაგვირგვინდა. 200000 ეთნიკურ ქართველს აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონის დატოვება მოუწია, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მდებარეობს. ისინი ზღვისგან დაშორებულ რეგიონებში გადავიდნენ. დროებით, დევნილების დიდი ნაწილი სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში ან სპა კურორტებზე დასახლდა. მათ იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი მიიღეს.<sup>3</sup> ერთი შეხედვით მოკლევადიანი პოლიტიკური კრიზისი თითქმის 30-წლიან გაყინულ კონფლიქტად იქცა.

## ჯანდაცვიდან სოციალურ ზრუნვამდე

1992 წელს სანატორიუმები ქვეყნის მთავარ სადაზღვევო კომპანია „ჯანმრთელობას“ ეკუთვნოდა. ამავე წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სანატორიუმებსა და განთავსების შესაძლებლობის მქონე სხვა დაწესებულებებს, მაგალითად სასტუმროებს - დევნილები უნდა მიეღო. დევნილთა ნაკადები არ იყო ორგანიზებული, ეკონომიკურ გაჭირვებაში მყოფ საზოგადოებას კი არ

ჰქონდა გეგმა ან შესაძლებლობა, ეს პრობლემა რაიმე სხვა გზით გადაეჭრა. ორი წლის განმავლობაში, 1993 წლამდე, სასტუმროები და სანატორიუმები ყველა ახალ საცხოვრისზე მაძიებელზე ზრუნავდა, მოგვიანებით კი, როცა ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ ამ პრობლემას ვეღარაფერი მოაგვარებდა, სანატორიუმებმა შეწყვიტეს ამ ახალ მაცხოვრებელთა მომსახურება, რომლებმაც, თავის მხრივ, იქ დიდი ხნით დარჩენის უფლება მიიღეს. სამკურნალო სპა-სანატორიუმის სტანდარტული, ორკაციანი ნომერი საშუალოდ 16 კვადრატულ მეტრს შეადგენს. სწორედ ასეთი ოთახები გადაეცა თითოეულ ოჯახს სულადობის განურჩევლად. ხალხმა საკუთარი ძალებით დაიწყო თავის თავზე ზრუნვა და ახალი სახლების მოწყობა, რაც, მათ შორის, გარე მეზაღეობას და სივრცის გაფართოებას მოიცავდა შემოსასვლელებში განთავსებული სამზარეულოების ხარჯზე.



## შენობების ტრანსფორმაცია

1992 წლიდან წყალტუბოს შენობათა უმეტესობას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა დაიკავეს. ზოგიერთი შესანიშნავი შენობა უკვე მიტოვებულია. გეგმის არარსებობა მათ დიდ საფრთხეს უქმნის - მოსალოდნელია ნგრევა ან მასშტაბური განახლება, რაც მათ თავდაპირველ ხასიათს ეწინააღმდეგება. დიდი ალბათობით, ამ არქიტექტურულ მემკვიდრეობას შეუქცევადი გაქრობა ემუქრება.



გარდაქმნის მთელი პროცესი ქაოტურად მიმდინარეობდა. დამატებითი კონსტრუქციებისთვის ყველაფერი გამოიყენებოდა - იქნებოდა ეს უბრალო ხე, ფანერა, მეტალის ფირფიტები თუ აგური. ადამიანები იმ ადგილობრივ მასალებს იყენებდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ და ამგვარად ცდილობდნენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მასალები ხშირად სოციალური, კულტურული თუ ჯანდაცვის დაწესებულებებიდანაც მოჰქონდათ. გარდაქმნის ეს სტრატეგიები კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად წარმოქმნილ დევნილთა დასახლებებში. შენობების მდგომარეობა განსხვავებულია ადგილების მიხედვით. როგორც წესი, რაც უფრო დიდია ყოფილი სანატორიუმი, მით უფრო უარეს მდგომარეობაშია ის ფიზიკურად - განსაკუთრებით ყოფილი საზოგადოებრივი სივრცეები, როგორიცაა სასადილოები, ადმინისტრაციული ნაწილები, სამზარეულოები, ბალნეოლოგიური დარბაზები თუ კინოთეატრები - ისინი მიტოვებული და გაძარცვულია.

სანატორიუმების უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არც რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა და არც მისი თავდაპირველი ფუნქციით აღდგენის შესაძლებლობას. ამ შენობების აღდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, როგორც, მაგალითად, წყალტუბოში მდებარე საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სანატორიუმის - „საქართველოსი“. გარკვეული დროის განმავლობაში, აქ 1000-მდე ადამიანი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა. დღეს წყალტუბოში დაახლოებით 10000-მდე დევნილი ცხოვრობს, რაც 2000-3000 ოჯახია. თავდაპირველად, ქალაქში 22 სანატორიუმი და ერთი სასტუმრო - „ინტურისტი“ ფუნქციონირებდა. ახლა, თავისი თავდაპირველი სახითა და ფორმით, მხოლოდ ერთი სანატორიუმი მოქმედებს. ყოფილი სამხედრო სანატორიუმი ახლა უკვე პრივატიზებულია და მუშაობს, როგორც სპა სასტუმრო. ორი ყოფილი სანატორიუმი ნანგრევებადაა ქცეული, დანარჩენი 19 შენობა კი კვლავ დევნილთა საცხოვრებელი სივრცეებია.

## გამოქვეყნება ან დავინყება

საარქივო კვლევა Docomomo Georgia-სთან, თბილისის არქიტექტურის ბიენალესა და არქიტექტორ ნანო ზაზანაშვილთან აქტიური თანამშრომლობით განხორციელდა. ფოტოგრაფმა ანდრეა კალინოვამ კვლევისთვის „C20: წყალტუბოს არქიტექტურის გზამკვლევი“ - შენობების ამჟამინდელი მდგომარეობის თანმიმდევრული ფოტოდოკუმენტაცია შექმნა. მარტინ

ზაჩეკისა და ნანო ზაზანაშვილის არქიტექტურული კვლევა მოდერნისტულ არქიტექტურულ უტოპიათა დაშლის პროცესის აღწერას ისახავს მიზნად, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ასევე, კვლევა ცდილობს პარალელური რეგიონული მოდერნიზაციების ხაზგასმას და არქიტექტურის მივიწყებული ისტორიის ჩაწერას.



წიგნის მიზანია ასახოს „დიდებული ისტორიის“ დაღმასვლა. ამ ისტორიის საფუძველი ჰუმანიზმი და ჯანმრთელობა იყო - იდეები, რის განსახორციელებლადაც ძალისხმევას არ იშურებდნენ არქიტექტორები თუ ქალაქმგეგმარებლები; რისთვისაც უმსხვილესი ინვესტიციები გამოიყოფოდა და ფართომასშტაბიანი მშენებლობები მიმდინარეობდა. თუმცა, თავდაპირველი გეგმის ოქროს ხანიდან 40 წლის შემდეგ, ეს ადგილი მოულოდნელი ისტორიული მოვლენების ქარცეცხლში აღმოჩნდა. ადამიანური სირთულეების ფონზე, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიაზე საუბარი არ არის ადვილი. ამიტომ, ჩვენ, როგორც კვლევისა და წიგნის ავტორებმა, გადავწყვიტეთ ნაშრომი არა ინგლისურად, არამედ იმ ადამიანების ენაზე გამოგვექვეყნებინა, ვისთვისაც წყალტუბოს სანატორიუმები ათწლეულების განმავლობაში იქცა სახლად.

# Researching Common Territories

Collateral Event

Tinatin Gurgenidze



## **Project Team:**

Tinatin Gurgenidze (Organizer), Kirill Repin (Organizer), Onur Ceritoglu (Mentor, Curator & Publication Design), Klaudia Kosicińska (Mentor), Misha Aslikian (Local coordinator), Roser Corella (Film)

## **Participants:**

Vani Aslikian, Lala Iskandarli, Saadat Agayeva, Corten Perez-Houis, Hermine Virabian, Natavan Alieva, Sopiko Rostiasvili, Ana Kvichidze, Ketevan Lapachi, Nutsa Lomsadze, Marie-Luise Schega, Maya Perusin Mysorekar, Juri Wasenmüller, Klara Böck, Catherine Steiner, Jan Chrzan, Katya Krat, Stefan Henkel





The summer school “Researching Common Territories” occurred in the Marneuli region of Georgia, neighboring Armenia and Azerbaijan, between September 5 and September 11, 2022. The empirical part of the program focused on the fieldwork that aimed to document everyday practices and commons within an intensive week. The school brought together participants of different nationalities with diverse journalism, architecture, filmmaking, and anthropology backgrounds. The base camp was in Tserakvi village. From there, daily excursions were made to the border villages (Sadakhlo, Shaumiani, and Shulaveri) and the city of Marneuli with the support of local mediators and mentors speaking the region’s languages. The groups primarily focused on common territories currently functioning as public spaces: quiet streets, struggling bazaars, men-occupied tea houses, and a forgotten library. Yet, they also encountered less frequented relics of the past, like abandoned factories. The following paragraphs are dedicated to each participant group.

The Tracing Common Spaces group explored the concept of leaving traces in spaces through human presence, focusing on the complex interrelations between individuals and environments, particularly in the context of anthropocentric climate change in Marneuli and Shulaveri. Their critical look reflects on the challenges of capturing and interpreting these traces objectively, emphasizing the need for epistemic humility



and acknowledging the incompleteness of understanding. It discusses the Marneuli Bazaar's transformation during the pandemic and exploring space through vernacular experiences and phenomenology. Ultimately, it reflects on the intertwined relationship between space and the observers, recognizing the limitations of their methods while embracing the ongoing process of understanding.

The research group, Supra of Stories, explored the significance of food and communal connections in Georgian culture, transcending social and political boundaries. It discusses the philosophical viewpoint that the body shapes how individuals relate to and understand the world, suggesting a deep connection between people and their surroundings. By “walking the landscape,” the participants immersed themselves in the sensory experiences of various communities, highlighting the intertwined nature of border cultures. The journey reveals the richness of cultural diversity and emphasizes the importance of embracing differences and shared experiences.

The participants focused on the abandoned Kiosks Shaumiani, a village historically significant in the Russian Empire and Soviet times and mainly inhabited by Armenians, now facing challenges. They explored the village's past self-sufficiency during Soviet

times, mainly through its kiosks and the Sovkhoz system, contrasting it with its current dependency on external sources for goods. The decline of local production and the shift towards consumer-focused capitalism have impacted Shaumiani's population and access to goods, challenging perceptions of socialism-era shortages. Here, others focused on the public library. They transcribed encounters and conversations with librarians and museum staff by exploring video making. They explored how history can be told in a room full of books in multiple languages, including Georgian, Armenian, and Russian, as Soviet legacies. The library and adjacent museum remain open daily despite the decay of the former cultural center. Their approach raises questions about the changing dynamics of book stocks, languages, and reader preferences over time and the care of a multilingual archive while shifting political and ideological landscapes.

Another group explored the concept of borders and common territories in Sadakhlo, a village on the Armenian-Georgian border inhabited by Azerbaijanis. They identify three main types of borders: physical/geopolitical, within the built environment, and gendered divisions. The participants reflect on their experiences during fieldwork, where they initially focused on the thresholds marked with walls but later shifted their attention to the life happening between and behind the walls. They discuss border passing, the spatial experience of Sadakhlo, common places for community interaction, and the challenges of understanding and navigating social encounters due to cultural and language barriers. Despite these obstacles, they were able to engage with locals, participate in cultural events like weddings, and share food as a common ground for connection.

During this field research, each group aimed to understand daily practices, often through the lens of food. The villagers welcomed them with great hospitality and showed them some traditional dishes. Witnessing multiethnic togetherness in the border region, the participants mapped the villages' landmarks and gathered stories about migration, regional politics, and traditional culture. As a part of the Tbilisi Architecture Biennial 2022, the outcome of the summer school was presented at Praktika Café in Tbilisi. The event hosted the participants' observations in different mediums: photo prints, documentary videos, poems, sketches, and research memoirs, challenging limitations in printed format to document and archive what was achieved in a short time.



# საერთო ტერიტორიების კვლევა

პარალელური ღონისძიება

თინათინ გურგენიძე



## **პროექტის გუნდი:**

თინათინ გურგენიძე (ორგანიზატორი), კირილ რეპინი (ორგანიზატორი),  
ონურ ჩერითოლღუ (მენტორი, კურატორი & პუბლიკაციის დიზაინერი),  
კლაუდია კოსიციუსკა (მენტორი), მიშა ასლიკიანი (ადგილობრივი  
კოორდინატორი), როზერ კორელა (ოპერატორი)

## **მონაწილეები:**

ვანი ასლიკიანი, ლალა ისკანდარლი, საადათ აგაევა, კორტენ პერეს-ჰუისი,  
ჰერმინე ვირაბიანი, ნათავან ალიევა, სოფიკო როსტიაშვილი, ანა კვიჩიძე  
ქეთევან ლაფაჩი, ნუცა ლომსაძე, მარი-ლუიზ შეგა, მაია პერუსინ  
მისორეკარი, იური ვასენმიულერი, კლარა ბიოკი, კეტრინ შტაინერი,  
იან ჩრზანი, კატია კრატი, სტეფან ჰენკელი

საზაფხულო სკოლა „საერთო ტერიტორიების კვლევა“ 2022 წლის 5-11 სექტემბერს გაიმართა საქართველოში, კერძოდ მარნეულის რაიონში, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრება. პროექტის ემპირიული ნაწილი საველე სამუშაოს მოიცავდა და ერთი, დატვირთული კვირის განმავლობაში მონაწილეთა ყოველდღიური საქმიანობისა და საერთო სივრცეების დოკუმენტირებას ისახავდა მიზნად. საზაფხულო სკოლაში სხვადასხვა წარმომავლობისა და პროფესიული გამოცდილების მქონე მონაწილეებმა მოიყარეს თავი, მათ შორის ადამიანებმა ჟურნალისტიკის, არქიტექტურის, კინოსა და ანთროპოლოგიის სფეროებიდან. ძირითადი ბანაკი სოფელ წერაქვში იყო განთავსებული. აქედან ტარდებოდა ყოველდღიური ექსკურსიები საზღვრისპირა სოფლებსა და ქალაქ მარნეულში, მაცხოვრებლების შუამავლობითა და ადგილობრივ ენებზე მოლაპარაკე მენტორების მხარდაჭერით. ჯგუფების ყურადღება საერთო ტერიტორიებისკენ იყო მიპყრობილი - ადგილებისკენ, რომლებიც ამჟამად საზოგადოებრივ სივრცეებად გამოიყენება: წყნარი ქუჩები, ხმაურიანი ბაზრები, საჩაიეები, რომლებსაც ძირითადად კაცები სტუმრობენ თუ მივიწყებული ბიბლიოთეკა. თუმცა, ამასთან ერთად, სკოლის მონაწილეებმა იშვიათი წარსულის რელიკვიებიც აღმოაჩინეს, როგორიც, მაგალითად, მიტოვებული ქარხნებია. ქვემოთ მოცემული აბზაცები თითოეული ჯგუფის კვლევისა და აქტივობას ეძღვნება.

„საერთო სივრცეების მოკვლევის ჯგუფი“ ადამიანის კვალს იკვლევდა სივრცეში; შეისწავლიდა ინდივიდსა და გარემოს შორის არსებულ რთულ ურთიერთკავშირს კლიმატის ანთროპოცენტრული ცვლილების კონტექსტში, მარნეულსა და შულავერში. ჯგუფის კრიტიკული მზერა ადამიანური კვალის დაფიქსირებისა და ობიექტური ინტერპრეტაციის საკითხს უღრმავდებოდა და ეპისტემური თავმდაბლობის საჭიროების ხაზგასმით, აღქმა/გააზრების ლიმიტებზე საუბრობდა. ისინი აკვირდებოდნენ პანდემიის პერიოდში მარნეულის ბაზრის გარდაქმნას და ამ სივრცეს ხალხური გამოცდილებისა და ფენომენოლოგიის კუთხით აანალიზებდნენ. კვლევა შეეხებოდა სივრცესა და დამკვირვებელს შორის არსებულ მჭიდრო კავშირს; იმავდროულად, ის აცნობიერებდა კვლევის მეთოდების შეზღუდვებს და გააზრების მიმდინარე პროცესზეც კონცენტრირდებოდა.

კვლევითი ჯგუფი „ისტორიების სუფრა“ საკვებისა და სათემო კავშირების როლს იკვლევდა ქართულ კულტურაში, რაც სოციალურ და პოლიტიკურ საზღვრებს სცდება.

კვლევა ადამიანისა და გარემოს კავშირის სიმტკიცეს, ინდივიდის სხეულებრივ აღქმას, სამყაროს შეცნობის უნარსა და მასთან დამოკიდებულებას აკვირდებოდა. „ლანდშაფტში სეირნობისას“ მონაწილეები სხვადასხვა სენსორულ გამოცდილებას იღებდნენ და საზღვრისპირა კულტურების გადაკვეთის წერტილებს ეძებდნენ. ამ მოგზაურობამ კულტურული მრავალფეროვნების სიმდიდრე გამოააშკარავა და ხაზი გაუსვა განსხვავებებისა თუ საერთო გამოცდილებების მიმღებლობის მნიშვნელობას.

მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს, ასევე, მიტოვებულ ჯიხურებზე შაუმიანში. რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა ეპოქაში ისტორიული მნიშვნელობის ეს სოფელი, რომელიც ძირითადად სომხებითაა დასახლებული, ამჟამად გამოწვევების წინაშე დგას. მონაწილეები იკვლევდნენ ამ სოფლის თვითმომარაგების შესაძლებლობებს, რაც, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ძლიერი იყო საბჭოთა პერიოდში - დღევანდელი ვითარებისგან განსხვავებით, როცა პროდუქტის ხელმისაწვდომობა გარე მომწოდებლებზეა დამოკიდებული. ადგილობრივი წარმოების შემცირებამ და მომხმარებელურ კაპიტალიზმზე გადასვლამ შაუმიანის მოსახლეობის პროდუქტებზე წვდომა შეასუსტა და გააჩინა კითხვები „პროდუქტის დეფიციტთან“ დაკავშირებით სოციალიზმის ეპოქის კონტექსტში. ჯგუფის სხვა წევრებმა ადგილობრივი ბიბლიოთეკა შეისწავლეს: გადაიღეს ვიდეოები, ჩანერეს ინტერვიუები და შეხვედრები ბიბლიოთეკარებთან თუ მუზეუმის თანამშრომლებთან. ისინი ისტორიაზე საუბრის გზებს ეძებდნენ იმგვარ სივრცეში, რომელიც სავსეა რამდენიმე ენაზე დანერგილი წიგნებით: ქართულად, სომხურად თუ რუსულად - რაც, თავის მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობის კვალია. ყოფილი კულტურის ცენტრისგან განსხვავებით, ბიბლიოთეკა და იქვე არსებული მუზეუმი მუშაობას ყოველდღიურ რეჟიმში განაგრძობს. პროექტის ფარგლებში განიხილებოდა, ასევე, წიგნების მარაგისა და ენობრივი წვდომის საკითხები, ისევე, როგორც დროთა განმავლობაში მკითხველთა ინტერესის ცვლილება და მრავალენოვან არქივზე ზრუნვის მეთოდები გარდამავალ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოცემულობებში.

კიდევ ერთმა ჯგუფმა საზღვრებისა და საერთო ტერიტორიების საკითხი გამოიკვლია საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარე სოფელ სადახლოში, რომელიც აზერბაიჯანელებით არის დასახლებული. კვლევაში საზღვრის სამი ძირითადი ტიპია გამოყოფილი: ფიზიკური/გეოპოლიტიკური, განაშენიანებულ გარემოში არსებული და გენდერული. მონაწილეებმა განიხილეს საველე სამუშაოების დროს მიღებული გამოცდილებები, როცა ისინი ჯერ ზღურბლებზე კონცენტრირდებოდნენ, რომლებიც კედლებით იყო



აღნიშნული, შემდეგ კი ყურადღება გაამახვილეს უკვე კედლებს შორის და მათ მიღმა მიმდინარე პროცესებზე. ისინი მსჯელობდნენ საზღვრების კვეთაზე; სადახლოს სივრცით გამოცდილებაზე; საერთო სივრცეებზე ურთიერთობებისთვის და იმაზე, თუ როგორ ართულებს კულტურული და ენობრივი ბარიერები სოციალურ ურთიერთობებსა და გამორკვევას. ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, ჯგუფმა შეძლო ადგილობრივებთან ურთიერთობაში შესვლა და ისეთ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორიც ქორწილები ან საერთო სივრცეში საკვების გაზიარებაა.



საველე კვლევის განმავლობაში, თითოეული ჯგუფი მიზნად ისახავდა ყოველდღიურ პრაქტიკებს ჩანვდომოდა და ხშირად, ამას საკვების ფენომენზე დაკვირვებით ახერხებდა. ადგილობრივებმა მონაწილეთა მიმართ სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და მათ ტრადიციული კერძები გაასინჯეს. საზღვრისპირა რეგიონში მრავალეთნიკურ ერთობაზე დაკვირვებისას, ჯგუფის წევრებმა სოფლების ღირშესანიშნაობათა რუკაზე დატანასთან ერთად, შეაგროვეს ისტორიები მიგრაციაზე, რეგიონულ პოლიტიკასა და ადგილობრივ ტრადიციებზე და კულტურულ პრაქტიკებზე.

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში განხორციელებული საზაფხულო სკოლის შედეგების წარდგენა თბილისში, კაფე „პრაქტიკაში“ შედგა. ღონისძიება მოიცავდა სხვადასხვა მედიუმის მეშვეობით შედეგების ჩვენებას: ფოტომასალას, ვიდეო დოკუმენტაციას, ლექსებს, ჩანაწერებსა და მემუარებს. დოკუმენტირების სხვადასხვა ფორმის გამოყენებამ, ბეჭდური ფორმატის შეზღუდვათა დაძლევათა ერთად, სკოლის მონაწილეებს მოკლე დროში მოპოვებული ვრცელი მასალის დაარქივების შესაძლებლობაც მისცა.

Compared to the academic format of the first one, the second day of the symposium was dedicated to personal stories, documentation of conflict zones and crisis architecture, and narratives of empirical crisis experience. The symposium was held in Sanatorium Kartli, where one of our hosts, Irma Nachkebia, lived. Thanks to her efforts and support, it became possible to have the Biennial at the sanatorium. Irma's speech itself was biographical in nature: her history in a chamber, a very cozy and informal space, the experiences of Ukrainian architects or the discussions of the residents of the sanatorium left a single and robust emotional effect in its wholeness: it all underlined the spatial feeling of temporality and crisis architecture, and laid the foundation for new, essential connections.

# Symposium: Day 2

Symposium

## **State of Temporality**

Shortly after the restoration of independence in 1992, Georgia dedicated its first large-scale reform to housing privatization. The goal was to create a social stratum of property owners, and as a result, a class of housing owners appeared in post-Soviet Georgia. The responsibility for the care of the apartment was assigned to the owner and the citizen, even though the social and economic institutions necessary for the relevant policy hadn't been created. The accelerated privatization process was accompanied by a large-scale political crisis in the country: the military conflicts of the 1990s, 300,000 displaced persons left homeless, families turned into eco-migrants due to ecological disasters, and unemployment. Due to the deteriorating economic situation and health and education needs, private ownership of an apartment has become a prerequisite for obtaining a bank loan for the owner class, and taking a loan (for health care or education expenses) has become a privilege for the homeless.

The recent history of Georgia is characterized by a state of temporality. In the language of politics, it's called a country and society in transition, which is in this phase temporarily. In a state of temporality, the citizen is a temporary IDP, homeless, unemployed, migrant, low-skilled workforce, mortgage holder, self-employed, job seeker, a student with terminated status, or dependent on social assistance. However, unlike the temporary condition that was supposed to have an end, this temporary condition has become transgenerational, has been normalized, and is now passed on from one generation to another. What will the temporal state of the next generation be?



## **Katie Sartania**

Katie Sartania is a sociologist who observes and researches urban and social life in Tbilisi. Her background is BA in Sociology, and she is currently an MA student in Modern Georgian History at Ilia State University. By combining the fields of sociology and history, Katie tries to explain social exclusion and its historical development through the examples of different social groups. Since 2014, she has been involved in research activities. She has worked on research projects related to housing policy issues: the situation of homeless people, IDPs, and other socially vulnerable groups in Tbilisi and other cities of Georgia. Her research interests include urban development, social policy, socially marginalized groups, social change, and its determinants. Katie is the author and co-author of several articles and studies.

## **Irma Natchkebia**

Irma Natchkebia is an internally displaced person from Sukhumi, Abkhazia. Although she is a nurse by education, she is currently a housewife.

## **Gabriel Chubinidze**

Gabriel Chubinidze holds a bachelor's degree from the Faculty of Sociology and a master's degree in Modern Georgian History from Ilia State University. He has participated in many research projects and cooperates with various media organizations, including Indigo magazine and Publica. His main area of interest is the Georgian-Abkhazian conflict and the ongoing transformational processes in the post-Soviet space.

## **Zurab Menagharishvili**

Zurab Menagharishvili graduated from the political science program of Tbilisi State University in 2018. He holds a master's degree in international relations from Ilia State University. Since 2020, he has worked in the Georgian publication Netgazeti on issues such as state policy, regional conflicts, the economy, social inequality, and others.

## Eliko Bendeliani

Eliko Bendeliani is a researcher of peace and conflict. She is one of the founders of the “Center for Peace and Civil Development” and works at “The Institute for the Study of Nationalism and Conflicts” (ISNC). Her main field of activity is peacebuilding, studying the problems and needs of the population affected by the conflict and protecting their rights. She cooperates with various local and international organizations. Eliko Bendeliani was awarded the International Peace Prize of Young Women “for her exceptional contribution to establishing peace and security in the region and protecting human rights.”

## Keynote: Anna Pashynska

Anna Pashynska is a co-founder and curator of an Urban Laboratory “MetaLab”, Urban Biennale “City Scanning Session” and maker space “Parasolka” in Ivano-Frankivsk (Ukraine). Anna leads a wide range of projects, specializing in spatial research and design, product design, community-led public space projects, and institutional planning.



## Discussion: PROTECTED LANDS (in English)

Ukrainian Pavilion - Pavilion of Culture

What's next? For all Ukrainians, this "next" has a specific connection to the end of the war. What will happen next after the war? What will happen to our cities, villages, fields, and forests and the survivors?

After the occupation, the territories became different. There were destroyed houses, mined forests, and contaminated land. Even if we can rebuild buildings and streets and make them even better, we cannot restore damaged, contaminated lands.

The earth is sacred for Ukrainians; this is our foundation, roots, and memory. But how much has our relationship with the land so far differed from the colonial attitude to the ground as a resource, as a source of enrichment? Isn't it time to reconsider this exploitative vision?

Since the beginning of hostilities, the land has participated in the process. It operates the direction of the offensive and dictates the conditions of defense. Protected swamps are reliable outposts on the outskirts of Kyiv and Kharkiv, and wet river valleys and ancient forests become natural obstacles. Now, the entire front line passes through the territories of the open steppe, the historical "wild field." For centuries, these lands have been a battlefield, a place for the formation of an independent nation.







But in our time, they have become territories occupied by monocultures; now, these are endless agricultural fields. Due to massive shelling and the accumulation of heavy metals and other substances harmful to the soil, these areas should no longer be used to grow crops or build. Is this not a chance to restore the natural steppe?

There are already some examples in Ukrainian history of how territories are reborn after catastrophes if human activity ceases on them. The most famous of these examples is Chornobyl. The main question is, how much land are we ready to withdraw from use, agricultural and urban planning to allow it to recover? And are we prepared to say goodbye to these lands forever or only temporarily, as happened in Chornobyl?

Martial law on the territory of Ukraine will end as soon as the last Russian soldier leaves our land. But when will the martial law of the earth that has experienced hostilities end? The natural restoration of destroyed ecosystems with all living organisms inhabiting them will require tens and possibly hundreds of years.

According to the Constitution of Ukraine, "land is the main national wealth, which is under the special protection of the state." Now, we are defending and reclaiming our land from the enemy. However, we must switch to protecting the earth from our activities after the victory. *Non nobis, sed omnibus.*



## Polina Baitsym

Polina Baitsym is an art historian and curator specializing in the history of Ukrainian Soviet visual arts. Currently, she is a Ph.D. Candidate in Comparative History at Central European University (Budapest, Hungary/Vienna, Austria) and curator of the Museum of Contemporary Art NGO (MOCA) Library, Kyiv, Ukraine. In 2018, Baitsym launched a research initiative dedicated to Ukrainian children's illustrations of the 1960s and 1990s, within which she curated two exhibitions in 2019. In 2020, she issued a book on Ukrainian Soviet mosaics, *Art for Architecture. Ukraine. Soviet Modernist Mosaics from 1960 to 1990* (Berlin: DOM Publishers, 2020), co-written with documentary photographer Yevgen Nikiforov. She is a Visiting Researcher at the Institute of Fine Arts (IBK) at the Academy of Fine Arts in Vienna, Austria.



## Nina Dyrenko

Nina Dyrenko is a researcher, planting designer, gardener, and practitioner of urban gardening on various scales - from creating pocket gardens to greenery projects of former factories. She Curated the educational program on urban ecosystems at xawwi34. Currently, Nina is working on a Book about trees in Kyiv. Dyrenko is a Master of Journalism at Taras Shevchenko National University of Kyiv.

## Benjamin Hackenberger

Ben is a landscape architect, environmental historian, and teacher. At Ruderal, he directs research in digital landform design, manages landscape architecture training, and collaborates on developing new workflows. Before joining Ruderal as a research fellow in 2019, he worked in the offices of J Bohn Associates and Melinda Taylor Associates in Los Angeles, where he coordinated construction documentation, prepared client presentations, and performed research for student housing, transit-oriented development, exhibitions, bespoke residential project sectors among others. He holds a degree in Environmental Analysis from Pomona College and a Master of Landscape Architecture from the Harvard University Graduate School of Design, where his thesis focused on the cultural and formal adaptation of Soviet-era landscapes in the neighborhood of Saburtalo in Tbilisi. His Southern California water rights landscapes scholarship is published in the Journal of Urban History. Ben is an alumnus of the New York University Abu Dhabi Global Academic Fellowship.

## Darya Tsymbalyuk

Darya Tsymbalyuk researches writes and draws. She is a Visiting Fellow at IWM (Institute for Human Sciences), Vienna, and received her PhD from the University of St Andrews, Scotland, in 2021. Her work lies at the intersection of environmental, decolonial, and feminist methodologies and artistic research. You can find out more about her here: [daryatsymbalyuk.com](http://daryatsymbalyuk.com)



სიმპოზიუმის პირველ დღესთან  
შედარებით, რომელიც აკადემიურ  
ფორმატში წარიმართა, მეორე დღე პირად  
ისტორიებს, კონფლიქტური ზონებისა და  
კრიზისის არქიტექტურის დოკუმენტაციასა  
და კრიზისის ემპირიული გამოცდილების  
თხრობას დაეთმო. სიმპოზიუმი სანატორიუმ  
„ქართლში“ გაიმართა, სადაც ჩვენი  
ერთ-ერთი მასპინძელი, ირმა ნაჭყებია  
ცხოვრობდა. სწორედ მისი ძალისხმევითა  
და მხარდაჭერით შევძელით, ღონისძიება  
სანატორიუმში ჩაგვეტარებინა. თავად ირმას  
ბიოგრაფიული ხასიათის მოხსენება ჰქონდა.  
მისმა ისტორიამ, რომელიც არაფორმალურ,  
მყუდრო სივრცეში მოვისმინეთ, უკრაინელი  
არქიტექტორების გამოცდილებებმა  
თუ სანატორიუმის მაცხოვრებელთა  
დისკუსიებმა, მთლიანობაში, ძლიერი  
ემოციური გავლენა მოახდინა: ხაზი  
გაუსვა დროებითობისა და კრიზისის  
არქიტექტურის სივრცით შეგრძნებას და  
ახალ, მნიშვნელოვან კავშირებს დაუდო  
საფუძველი. სიმპოზიუმის მეორე დღის  
პროგრამა შემდეგი თანმიმდევრობით იყო  
წარმოდგენილი:

# სიმპოზიუმი: დღე II

სიმპოზიუმი

## დროებითი მდგომარეობა

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან მალევე, 1992 წელს, საქართველომ თავისი პირველი მასშტაბური რეფორმა სწორედ ბინების პრივატიზაციას მიუძღვნა. რეფორმის მიზანი მესაკუთრეთა სოციალური ფენის წარმოქმნა იყო და შედეგად, პოსტ-საბჭოთა საქართველოში გაჩნდა კიდევ უძრავი ქონების მესაკუთრეთა კლასი. საცხოვრებლის მოვლის პასუხისმგებლობა ისე დაეკისრა მოქალაქე-მესაკუთრეს, რომ შესაბამისი პოლიტიკისთვის საჭირო სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტები არ შექმნილა. პრივატიზაციის დაჩქარებულ პროცესს ქვეყანაში მიმდინარე მასშტაბური პოლიტიკური კრიზისიც დაერთო: 1990-იანი წლების სამხედრო-შეიარაღებული კონფლიქტები, უსახლკაროდ დარჩენილი 300000 დევნილი, ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად ეკომიგრანტებად ქცეული ოჯახები თუ უმუშევრობა. შედეგად, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანდაცვისა და განათლების საჭიროებების გამო, ბინის კერძო საკუთრებაში ფლობა მესაკუთრეთა კლასისთვის საბანკო სესხის აღების წინაპირობა გახდა; უბინაოთათვის კი სესხის აღება (ჯანდაცვისა თუ განათლების ხარჯებისთვის) პრივილეგიად იქცა.

საქართველოს უახლესი ისტორია დროებითი მდგომარეობით ხასიათდება. პოლიტიკის ენაზე ამას უწოდებენ ტრანზიციას - გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასა და საზოგადოებას, რომელიც დროებით იმყოფება აღნიშნულ ფაზაში. დროებით მდგომარეობაში მოქალაქე დროებით არის დევნილი, უსახლკარო, უმუშევარი, მიგრანტი, დაბალკვალიფიციური მუშახელი,



იპოთეკით დატვირთული, თვითდასაქმებული, სამუშაოს მაძიებელი, სტატუსშენწყვეტილი სტუდენტი თუ სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული პირი. თუმცა, იმგვარი დროებითი მდგომარეობისგან განსხვავებით, რომელსაც ოდესღაც დასასრული უნდა ჰქონოდა, ეს დროებითი მდგომარეობა ტრანსგენერაციული გახდა, იქცა ნორმად და თაობიდან თაობას გადაეცემა. როგორი იქნება შემდეგი თაობის დროებითი მდგომარეობა?

## მონანილეები

### ქეთი სართანია

ქეთი სართანია სოციოლოგია, რომელიც თბილისის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებას იკვლევს და აკვირდება. ის ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციოლოგიაში და ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია საქართველოს უახლესი ისტორიის მიმართულებით. სოციოლოგიისა და ისტორიის დარგების გაერთიანებით, ქეთი ცდილობს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შესწავლის საფუძველზე ახსნას სოციალურ გარიყვა და ამ ფენომენის ისტორიული განვითარება. კვლევით საქმიანობაში ჩართულია 2014 წლიდან, მუშაობდა საბინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებზე: უსახლკაროთა მდგომარეობაზე, დევნილებისა და სხვა სოციალურად მონყვლადი ჯგუფების საკითხებზე თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ურბანულ განვითარებას, სოციალურ პოლიტიკას, სოციალურად მარგინალიზებულ ჯგუფებს, სოციალურ ცვლილებასა და მის გამომწვევ ფაქტორებს. ქეთი არაერთი პუბლიკაციისა თუ კვლევის ავტორი და თანაავტორია.

### ირმა ნაჭყებია

ირმა ნაჭყებია სოხუმიდანაა, ის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია, დევნილი. განათლებით ექთანია, ამჟამად - დიასახლისი.

### გაბრიელ ჩუბინიძე

გაბრიელ ჩუბინიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროგრამის ბაკალავრი და საქართველოს უახლესი ისტორიის პროგრამის მაგისტრია. ჩართულია

არაერთ კვლევით პროექტში და თანამშრომლობს სხვადასხვა მედია ორგანიზაციასთან, მათ შორის ჟურნალ „ინდიგოსა“ და ონლაინ გამოცემა „პუბლიკასთან“. მისი მთავარი ინტერესის სფერო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებია.



## ზურაბ მენაღარიშვილი

ზურაბ მენაღარიშვილმა 2018 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების პროგრამა. ის ფლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხს. 2020 წლიდან, ზურაბი ქართული გამოცემა „ნეტგაზეთისთვის“ მუშაობს სახელმწიფო პოლიტიკის, რეგიონული კონფლიქტებისა და სოციალური უთანასწორობის საკითხებზე.

## ელიკო ბენდელიანი

ელიკო ბენდელიანი მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევარია. ის „მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტში“ (ISNC) მუშაობს. მისი საქმიანობის ძირითადი სფერო მშვიდობის მშენებლობა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემებისა თუ საჭიროებების შესწავლა და მათი უფლებების დაცვაა. ელისო სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. მიღებული აქვს „საერთაშორისო სამშვიდობო პრემია ახალგაზრდა

ქალებისთვის“ რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

## **მთავარი მომხსენებელი: ანა პაშინსკა**

ანა პაშინსკა ქალაქის განვითარების ლაბორატორიის, METALAB-ისა და ურბანული ფესტივალის „City Scanning Session“-ის თანადამფუძნებელია, ასევე სივრცე „Parasolka“-ს დამფუძნებელი ივანო-ფრანკივსკში (უკრაინა).. ანა ხელმძღვანელობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, განსაკუთრებით ფოკუსირდება სივრცით კვლევასა და დიზაინზე, პროდუქტის დიზაინზე, თემზე-ორიენტირებული საჯარო სივრცეების პროექტებსა და ინსტიტუციურ დაგეგმვაზე.

## **დისკუსია: დაცული ტერიტორიები**

რა იქნება შემდეგ? ეს „შემდეგ“ ყოველი უკრაინელისთვის თავისებურად დაკავშირებულია ომის დასრულებასთან. რა იქნება ომის შემდეგ? რა დაემართება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, მინდვრებსა და ტყეებს, გადარჩენილებს?

ოკუპაციის შემდეგ ტერიტორიები იცვლება. აქ დანგრეული სახლები, დანადგომები ტყეები და დაბინძურებული მიწებია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობებისა და ქუჩების აღდგენას შევძლებთ, მოვახერხებთ მათ კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ჩვენ ნამდვილად ვერ შევძლებთ დაზიანებული, დაბინძურებული მიწების აღდგენას.

მიწა უკრაინელებისთვის წმინდაა. ეს ჩვენი საფუძველი, ფესვები და მეხსიერებაა. თუმცა, როგორი იყო აქამდე ჩვენი ურთიერთობა მიწასთან, იყო თუ არა ის თავისუფალი კოლონიური დამოკიდებულებისგან - მიწის, როგორც რესურსის, როგორც გამდიდრების წყაროდ აღქმისგან? ნუთუ არ მოვიდა ამ ექსპლუატაციური მიდგომის გადახედვის დრო?

მიწა საომარი მოქმედებების დასაწყისიდანვე მონაწილეობს ამ პროცესში. ის განსაზღვრავს შეტევის მიმართულებას, გვკარნახობს თავდაცვის პირობებს. დაცული ჭაობები საიმედო სამხედრო პოსტებია კიევისა და ხარკოვის გარეუბნებში, მაშინ, როდესაც მდინარის სველი ხეობები და უძველესი ტყეები ბუნებრივ დაბრკოლებად იქცევა. ახლა მთელი ფრონტის ხაზი ღია



სტეპის ტერიტორიებზე - ისტორიულ „ველურ ველზე“ გადის. საუკუნეების განმავლობაში, ეს მიწები ბრძოლის ველი, დამოუკიდებელი ერის ჩამოყალიბების ადგილი იყო. თუმცა, ჩვენს დროში ეს ადგილები მონოკულტურებმა დაისაკუთრა; ახლა აქ დაუსრულებელი სასოფლო-სამეურნეო მიწდვრებია. მასიური დაბომბვისა და ნიადაგისთვის საზიანო მძიმე მეტალების თუ სხვა ნივთიერებების კონცენტრირების გამო, წესით, შეუძლებელი უნდა გახდეს მათი კულტურების მოსაყვანად ან სამშენებლოდ გამოყენება. ხომ არ არის ეს ბუნებრივი სტეპის აღდგენის შანსი? უკრაინის ისტორიაში უკვე არსებობს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ იბადება ტერიტორიები ხელახლა, კატასტროფების შემდეგ, როცა ადამიანი შეწყვეტს მათზე ზემოქმედებას. ამ მაგალითებს შორის ყველაზე ცნობილი ჩერნობილის შემთხვევაა. მთავარი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა მოცულობის მიწა შეგვიძლია დავთმოთ, უარი ვთქვათ მის გამოყენებაზე, სოფლის-მეურნეობასა და ურბანულ დაგეგმარებაზე, რა მოცულობის მიწას შეგვიძლია მივცეთ აღდგენის საშუალება? ვართ თუ არა მზად იმისთვის, რომ სამუდამოდ დავემშვიდოებით ამ მიწებს; თუ ვემშვიდობებით მათ მხოლოდ დროებით, როგორც ეს ჩერნობილში მოხდა?



ჯარისკაცი დატოვებს, მაგრამ როდის დასრულდება საომარი მოქმედებები დედამიწაზე? განადგურებული ეკოსისტემების ბუნებრივ აღდგენას, მასში მცხოვრები ყველა ცოცხალი ორგანიზმით - ათობით და შესაძლოა, ასობით წელიც კი დასჭირდეს.

უკრაინის კონსტიტუციის მიხედვით, „მინა მთავარი ეროვნული სიმდიდრეა და ის სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშაა“. ახლა ჩვენ ვიცავთ და ვიბრუნებთ ჩვენს მინას მტრისგან, თუმცა გამარჯვების შემდეგ, ჩვენ დედამიწა უნდა დავიცვათ ჩვენი საქმიანობისგან. Non nobis, sed omnibus.



## მონანილეები

### კულტურის პავილიონი

კულტურის პავილიონი (Pavilion Kultury) კულტურული ინსტიტუტია კიევში, რომელიც 2020 წლიდან არსებობს და ხელოვანებისა და მათი ექსპერიმენტებისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. Pavilion Kultury-ის არქიტექტურული მიმართულება, ვიზუალურ ხელოვნებასთან და თანამედროვე კლასიკურ მუსიკასთან ურთიერთობის გზით, დისციპლინის ახალი ასპექტების გამოვლენას ცდილობს.

# მომხსენებლები

## პოლინა ბაიციმი

პოლინა ბაიციმი ხელოვნების ისტორიკოსი და კურატორია უკრაინის საბჭოთა ვიზუალური ხელოვნების ისტორიის განხრით. ამჟამად ის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტია შედარებით ისტორიაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი/ვენა, ავსტრია) და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის არასამთავრობო ორგანიზაცია MOCA-ს ბიბლიოთეკის კურატორი (კიევი, უკრაინა). 2018 წელს ბაიციმმა კვლევითი ინიციატივა წამოიწყო, რომელიც უკრაინელი ბავშვების 1960-1990-იანი წლების ილუსტრაციებს მიეძღვნა. ამავე ინიციატივის ფარგლებში, 2019 წელს, პოლინა ორი გამოფენის კურატორი იყო. 2020 წელს მან გამოსცა წიგნი უკრაინული საბჭოთა მოზაიკის შესახებ „ხელოვნება არქიტექტურისთვის. უკრაინა. საბჭოთა მოდერნისტული მოზაიკა 1960 წლიდან 1990 წლამდე“ (DOM Publishers, ბერლინი, 2020), რომელიც დოკუმენტალისტ ფოტოგრაფთან, ევგენ ნიკიფოროვთან ერთად დაწერა. პოლინა მოწვეული მკვლევარია ვენაში, ავსტრიის სახვითი ხელოვნების აკადემიის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში (IBK).

## ნინა დირენკო

ნინა დირენკო მკვლევარი, გამწვანების დიზაინერი და მებაღეა. ის ურბანული მებაღეობის პრაქტიკოსია სხვადასხვა მასშტაბით: ჯიბის ბაღების შექმნიდან - ყოფილი ქარხნების გამწვანების პროექტებამდე. ნინა კურირებდა საგანმანათლებლო პროგრამას ურბანული ეკოსისტემების შესახებ „xawwi34“-ზე. ამჟამად მუშაობს წიგნზე კიევის ხეების შესახებ. არის კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მაგისტრი.

## ბენჯამინ ჰაკენბერგერი

ბენი ლანდშაფტის არქიტექტორი, გარემოსდაცვითი ისტორიკოსი და მასწავლებელია. ის Ruderal-ში ციფრული რელიეფის დიზაინის კვლევებს ხელმძღვანელობს, ატარებს ლანდშაფტის არქიტექტურის კურსებს და ახალი ტიპის სამუშაო პროცესების ჩამოყალიბების საკითხზე

თანამშრომლობს სხვა პროფესიონალებთან. სანამ, 2019 წელს, Ruderal-ს შეუერთდებოდა, როგორც მკვლევარი, ბენჯამინი J Bohn Associates-ისა და Melinda Taylor Associates-ის ოფისებში მუშაობდა ლოს-ანჯელესში, სადაც სამშენებლო დოკუმენტაციის კოორდინატორი იყო, კლიენტებისთვის პრეზენტაციებს ამზადებდა და ახორციელებდა კვლევებს სტუდენტური საცხოვრებლის, ტრანზიტზე ორიენტირებული განვითარების, შეკვეთილი საცხოვრებელი პროექტების სექტორის შესახებ თუ სხვადასხვა გამოფენისთვის. ფლობს პომონას კოლეჯის გარემოსდაცვითი ანალიზის ბაკალავრის ხარისხსა და ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის სკოლის მაგისტრის ხარისხს. მისი სამაგისტრო ნაშრომი თბილისის ერთ-ერთი უბნის, საბურთალოს მიმდებარე ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდის პეიზაჟების კულტურულ და ფორმალურ ადაპტაციას იკვლევდა. მიღებული აქვს სამხრეთ კალიფორნიის water rights landscapes-ის კვლევითი სტიპენდია, რომლის შედეგად განხორციელებული კვლევაც Journal of Urban History-ში გამოქვეყნდა. ბენი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის აბუ-დაბის სკოლის გლობალური აკადემიური სტიპენდიის კურსდამთავრებულია.

## **დარია ციმბალიუკი**

დარია ციმბალიუკი იკვლევს, წერს და ხატავს. ის მოწვეული სტიპენდიანტია IWM-ში (ადამიანის მეცნიერებათა ინსტიტუტი), ვენაში. დარიამ დოქტორის ხარისხი 2012 წელს, სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტში, შოტლანდიაში მიიღო. მისი ნამუშევრები გარემოსდაცვითი, დეკოლონიური და ფემინისტური მეთოდოლოგიების საზღვრებს იკვლევს და ხშირად მხატვრულ კვლევასთან იკვეთება. [daryatsymbalyuk.com](http://daryatsymbalyuk.com)

# Collective Drawing Workshop on the Edge of the City

A Conversation with  
Noia Architects by Koozarch

A conversation with NOIA Architects on the workshop developed for the 3rd Tbilisi Architecture Biennial and their perspectives on borders.

Developed within the framework of the Tbilisi Architecture Biennial 2022 titled “What’s Next?”, the workshop developed by the architecture and landscape office NOIA Architects explored the notion of borders within the context of Georgia’s most urban metropolis, Tbilisi. Through the act of walking and careful observation, the students investigated the relationships between landscape, infrastructures, and accelerated urban expansion. In this conversation with Duccio Fantoni and Salome Katamadze we discuss how their perspectives on borders as points of encounter and as spaces for the contamination of contrasting identities have informed their reading of Tbilisi and its urban expansion throughout the years.

**KOOZ: How does the practice of NOIA understand and define the notion of borders and territorial identities?**

**NOIA:** Our interest and research into borders originated numerous years ago and is focused on their spatial qualities and characteristics. Rather than reading borders as elements of division, we are interested in exploring these as meeting points, as spaces for the contamination of contrasting identities. Through a variety of scales, from the territorial to the architectural, we are keen to test the idea of borders as spatial elements, thresholds with their own depths and marginalities of exchange. We aim to analyse the geopolitical, historical,



geographical, economic and political reasons and implications of these spaces. As a matter of fact, the concept of the border allows for the establishment of fundamental dichotomous categories: inside and outside, light and dark, sacred and profane.

**KOOZ: What prompted your inquiry into the notion of borders as existing and exemplified within the urban context of Tbilisi?**

**NOIA:** Our analysis on borders in Georgia commenced throughout our studies in university and was rather focused on the conflictual territories between Georgia and the Russian Federation. As borders occur on the ground, in the villages and settlements where people live, we thought that architecture ought to be involved in their study, thus we were interested in including the figure of the architect within a discourse which is typically reserved to historians or geographers.

Out of the 4 million people who live throughout Georgia, almost 1.5 reside within the capital concurring to its definition of urban site in continuous expansion and laboratory of urban transformations. Borders, and the transformation which they lead to throughout Georgian territory, are themselves manifestations of a very complex geopolitical and social historical past and present.

The edges of Tbilisi are specifically interesting as they truly reflect the conflicts and frictions which have arisen since the reconstruction of the city following its almost complete destruction in 1795. Morphologically bound by the mountains and the river, the flatland which had originally hosted the city at its inception soon ran out leading to the city's expansion into the surrounding landscape and to the rise of unexpected spontaneous situations. The city's borders exemplify an intervened stratification of totally different identities that meet, emerge, or even collapse at its edges.

We were interested in those ambitious areas where problems and opportunities overlap, and throughout the workshop we decided to focus specifically on the neighbourhood of Nutsubidze. Situated on the "edge" of the city which was developed during the late years of the Soviet Union (around the 1950s and 1960s). Nutsubidze is characterised by unique modular soviet models which had to be adapted to the mountainous topography of Tbilisi's expanding edge. To date these are juxtaposed to new developments for private housing which are appearing at a very quick pace across all parts of the city's edge.

**KOOZ:** To what extent are borders within the city static, or do they exemplify temporary conditions?

**NOIA:** Borders are never static entities. If one looks close enough there is always something which is in transformation. This is particularly evident within the context of Tbilisi as an urban laboratory in continuous transformation where identities are incessantly mutating when compared to other European cities which appear to have more stable borders.



**KOOZ:** The workshop proposed an alternative process of mapping through collective drawing with the ambition of offering diverse site reading and re-establish new common values, or rediscover old ones within a chaotic context. What is for you the value of mapping, beyond mere representation, but rather as an active tool for research?

**NOIA** Mapping as an act of representation is a recent construct. Since modernity we have come to see the world as a copy of the map, and so to understand the map as a copy of the world and not vice versa is quite revolutionary.

For us the map exists as an investigative and narrative tool for an enquiry into a specific territory. Our understanding of the map stems from what we believe are two distinct perspectives on the latter whose contrast is explicit in two different cases of mapping new lands: Christopher Columbus who adapts the earth to the cartographic dimension at the cost of deforming it, and Marco Polo who travels immense distances without the idea of space and the need for maps, thanks to the mere measurement of

time. These examples call for a reconsideration of conventional methods of representation to define the measures best suited to capture the specific qualities of places.

Looking back at historical cartographies, in particular to Medieval ones, it is interesting to note that the map consists of a sort of diagram of the world, more similar to an open picture in which different kinds of information coexist zoological, anthropological, moral, theological, historical and so on. Similarly, a reverse transformation occurs in the mid-twentieth century with the Situationists Jorn and Debord, whose maps of the city enhance the experience of the human body against the backdrop of the urban fabric.

We are very much interested in exploring these alternative methods of mapping which sit in stark contrast to the very specific rules and images produced by modern cartographies which deform the world to fit the map. Through our research we explore the possibilities and narratives which can be created by mapping the experience of the territory.



**KOOZ:** Through the practice of walking and careful observation, the workshop also investigated the relationships between landscape, infrastructures and accelerated urban expansion. What were your most interesting findings? How have these informed or redefined your reading of the Georgian capital?

**NOIA:** The workshop signalled the beginning of this endeavour and approach of using the human body as the main character to observe and document the city's transformations. An aspect which we found very compelling was the fact that although all mappings derive from distinct human bodies and their respective interactions with the territory through time and as a relationship between scales, somehow the individual authors and subjective readings seemed to disappear in favour of a collective image. Although, from the offset we had the ambition of collecting these recordings into one unique narrative, by the end of the workshop the process came quite naturally.

**KOOZ:** To what extent do you envision these mappings as past or future endeavours? How do you see them shaping new ideas on the evolution of the city in the coming years?

**NOIA:** The map is an act of witnessing the experience of the human body in space or the presence of the observer as an element of the examination system. In both cases, the qualitative character is based on the ability to read the world through a privileged experience of it. We seek to continue to experiment with these kinds of curious explorations of diverse territories with the ambition of revealing the qualitative value of these spaces rather than their numeric or quantitative attributes. Considering that borders are highly dynamic spaces and situations, we believe that these maps can bear witness to these unique and important transformations.

However, we think that it is very difficult to apply universal methodologies of analysis to every city, where pre-established logics are not compatible or effective in understanding the cultural functioning of the specific case. We think that to use mapping as a tool for shaping ideas one needs to formulate new types of maps, based on local conceptions and relationships. The territory might be seen throughout these maps as an experience rather than an abstract concept. We really like what Italian anthropologist Marco Aime says about maps, that they are not a spatial reproduction but traces of relationships.



# კოლექტიური ხატვის ვორქშოფი ქალაქის განაპირას

ვორქშოფი

koozArch-ის საუბარი NOIA Architects-თან

საუბარი NOIA Architects-თან თბილისის მე-3 არქიტექტურის  
ბიენალესთვის შემუშავებული ვორკშოპისა და საზღვრების  
საკითხზე მათი პერსპექტივების შესახებ



2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მთავარი თემის „რა იქნება შემდეგ“ - ფარგლებში, არქიტექტურისა და ლანდშაფტის დაგეგმარების ოფისმა NOIA Architects-მა ვორქშოპი ჩაატარა, რომელიც საზღვრების ცნებას იკვლევდა საქართველოს ყველაზე ურბანიზებული ქალაქის, თბილისის კონტექსტში. სეირნობითა და გულმოდგინე დაკვირვებით სტუდენტები ლანდშაფტს, ინფრასტრუქტურასა და სწრაფი ტემპით მიმდინარე ურბანულ გაფართოებას შორის კავშირებს აკვირდებოდნენ. დუჩიო ფანტონისთან და სალომე ქათამაძესთან ერთად განვიხილავთ, თუ როგორ აღიქმება თბილისი და მისი გაფართოების მრავალწლიანი პროცესი იმ შემთხვევაში, თუ საზღვრებს წავიკითხავთ, როგორც, ერთი მხრივ შეხვედრის ადგილებს, მეორე მხრივ კი - განსხვავებულ იდენტობათა გადაკვეთის წერტილებს.

### **KOOZ: როგორ მიემართება და განსაზღვრავს NOIA-ს პრაქტიკა საზღვრებისა და ტერიტორიული იდენტობების ცნებებს?**

**NOIA:** საზღვრების საკითხით მრავალი წლის წინ დავინტერესდით და დავინწყეთ კვლევა, რომელიც მათ სივრცით თვისებებსა და მახასიათებლებზეა ფოკუსირებული. ჩვენ გვავინტერესებს საზღვრები, როგორც არა დამყოფი ელემენტები, არამედ როგორც შეხვედრის ადგილები, როგორც კონტრასტული იდენტობების შერწყმის სივრცეები. სხვადასხვა მასშტაბის მიხედვით, იქნება ეს ტერიტორიული, არქიტექტურული თუ სხვა, გვსურს გამოვცადოთ საზღვრების, როგორც სივრცითი ელემენტების იდეა, ელემენტებისა, რომლებიც ერთგვარი ზღურბლებია თავიანთი სიღრმეებითა და გაცვლის კიდეებით. ჩვენ ვცდილობთ ამ სივრცეების გეოპოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები და მნიშვნელობები გავაანალიზოთ. სინამდვილეში, თავად საზღვრის ცნება იძლევა საშუალებას, ჩამოყალიბდეს ფუნდამენტურად დიქტომიური კატეგორიები: შიდა და გარე, სინათლე და სიბნელე, წმინდა და შერყვნილი.

### **KOOZ: რამ გიბიძგათ, გეკვლიათ საზღვრების ცნება, როგორც არსებული და თბილისის ურბანულ კონტექსტში გამოხატული ფენომენი?**

**NOIA:** საქართველოს საზღვრებზე ფიქრი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას დავინწყეთ და მაშინ, ყურადღებას უფრო მეტად რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის არსებულ სადავო ტერიტორიებზე ვამახვილებდით. ვინაიდან საზღვრები მდებარეობს

მინაზე, სოფლებსა თუ სხვა ტიპის დასახლებებში, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, მივიჩნიეთ, რომ კვლევაში არქიტექტურაც უნდა ჩაგვეერთო. გვაინტერესებდა, თუ როგორ შემოვიდოდა არქიტექტორის ფიგურა დისკურსში, რომელიც, როგორც წესი, ისტორიკოსებს ან გეოგრაფებს ეკუთვნით.

საქართველოს 4 მილიონი მაცხოვრებლიდან თითქმის 1.5 მილიონი ცხოვრობს დედაქალაქში, რაც განამტკიცებს მის განმარტებას, როგორც მუდმივად გაფართოებადი საქალაქო ტერიტორიისა, როგორც ურბანული ტრანსფორმაციების ლაბორატორიისა. საზღვრები, იმ გარდაქმნებთან ერთად, რომლებსაც ისინი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იწვევს, თავად წარმოადგენს რთული გეოპოლიტიკური თუ სოციალურ-ისტორიული წარსულისა და ანმყოს გამოხატულებას.

თბილისის განაპირა ნაწილები განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ნამდვილად მიგვითითებს 1795 წელს თითქმის სრულად განადგურებული ქალაქის რეკონსტრუქციის პროცესში წარმოშობილ კონფლიქტებსა და დაძაბულობებზე. მთებითა და მდინარით მორფოლოგიურად გარემოცული ვაკე, რომელზეც თავდაპირველად გაშენდა ქალაქი, მალევე გაფართოვდა





მის გარშემო არსებულ ლანდშაფტებზე და მოულოდნელი, სპონტანური მოვლენები გამოიწვია. ქალაქის საზღვრები სრულიად განსხვავებული იდენტობების ერთგვარ სტრატეგიკაციას გვაჩვენებს. მის კიდეებში ეს იდენტობები ერთმანეთს ხვდება, უეცრად ჩნდება ან საერთოდ ქრება.

ჩვენ გვაინტერესებდა სწორედ ასეთი, პრეტენზიული ადგილები, სადაც შესაძლებლობები და პრობლემები ერთმანეთს ენაცვლება. ამიტომ, გადავწყვიტეთ ვორქშოფი კონკრეტულად ნუცუბიდის სამეზობლოზე ფოკუსირებულიყო. ქალაქის „კიდეში“ განთავსებული ეს უბანი გვიან საბჭოთა კავშირში გაშენდა (1950-1960 წლებში). ნუცუბიძე ხასიათდება უნიკალური მოდულური სისტემით, რომელიც თბილისის გაფართოებადი კიდეების მთიან ტოპოგრაფიაზეა გათვლილი. დღეს მას კერძო საცხოვრებელი კომპლექსების ახალი მშენებლობები უპირისპირდება - განაშენიანების პროცესი, რომელიც ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება და ქალაქის კიდეების ყველა ნაწილს ითვისებს.

**KOOZ: რამდენად სტატიკურია ქალაქის შიდა საზღვრები; თუ ისინი უბრალოდ დროებითი მოცემულობის მაგალითებია?**

**NOIA:** საზღვარი არასდროსაა სტატიკური მოცემულობა. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, აუცილებლად დავინახავთ რაღაცას, რაც ცვლილების პროცესშია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია თბილისის, როგორც მუდმივად ცვალებადი ურბანული ლაბორატორიის კონტექსტში; იქ, სადაც სხვა, მეტად სტაბილური საზღვრების მქონე ევროპული ქალაქებისგან განსხვავებით, იდენტობები მუდმივ მუტაციას განიცდის.

**KOOZ:** ვორკშოპზე ვიხილეთ კოლექტიური ხატვის მეშვეობით რუკების შედგენის პროცესი, რომლის მიზანიც ადგილის მიმართ სხვადასხვაგვარი აღქმის გამომუშავება, ახალი, საერთო ფასეულობების შექმნა თუ ძველ ფასეულობათა ხელახლა აღმოჩენა იყო ქაოტურ კონტექსტში. რა ღირებულების მატარებელია თქვენთვის კარტოგრაფია, როგორც აქტი, რომელიც არა მხოლოდ აღნუსხვის, არამედ კვლევის აქტიური ინსტრუმენტია? კარტოგრაფია, როგორც გამოხატვის აქტი, ახალი ფენომენია. მოდერნულობის ეპოქიდან ჩვენ დავინწყეთ სამყაროს აღქმა, როგორც რუკის ასლისა. შესაბამისად, რუკის, როგორც სამყაროს ასლის აღქმა - და არა პირიქით, საკმაოდ რევოლუციური მიდგომაა.



ჩვენთვის რუკა კონკრეტული ტერიტორიის აღმოჩენის, კვლევისა და მის შესახებ თხრობის ინსტრუმენტია. რუკის ჩვენეული გაგება ამ უკანასკნელზე არსებულ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ პერსპექტივას ეფუძნება, რომელთა შორის კონტრასტიც კარგად მჟღავნდება ახალი მიწების კარტოგრაფირების ორი სხვადასხვა მოვლენით: ქრისტეფორე კოლუმბის შემთხვევით, რომელიც მიწას კარტოგრაფიულ საზომს მისი დეფორმაციის ხარჯზე არგებს და მარკო პოლოს შემთხვევით, რომელიც ისე გადის უზარმაზარ მანძილებს, რომ წარმოდგენა არ აქვს სივრცის იდეასა თუ რუკის საჭიროებაზე და მხოლოდ დროის საზომს ეყრდნობა. ეს მაგალითები გვიბიძგებს, გადავიზოროთ გადმოცემის ტრადიციული მეთოდები, რათა განვსაზღვროთ მიდგომები, რომლებიც ყველაზე უკეთ ახერხებს ადგილის მახასიათებლების მოხელთებას.



საინტერესო ტენდენცია იკვეთება ისტორიულ რუკებთან მიბრუნებისას, კერძოდ კი შუა საუკუნეების რუკებზე დაკვირვებისას: აქ რუკა სამყაროს დიაგრამაა და წააგავს მეტად ღია სურათს, რომელზეც სხვადასხვა სახის ინფორმაცია ერთდროულადაა დატანილი: ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, მორალური, თეოლოგიური, ისტორიული და სხვა. საპირისპირო ტრანსფორმაცია უკვე მეოცე საუკუნის შუა პერიოდში, სიტუაციონისტებთან - იორნთან და დებორთან გვხვდება, რომელთა მიერ შექმნილ

ქალაქის რუკებზეც, ურბანული ქსოვილის ფონზე, ადამიანური სხეულის გამოცდილება იკვეთება.

ჩვენ ძალიან გვაინტერესებს რუკების შექმნის ამგვარი, ალტერნატიული მეთოდების შესწავლა, რომლებიც თანამედროვე კარტოგრაფიის მიერ შექმნილი წესებისა და გამოსახულებების მკაფიოდ საპირისპირო ფენომენია - მას არ სჭირდება სამყაროს დეფორმირება, რათა ის რუკას მოარგოს. კვლევის საშუალებით ჩვენ იმ შესაძლებლობებსა და შინაარსებს აღმოვაჩინეთ, რომლებიც ტერიტორიის გამოცდილებების კარტოგრაფირებით შეიძლება შეიქმნას.

**KOOZ:** სეირნობითა და ყურადღებით დაკვირვებით, სტუდენტები ლანდშაფტს, ინფრასტრუქტურასა და სწრაფი ტემპით მიმდინარე ურბანულ გაფართოებას შორის კავშირებს ეძებდნენ. რა იყო თქვენი ყველაზე საინტერესო მიგნება? როგორ შეცვალა ან ხელახლა განსაზღვრა ამ მიგნებებმა საქართველოს დედაქალაქის თქვენეული აღქმა?

**NOIA:** ვორქშოფი ახალი წამოწყებისა და მიდგომის იმპულსად იქცა, რომელიც იყენებს ადამიანის სხეულს, როგორც ქალაქის ტრანსფორმაციაზე დაკვირვების მთავარ პერსონაჟს. ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელი გვეჩვენა, ასე ჟღერდა: მიუხედავად იმისა, რომ ყველა რუკა ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანური სხეულის მიერაა შედგენილი, რომელთა ტერიტორიასთან ურთიერთობასაც საკუთარი დრო და მასშტაბი აქვს, ინდივიდუალური საავტორო მიდგომები და სუბიექტური აღქმა თითქმის გაქრა კოლექტიური სურათის სასარგებლოდ. თავდაპირველად გვექონდა ამბიციია, რომ ჩანაწერები ერთ უნიკალურ შინაარსობრივ ხაზად გვექცია, ვორქშოფის დასასრულს კი პროცესი თავისით, ბუნებრივად წარიმართა.

**KOOZ:** რამდენად აღიქვამთ ამ კარტოგრაფიულ სამუშაოს წარსულ ან სამომავლო წამოწყებად? როგორ იმოქმედებს ეს რუკები ახალი იდეების გაჩენასა და ქალაქის განვითარებაზე მომდევნო წლებში?

**NOIA:** რუკა ადამიანური სხეულის ან დამკვირვებლის, როგორც კვლევითი სისტემის ელემენტის მიერ სივრცეში მიღებული გამოცდილების დამოწმებაა. ორივე შემთხვევაში, რუკის თვისობრივი ხასიათი ეფუძნება სამყაროს წაკითხვის უნარს პრივილეგირებული გამოცდილებიდან. ჩვენ გვსურს განვაგრძოთ ექსპერიმენტული კვლევა სხვადასხვა ტერიტორიებზე,

იმ ამბიციით, რომ გამოვააშკარავებთ ამ სივრცეების სწორედ რომ თვისობრივ და არა რაოდენობრივ ან რიცხვობრივ ღირებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ საზღვრები წარმოადგენს უკიდურესად დინამიკურ სივრცეებსა და სიტუაციებს, ჩვენ გვწამს, რომ აღნიშნული რუკები მნიშვნელოვანი და უნიკალური ტრანსფორმაციის მტკიცებულებად შეიძლება იქცეს.

მეორე მხრივ, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ანალიზის უნივერსალური მეთოდები ყველა ქალაქზე ვერ გავრცელდება. ხანდახან, წინასწარ დადგენილი ლოგიკა არ არის შესაბამისი ან ეფექტური იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს რომელიმე შემთხვევა კულტურულ დონეზე. ჩვენ ვგეგმავთ კარტოგრაფია იმ იდეების განვითარების ინსტრუმენტად გამოვიყენოთ, რომლებიც ადგილობრივ კონცეფციებსა და ურთიერთობებზე დაყრდნობით, ახალი ტიპის რუკების შესადგენად არის საჭირო. ამ რუკების მიხედვით, ტერიტორია შეიძლება წავიკითხოთ, როგორც გამოცდილება და არა როგორც აბსტრაქტული ცნება. მართლაც ძალიან მოგვწონს ის, რაც რუკების შესახებ იტალიელმა ანთროპოლოგმა, მარკო აიმემ თქვა: რუკა არ არის სივრცითი კვლავწარმოება, ის ურთიერთობათა ნაკვალევი.



# Tskaltubo Tour

Guided Tour

Gabriel Chubinidze



The collapse of the Soviet Union, followed by ongoing political and economic catastrophes, had a significant impact on the everyday lives of people as well as on cities, buildings, and their functions.

Tskaltubo is an intriguing town for several reasons. It was not just one among the thousands of Soviet resorts; it was exceptional in many ways. Only a few resorts in the entire Soviet empire had direct railway connections to the center, that is, Moscow. Tskaltubo hosted tens of thousands of visitors annually from the Soviet republics, as well as from the states of the socialist bloc and even capitalist countries.

Tskaltubo is unique in terms of urban planning - it was founded as a resort, which means the resort created the town, not vice versa. Therefore, its planning reflects the needs and requirements of a resort. Tskaltubo has 21 hotel-sanatoriums, all of which have a distinct architectural value, showcasing the com-



plete spectrum of the architectural styles in the Soviet Union - from constructivism to the style of the 1980s.

With the collapse of the Soviet Union, the planned economy also collapsed. Former Soviet republics began to establish independent states around the market economy and democratic institutions. Among them, Georgia faced a particularly turbulent reality: collapse of the state institutions, economic catastrophe, civil war, and ethnic conflicts. Tskaltubo lost its relevance as a resort, however, since October 1992, it has provided shelter to thousands of refugees from Abkhazia.

Tskaltubo as a resort ceased to exist, but it transformed into a town with a new function — a shelter for the internally displaced people. During this period, besides its function, buildings in Tskaltubo also changed, adapting to a new way of life.

As part of the Tbilisi Architecture Biennial, a one-day tour took place in Tskaltubo on October 22, 2022. The aim was not to observe depreciated buildings and their residents as part of an exotic sightseeing tour. Instead, we analyzed Tskaltubo's buildings, people, and political structures in one space.





The walking tour started at the sanatorium “Imereti”, where guests heard the history of Soviet Tskaltubo before exploring the indoor and outdoor spaces of the buildings. The tour continued to other buildings following partially sequential and partly selective order. One of the first among them was the iconic “Shakhtiori” — a sanatorium considered as a symbol of Tskaltubo around which the entire town gravitates. Accessing the interior of this building was not easy. It was protected by the security and we could only see the interiors after their consent.

We left “Shakhtiori” (“Miner” in Russian) and moved on to “Tbilisi”, where we met the staff who used to work at the sanatorium during Soviet period. After Tbilisi, we visited “Metalurgi” (“Metallurgist” in Georgian), “Geologi” (“Geologist” in Georgian), “Rkinigzeli” (“Railroader” in Georgian), and so on. The tour’s final destination was the so-called Stalin’s Bathhouse, where we looked at the pool, which was constructed personally for the Soviet leader. As we left the building, we discussed the transformation of post-Soviet Tskaltubo and its current economic policies, which do not consider town citizens — its gaze is directed towards the buildings and the capital expected to generate income.

As the main part of the tour came to an end, some of us still had energy left to visit the tallest sanatorium in the city, marked by a huge sign — “Georgia.” With that, our tour of Tskaltubo was finished, and we headed back to Tbilisi.





Tskaltubo continues to lead its own life. It has already left the Soviet era, which was followed by a period of complete chaos when it became a haven for internally displaced persons. Today, it has embraced the market economy and is beginning to function in a new way, following its own new rules and laws.







# წყალტუბოს ტური

ტური

გაბრიელ ჩუბინიძე



პოლიტიკური თუ ეკონომიკური კატასტროფა, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, არა მხოლოდ ადამიანების ყოველდღიურობაზე აისახა პირდაპირ, არამედ ქალაქებზე, შენობებსა და მათ ფუნქციურობაზე.

წყალტუბო მრავალმხრივ საინტერესო ქალაქია. ის არ ყოფილა ერთ-ერთი რიგითი კურორტი, რომლის მსგავსიც ათობით ან ასობით იყო საბჭოთა კავშირში - ის მრავალმხრივ გამორჩეული ადგილი იყო. ალბათ, მთელ იმპერიაში რამდენიმე ერთეული (ან ათეული) კურორტი თუ არსებობდა, რომელსაც პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა ჰქონდა ცენტრთან - მოსკოვთან. წყალტუბო ყოველწლიურად მასპინძლობდა ათი ათასობით ადამიანს როგორც „მოკავშირე“ რესპუბლიკებიდან, ისე სოციალისტური ბლოკიდან, კაპიტალისტური ქვეყნებიდანაც კი.

წყალტუბო გამოჩენილია ურბანული გეგმარებით. ის გაშენდა, როგორც კურორტი-ქალაქი: კურორტმა შექმნა ქალაქი და არა პირიქით, შესაბამისად, მისი გეგმარება კურორტის მოთხოვნებს პასუხობს. წყალტუბოში 21 სასტუმრო-სანატორიუმში აიგო. თითოეული ეს შენობა თავისებური არქიტექტურული ღირებულების მატარებელია და ფაქტობრივად, აქ საბჭოთა კავშირის არქიტექტურულ სტილთა მთელი მრავალფეროვნება შეგვიძლია ვიხილოთ - კონსტრუქტივიზმიდან 1980-იანი წლების მოდერნიზმამდე.

საბჭოთა კავშირი დაინგრა მასთან ერთად არსებულ გეგმიურ ეკონომიკურ სისტემასთან ერთად. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლად დაიწყეს ახალი სახელმწიფოების შენება საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გარშემო. საქართველოს გზა ყველაზე მეტად იყო სავსე მღელვარებებით: სახელმწიფო ინსტიტუტების სრული ჩამოშლით, ეკონომიკური კატასტროფებით, სამოქალაქო ომითა და ეთნიკური კონფლიქტებით. წყალტუბოსთვის აღარავის ეცალა - 1992 წლის ოქტომბრიდან კი მან აფხაზეთიდან წამოსული ათასობით დევნილი შეიფარა.

შეიძლება ითქვას, წყალტუბომ შეწყვიტა ფუნქციონირება, როგორც კურორტმა, მაგრამ გახდა თავშესაფარი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. ამ მომენტიდან არა მხოლოდ ქალაქმა შეიცვალა ფუნქცია, არამედ შენობებმაც, რომლებმაც ახალი სიცოცხლე შეიძინეს და გარდაიქმნენ.

2022 წლის 22 ოქტომბერს, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფარგლებში, წყალტუბოში ერთდღიანი ტური მოეწყო. ტურის მიზანი არც ამორტიზირებული შენობების ზედაპირული დათვალიერება ყოფილა და არც იმ ადამიანების ეგზოტიკური ლინზით დანახვა, ვინც ამ შენობებში ცხოვრობს. მისი მიზანი ქალაქის, შენობების, ადამიანებისა და სხვადასხვა პოლიტიკური წყობების ერთ სივრცეში მოქცევა და ანალიზი იყო.

საფეხმავლო ტური სანატორიუმ „იმერეთიდან“ დაიწყო, სადაც სტუმრებმა ჯერ საბჭოთა პერიოდის წყალტუბოს ისტორია მოისმინეს, შემდეგ კი შენობები დაათვალიერეს. ამის შემდეგ, ნაწილობრივ რიგითობის, ნაწილობრივ კი შერჩევის პრინციპით სხვა შენობებიც ვნახეთ, მათ შორის, პირველ რიგში, „მეშახტე“ - წყალტუბოს სიმბოლო, რომლის გარშემოც თითქოს მთელი ქალაქი ტრიალებს. შენობაში შეღწევა მარტივი არ არის, მას იცავს დაცვა და მხოლოდ მასთან შეთანხმების შემდეგ ხდება შესაძლებელი შენობის შიდა ნაწილის დათვალიერება.



„მეშახტედან“ „თბილისში“ გადავინაცვლეთ. შევხვდით ოდესღაც აქ დასაქმებულ პერსონალს. „თბილისს“ მოჰყვა „მეტალურგი“, „გეოლოგი“, „რკინიგზელი“ და სხვა; საბოლოო დანიშნულების ადგილი კი ეგრეთწოდებული „სტალინის აბანო“ იყო. ვნახეთ აუზიც, რომელიც პირადად ბელადისთვის აიგო. შენობის დატოვების შემდეგ პოსტსაბჭოთა წყალტუბოზე, მის ტრანსფორმაციასა და დღეს არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე ვისაუბრეთ, რომელიც ვერ ხედავს ადამიანებს - ის ხედავს მხოლოდ შენობებს და კაპიტალს - შემოსავალს, რომელიც ამ შენობებმა უნდა მოუტანოს.

ტურის ძირითადი ნაწილი დასრულდა, თუმცა გარკვეული ჯგუფი, ვისაც ჯერ კიდევ შეგვრჩენოდა ენერგია, „საქართველოსკენ“ გაეშურა - ქალაქში ყველაზე მაღალი სანატორიუმისკენ, რომელსაც უზარმაზარი ნიშანი „საქართველო“ ამშვენებს. ასე დასრულდა ჩვენი წყალტუბოში სტუმრობა და დედაქალაქში დავბრუნდით.

წყალტუბო აგრძელებს საკუთარ ცხოვრებას - მან გამოიარა საბჭოთა წყობა, რასაც სრული ქაოსის ხანა და მისი დევნილთა თავშესაფრად ქცევა მოჰყვა. დღეს ის საბაზრო ეკონომიკამ დაიმორჩილა და წყალტუბოც ახალი სახით - საკუთარი წესებითა და კანონებით იწყებს ფუნქციონირებას.







# Film Mosaic Workshop

Film Screening

Project by Nushi Film



The United Nations campaign — Leave no one behind (LNOB) — is the central, transformative promise of the 2030 Agenda for Sustainable Development and its Sustainable Development Goals (SDGs). UN Member States pledged to ensure “no one will be left behind” and to “endeavor to reach the furthest behind first”. It represents the unequivocal commitment of all UN Member States to eradicate poverty in all its forms, end discrimination and exclusion, and reduce the inequalities and vulnerabilities that leave people behind and undermine the potential of individuals and of humanity as a whole. Five factors are proposed as key to understanding who is being left behind and why: discrimination; place of residence; socio-economic status; governance; and vulnerability to shocks.

The Film mosaic is a film competition aimed at documenting and creating an understanding of the diversity of the realities in which the LNOB agenda must be resolved, and generate new knowledge and insight about sustainable cities, residential areas, buildings, housing solutions, building materials, infrastructure, food production and other urban practices promoting the fight against inequality. The workshops aim to collect local perspectives on sustainable and non-discriminatory design solutions transferable to other contexts and giving a platform to voices that are conventionally under-represented in architecture and urban planning. The incoming films will result in a Film Mosaic of everyday voices from different geographical and cultural contexts, from Scandinavia to the Caucasus, especially of people experiencing discrimination on the basis of gender, sexual orientation, age, ethnicity, physical or psychological vulnerability, limited mobility or income. The urge is that the film competition contributes to giving new voices to a platform, a platform where diverse narratives can unfold.

The aim of the Film Mosaic workshops was to raise awareness about spatial discrimination and urban challenges and how the public spaces are directly connected to our daily life. Participants learned how to document and how to take over the city through films and give a voice to the unheard ones. During those workshops, participants had lectures about architecture, urban issues, inclusiveness, public spaces, but also about how to make films starting from the idea till the editing. They had to watch some films covering those topics and discuss it afterwards. During the workshop they were asked to listen and observe, to work in groups and individually and share solidarity. They were put into situations where they had to wake up their creativity and think outside the box.

We noticed that the identification of the issues related to inequalities, discrimination and inclusiveness was the main challenge while conducting the workshops, as many participants were not well aware of those concepts and concerns. So, the acknowledgement of these concepts thoroughly by the participants was the main first task.

A direct impact was created within the groups, awareness was raised, and we could activate some forms of new thinking within the groups. Some of the participants learned new skills and some might continue shooting films. During our different events, we could gather a lot of people, share our Mosaic experience, and therefore raise up issues that our cities in Georgia face.

# კინომოზაიკის ფილმის ჩვენება

## ვორქშოფი

Nushi Film-ის პროექტი

გაეროს კამპანია „არავინ დავტოვოთ მიღმა“ (LNOB) მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და მისი მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მთავარი, გარდამქმნელი დაპირებაა. გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ „არავინ დარჩება მიღმა“ და რომ „შეეცდებიან, პირველ რიგში, განვითარების გზაზე მყოფებს დაეხმარონ“. გაეროს წევრი ქვეყნების ცალსახა ვალდებულებაა, აღმოფხვრან სიღარიბის ყველა გამოვლინება, დაამარცხოთ დისკრიმინაცია და გარიყულობა, შეამცირონ უთანასწორობა და დაუცველობა, რის გამოც ადამიანების სოციალური განვითარების პროცესი ნელდება და რაც ძირს უთხრის როგორც ინდივიდების, ისე მთელი კაცობრიობის შესაძლებლობებს. იმის გასაგებად, თუ ვინ და რატომ ჩამორჩება, შემოთავაზებულია ხუთი ფაქტორი: დისკრიმინაცია, საცხოვრებელი ადგილი, სოციოეკონომიკური სტატუსი, მმართველობა და შოკების მიმართ მონყვლადობა.

კინოკონკურს „კინომოზაიკის“ მიზანი იმ მრავალფეროვან რეალობათა დოკუმენტირება და გააზრება იყო, რომლებშიც LNOB დღის წესრიგი უნდა გადაიჭრას და ახალი ცოდნა შეიქმნას მდგრადი ქალაქების, საცხოვრებელი არეალების, შენობების, საბინაო გადანაცვეტილებების, სამშენებლო მასალების, ინფრასტრუქტურის, საკვების წარმოებისა და სხვა ურბანული პრაქტიკების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს უთანასწორობასთან ბრძოლას. „კინომოზაიკის“ ფარგლებში ჩატარებული ვორკშოპები მიზნად ისახავდა ადგილობრივი შეხედულებების შეგროვებას მდგრადი და არადისკრიმინაციული გადანაცვეტილებების შესახებ, რომელთა გამოყენება სხვა კონტექსტებშიც იქნებოდა შესაძლებელი; ისევე, როგორც ის სთავაზობდა პლატფორმას, როგორც წესი, არათანაბრად წარმოდგენილ ხმებს არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების სფეროებში. მომზადებულმა ფილმებმა ყოველდღიური ხმების „კინომოზაიკა“ შექმნა სხვადასხვა გეოგრაფიული





და კულტურული კონტექსტიდან: სკანდინავიიდან - კავკასიამდე; განსაკუთრებით კი აუღერებდა მათ ხმას, ვინც გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მოწყვლადობის, შეზღუდული მოძილობის ან შემოსავლის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია. მნიშვნელოვანი იყო, რომ კინოკონკურსს წვლილი შეეტანა ახალი ხმების გაუღერებაში ისეთ სივრცეში, საიდანაც ურთიერთგანსხვავებული ნარატივები გაიშლებოდა.

„კინომოზაიკის“ ვორკშოპების ამოცანა სივრცითი დისკრიმინაციისა და ურბანული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო, იმის გააზრებასთან ერთად, თუ რამდენად პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება საჯარო სივრცეებთან. მონაწილეები სწავლობდნენ, თუ როგორ აღენერათ ქალაქი, მოეხელთებინათ ის კინოს მეშვეობით და გაეუღერებინათ ხმები, რომლებიც მანამდე არ ისმოდა. ამ ვორკშოპების მიმდინარეობისას, ისინი ესწრებოდნენ ლექციებს არქიტექტურის, ურბანული პრობლემების, ინკლუზიურობისა და საზოგადოებრივი სივრცეების შესახებ; ქმნიდნენ ფილმებს იდეიდან - მონტაჟამდე; უყურებდნენ და შემდეგ განიხილავდნენ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ უკვე არსებულ ფილმებს. მონაწილეებს მოეთხოვებოდათ

მოსმენა და დაკვირვება, ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობა და სოლიდარობის გამოხატვა. ისინი მოხვდნენ სიტუაციაში, რომელიც მათ უბიძგებდა, ეფიქრათ ჩარჩოს მიღმა და რომელსაც მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების გაღვიძება შეეძლო.

ჩვენ შევამჩნიეთ, რომ მთავარი სირთულე მდგომარეობდა უთანასწორობის, დისკრიმინაციისა და ინკლუზიურობის პრობლემათა იდენტიფიცირებაში, ვინაიდან ბევრი მონაწილისთვის უცხო იყო ეს ცნებები და პირადად არ გააჩნდა ეს წუხილები. აქედან გამომდინარე, პირველი და უმთავრესი ამოცანა სწორედ ამ საკითხების გაცნობიერება იყო.

ჯგუფების შიგნით გაიზარდა პირდაპირი გავლენა, ამაღლდა ცნობიერება და გააქტიურდა ახლებური აზროვნების ზოგიერთი ფორმა. ცალკეულმა მონაწილეებმა ახალი უნარ-ჩვევები შეიძინეს, სხვებმა კი, სავარაუდოდ, ფილმების გადაღება განაგრძეს. ჩვენ მიერ ორგანიზებული, ერთმანეთისგან განსხვავებული ღონისძიებების ფარგლებში უამრავ ადამიანს მოვუყარეთ თავი, გავუზიარეთ მათ „კინომოზაიკის“ გამოცდილება და კიდევ ერთხელ წამოვჭერით ის პრობლემური საკითხები, რომელთა წინაშეც საქართველოს ქალაქები დგას.

# Inverted Window

Collateral  
Event

Sabine Hornig

I was approached by Tinatin Gurgenidze and Tamara Janashia to participate in the Tbilisi Architecture Biennale in 2022. Instead of transporting work from Berlin to Tbilisi we decided that I would visit and plan a project on site which would then be realized in 2023.



During my stay in Tbilisi in 2022 I met Tamuna Chabashvili, with whom I share common artistic ideas on social and political perspectives within the constructed environment, while we both work with sculpture and photography. We started a dialog on the imprint of our different origins, the impact of borders, the political instability and the experience of temporality in Georgia and Europe. Themes that had also been present in the architecture biennale we visited.



Our collaborative show, which took place in Tbilisi in 2023 at Kunsthalle Tbilisi in partnership with Artbeat gallery was titled Patterns of (In)Security, the title coming from a series of Tamuna's textile works and drawings.

The work I realized in that show, titled Inverted Window, draws inspiration from the traditional window and balcony grilles commonly found in Tbilisi. These grilles extend the private space outward, bridging the realms of semi-public and semi-transparent domains. The installation itself encompasses an entire window, where the shape of the window opening is brought inward as an elongated grille. This inverted form, akin to a retracted organ in the body, establishes a space within a space, evoking a compelling sense of paradox and introspection. The concept underlying the installation extends beyond the mere physical portrayal of a window grille. It serves as a reflection of the political strategy of distorting truths and manipulating boundaries to exert control. By drawing parallels to the recurring acceptance of political despotism and unchecked authority, Inverted Window brings attention to the fragile nature of social participation and the potential danger of paradoxical thinking.

Tamuna works with fabric and transparent layers on the ephemerality and vulnerability of human created systems, particularly patterns and networks.

Her printed fabrics span the rooms and create transparent walk through layers that drew inspiration from a camouflage net woven by Ukrainian women for military purposes, which she encountered in the news. The artist was captivated by the torn fragments of colorful fabric attached to the net which possessed an aura of fragility, yet exuded a profound strength.

Our collaboration will continue in Berlin called Patterns of (In)Security II at „The Possibility of an Island“, Inselstraße 7, 10179 Berlin.  
From June 1-June 30, 2024.  
We thank IFA for support of travels of the exhibition in Tbilisi.







# შებრუნებული ფანჯარა

საბინე ჰორნიგი

პარალელური  
ღონისძიება

2022 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეზე,  
თინათინ გურგენიძემ და თამარა ჯანაშიამ  
მონაწილეობის მისაღებად მიმინვიეს.

ნამუშევრის ბერლინიდან თბილისში გადმოტანის  
ნაცვლად, გადავწყვიტეთ, რომ პირადად ვენვეოდი ადგილს  
და იქვე დავგვემავდი პროექტს, რომელიც 2023 წელს  
განხორციელდებოდა. თბილისში ყოფნისას, 2022 წელს,  
შევხვდი თამუნა ჭაბაშვილს, რომელთანაც ყოველთვის  
ვიზიარებდი საერთო შემოქმედებით იდეებს ნაშენი  
გარემოს სოციალური და პოლიტიკური პერსპექტივების  
შესახებ; თანაც, ორივე სკულპტურისა და ფოტოგრაფიის  
მიმართულებით ვმუშაობდით. საუბარი დავინწყეთ ჩვენი  
განსხვავებული წარმომავლობის დამლაზე, საზღვრების  
ზეგავლენაზე, პოლიტიკურ არასტაბილურობასა თუ  
დროებითობის გამოცდილებაზე საქართველოსა და  
ევროპაში - თემებზე, რომლებიც ასევე წარმოდგენილი იყო  
არქიტექტურის ბიენალეზე, რომელსაც ვენვიეთ.

ჩვენი ერთობლივი გამოფენა „დაუცველობის საზღვრები“  
2023 წელს, გალერეა Artbeat-თან თანამშრომლობით,  
„კუნსტჰალე თბილისში“ გაიმართა. გამოფენის სათაური  
„Patterns of (In)Security“ თამუნას მიერ შექმნილი ტექსტილის  
ნამუშევრებისა და ნახატების სერიებიდან წამოვიდა.

ამ გამოფენაზე წარდგენილ ჩემს ნამუშევარს  
„შებრუნებული ფანჯარა“ ჰქვია და შთაგონებულია  
თბილისში ფართოდ გავრცელებული, ტრადიციული ტიპის  
სარკმლისა და აივნის ცხაურებით. ეს ცხაურები კერძო  
სივრცის გაგრძელებაა გარე სამყაროში და ნახევრად  
საჯარო და ნახევრად გამჭვირვალე სივრცეებს აერთიანებს.  
ინსტალაცია, თავის მხრივ, მოიცავს მთლიან ფანჯარას,  
რომელიც შიდა სივრცეში მოგრძო ცხაურით იდება. ეს  
ინვერსიული ფორმა, რომელიც სხეულში შებრუნებულ  
ორგანოს წააგავს, სივრცეში სივრცეს წარმოქმნის და  
პარადოქსისა და ინტროსპექციის ძლიერ განცდას იწვევს.



ინსტალაციის კონცეფცია სცდება ფანჯრის ცხაურის წმინდად ფიზიკური რეპრეზენტაციის ფარგლებს. ის კონტროლის გაძლიერებისთვის სიმართლის დამახინჯებისა და საზღვრებით მანიპულაციის პოლიტიკურ სტრატეგიას ირეკლავს. ნამუშევარი ეხმიანება დათანხმებას რეგულარულად განმეორებად პოლიტიკურ დესპოტიზმსა და შეუზღუდავ ძალაუფლებაზე; ყურადღებას ამახვილებს სოციალური მონაწილეობის მოწყვლად ბუნებასა და პარადოქსული აზროვნების შესაძლო საფრთხეებზე.



თამუნა მუშაობს ქსოვილისა და გამჭვირვალე ფენების გამოყენებით; იკვლევს ადამიანის მიერ შექმნილი სისტემების, კერძოდ ორნამენტებისა და ქსელების სიმყიფესა და ეფემერულობას. მისი ნაბეჭდი ქსოვილები, რომლებიც ოთახებში იშლება და ქმნის გამჭვირვალე გასასვლელებს სხვადასხვა შრეებით, შთაგონებულია ახალ ამბებში ნანახი, უკრაინელი ქალების მიერ მოქსოვილი სამხედრო კამუფლაჟის ბადით. ხელოვანი აღაფრთოვანა გამჭვირვალე ბადეზე დამაგრებულმა, ფერადი ქსოვილის ნაკუნებმა, რომელთა ფაქიზი ბუნებაც, იმავდროულად, უზარმაზარ ძალას ასხივებდა.

მადლობას ვუხდით IFA-ს თბილისში გამგზავრების დაფინანსებისთვის.

# Keynote: Jean-Philippe Vassal

Keynote Speaker



The 2022 edition of TAB welcomed the French architect Jean-Philippe Vassal as its keynote speaker. Centering around change and space, Vassal spoke about his practice at “Lacaton & Vassal” (established together with Anne Lacaton in Bordeaux in 1987). The main principles, processes, and solutions around the designed private and social housings, cultural and academic institutions, public spaces, and urban transformations. Vassal’s architecture and practice reflect his advocacy of social justice and sustainability by prioritizing a generous space and freedom of use through economical and ecological materials.



Born in Casablanca, Morocco, in 1954, Vassal graduated from the School of Architecture of Bordeaux in 1980 and worked as an urban planner in Niger (West Africa) from 1980 to 1985. Vassal was a professor at the UDK Berlin since 2012 and a visiting professor at the TU in Berlin (2007-11), at the Peter Behrens School of Architecture in Düsseldorf 2005, at EPFL Lausanne in 2010-11, at the Pavillon Neuflyze OBC-Palais de Tokyo, Paris, in 2013-2014, and at Sassari University in Alghero 2014 & 2015.



The event was held with the support of TBC Concept, Fabrika Hostel, and the kind efforts of Liza Bokeria.



# ჟან-ფილიპ ვასალი

მონვეული  
მომხსენებელი



TAB-ის 2022 წლის გამოშვებამ მთავარ სპიკერად ფრანგი არქიტექტორი, ჟან-ფილიპ ვასალი წარადგინა. ვასალმა თავისი პრაქტიკა სივრცისა და ცვლილების ურთიერთდამოკიდებულების გავლით განიხილა და

“LacatonVassal”-ის ნამუშევრებზე ისაუბრა („LacatonVassal” არქიტექტორმა ენ ლაკატონთან ერთად ბორდოში, 1987 წელს დააარსა). მაყურებელმა ამ პრაქტიკის შექმნილი კერძო თუ სოციალური საცხოვრებლების, კულტურული და აკადემიური ინსტიტუტების, საჯარო სივრცეებისა თუ ურბანული გარდაქმნების შინაარსობრივი პრინციპები, შექმნის პროცესი და სტრუქტურული გადაწყვეტილებები გაიცნო. ჟან-ფილიპ ვასალის პრაქტიკა ეკონომიურობის, ეკოლოგიურობის, სოციალური სამართლიანობის, მდგრადი განვითარებისა და საჯარო სივრცის თავისუფალი ათვისების გამორჩეული მაგალითია თანამედროვე არქიტექტურის ისტორიაში.

ვასალი კასაბლანკაში, მაროკოში, 1954 წელს დაიბადა. მან ბორდოს არქიტექტურის სკოლა 1980 წელს დაამთავრა და 1980 წლიდან 1985 წლამდე ქალაქმგეგმარებლად მუშაობდა ქალაქ ნიგერში (დასავლეთ აფრიკა). 2012 წლიდან ვასალი ბერლინის სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, მას შემდეგ კი მოწვეულ პედაგოგად მუშაობდა ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (2007-11), დიუსელდორფის პიტერ ბერენსის არქიტექტურის სკოლაში (2005), EPFL ლოზანაში (2010-11), პარიზში Palais de Tokyo-ს Neuflyze OBC-ის პავილიონში (2013-2014) და ალგეროში, სასარის უნივერსიტეტში (2014-2015).



ღონისძიება TBC Concept-ის, Fabrika Hostel-ის მხარდაჭერით და ლიზა ბოკერიას ძალისხმევით გაიმართა.

# Locument Screening

Locument Studio

Collateral Event



Architecture, as a reflection of contemporary times, becomes a representation of the state of affairs. In the manifestation of architectural decisions, there is the capacity to represent ideas and ideals. There is the power to reflect, portray, and/or enforce the ideologies of a nation, country, territory, or group of people. It is here that architecture has the capacity to become symbolic. However, what occurs to the architecture once these ideas collapse? Once people stop accepting their ideology? Do they become a symbol of their own failure? Or do they have the capacity to adapt and be reinterpreted, taking up new meanings for their users and visitors?



The project represented a documentary research movie, a complex portrait of the evolution of Tbilisi's reaction to its post-soviet context through architecture. Following the routines of these buildings - through the people who use - inhabit - visit - and experience them, it draws a myriad of perspectives, opinions, and understandings of how to deal with symbolic heritage and, especially, "what's next" for these former symbols. More than a formal document or register, the film captures the dynamics of each building, which act as a bridge to the creation of a portrait of how the city and the country react to their symbolic heritage.



**Directed by**

Ana Paula Ramirez Venegas, Barbora Hradilová, Daphnée Duc, Jana Řehořová, Joris Käfer, Laura Fonteneau, Liza Bokeria, Locument (Francisco Lobo, Romea Muryń), Marine Chabirand, Mariya Agyeyeva, Martin Šálek, Miriam Wuttig, Radek Zabloudil, Radim Koutný, Patrycja Owczarska, Petra Mojžíšová, Tatuka Dolidze

# Locument ჩვენება

სტუდია Locument

პარალელური ღონისძიება



არქიტექტურა, როგორც თანამედროვე დროის ანარეკლი, სახელმწიფოებრივი მდგომარეობის მანიფესტაციად იქცევა. არქიტექტურული გადანაცვლებების გამოვლენისას არსებობს სივრცე იდეებისა და იდეალების წარმოსადგენად. ეს არის ერის, ქვეყნის, ტერიტორიისა ან ადამიანთა ჯგუფის იდეოლოგიების ასახვის, წარმოჩენისა და/ან აღსრულების ძალა. ეს იმას ნიშნავს, რომ არქიტექტურას გააჩნია უნარი გახდეს სიმბოლური. თუმცა, რა ემართება არქიტექტურას ამ იდეების ჩამოშლის შემდეგ? მაშინ, როდესაც ადამიანებს აღარ აქვთ წარსული იდეოლოგიების მიმღებლობა? რჩებიან თუ არა ისინი საკუთარივე დასასრულის სიმბოლოებად? შესაძლებელია თუ არა მათი ადაპტაცია ან ხელახალი ინტერპრეტაცია, ახალი მნიშვნელობების შეძენა მომხმარებლებისთვის და მნახველებისთვის?



პროექტი წარმოადგენს დოკუმენტურ- კვლევით ფილმს, თბილისის პოსტ-საბჭოთა კონტექსტის მიმართ განვითარებადი რეაქციის კომპლექსურ პორტრეტს, რომელიც არქიტექტურის მეშვეობით ვაჩვენეთ. ბინადრებზე და სტუმრებზე დაკვირვებით თუ მივაღწევნებთ თვალს ამ შენობების ყოველდღიურ რუტინას, სიმბოლურ მემკვიდრეობასთან ურთიერთობის არაერთ პერსპექტივას, გრადაციასა და განწყობას დავინახავთ, იმასაც - თუ “რა იქნება შემდეგ” ამ სიმბოლოებისათვის. ფორმალურ დოკუმენტაციაზე მეტად, ფილმი თითოეული შენობის დინამიკის აღწერაა და ქალაქის სიმბოლურ მემკვიდრეობაზე რეაგირების ერთიან სურათს ქმნის.

#### **გადამღები ჯგუფი:**

ანა პაულა რამინეს ვენეგასი, ბარბორა ჰრადილოვა, დეფნი დიუკი, თათუკა დოლიძე, იანა ტეჰეროვა, ჟორის ჯეფერი, ლორა ფონტენო, ლიზა ბოკერია, ლოკუმენტი (Locument) (ფრანსისკო ლობო, რომეა მურინი), მარინე ჩაბირანდი, მარია აგიეიევა, მარტინ შალეკი, მირიამ ვუტიგი, რადეკ ზაბლუდილი, რადიმ კუტნი, პატრიცია ოფიარსკა, პეტრა მოჟიშოვა



“The war caused the most significant housing crisis in the history of independent Ukraine. At the beginning of the full-scale Russian invasion, about 12 million people were forced to leave their homes, including about 6.5 million who moved to the west of the country. Due to the urgent challenge of the lack of housing, the team considered how architects could help address the crisis.

# Co-Haty

## MetaLab Project

### Keynote Speaker

In March 2022, during the initial weeks of the full-scale war, the METALAB team collaborated with the Urban Curators members who had relocated from Kyiv and launched the CO-HATY to create housing for people who had lost it with love and dignity. The team carried out a pilot project (together with partners Second Home IF): restoring a part of a university dormitory that had been empty for over five years. At that time, the project received an incredible amount of support. Our friends from abroad generously sent us building materials, equipment, and financial assistance. A group of volunteers formed a community and worked on the site, even though they had no experience in construction or design. This unity and care delivered support during the crisis. We are able to restore buildings with the help of a community of people who share our vision, as well as financial and expert support from our partners. Our restoration process involves applying architectural and urban expertise, collaborating with local authorities and property owners, seeking funding for repairs and furnishings, coordinating construction, designing furniture, and working with local industries.

The issue of unaffordable housing is becoming more severe. Research indicates that incomes are decreasing, and the private rental sector is still insecure. Those who have lost their homes due to the destruction of their cities will be homeless for a prolonged period. This highlights the urgency for the provision of social housing for long-term residency. The team focuses on creating comfortable, beautiful housing with small details that make it feel like home, not a temporary residence. To achieve this, we redevelop buildings: add bathrooms and common spaces outside and inside the building; equip kitchens and laundry rooms. The team doesn't skimp on materials and seeks eco-friendly solutions, collaborating with local manufacturers. We choose calming, light colors for walls and furniture and add plants.

Since the project's inception, its primary value has been a community where people care about each other. At CO-HATY facilities, creating communities of neighbors with mutual respect and trust is significant. We involve (future) residents in planning, renovating, and administrating the spaces to integrate them into the new community and build a sense of ownership. During the project's existence, we have restored and prepared for living seven facilities in Ivano-Frankivsk and Khmelnytsky regions that can accommodate about 1,500 internally displaced persons. We continue to restore housing and develop the project with the realization that many Ukrainians cannot return to their homes for a prolonged time. We are moving towards creating models of long-term affordable housing for those in need and plan to expand the project's geography and work in other regions of Ukraine.







უკრაინის ომმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მწვავე კრიზისი საცხოვრებლის გამოიწვია. რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის შემდეგ, დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა, მათ შორის 6.5 მილიონი ადამიანი კი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გაიხიზნა. არასაკმარისი საცხოვრებლით გამოწვეული ამ მწვავე პრობლემის პირისპირ, ჩვენი გუნდი დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ შეეძლოთ არქიტექტორებს ამ პროცესში სასიკეთო წვლილის შეტანა.

# Co-Haty

## MetaLab-ის პროექტი

მონვეული  
მომხსენებელი

2022 წლის მარტში, სრულმასშტაბიანი ომის პირველ კვირებში, Metalab-ის გუნდი Urban Curators-ის წევრებთან თანამშრომლობდა. ისინი კიევში ჩამოვიდნენ და პროექტი „Co-Haty“ შექმნეს. ეს პროექტი, სიყვარულითა და ღირსებით, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს საცხოვრებლის შექმნაში ეხმარებოდა. საპილოტე პროექტი ჯგუფმა პარტნიორთან, Second Home IF-თან ერთად განახორციელა. ჩვენ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ის ნაწილები აღვადგინეთ, რომლებიც 5 წელზე მეტია დაცარიელდა. მაშინ პროექტმა დიდი მხარდაჭერა მოიპოვა - ჩვენი მეგობრები გულუხვად გვიგზავნიდნენ საშენ მასალებს, ტექნიკასა და ფინანსურ დახმარებას უცხოეთიდან. ჩვენს გვერდით იყვნენ ენთუზიასტებიც, რომლებმაც ერთმანეთი იპოვეს, გაერთიანდნენ და მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდათ მშენებლობისა და დიზაინის გამოცდილება, ადგილზე მუშაობა დაიწყეს. სწორედ ამ ერთიანობისა და ზრუნვის შედეგად გაჩნდა მხარდაჭერა კრიზისის დროს. ჩვენ უკვე შეგვიძლია, შენობები იმ ადამიანების დახმარებით აღვადგინოთ, ვინც იზიარებს ჩვენს ხედვას ან ჩვენი პარტნიორია ფინანსური და ექსპერტული მხარდაჭერის კუთხით. შენობების აღდგენის პროცესი მოიცავს არქიტექტურულ და ურბანულ ექსპერტიზას, ადგილობრივ ხელისუფლებებთან და უძრავი ქონების მესაკუთრეებთან თანამშრომლობას, რემონტისა და კეთილმოწყობისთვის სახსრების მოძიებას, მშენებლობის მართვას, ავეჯის შექმნას და ადგილობრივ საწარმოებთან მუშაობას.

საცხოვრებლის კრიზისი უფრო და უფრო მწვავედება. კვლევები აჩვენებენ, რომ შემოსავალი მცირდება, ადგილობრივი გაქირავების სექტორი კი კვლავ არასტაბილურია. ისინი, ვინც სახლები ქალაქების ნგრევის გამო დაკარგეს, კიდევ დიდხანს დარჩებიან უსახლკაროდ. ეს ფაქტი გრძელვადიანი სოციალური საცხოვრისის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებს. ჩვენი გუნდი ცდილობს კომფორტული და ლამაზი საცხოვრებლები შექმნას, მცირე დეტალებით, რომლებიც ქმნის სახლის განცდას - დროებითი საცხოვრებლის განცდის ნაცვლად. ამ მიზნის მისაღწევად, ნაგებობებს დანიშნულებას ვუცვლით:





ვამატებთ სააბაზანოებს, სამზარეულოებს, სამრეცხაოებსა და საერთო სივრცეებს - როგორც შენობებში, ისე მათ გარეთ. მასალებზე ფინანსებს არ ვზოგავთ და ეკოლოგიურად გამართლებულ გადანაცვტილებებს ვიღებთ, ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მწარმოებლებთან. კედლებისა და ავეჯისთვის დამამშვიდებელი ეფექტის მქონე, ღია ტონალობებს ვირჩევთ და სივრცეში მცენარეებს ვამატებთ.

პროექტის დასაწყისიდან დღემდე, მისი მთავარი ღირებულება არის თემი, რომლის წევრებიც ერთმანეთზე ზრუნავენ. Co-Haty ქმნის სამეზობლო-ამხანაგოებას, რომლებიც ურთიერთპატივისცემასა და ნდობას ეფუძნება. დაგეგმარების, რემონტისა და სივრცეების მართვის პროცესში მომავალი მაცხოვრებლებიც არიან ჩართული, რაც აუცილებელია ახალ თემში მათი ინტეგრაციისა და მასთან მიკუთვნებულობის განცდის გასაჩენად. პროექტის ფარგლებში აღვადგინეთ და საცხოვრებლად მოვამზადეთ ივანო-ფრანკივსკისა და ხმელნიცკის ოლქებში მდებარე 7 ობიექტი. ამ სივრცეებში 1500-მდე იძულებით გადაადგილებული პირი ბინავდება. ვინაიდან ვიაზრებთ, რომ უამრავი უკრაინელი დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს სახლში დაბრუნებას, განვაგრძობთ საცხოვრებლების აღდგენასა და პროექტის განვითარებას. გვსურს შევქმნათ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის მოდელები მათთვის, ვისაც ეს სჭირდება და პროექტის გეოგრაფიის გაფართოებასაც ვგეგმავთ - მუშაობას უკრაინის სხვა რეგიონებშიც.

# Excavating Future Narratives

Workshop

Mareike Wenzel with Aitsona-Daitsona



**Workshop facilitators:**

Mareike Wenzel, Mariam Gabritchidze,  
Lili Mamulashvili, Nino Vashakidze

**Participating children:**

Ani Mchedlidze, Ana Chokheli, Ana Topuridze,  
Tekla Chkhikvishvili, Tekla Gurashvili, Barbare Kanchaveli,  
Mariam Kanchaveli, Giorgi Zirakashvili, Luka Loliashvili,  
Givi Gianashvili, Dea Darsalia, Mariam Tkemaladze,  
Shia Mamucharashvili, Nika Chkheidze, Etuna Vekua,  
Salome Diasamidze, Lizi Tkebuchava

**Special thanks to the teachers supporting this project:**

Kristine Gongadze (167 Public school), Irinka Jvarsheishvili  
(182 Public school), Tamta Jijavadze (Progress School)

In our workshop series “Excavating Future Narratives” we wanted to create visions for the sites of the Architecture Biennial 2022 together with children and by that, taking a stance for the inclusion of children into decision making processes regarding city planning. We wanted to discuss and experience together with children what a city can be and for whom it should be.

When it comes to city planning and designing cities, it is the children who are most of the time not included in these processes, with their needs very often being ignored. Tbilisi is becoming a more and more hostile place for children, not offering enough space for playing, growing, exploring and participation. Especially after the pandemic, when public spaces to come together, play, meet and exchange are needed more than ever, children are confronted with a lack of space. This workshop series was about reclaiming and redefining space for children together with them. So before looking at what’s next, we decided to look at what is there now and what was there before and from this point, start to rethink spaces with the participating children.

For almost 20 years, I have worked with immersive and site-specific performances and for the past years also with a strong focus on the inclusion of children. In 2017, I founded the Georgian NGO Aitsona-Daitsona for children’s theatre and theatre and arts in education. One part of this work is to include children into decision making processes in a playful way with the means of theatre and arts. For “Excavating Future Narratives” I worked with the Aitsona-Daitsona team and a group of children and teenagers from three schools in Tbilisi. We created workshops that were a small performative and immersive research of sites of the Architecture Biennial. The workshops focused on how to create child friendly spaces in Tbilisi, spaces which will give children and young people the opportunity to play, grow, develop, and participate. We wanted to encourage children to reclaim spaces and together redefine them according to their ideas and needs. For this purpose, we created a fictional frame with the children becoming a team of “archaeologists for future narratives”, meaning the children took on the roles of archaeologists that researched different sites in Tbilisi and were exploring different future visions for them. Hence, they were looking at the concretely given structures, buildings, and remnants on the sites and were exploring them by redefining their function and narration. The children in the role of experts felt much freer to rethink given situations and structures. I often have encountered that when asking children in our workshops, what they would like to change about given situations and structures, they don’t dare to take bold choices and stick to what they are told should be the



status quo, as they always hear that as children, they have no right or knowledge to change given circumstances. By creating a fictional frame in our workshops and making children experts for certain issues, they start trusting in their own ideas and wishes and dare to make bolder choices.

At the first meeting, this team of archaeologists looked at all sites of the Biennial and chose one that they wanted to work on. They decided on Tbilisi Academic City as their working area, which is located in the Saburtalo district, close to the Sports Palace. Together we made several field trips within the area and the children in the role of archaeologists examined the site and looked at different traces they found, these were existing buildings, remnants of buildings and infrastructures that had changed their use several times, parks converted to places for driving lessons, pavements that were changed into car parking spaces and many more. The children also interviewed people from the area about the district and took photos, videos and also collected items they found at the sites.

After the field trips, they were looking at their findings and were discussing and analysing them. They discussed what they thought were the most pressing problems and identified them to be: pollution, lack of space for the residents and especially children and the danger through cars and lack of pavements and space for pedestrians.

In the next part of the workshop the team of archaeologists created a small city planning studio and realised their vision of the area, built within the given structures they found on their excavation site in the Academic City. Using various artistic media, they created scenarios of the future, which reflected the needs of children in general and their own personal wishes. In the end, the participants had created a short film documenting their archaeological work on site and their own model for one part of Academic City. This model included an open-air cinema, lots of trees, seating for everyone around a fountain, a new library and house for children open to everyone, which should include a cheap intergenerational café and swimming pool on a roof garden, art workshops and studios open to all children, rehearsal rooms for dance and theatre, a game room and much more. In small improvisation workshops they also created stories around the area, its past and future and the people living there. The workshop outcome was presented by the children to a public audience during the Architecture Biennial.

# მომავლის ამბების ძიება

ვორქშოპი

მარაიკე ვენცელი და „აიწონა-დაიწონა“



## სემინარის ფასილიტატორები:

მარაიკე ვენცელი, მარიამ გაბრიჭიძე, ლილი მამულაშვილი, ნინო ვაშაკიძე.

## მონაწილე ბავშვები:

ანი მჭედლიძე, ანი ჩოხელი, ანა თოფურიძე, თეკლა ჩხიკვიშვილი, თეკლა გურაშვილი, ბარბარე ყანჩაველი, მარიამ ყანჩაველი, გიორგი ზირაქაშვილი, ლუკა ლოლიაშვილი, გივი გიანაშვილი, დეა დარსალია, მარიამ ტყემალაძე, შია მამუჩარაშვილი, ნიკა ჩხეიძე, ეთუნა ვეკუა, სალომე დიასამიძე, ლიზი ტყებუჩავა.

## განსაკუთრებული მადლობა მასწავლებლებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ პროექტს:

ქრისტინე გონგაძეს (167-ე საჯარო სკოლა), ირინკა ჯვარშიშვილს (182-ე საჯარო სკოლა) და თამთა ჯიჯავაძეს (სკოლა „პროგრესი“).

ვორქშოფების სერიით „მომავლის ამბების ძიება“ გვსურდა ბავშვებთან ერთად ჩამოგვეყალიბებინა ხედვები 2022 წლის არქიტექტურის ბიენალეს სივრცეების შესახებ. ამ გზით, ჩვენ მხარი დავუჭირეთ ბავშვების ჩართვას ქალაქგეგმარების პროცესში; გვინდოდა, მათთან ერთად გვემსჯელა და გამოგვეცადა, თუ რა შეიძლება იყოს ქალაქი და ვისთვის უნდა იყოს ის.

როგორც წესი, ბავშვები ყველაზე ნაკლებად მონაწილეობენ ურბანულ დაგეგმარებასა და ქალაქების დაპროექტებაში; შესაბამისად, ხშირად, მათ საჭიროებებს არავინ ითვალისწინებს. თბილისი სულ უფრო მტრულად განწყობილი ადგილი ხდება ბავშვებისთვის, რადგან აღარ სთავაზობს მათ თამაშის, ზრდის, კვლევისა და პროცესში მონაწილეობისთვის საკმარის სივრცეს.

განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, როცა შეხვედრების, თამაშის, ურთიერთობისა და ურთიერთგაცვლისთვის საჭირო საზოგადოებრივი სივრცეები აუცილებელია ისე, როგორც არასდროს; ბავშვები არასაკმარისი სივრცის პრობლემას აწყდებიან. ვინაიდან ვორკშოპების ეს სერია ემსახურებოდა ბავშვებისთვის სივრცის დაბრუნებისა და მისი ხელახლა განკარგვის საკითხების მათთან ერთად გადწყვეტას, იქამდე, სანამ ვიფიქრებდით იმაზე, თუ „რა იქნება შემდეგ“, გადავწყვიტეთ გვენახა, თუ რა გვექონდა მოცემულ მომენტში და ნანახი იმასთან შეგვედარებინა, რაც მანამდე იყო. ვორქშოფის მონაწილე ბავშვებთან ერთად, სწორედ აქედან უნდა დაგვეწყოს სივრცეების გადააზრება.

თითქმის 20 წლის განმავლობაში იმერსიულ და ადგილზე მორგებულ სპექტაკლებზე ვმუშაობდი. ბოლო წლებში განსაკუთრებით ვცდილობ, პროცესში ბავშვები ჩავრთო. 2017 წელს ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „აიწონა-დაიწონა“ დავაარსე საბავშვო თეატრისა და საგანმანათლებლო თეატრისა თუ ხელოვნებისათვის. ამ საქმიანობის ერთ-ერთი ასპექტი გადწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვების ჩართვაა თამაშის ფორმით, თეატრისა და ხელოვნების საშუალებებით. პროექტზე „მომავლის ამბების ძიება“ - ვიმუშავე „აიწონა-დაიწონას“ გუნდთან და ბავშვებისა და მოზარდების ჯგუფთან ერთად თბილისის სამი სხვადასხვა სკოლიდან. შევექმენით ვორკშოპები, რომლებიც საშემსრულებლო და იმერსიული მეთოდებით იკვლევდა არქიტექტურული ბიენალეს სივრცეებს; ვორკშოპები მცირე კვლევად იქცა, რომელიც ფოკუსირდებოდა იმაზე, თუ როგორ შეიძლება თბილისში ბავშვებზე მორგებული სივრცეების შექმნა,



სადაც ახალგაზრდები თამაშს, განვითარებას და თანამონაწილეობას შეძლებდნენ. გვინდოდა ბავშვების წახალისება, რათა მათ სივრცეების ხელახალი ათვისება და მათი გადანაწილება საკუთარი იდეებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად დაეწყოთ. ამისთვის წარმოსახვითი ჩარჩო შევექმენით, რომლის ფარგლებშიც ისინი „მომავლის ამბების არქეოლოგები“ გახდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვებმა შეასრულეს არქეოლოგების როლი, იკვლიეს თბილისის სხვადასხვა სივრცე და ამ სივრცეების განსხვავებული მომავლის შესახებ ხედვები შეიმუშავეს. ამ გზით, ისინი ცვლიდნენ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულ სტრუქტურებს, შენობებსა თუ ნარჩენებს ადგილზე და კვლევის პროცესში ხელახლა განსაზღვრავდნენ მათ ფუნქციასა და დატვირთვას.

ექსპერტების როლში ბავშვებმა გაცილებით თავისუფლად იგრძნეს თავი მოცემული ვითარებებისა და სტრუქტურების გადააზრების პროცესში. ხშირად, როცა ვორკშოპებზე ბავშვებს ვეკითხები, თუ რას შეცვლიდნენ მოცემულ ვითარებასა და სტრუქტურებში, ვაწყდები იმას, რომ ისინი ვერ ბედავენ თამაში გადანაცვლებების მიღებას და ფიქრობენ, რომ ყველაფერი ისე უნდა დატოვონ, როგორც არის - მათ ხომ ყოველთვის ის ესმით, რომ ვინაიდან ბავშვები არიან, არ აქვთ საკმარისი ცოდნა ან უფლებები არსებული გარემოებების შესაცვლელად. თუმცა, ვორქშოფის ფარგლებში წარმოსახვითი ჩარჩოს შექმნით, ისინი ექსპერტები გახდნენ, გაუჩნდათ საკუთარი იდეებისა და სურვილების უფრო ძლიერი რწმენა და შედეგად, უფრო თამაში გადანაცვლებების მიღებაც გაბედეს.

პირველ შეხვედრაზე არქეოლოგების გუნდი ბიენალეს ყველა სივრცეს გაეცნო და მათგან ერთი შეარჩია სამუშაოდ - „თბილისის აკადემიური ქალაქი“, რომელიც საბურთალოზე, სპორტის სასახლესთან ახლოს მდებარეობს. საველე სამუშაოსთვის იქაურობას რამდენჯერმე ვენვით ერთად. ბავშვმა არქეოლოგებმა დაათვალიერეს სივრცე და შეისწავლეს სხვადასხვა კვალი, რომლებიც იქ აღმოაჩინეს: არსებული შენობები, ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურების ნარჩენები, რომლებმაც რამდენჯერმე შეიცვალეს ფუნქცია; პარკები, რომლებიც ავტოსკოლებად იქცა; პარკინგებად გადაკეთებული ტროტუარები და მრავალი სხვა. გარდა ამისა, მათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს ინტერვიუებიც ჩამოართვეს ადგილის ისტორიის შესახებ, გადაიღეს ფოტოები თუ ვიდეოები და ადგილზე ნაპოვნი ნივთები შეაგროვეს.

საველე გასვლების შემდეგ, ისინი განიხილავდნენ საკუთარ აღმოჩენებს; არკვევდნენ, თუ ვის რა მიაჩნდა აქტუალურ პრობლემად. საბოლოოდ, რამდენიმე საკითხი გამოიყო: დაბინძურება, არასაკმარისი სივრცე მაცხოვრებლებისა და განსაკუთრებით, ბავშვებისთვის; ავტომობილები, როგორც საფრთხე და ტროტუარებისა და გადასასვლელების ნაკლებობა ქვეითებისთვის.

მომდევნო ეტაპზე არქეოლოგების ჯგუფმა ქალაქგეგმარების მცირე სტუდია შექმნა და შესწავლილ სივრცეზე საკუთარი ხედვის რეალიზაცია მოახდინა - ააგო მისი მოდელი ტერიტორიაზე შეგროვებული მასალისაგან. სხვადასხვა მხატვრული ფორმის გამოყენებით, ბავშვებმა შექმნეს მომავლის სცენარები, რომლებიც მათ ზოგად საჭიროებებსა თუ პირად სურვილებს ასახავდა. საბოლოოდ, მონაწილეებმა შექმნეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი მათ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოს შესახებ, რომელშიც აკადემიური ქალაქის ერთი ნაწილის მათეული ნიმუშია ნაჩვენები. ნიმუში მოიცავს ღია კინოთეატრს, ბევრ ხეს, დასასვენებელ ადგილებს შადრევნის გარშემო, ახალ ბიბლიოთეკას და სახლს ბავშვებისთვის, რომელიც ღიაა ყველასთვის და აერთიანებს: კაფეს ყველა თაობისთვის, სარეპეტიციო



დარბაზებს ცეკვისა და თეატრისთვის, სათამაშო ოთახს და მრავალ სხვა სივრცეს. გარდა ამისა, მცირე იმპროვიზაციულ ვორქშოფებზე ბავშვებმა შეთხერს ისტორიები ადგილის წარსულის, აწმყოს, მომავლისა და იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ.

ვორქშოფის შედეგები ბავშვებმა საჯაროდ წარადგინეს თბილისის არქიტექტურის ბიენალეზე შეკრებილი აუდიტორიისთვის.

# Unfinished Bypass Railway Bridge Tour

Guided  
Tour

Irakli Zhvania, Martin Thim



In 2023, as a part of the Tbilisi Architecture Biennial, a walking tour was held on one of the sections of the abandoned bypass railway line of Tbilisi, which included a tunnel and a concrete gauge overpass standing on high support poles in the northern part of the city. Tbilisi railway bypass has many technical problems. Moreover, the whole idea of redirecting passenger trains is controversial and comes with many negative aspects from an urban development perspective. The issues of urban mobility and railway as the most eco-friendly transport with the highest transfer capacity are the most crucial among them.



Modern cities with an urban and regional scale contribute to the development of rail transport, as it can carry the most significant number of passengers in the fastest way. Different types of passenger trains — intercity or suburban — are considered the most environmentally sustainable mass transport. In this regard, the railway system of Tbilisi has a favorable location as it enters the central part of the city, with the main station being Station Square. In this place, both Tbilisi Metro lines connect. Accordingly, passengers entering the city are easily distributed by other types of transport and metro in different directions, both to the peripheral and central areas of the capital.



The Tbilisi Railway needs to be developed. It is crucial to create it at the level of the entire agglomeration, establishing connections between Tbilisi, Rustavi, Gardabani, and Mtskheta. This will significantly reduce automobile traffic in these directions, positively impacting the environment, decreasing the strain on roadways, and improving safety.

Operational stops have to be added in Zahesi, Didube, Isani, Lilo, and Tbilisi Airport. This will significantly improve mobility in Tbilisi, unload the streets from cars, and avoid unnecessary overloading of buses. Disruption of such potential by canceling the line in Tbilisi will irreversibly damage the passenger flows, as it will permanently eliminate excellent opportunities to improve mobility, ecology, and security on both city and agglomeration levels.

Of course, the large freight and especially transit rail flows should be redirected through the bypass. However, here, we encounter violations of technical parameters, which reduce the efficiency of transportation. The line is incorrectly pulled in the vicinity of the Tbilisi Sea, which poses an ecological threat to the reservoir in case of accidents. It would have been appropriate to build a bypass railway on the other side of the ridge on the northeast side of the Tbilisi Sea instead.

საქართველოს მთავრობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ღირებული საჯარო მიწის საბაზრო ფასზე დაბალ ან სიმბოლურ ფასად გაყიდვას განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გადაიქცა მიწების მითვისების საშუალებად პოლიტიკური კავშირების მქონე პირებისთვის, რომლებმაც ან არ შეასრულეს პროგრამის პირობები, ან მნიშვნელოვნად შეამცირეს ისინი მოლაპარაკებების გზით. (Shermadini, 2015)

ტენდერის შეთავაზებამ გარკვეული იმედები გააჩინა. გაჩნდა მოლოდინი, რომ უცხოური ინვესტიციის ნაცვლად, პროექტს ქართული კომპანია განახორციელებდა.

შესყიდვის კონტრაქტი მოითხოვდა, 30 მილიონი დოლარის ხუთი წლის განმავლობაში ინვესტირებას საზოგადოებრივი კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურისთვის, მათ შორის რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობისთვის, წყლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო გზის სისტემისთვის (Shermadini, 2015)

საბოლოოდ, ხაზარაძის კომპანიებმა მიწა მხოლოდ 55 მილიონ დოლარად შეიძინა, საზოგადოებრივი სარგებლობის ვალდებულებების გარეშე. განაშენიანების ცენტრალური პროექტი ცნობილია, როგორც „მწვანე ქალაქი ლისზე“. პროექტის გენერალური გეგმა და მარკეტინგული მასალები აღწერს „მწვანე“ მახასიათებლების ნაზავს, რომლებიც შერწყმულია ძვირადღირებულ ბინებთან კოხტა, საშუალო სიმაღლის შენობებში. ვებგვერდი პროექტს ახასიათებს, როგორც „პატარა, სრულფასოვან ქალაქს დიდ ქალაქში“, რომელიც ღია სივრცეებს, გამწვანებასა და პარკირების შესაძლებლობებს გთავაზობთ - იმას, „რასაც თბილისის უძრავი ქონების სექტორი ვეღარ უზრუნველყოფს“ (მწვანე ქალაქი ლისზე, 2021). პროექტის გენერალური გეგმა მიუთითებს, რომ საბინაო განვითარებისთვის ფართობის მხოლოდ 20% იქნება გამოყენებული, რათა უხვად დარჩეს საერთო სივრცე. ღია სივრცე მთავარი მწვანე მახასიათებელია, რასაც პროექტის ვებგვერდი გვთავაზობს და უდავოდ მიმზიდველია თბილისის მოსახლეობისთვის, რომელსაც დიდი ხანია აწუხებს ჰაერის დაბინძურება და ღია სივრცის ნაკლებობა. პროექტი გულისხმობდა, ასევე, თიბისი ბანკთან პარტნიორობას, რათა მყიდველებისთვის იპოთეკური სესხი 10%-იანი პირველადი შენატანის პირობით შეეთავაზებინა. ეს მნიშვნელოვანი შეთავაზებაა იმ ფონზე, როდესაც, ჩვეულებრივ, ქვეყანაში

მსგავსი სესხის პირველადი შენატანი 30-50%-ს შეადგენს („მწვანე ქალაქი ლისზე“ შენი სახლი გელოდება“, 2016).

პროექტის პირველი ფაზა 2011 წელს გაიხსნა. ის მოიცავს 160-ბინიან კომპლექსს და ადმინისტრაციულ და სავაჭრო სივრცეს. მშენებლობა კვლავ გრძელდება, თუმცა გზად გარკვეულ სირთულეებსაც წააწყდა. ლისის ტბის ტერიტორიის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი იყო მათ შორის, რაც თბილისის ახალი გენერალური გეგმის ფარგლებში წამოიჭრა. გარკვეულმა ნაწილმა ქალაქის გენერალურ გეგმაში ამოიკითხა შესაძლებლობა, შეზღუდულიყო იქამდე დაცულ, ისეთ კონსერვაციულ და რეკრეაციულ ზონებში მიმდინარე განვითარება, როგორიც ლისის ტბაა. მეორე მხრივ, კერძო მესაკუთრეები და დეველოპერები საკუთარი ინვესტიციების დაცვას ცდილობდნენ. თბილისის მერია უფრთხოდა მოსალოდნელ ხარჯებს - კომპენსაციებს, რაც საკუთრების უფლების დარღვევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, თუ გენგემა განაშენიანებას შეზღუდავდა. საბოლოოდ, მორატორიუმთან ერთად, გენერალური გეგმის მოთხოვნა ლისის ტბისთვის „დეტალური ტერიტორიული გეგმის“ შემუშავება იყო დამატებითი კვლევისა და ჩართულობის საფუძველზე. ახლახან მიღებული „დეტალური ტერიტორიული გეგმა“ კონსერვაციისა და განვითარების ერთობლიობას მოითხოვს - ეს არის ფორმულა, რომელიც გენგეგმაში გამოყოფილი ღია სივრცის საკმაოდ დიდ მასშტაბს უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის შედეგები ლისის მწვანე ქალაქზე ჯერ კიდევ უცნობია, ხაზარაძე ცოტა ხნის წინ თაღლითობაში ცნეს დამნაშავედ. სისხლის სამართლის ეს ბრალდება ხაზარაძის მიერ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ოპოზიციური პოლიტიკური



პარტიის შექმნას დაემთხვა, რის გამოც აშშ-ს საელჩომ შეშფოთება გამოთქვა ბრალდების შესაძლო პოლიტიკურად მოტივირებული ხასიათის შესახებ.



მინისფერი ტონებით, ქვის ფასადებითა და ხის იატაკებითა თუ ქერის კოჭებით გამოირჩევა. სურათებში ნათლად ჩანს ექსკლუზიურობასა და ფუფუნებაზე ხაზგასმა, ეზოებში კერძო აუზებითა და ჭიშკრებიანი შესასვლელებით. პოტენციურ მყიდველებს ვებგვერდი შესაბამისი ფორმის შევსებას სთავაზობს, სადაც მათ უნდა მიუთითონ, საზაფხულო სახლით არიან დაინტერესებულნი თუ მუდმივი საცხოვრებელით. ვებგვერდი განმარტავს, რომ „სათიბეს უკვე ბევრი მომავალი მოსახლე ჰყავს. მათი უმრავლესობა ხელოვნების, შემოქმედებითი ინდუსტრიების, ინოვაციურ-ტექნოლოგიური და ბიზნეს სექტორების წარმომადგენელია“ (სათიბე, თარიღი უცნობია). ვებგვერდზე განთავსებული გეგმის ესკიზის მიხედვით, პროექტში დაახლოებით 100 ნაკვეთია გათვალისწინებული.

## სათიბე

მიუხედავად იმისა, რომ სათიბე სცდება თბილისის საზღვრებს (ის მანქანით 50 წუთის სავალ მანძილზეა თავისუფლების მოედნიდან) იქ მიმდინარე განვითარება იმით გამოირჩევა, რომ სრულიად ახალ მიდგომას გვთავაზობს ქალაქის კიდეში საცხოვრისის განვითარებასთან დაკავშირებით.

სათიბე თბილისთან მდებარე ახალი დასახლებაა, რომელიც სოფელ ორბეთის განაპირას წარმოიქმნა. მისი მიზანია ადამიანები ბუნებასთან და ერთმანეთთან დააკავშიროს, გარემოში, სადაც პროდუქტიულობა და დასვენება სრულ ჰარმონიაში თანაარსებობს (სათიბე, თარიღი უცნობია)

სათიბეს ვებგვერდზე წარმოდგენილია ერთოჯახიანი სახლების ფოტოები და არქიტექტურული პროექტები, რომლებიც ბუნებრივი ესთეტიკით:

## დისკუსია და დასკვნა

თბილისის კიდის განაშენიანების პროექტები მიზნად ისახავს თანამედროვე ცხოვრების წესის უზრუნველყოფას ახალ ქალაქურ გარემოში, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს საცხოვრებელი ქალაქის კიდეში. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი, ერთი მხრივ, საჭირო და ხელმისაწვდომ საცხოვრისს გვთავაზობს, თუმცა, ამავედროულად, თბილისიდან სივრცით, ეკონომიკურ და სოცო-კულტურულ გათიშულობას განიცდის. პროექტი არ არის დაგეგმილი ან მარკეტინგულად მოწოდებული იმგვარად, რომ ისარგებლოს საკუთარი მდებარეობით ქალაქის კიდეში. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი ყურადღებას ამახვილებს უცხოური ინვესტიციებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის როლზე განაშენიანების ფორმირებაში. მწვანე ქალაქი ლისზე

მწვანე ცხოვრებას ფუფუნების საგნად წარმოგვიდგენს და პროექტის დიზაინითა და ადგილმდებარეობით იზიდავს ახალ მყიდველებს. თანამედროვეობის ერთგვარი ქალაქი-ბალი „მწვანე ქალაქი ლისზე“ ქალაქისა და ქალაქგარე სივრცის საუკეთესო თვისებებს გვთავაზობს ურბანული ესთეტიკითა და უამრავი ღია სივრცით. მწვანე სივრცის უპირატესობების რეკლამირების მიუხედავად, პროექტი წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან, როდესაც განაშენიანებას იქამდე დაცულ ტერიტორიაზე ახორციელებს. ის დაკავშირებულია, ასევე, ძალაუფლებისა და კორუფციის საკითხებთან, რომლებიც საქართველოში ყოველთვის თან სდევს მსხვილი მასშტაბის განაშენიანებას. სათიბე ერთადერთი პროექტია ამ სამიდან, რომელიც მხოლოდ ერთოჯახიანი სახლებისგან შედგება და ქალაქის კიდეში, ბუნებასთან ახლოს ცხოვრების ხედვას გვპირდება. ეს არის პროექტი, რომელიც თან მიწასთან დაბრუნებას გვთავაზობს, თან კი მისი პირდაპირი სამიზნე თბილისის შემოქმედებითი კლასი და ტექნო-ფინანსური ელიტებია, რომელთაც დისტანციურად მუშაობა ან საზაფხულო შვებულების გატარება შეუძლიათ სოფლის ამ იდილიაში.

ეს პროექტები აჩვენებს, რომ თბილისის გარეუბნებს, ისევე, როგორც ურბანულ პერიფერიებს მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მეტად აყალიბებს მარკეტიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები, თუმცა თითოეული მათგანი მაინც უნიკალურად ქართულ რეალობაში რჩება ჩართული. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი გვაჩვენებს ჩინეთის მზარდ გეოპოლიტიკურ და ფინანსურ ძალას მთელ მსოფლიოში. ის ასევე მიუთითებს, რომ ქალაქის პერიფერიის როლი კვლავ აქტიურია საბინაო განვითარებაში - მათ შორის, პრობლემური მშენებლობების შემთხვევაშიც, რომლებიც

მოწყვეტილია ეკონომიკურ და სოციალურ შესაძლებლობებს. ამგვარი განაშენიანების აშკარა წარუმატებლობა იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს განვითარების პოლიტიკა ჯერ კიდევ ტექნოკრატიული გადანაცვტილებებშია ჩაძირული და არ არის მზად ბაზრის რეალობასთან გასამკლავებლად. ორივე პროექტის მდიდრული პოზიციონირება - იქნება ეს მწვანე ქალაქი ლისზე თუ სათიბე - შეუზღუდავი, მდიდარი და კომფორტის მაძიებელი ურბანისტების მისწრაფებებს ასახავს, ისევე, როგორც თანამედროვე პერიფერიის ჩამოყალიბებაში საბაზრო პროცესების მნიშვნელობას. ეს ძალები მთელ მსოფლიოში დომინირებს პერიფერიის განვითარებაში და ამ მხრივ, თბილისიც გლობალური პროცესის ნაწილია. ამავდროულად, ორივე პროექტი ღრმად ქართულია. „მწვანე ქალაქი ლისზე“ თბილისში აქტუალურ ან ტრენდულ საკითხებს ეხმიანება, თუნდაც იმით, რომ უპირატესობას თანამედროვე ურბანულ ესთეტიკას ანიჭებს, ჰაერის ხარისხისა და ღია სივრცის საკითხით ინტერესდება და თან განუყოფელია საქართველოს კორუფციის პრობლემისგან. რაც შეეხება სათიბეს, ის აღვიძებს ქართული სოფლის ტრადიციებს, მაგრამ თანამედროვე შტრიხებით და ურბანული ელიტებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თბილისის პერიფერიაზე, უამრავი საკითხი და შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩება. პოლიტიკის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, 2018 წლის გენერალური გეგმა ურბანული პერიფერიის შესახებ იმედისმომცემ პლატფორმას გვთავაზობს, რათა უკეთ დავიცვათ გარემო. ქალაქის კიდესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, როგორიცაა ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სივრცითი იზოლაცია თუ შიდა მობილობა, სცდება მოცემული

ნაშრომის ფარგლებს, თუმცა  
გაცილებით აქტიურ პოლიტიკურ  
ყურადღებას იმსახურებს. უდავოა,  
რომ ქალაქის პერიფერია მუდმივად

ცვალებად ტერიტორიად დარჩება,  
როგორც, ერთი მხრივ, კონფლიქტის  
კერა, მეორე მხრივ კი მუდმივი იდეალი.



# Infrastructures of Delay

Evelina Gambino, Tekla Aslanishvili

## Intro

Railways make space. They pierce holes into mountains, they tie territories into knots...they bridge, they hook, they circulate, they are (in) motion. Upon thinking about infrastructures, this circulation is the first thing that comes to mind: the volumes and lengths of the earth connected by the movement of a train on its tracks. Yet, rail infrastructure is also making and unmaking time. A promise of speed accompanies most contemporary infrastructural projects – built to facilitate the seamless circulation of goods, data and people. But other times – capes intersect with – and at times contradict – such promise. These temporalities are material: they emerge from the specific physical properties of infrastructures and, in turn, they have concrete effects on the forms of life and built environments that surrounds them. It is with these temporalities that this essay is concerned, starting from our own encounters with the people and places whose time has been reworked by the crossing of one specific infrastructural project: the Baku-Tbilisi-Kars railway (BTK).

We started researching this railway in the autumn of 2017, in the immediate aftermath of the inaugural ceremony – of the many, and most likely not the last – this time to celebrate the first train crossing this line. In the five years since that first visit to Akhalkalaki, the town at the border between Georgia and Turkey where the line's main station and re-loading point is located, we have gone back several times together and alone to research and, later film, our meetings with local journalists and workers, representatives of the company in charge

of the project Marabda Kartsaki, veteran rail operators or scientists of the Institute of Earth Sciences in Tbilisi. We also travelled to the other stops of this railway, in Kars, Tbilisi, and in Gyumri, where this line used to pass before the closure of the border between Turkey and Armenia in 1993. Through each of these encounters, we pieced together an uneven story of this railway<sup>1</sup>: what we understood is that to make sense of this unevenness, of the multiple ways in which people are being disconnected by a project that promises connectivity, looking at space does not suffice, for this reason, this essay delves into the multiple ways in which this delayed and unfinished project works on time (Mitchell 2020).

## An old and new Silk Road

“When I returned to Georgia, I was thinking to myself: what should be the laconically expressed idea that will grant Georgia some function and place in the modern world?” Eduard Shevardnadze posed this question in an interview shot in the late 90s.

According to the then president of Georgia, what was needed for a country that, unlike its neighbours was not rich in natural resources, was a revolution of the way it thought of itself: this revolution was to transform Georgia into a transit corridor, part of a new, great, Silk Road (Shevardnadze 1999).

“When I started talking about it, in 1992-93, civil war infuriated, bloody conflicts

and thousands of people in distress, many laughed at it: 'what Silk Road, we are shooting each other with guns here?' But I haven't stopped, and talked about it with my colleagues, presidents and heads of different states more than once. By the way, the Chinese showed the biggest interest. They are people who look further into the future and they can wait."<sup>2</sup>

In the many speeches made by Shevardnadze about this new, revolutionary idea, the infrastructural efforts necessary to become a transit corridor, was strongly linked to an emerging sense of what a future Georgia ought to look like. As pipelines were drilled into the ground, oil terminals made to float onto the sea and rail tracks extended, Georgia, according to Shevardnadze's vision would cease being the border between the two incommensurable worlds of state socialism and market capitalism to become a corridor for the free movement of goods, people and ideas.

It is under these auspices that the BTK railway was first conceived in its present form. As hinted previously, rather than an entirely new project, what is known today as the Baku-Tbilisi-Kars railway is instead the reformulation of a pre-existing line that dates all the way back to the Russian Empire.<sup>3</sup> The original railway, that remained operational throughout the Soviet Union, passed through the Armenian city of Gyumri<sup>4</sup> and, despite the Iron curtain, the Kars-Gyumri line provided one of the few gateways to the USSR's exterior. In the aftermath of Soviet collapse, as Shevardnadze and many others were bracing themselves for unprecedented open-ness, the first Nagorno Karabakh war sanctioned a closure that remains unbroken to this day. In 1993 the border between Turkey and Armenia was shut and, with it, the rail-connection between Gyumri and Kars. It is at this moment that Azerbaijan and Turkey, decided to invest in a Georgian route that would bypass Armenia and

cross the South-West Georgian region of Samtske-Javaketi. This route came to be known as the BTK.

By approving the Georgian route of the BTK, Shevardnadze sought to materialize a vision of connectivity that would disentangle Georgia from its war torn present. Simultaneously, however it pegged Georgia's future function to the permanence of conflict in its neighbouring region. Born from diverging geopolitical manoeuvrings, thus the BTK project from its very start contains contradictory visions of the future: one of free and prosperous flows and another of permanent rupture.

In the three decades that followed the initial approval of the BTK, the contradiction at the heart of this project's future ambition – to materialise connectivity by effecting disconnection – provides a key to understanding its effects on the territories it crosses.

## **BTK and its temporalities**

### **Gyumri**

#### **Suspension**

Walking around the station of Gyumri is disorienting: the architecture is grand, one of the finest examples of late Soviet modernism in Armenia, built in 1979 by architect Rafik Yeghoyan and, still imposing today, having survived almost intact the devastating earthquake of 1988<sup>5</sup>. Beyond its large hall, crowned by an enormous chandelier, rows of tracks extend into the distance. Trains are resting on them, giving the impression of a thriving hub. After a closer look, however, it appears that these trains belong to a different time.

Today only two of the many lines that used to cross this station are still working, the rest, have been turned into a museum, showcasing the trains that once used to stop at this station. They speak of a past

where the mobility of cargo, people and new ideas stitched a new territory together, until war cut its seams. Few kilometres from Gyumri station, at the border between Armenia and Turkey, there is another station that today lies abandoned. Its former head, Martin Gevorgyan remembers the day all crossings stopped:

“We communicated with the head of the Turkish station on an everyday basis. He was the same kind of person as myself. We had a good relationship, used to drink tea together, we sat and talked about work, exchanged the wagons and said goodbye and I returned back to Armenia. In 1993, July 11, he came to me and said, we have a letter from the government of the Turkish Republic that says that this passage will be closed temporarily. That was it. It’s been 28 years already! We will continue to wait.”

### **Akhalkalaki**

On the other side, across the Armenian-Georgian border, an opposite, yet in many ways equal process is at place. A station has been erected in the harsh empty landscape of Javakheti, near the towns of Akhalkalaki and Ninotsminda. An alien-looking building, designed by Jürgen Mayer — key interpreter of the architectural aesthetics of the “new Georgia” that Georgia’s former president Mikhail Saakashvili<sup>6</sup> sought to design. The station is made of overlapping volumes symbolising the multiple scales converging into this site. Since our first visit in 2017, infrastructures of different kinds have mushroomed around it, muffling its alien-ness amidst their functional forms. The station is empty, yet not abandoned, as cranes move around it to build the latest components of this hub, a train stops here daily to switch its wagons between the Soviet and European gauge.

### **Delay I**

We are used to think about technology in terms of its ability to make things easier,

faster. When we think about logistics — the industry of moving things around the world — more or less implicitly we tend to assume that its goal is to achieve the smoothest possible circulation. Yet this is only part of the story, for it is from delay that a lot of the profits connected from becoming a transit corridor are made.

Dato Gochava, a veteran rail worker explained to us that: “the width of the European and Georgian railroads is different: the gauge size of the EU railway network is 1435 mm. Our Soviet inherited one is 1520 mm. The docking of these two railway systems [...] needs time!”

Akhalkalaki is the site where this delay takes place.

“This is to our advantage! [...] It’s the cost of time! This is something that not every country has! Do you know what it means to perform this function? The flourishing of that region.”

Across the railways that connects China with Europe there are many of these cross-roads where the momentary halt of circulation creates markets and, in some cases, prosperity. What we understood talking to Dato, then, is that the Akhalkalaki station is indeed a futuristic building, or more accurately a time-machine of sorts: created to mine profitable time out of the technical delay inbuilt into the tracks that meet in this place.

### **Wait**

Whatever profits have incurred from this labouring of time, however, have not translated in a flourishing of the region. The Akhalkalaki-based news organisation J-News has been amongst the few to report on the vicissitudes surrounding the construction and operation of this hub. During our trips to Javakheti we visited their office many times:



“I remember that upon inaugurating the new station, Saakashvili said that it will create so many jobs that locals would be spoiled for choice” - Rima Gharibyan, J-News’ directors told us during our last interview – “Yet, when the project began, locals were not taken to work and when we started to remind them about their promise they started to take locals as unskilled labourers, without documents.”

“And there were problems with delayed payments and people started to protest” adds Kristina Marabyan, one of the journalists who has been covering the many disputes connected to the train: “ultimately, it appeared there shouldn’t be Armenian last names in the list of job applicants But the locals are all Armenians, right? This was an Azeri project so who they hired was their business [...] The government didn’t keep its word. Lots of people had to migrate to Russia. We don’t have any production work here.”

“The BTK is like the Flying Dutchman, legends are circulating about it!” a bitter joke by another journalist, Shushan Shirinyan, before Rima goes on to explain that: “the governmental commission that makes all the important decisions about BTK is in Azerbaijan. So this is why no one knows anything in Georgia” – she concludes – “We’ve been let down, as always!”

## Delay II

If the ability to oversee a technical delay, as Dato Gochava explained to us, is the sought after function that could shape Akhalkalaki’s fortune. Delays of other kinds generate opportunities for profit-making. Our last trip to Javakheti took place in May 2022. During our previous visits we observed the impacts of several major geopolitical events on the region and its inhabitants, from the Covid-19 pandemic to the Second Karabakh War and its aftermath. This time, we found the territory struggling

to adjust to the effects of Russia’s ongoing war against Ukraine. As we approached the village of Kartsakhi, we reached the end of a queue, kilometres long, of trucks waiting to cross the nearby border with Turkey. Several hundreds in a single line, parked precariously at one edge of a two-lane road. We had seen similar scenes in the neighbouring region of Adjara, where the crossing of Sarpi is similarly flooded by cargo waiting to enter Turkey. This extreme and unmanageable congestion is due to the disruption of the norther route that crosses Russia and Ukraine to enter the European Union.

Away from the borders, trucks are scattered in makeshift parking zones across Georgia’s main highways. Enterprises are mushrooming everywhere to cater to their need, trying to turn this delays in the global supply chain into profits for local people. This small scale emergency economy, though, speaks of much larger potentials for profits. Perhaps paradoxically, given the chaos that this logistical rerouting has caused across the country and the difficulties that those who are working through it have to endure and, most crucially, given that this abundance of cargo is due to a raging war being waged against Ukraine, this is the closest the country has been to becoming that essential logistical corridor Shevardnadze imagined. As we learn from participants to the most recent Rail Freight Summit, the disruption of the fastest route has forced many logistics companies to explore possibilities across the Middle Corridor – passing from China through Kazakhstan, Azerbaijan, Georgia, Turkey – a route that was mostly ignored before due to its higher prices and bureaucratic hurdles. Once more, war and logistics are intimately connected. In the competition between corridors that marks contemporary, market-driven logistical circulation, the violent disconnection of one route, represents a possibility for a competing corridor to flourish.

The drivers we meet in Javakheti are stuck. Some of them have taken weeks to complete a route that they used to finish in a matter of days. Many are disoriented and angry as no services are in place to support their movement and their attempts to complain are met with fines by local policemen. They sleep in their trucks, take turns to visit the nearby villages to get some basic supplies and are forced to use nature as their toilets. What becomes apparent chatting to different groups of drivers is how they are almost single-handedly carrying the weight of this delay they are experiencing, while consumer demands and the profits of the company employing them are protected at all cost. Before embarking on their journey, truckers agree a price with logistics companies, which remains the same whether their journey takes a week or a month. Each day of wait, therefore, takes a dent on the drivers' earning so that the effects of the ongoing geopolitical tragedy are discounted disproportionately on those with less power.

### **A different time?**

What we observed across the route of the BTK, rather than connectivity, are multiple forms of disconnection. If disconnection is apparent and material in Gyumri, in Javakheti, it takes shapes that are less visible, but not less pernicious. Local workers are disconnected by the railway through lack of work, populations alienated from the project through lack of information and the transient truck drivers stuck in the region are disconnected from one another through the fragmented ways in which supply chains operate. But during our research on this line, we also witnessed a form of connectivity that was fed and travelled on the railway, and with it we appreciated a different relation to infrastructural time.

To speak of this different form of connectivity have been the many veteran railway workers we encountered, in Tbilisi, Gyumri, Yerevan... Some of them are still employed

on the railways, while others are not, yet all remember the network of infrastructures that they worked on and operated as functioning like a parallel state to the Soviet Union and later nations that contain it. The material structures, forms of knowledge, language and standards that are shared amongst those who work on the railway made possible forms of solidarity and connection that remain alive to this day. And, in some cases, are still put to work as forms of resistance.

In March 2022, at the wake of Putin's horrific invasion of Ukraine, Belarusian workers disrupted their railways in solidarity with their Ukrainian colleagues. We discussed this act of sabotage with Dato Gochava during our last interview: "Putin's initial plan was to take Kiev as quickly as possible. For this, it was essential for the Russian troops to enter Ukraine fast from the side of Belorussia. This is where the moment of solidarity between the railroaders emerged."

As Gochava explained to us, it was the shared knowledge of the railway that allowed rail-workers from different countries to create a form of delay that worked for them.

"There are small boxes for signalization, the same everywhere in the post-Soviet countries.

If you damage them, the automatic movement of trains also shuts down. This causes the train to slow down, and with it, to slow down the movement of Russian troops. The kind of orders they gave were as follows: let's disrupt the railroad, but without harming our train drivers. So the railroad workers protected each other, but slowed down trains. We, the railway workers, know how to do that!"

This act of sabotage took place hundreds of kilometers away from the routes of the BTK, yet as Dato underlines, it was made

possible by the same knowledge traveling on the tracks that underwrite the post-Soviet space.

## Conclusion

Railways make time. They speed up, slow down, create stillness. They work on time by creating delay, as much as they do when they achieve punctuality. Contradicting temporalities infuse the spaces stitched together by rail movements. This essay outlined some of these times, as we have encountered them researching the Baku-Tbilisi-Kars railway across Georgia and Armenia. Focusing on time is not a way to deny the spatiality of railways, their architectural and infrastructural presence on the territory, rather

to show how space and time are inevitably inextricable. The history of the BTK is very much a history of this imbrication.

Building on the many discussions we had across the BTK's route, we have aimed to show the awkward and seldom acknowledged ways in which seamless connectivity is actively pegged to violent forms of disconnection. The future attached to this railway is marked by this contradiction that has left different groups of people stuck in a present too heavy to sustain. Yet across the same networks effecting disconnection, a memory of a different infrastructural past is kept alive and put to work in the present through small acts of resistance.

1

This text retraces the story we told in the collaborative film: "A state in A State" (2022) directed by Tekla Aslanishvili and commissioned by the Han Nefkens Foundation - Fundació Antoni Tàpies Video Art Production Award.

2

Two decades after Shevardnadze's vision was first outlined, the description of the Belt and Road Initiative made by Chinese president Xi Jinping echoes that of the former president.

3

At the end of the 19th century, in the aftermath of the Russo-Ottoman war of 1877-1878, the Tsar sought to cement his hold on the newly acquired territories – located in contemporary Turkey, Armenia and Georgia – by building a railway. The railway helped consolidate Gyumri and Kars cities and linked them, via Tiflis to key industrial centres of this part of the Empire such as Baku and Batumi. During the Soviet Union, despite the separation of Kars, now part of the new-born Turkish nation, the railway remained unaltered, providing one of the few gateways between the Soviet Union and its exterior.

4

known in the Soviet period as Leninakan

5

On December 7 1988, an earthquake of magnitude 6.8 killed up to 50.000 people in the city of Spitak and Gyumri.

6

Saakashvili was President of Georgia between 2003 and 2013, he came to power following the Rose Revolution that ended Shevardnadze's presidency.

## Acknowledgements

This story brings together the experiences of many different people dotted across the railways that connect Georgia to its neighbouring countries, we would like to thank all of them for being kind and patient interlocutors to our research and for showing us their ways.

## Works cited

Shevardnadze, E. (1999) აბრეშუმის გზა : TRACECA. PETRA. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები. (Silk Road: TRACECA. PETRA. Europe-Caucasus-Asia Transport Corridor. Open Market. Political And Economic Aspects. Tbilisi: National Library Archive.

Mitchell, T. (2020) Infrastructure Work On Time. E-Flux. [online] Available At <https://www.e-flux.com/architecture/new-silk-roads/312596/infrastructures-work-on-time/> [Accessed 05.10.2022]



# შეფერხების ინფრასტრუქტურა

ეველინა გამბინო, თეკლა ასლანიშვილი

## შესავალი

რკინიგზა ქმნის სივრცეს. სარკინიგზო ხაზები მთაში ქრის ხვრელებს, ტერიტორიებს აკავშირებს კვანძებად... ისინი ხიდია, შემაკავშირებელია, ისინი ცირკულირებს; ისინი მოძრაობა(ში)ა. პირველი, რაც ინფრასტრუქტურაზე ფიქრისას გვახსენდება, სწორედ ეს წრებრუნვაა: დედამიწის სიგრძეები და მოცულობანი, ლიანდაგზე მატარებლის მოძრაობით ერთმანეთთან დაკავშირებული. თუმცა, რელსების ინფრასტრუქტურა ასევე ქმნის და აქრობს დროს. სიჩქარის დაპირება, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურული პროექტების უმეტესობას ახლავს თან - ხალხის, საქონლისა და მონაცემების შეუფერხებლად გადაადგილებისთვის - დროის სხვა შრეებთან იკვეთება, მათ ეჯახება. ეს დროებითობები მატერიალურია: ისინი ინფრასტრუქტურის კონკრეტული ფიზიკური თვისებებიდან წარმოიქმნება და, თავის მხრივ, კონკრეტული გავლენა აქვს სიცოცხლის ფორმებსა და არქიტექტურულ გარემოზე. სწორედ ამ დროებითობებზე საუბრობს მოცემული სტატია. თხრობას ვიწყებთ ჩვენი პირადი შეხვედრებით იმ ადამიანებთან და ადგილებთან, რომელთა დროც ერთმა კონკრეტულმა

ინფრასტრუქტურულმა პროექტმა - ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზამ შეცვალა.

ამ რკინიგზის შესწავლა 2017 წლის შემოდგომაზე დავიწყეთ, მალევე მისი გახსნის მრავალთაგან ერთ-ერთი - და, სავარაუდოდ, არა უკანასკნელი - ცერემონიიდან, რომელიც მატარებლის მიერ ხაზის პირველად გადაკვეთას აღნიშნავდა. ეს ჩვენი პირველი ვიზიტი იყო ახალქალაქში. შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში, არაერთხელ დავუბრუნდით ამ ქალაქს, რომელიც საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. ახალქალაქშია ამ სარკინიგზო ხაზის მთავარი სადგური და გადატვირთვის პუნქტიც. აქ ხან ერთად, ხან კი ცალ-ცალკე ვბრუნდებოდით ჯერ კვლევებისთვის, შემდეგ კი ფილმისთვის - ვხვდებოდით ადგილობრივ ჟურნალისტებს და მუშებს, მარაბდა-კარნახის პროექტზე პასუხისმგებელი კომპანიის წარმომადგენლებს, ვეტერან რკინიგზელებს თუ თბილისის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერებს. მოვინახულეთ რკინიგზის სხვა გაჩერებებიც - ყარსი, თბილისი და გიუმრი, სადაც ეს სარკინიგზო ხაზი 1993 წელს თურქეთსა და სომხეთს შორის

საზღვრის ჩაკეტვამდე გადიოდა. თითოეული შეხვედრა ამ რკინიგზის არაერთგვაროვანი ამბის შეკვრაში დაგვხმარა<sup>1</sup>: მივხვდით, რომ ამ არაერთგვაროვნების გასაგებად მხოლოდ სივრცეზე დაკვირვება არ იყო საკმარისი - იმ მრავალმხრივ გზებზე დაკვირვებისთვის, რის მეშვეობითაც ეს პროექტი ადამიანებს ერთმანეთისგან თიშავს მაშინ, როდესაც ერთმანეთთან დაკავშირებას ჰპირდება. შესაბამისად, წინამდებარე ესე იმ მრავალმხრივ გზებს უღრმავდება, რომელთა მეშვეობითაც ეს შეფერხებული, დაუსრულებელი პროექტი დროზე ზემოქმედებს (Mitchell 2020).

## ძველი და ახალი აბრეშუმის გზა

„როცა დავბრუნდი საქართველოში, ჩემთვის ვფიქრობდი: რა უნდა იყოს ისეთი ლაკონიურად გამოთქმული იდეა, რომელიც საქართველოს ფუნქციას მისცემს; ადგილს დაუმკვიდრებს თანამედროვე მსოფლიოში?“ კითხულობს ედუარდ შევარდნაძე გვიანი 90-იანი წლების ერთ-ერთ ვიდეოინტერვიუში.

საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის აზრით, ის, რაც სჭირდებოდა ქვეყანას, რომელიც მეზობლებისგან განსხვავებით, არ იყო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, იყო რევოლუცია საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაში. ამ რევოლუციას საქართველო უნდა გარდაექმნა სატრანზიტო დერეფნად, ახალი, დიადი აბრეშუმის გზის ნაწილად (შევარდნაძე, 1999).

„მაშინ, როცა დავინყე ამაზე საუბარი, ეს იყო 1992-93 წლები, სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, სისხლიანი კონფლიქტები და ათასი უბედურება - ბევრს ეცინებოდა: რა აბრეშუმის გზა, აგერ ერთმანეთს თოფს ვესვრითო. არ შევჩერებულვარ და ჩემს კოლეგებთან,

პრეზიდენტებთან არაერთხელ მეონია საუბარი. სხვათა შორის, ყველაზე დიდი ინტერესი ჩინელებმა გამოიჩინეს. ისეთი ხალხია, შორს იყურებიან, ლოდინი შეუძლიათ დიდხანს“.<sup>2</sup>

შევარდნაძის არაერთ გამოსვლაში ამ ახალი, რევოლუციური იდეის შესახებ, ინფრასტრუქტურული ძალისხმევები, რაც სატრანზიტო დერეფნად გარდაქმნისთვის იყო საჭირო, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლად ამოტივტივებულ ხედვასთან იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი საქართველო. გაბურღულ მიწაში ჩაფლული მილსადენების, ზღვაზე გამავალი ნავთობტერმინალებისა და სარკინიგზო გზების გაფართოებასთან ერთად, საქართველო, შევარდნაძის ხედვით, აღარ უნდა ყოფილიყო ორი ურთიერთ შეუდარებელი სამყაროს - სახელმწიფო სოციალიზმისა და საბაზრო კაპიტალიზმის საზღვარი; არამედ საქონლის, ადამიანებისა და იდეების თავისუფალი გადაადგილების დერეფნად უნდა ქცეულიყო.

სწორედ ამ მიზნით იყო თავდაპირველად ჩაფიქრებული ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. როგორც ზემოთ მივანიშნეთ, ის, რაც დღეს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სახელით არის ცნობილი, სინამდვილეში არ არის სრულიად ახალი პროექტი, არამედ უკვე არსებული ხაზის ახლებური გამოვლინებაა, რომელიც რუსეთის იმპერიის დროიდან არსებობს.<sup>3</sup> თავდაპირველი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ფუნქციონირებდა, სომხეთის ქალაქ გიუმრიში<sup>4</sup> გადიოდა და მიუხედავად რკინის ფარდისა, ყარსი-გიუმრის ხაზი ერთ-ერთი ის კარიბჭე იყო, რომელიც სსრკ-ის საზღვარს სცდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც შევარდნაძე და სხვები უპრეცედენტო ღიაობისთვის ემზადებოდნენ,

მთიანი ყარაბაღის პირველი ომის გამო ტერიტორია ჩაიკეტა და ეს მოცემულობა დღემდე უცვლელია. 1993 წელს ჩაიკეტა თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვარიც და შესაბამისად, შეწყდა სარკინიგზო კავშირიც გიუმრსა და ყარსს შორის. სწორედ ამ დროს გადაწყვიტეს აზერბაიჯანმა და თურქეთმა ინვესტიცია ქართულ მარშრუტში განხორციელებინათ, რომელიც გვერდს აუვლიდა სომხეთს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონზე - სამცხე-ჯავახეთზე გაივლიდა. სწორედ ეს სარკინიგზო მარშრუტი გახდა შემდეგ ცნობილი, როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.

ბაქო-თბილისი-ყარსის ქართული მარშრუტის დამტკიცებით, შევარდნაძეს სურდა განხორციელებულიყო დაკავშირებულობის იდეა, რომელიც საქართველოს ომით ნატანჯი აწმყოსგან გაათავისუფლებდა. თუმცა, ამავდროულად, ის საქართველოს სამომავლო ფუნქციას მეზობელ რეგიონში მიმდინარე მუდმივ კონფლიქტსაც უკავშირებდა. ამ სხვადასხვა გეოპოლიტიკური მანევრის ფონზე დაბადებული ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი თავიდანვე ურთიერთინააღმდეგობრივ ხედვებზე იყო დაფუძნებული: ერთი მხრივ, თავისუფალ და წარმატებულ ნაკადებზე, მეორე მხრივ კი - მუდმივ რღვევაზე.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის პირველად დამტკიცებიდან სამი ათწლეულის განმავლობაში, პროექტის სამომავლო ამბიციების გულისგულში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა - კავშირების განხორციელება გათიშვის გზით - სწორედ ის გასაღებია, რაც საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ, თუ როგორ ზემოქმედებს ეს პროექტი იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც გაივლის.

## ბაქო-თბილისი-ყარსი და მისი დროებითობები

### გიუმრი

#### დროებითი შეფერხება

გიუმრის სადგურში გასეირნება გარკვეულ დებოზორინტაციას იწვევს: არქიტექტურა დიდებულია - სადგური გვიანი პერიოდის საბჭოთა მოდერნიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია სომხეთში, რომელიც, 1979 წელს, არქიტექტორ რაფიკ ეგოიანის მიერ აიგო და დღესაც შთამბეჭდავია. ის თითქმის უვნებლად გადაურჩა 1988 წლის დამანგრეველ მიწისძვრას.<sup>5</sup> მისი დიდი დარბაზის მიღმა, რომელსაც უზარმაზარი ჭალი ამშვენებს, სარკინიგზო ლიანდაგების რიგები შორ მანძილზეა გადაჭიმული. რელსებზე მატარებლები გახევებულა, რაც ფუნქციური ჰაბის შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა, თუ უფრო ახლოდან დააკვირდები, აღმოაჩენ, რომ ისინი სხვა დროს მიეკუთვნება.

ამ სადგურზე გამავალი მრავალი ხაზიდან დღეს მხოლოდ ორი ფუნქციონირებს. დანარჩენი მუზეუმად გადაკეთდა, სადაც გამოფენილია მატარებლები, რომლებიც ერთ დროს ამ სადგურში ჩერდებოდა. ისინი მოგვითხრობს წარსულზე, სადაც ადამიანების, ტვირთისა და ახალი იდეების მობილობა ახალ ტერიტორიას ალიანდაგებდა, სანამ ამ კავშირებს ომი დაარღვევდა. გიუმრის სადგურიდან რამდენიმე კილომეტრში, სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე, კიდევ ერთი, დღეს უკვე მიტოვებული სადგურია. მისი ყოფილი უფროსი, მარტინ გეგორქიანი იმ დღეს იხსენებს, როცა ყველა მიმოსვლა შეწყდა:

„ჩვენ ყოველდღიურად ვეკონტაქტებოდით თურქეთის სადგურის ხელმძღვანელს. ისეთივე

ადამიანი იყო, როგორც მე. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა, ჩაის ვსვამდით ერთად, ვისხედით და ვსაუბრობდით სამსახურის შესახებ, ვაგონებს ვცვლიდით, ერთმანეთს ვემშვიდობებოდით და ვბრუნდებოდი უკან, სომხეთში. 1993 წლის 11 ივლისს ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ წერილი ჰქონდათ თურქეთის მთავრობისგან - ეს დერეფანი დროებით იხურებოდა. ეს იყო და ეს. უკვე 28 წელია, რაც დახურულია. მაგრამ ჩვენ კიდევ დაველოდებით“.

### ახალქალაქი

საპირისპირო, თუმცა არაერთი კუთხით მსგავსი პროცესი მიმდინარეობს სომხეთ-საქართველოს საზღვრის მეორე მხარეს. ახალქალაქის სადგური ჭავჭავაძის მკაცრ უდაბნოში, დაბა ახალქალაქსა და ნინოწმინდასთან ახლოს აშენდა. უჩვეულო, გამაუცხოებელი შენობა იურგენ მაიერმა დააპროექტა, იმ არქიტექტურული ესთეტიკის მთავარმა შემოქმედმა, რომელსაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი<sup>6</sup> „ახალი საქართველოს“ დიზაინად მიიჩნევდა. სადგური ერთმანეთზე გადადებული მოცულობითი მასალისგან შედგება, რაც სიმბოლურად უყრის თავს სხვადასხვა მასშტაბს ერთ ადგილას. 2017 წლის ჩვენი პირველი ვიზიტის შემდეგ, სადგურის ირგვლივ სხვადასხვა ინფრასტრუქტურა გაჩნდა, რაც თითქმის ახშობს მის გამაუცხოებელ ეფექტს ფუნქციური ფორმებით. სადგური ცარიელია, მაგრამ არა მიტოვებული. სანამ ჰაბის საბოლოო კომპონენტების მშენებლობის დასასრულებლად ირგვლივ ამწეები მოძრაობს, აქ ყოველდღე ჩერდება მატარებელი, რათა ვაგონები საბჭოთა ლიანდაგებიდან ევროპულ ლიანდაგებზე გადააწყოს.

### შეფერხება I

ჩვენ მივეჩვიეთ ტექნოლოგიაზე - როგორც რაიმეს მარტივად და სწრაფად გაკეთების შესაძლებლობაზე, ისე ვიფიქროთ. ხოლო როდესაც ლოგისტიკაზე - მთელ მსოფლიოში საქონლის მიმოქცევის ინდუსტრიაზე ვფიქრობთ, უპირობოდ ვვარაუდობთ, რომ მისი მიზანი მაქსიმალურად შეუფერხებელი მიმოქცევის მიღწევაა. თუმცა, ეს ამბის მხოლოდ ერთი ნაწილია, ვინაიდან უზარმაზარი მოგების მიღება, რომელიც სატრანზიტო დერეფნად გარდაქმნას ახლავს თან, სწორედ შეფერხების მეშვეობით მიიღწევა.

რკინიგზის ვეტერანმა თანამშრომელმა, დათო გოჩავამ გვითხრა: „სიგანე ევროპის რკინიგზისა და ჩვენი რკინიგზის არის განსხვავებული. ევროპის სარკინიგზო ლიანდაგის სიგანე 1435 მმ-ია. ჩვენთან, ყოფილი საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული ლიანდაგისა, არის 1520 მმ. ამ ორი სისტემის შეპირაპირებას [...] დრო სჭირდება!“

ახალქალაქი ის ადგილია, სადაც ეს შეფერხება ხორციელდება.

„ეს არის ჩვენი უპირატესობა! [...] ეს არის დროის ხარჯი! ეს არის რაღაც, რაც ყველა ქვეყანას არა აქვს! ამ ფუნქციის შესრულება იცით რას ნიშნავს? ამ რეგიონის აყვავებას“.

ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზების ირგვლივ მრავლადაა ასეთი გზაჯვარედინები, სადაც მიმოქცევის ხანმოკლე შეფერხება წარმოქმნის ახალ ბაზრებს და, გარკვეულ შემთხვევებში, კეთილდღეობასაც კი. დათოსთან საუბრისას დავადგინეთ, რომ ახალქალაქის სადგური ნამდვილად ფუტურისტული ნაგებობაა, უფროსწორად კი ერთგვარი დროის



მანქანა: ის შექმნილია იმისთვის, რომ ტექნიკური შეფერხებიდან, რომელიც ამ ადგილზე შემხვედრ ნაკადებს უწევს, მომგებიანი დრო წარმოქმნას.<sup>7</sup>

### ლოდინი

მაგრამ რა მოგებაც არ უნდა მოიტანოს ამგვარი დროის შექმნამ, ის არ ნიშნავს რეგიონის აყვავებას. ახალქალაქში მომუშავე საინფორმაციო ორგანიზაცია J-News ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვანთაგან, ვინც ამ ჰაბის მშენებლობასა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს აშუქებდა. ჯავახეთში ჩვენი ვიზიტებისას მათ ოფისს არაერთხელ ვესტუმრეთ:

„კარგად მახსოვს, ახალი სადგურის საზეიმო გახსნისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის იმდენ სამუშაო ადგილს შექმნიდა, ადგილობრივებს არჩევანის გაკეთება გაუჭირდებოდათ“ - გვითხრა ჩვენი ბოლო ინტერვიუს ჩანერისას რიმა ღარიბიანმა, J-News-ის დირექტორმა - „თუმცა, როცა პროექტი დაიწყო, ადგილობრივები სამუშაოდ არ აუყვანიათ და როცა დაპირება შევახსენეთ, მხოლოდ შავ მუშებად დაიწყეს ხალხის დასაქმება, დოკუმენტების გარეშე“.

„შემდეგ გაჩნდა პრობლემები დაგვიანებული ანაზღაურების გამო და ხალხმა დაიწყო პროტესტი“ - გვითხრობს კრისტინა მარაბიანი, ჟურნალისტი, რომელიც რკინიგზის გარშემო წამოჭრილ არაერთ უთანხმოებას აშუქებს - „როგორც აღმოჩნდა, სამუშაოზე განაცხადის შემსვლელთა სიაში არ უნდა ყოფილიყო სომხური გვარები. მაგრამ ადგილობრივები ხომ სულ სომხები არიან? ეს იყო აზერბაიჯანული პროექტი. ასე რომ, მათი საქმე იყო, თუ ვის და როგორ დაასაქმებდნენ [...]. მთავრობამ სიტყვა არ შეასრულა. უამრავ ადამიანს რუსეთში, ემიგრაციაში ნასვლა მოუწია. ჩვენ აქ არავითარი

სამუშაო არ გვაქვს“.

„ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მფრინავი ჰოლანდიელივითაა,<sup>8</sup> მასზე ლეგენდები დადის!“ - მწარედ ხუმრობს კიდეც ერთი ჟურნალისტი, შუშან შირინიანი, სანამ რიმა გააგრძელებს ახსნას: „სამთავრობო კომისია, რომელიც ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის შესახებ, არის აზერბაიჯანში. ამიტომაც, რომ არავინ არაფერი იცის საქართველოზე“ - ასკვნის ის - „გადაგვაგდეს, როგორც ყოველთვის!“

### შეფერხება II

თუ ტექნიკური შეფერხების კონტროლი, როგორც დათო გოჩავამ აგვიხსნა, არის სწორედ ის სასურველი ფუნქცია, რომელსაც ახალქალაქის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, არსებობს სხვა სახის შეფერხებებიც, რომლებიც მოგებას აგენერირებს. ჯავახეთში ჩვენი ბოლო ვიზიტი 2022 წლის მაისში შედგა. წინა ვიზიტებისას, ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოვლენის გავლენას ვაკვირდებოდით რეგიონსა და მოსახლეობაზე, Covid-19-ის პანდემიიდან - ყარაბაღის მეორე ომამდე<sup>9</sup> და მის შედეგებამდე. ამჯერად, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ რეგიონი ცდილობს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის შედეგებს მოერგოს. სოფელ კარნახს რომ მივუახლოვდით, სატვირთო მანქანების კილომეტრებზე განოლილ რიგს მივაღწეით, რომლებიც იქვე ახლოს მდებარე თურქეთის საზღვრის კვეთას ელოდნენ. ასობით მანქანა ერთ ხაზზე იყო ჩამწკრივებული, ორმხრივი გზის მხოლოდ ერთ მხარეს. მსგავსი სურათი ვნახეთ მეზობელ კუთხეშიც - აჭარაში, სადაც სარფის საბაჟო მსგავსად იყო გადავსებული თურქეთისკენ მიმავალი სატვირთოებით. ეს უკიდურესი და უკონტროლო საცობები ჩრდილოეთის მარშრუტის შეფერხებით იყო

გამოწვეული, რომელიც ევროკავშირში შესასვლელად რუსეთსა და უკრაინას კვეთს.

საზღვრებიდან მოშორებით, სატვირთოები საქართველოს მთავარი მაგისტრალების გასწვრივ, თვითნებურ ავტოსადგომებზეა მიმოფანტული. მთელ ქვეყანაში სოკოებივით ჩნდება საწარმოები, რომლებიც ამ სატვირთოების საჭიროებების დაკმაყოფილებას ცდილობს და გლობალური მომარაგების ჯაჭვში წარმოქმნილ ამ შეფერხებებს მოგებად აქცევს ადგილობრივებისთვის. თუმცა, მცირე მასშტაბის ეს სახელდახელო ეკონომიკა გაცილებით დიდი მოგების პოტენციალის არსებობაზეც მიუთითებს. შესაძლოა, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა ქაოსი გამოიწვია ამ ლოგისტიკურმა გადაადგილებამ მთელ ქვეყანაში და რა სირთულეებს განიცდიან ისინი, ვინც ამ პირობებში მუშაობს; ასევე, რაც ყველაზე მთავარია, იმის გათვალისწინებით, რომ ტვირთის ამხელა მოცულობა უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგია, ქვეყანა დღეს ყველაზე ახლოს დგას იმ შესაძლებლობასთან, რომ შევარდნაძის ფანტაზიაში არსებულ აუცილებელ ლოგისტიკურ დერეფნად იქცეს. რკინიგზის ბოლო სატვირთო სამიტის<sup>10</sup> მონაწილეებისგან ვიგებთ, რომ უსწრაფესი მარშრუტის მოშლამ აიძულა მრავალი ლოგისტიკური კომპანია, შეესწავლა შუა დერეფნის შესაძლებლობები – რომელიც ჩინეთიდან ყაზახეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში გადის – მარშრუტი, რომელიც იქამდე იგნორირებული იყო მაღალი ფასებისა და ბიუროკრატიული დაბრკოლებების გამო. კიდევ ერთხელ, ომი და ლოგისტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული. დერეფნებს შორის კონკურენციაში, რაც თანამედროვე, ბაზარზე ორიენტირებულ ლოგისტიკურ მიმოქცევას ახასიათებს, ერთი

მარშრუტის ძალადობრივი გაჩერება მეორე, კონკურენტული დერეფნის აყვავების შესაძლებლობას ნიშნავს.

მძღოლები, რომელთაც ჯავახეთში შევხვდით, გაჭედილები არიან. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე კვირას ხარჯავს იმ მარშრუტის დასასრულებლად, რომელსაც იქამდე რამდენიმე დღე სჭირდებოდა. ბევრი მათგანი დეზორიენტირებული და გაბრაზებულია, რადგან არ არსებობს სერვისები, რომლებიც მათ მოძრაობას დაეხმარებოდა, ამის შესახებ ჩივილი კი ადგილობრივი პოლიციის ჯარიმებით ისჯება. მძღოლებს სატვირთო მანქანებში სძინავთ, პირველადი მოხმარების ნივთებისთვის რიგრიგობით სტუმრობენ ახლომდებარე სოფლებს და იძულებულნი არიან ბუნება გაიხადონ საპირფარეშოდ. მათ სხვადასხვა ჯგუფთან საუბრისას ამჟამად ხდება, რომ შეფერხების სიმძიმე მხოლოდ მათ მხრებზე გადადის, მაშინ, როცა მათი დამსაქმებელი კომპანიების მოგება და მომხმარებელთა მოთხოვნა ყოველმხრივ დაცულია. მგზავრობის დანყებამდე, სატვირთო მანქანების მძღოლები ლოგისტიკურ კომპანიებს ფასზე უთანხმდებიან. მიუხედავად იმისა, ერთ კვირას გაგრძელდება ეს მგზავრობა თუ ერთ თვეს, ეს ფასი არ იცვლება. ლოგისტიკის ყოველი დღე მძღოლების შემოსავალს ამცირებს, შესაბამისად, მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრაგედიის შედეგები არაპროპორციულად აისახება მათზე, ვისაც ნაკლები ძალაუფლება აქვს.

### სხვა დრო?

ის, რაც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მარშრუტზე დაკვირვებისას აღმოვაჩინეთ, დაკავშირების ნაცვლად გათიშულობის მრავალი ფორმა იყო. თუ გათიშულობა ამჟამად და მატერიალურია გიუმრიში, ჯავახეთში ის ნაკლებად ხილვადი, თუმცა არანაკლებ საზიანოა. ადგილობრივი

მშრომელები მოწყვეტილნი არიან რკინიგზის ხაზს სამუშაოს არარსებობის გამო, მოსახლეობა გაუცხოებულია პროექტისგან ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ხოლო რეგიონში გაქვდილი სატვირთოს მძღოლები ერთმანეთისგან არიან გათიშული მიწოდების ჯაჭვის ფუნქციონირების ფრაგმენტული ფორმების გამო. თუმცა, ამ საკითხის კვლევისას, ჩვენ შევესწარი, ასევე, დაკავშირების ფორმას, რაც სწორედ სარკინიგზო ხაზით სულდგმულობს და ვრცელდება. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, სხვაგვარად აღგვექვა ინფრასტრუქტურული დრო.

დაკავშირების ამ განსაკუთრებულ ფორმაზე არაერთი ვეტერანი რკინიგზელი საუბრობს, რომლებსაც შევხვდით თბილისში, გიუმრიში, ერევანში... ზოგიერთი მათგანი კვლავ რკინიგზაში მუშაობს, სხვები - უკვე აღარ, თუმცა ყველას ახსოვს ინფრასტრუქტურის ის ქსელი, რომელზეც ისინი მუშაობდნენ და რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც საბჭოთა კავშირის (და მის შემდეგ, მასში შემავალი ქვეყნების) პარალელური სახელმწიფო. საერთო მატერიალური სტრუქტურები, ცოდნის ფორმები, ენა და სტანდარტები, რომლებსაც რკინიგზაში მომუშავე ადამიანები იზიარებდნენ, შესაძლებელს ხდიდა სოლიდარობის, კავშირის იმგვარი ფორმების წარმოქმნას, რომლებიც დღემდე ცოცხალია და გარკვეულ შემთხვევაში, ისინი კვლავ გამოიყენება წინააღმდეგობისთვის.

2022 წლის მარტში, უკრაინაში პუტინის საზარელი შეჭრისას, ბელარუსმა რკინიგზელებმა უკრაინელ კოლეგებთან სოლიდარობის ნიშნად განგებ დააზიანეს თავიანთი სარკინიგზო ხაზები. საბოტაჟის ამ აქტის შესახებ დათო გორავასთან ჩვენი ბოლო ინტერვიუს დროს ვისაუბრეთ: „პუტინის თავდაპირველი გეგმა იყო კიევის რაც

შეიძლება სწრაფად აღება. ამისთვის აუცილებელი იყო რუსული სამხედრო შენაერთების სწრაფად შესვლა უკრაინაში, ბელარუსის მხრიდან. სწორედ აქ წარმოიშვა სოლიდარობის მომენტი რკინიგზელებს შორის“.

როგორც გორავამ აგვიხსნა, სწორედ რკინიგზის შესახებ საერთო, გაზიარებულმა ცოდნამ მისცა შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნის რკინიგზელებს, შეექმნათ მათთვის ხელსაყრელი შეფერხების ფორმა.

„არსებობს პატარა სიგნალიზაციის ყუთები - ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველგან ერთნაირია. თუ მათ გათიშავ, დააზიანებ, ირთვება მატარებლების ავტომატური მოძრაობა და შენელდა რუსული ჯარების გადაადგილების სიჩქარე. დავალებები ასეთი იყო: დავაზიანოთ რკინიგზა, მაგრამ ისე, რომ ჩვენი მემანქანე არ დაზიანდეს. ასე რომ, რკინიგზელები ერთმანეთს იცავენ, მაგრამ მატარებლებს ანელებენ. ჩვენ, რკინიგზელებმა, ვიცით როგორ გავაკეთოთ ეს!“

საბოტაჟის ეს აქტი ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტებიდან ასობით კილომეტრის დაშორებით განხორციელდა, თუმცა, როგორც დათო უსვამს ხაზს, ის შესაძლებელი გახდა იმავე ცოდნის გამოყენებით, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ლიანდაგებზე მოძრაობს.

## დასკვნა

რკინიგზა ქმნის სივრცეს. სარკინიგზო ხაზები ჩქარდება, ნელდება, წარმოქმნის უძრაობას. ისინი დროზე მუშაობს - როგორც შეფერხების შექმნით, ისე პუნქტუალურობის მიღწევით. ურთიერთწინააღმდეგობრივი დროებითობები ავსებენ სივრცეებს, რომლებიც რკინიგზის მოძრაობით

იკვრება. მოცემული ესე რამდენიმე შემთხვევას აღწერს, რომელსაც ჩვენ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის კვლევისას წავაწყდით საქართველოსა და სომხეთში. დროზე ფოკუსირება არ ნიშნავს რკინიგზის სივრცითი განზომილების უარყოფას, მისი არქიტექტურული და ინფრასტრუქტურული განზომილების უარყოფას, არამედ, პირველ რიგში, იმას აჩვენებს, რომ დრო და სივრცე გარდაუვალად ურთიერთგადაჯახებულია. ბაქო-თბილისი-ყარსის ისტორია, დიდწილად, სწორედ ამ გადაჯაჭვულობის ისტორიაა.

არაერთი დისკუსიის საფუძველზე, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტზე გვექონია, ჩვენ შევეცადეთ ის უხეში და იშვიათად აღიარებული გზები გამოგვეაშკარავებინა, რომელთა მეშვეობითაც უწყვეტი კავშირი აქტიურად ებმის ძალადობრივი გათიშულობის ფორმებს. ამ რკინიგზაზე

მიბმული მომავალი სწორედ ამ წინააღმდეგობრივობითაა დაღდასმული, რამაც ადამიანების არაერთი ჯგუფი უმძიმეს პირობებში, აწმყოში გაჭედილი ჩატოვა. მიუხედავად ამისა, იმავე ქსელებში, რომლებიც ამ გათიშულობებს იწვევს, განსხვავებული ინფრასტრუქტურული წარსულის მეხსიერებაც ინახება, რომელიც აწმყოში წინააღმდეგობის მცირე აქტების მეშვეობით ხორციელდება.

## განსაკუთრებული მადლობა

ეს ისტორია უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანის გამოცდილებას აერთიანებს, რომლებიც საქართველოს მის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელ რკინიგზაზეა მიმოფანტული. გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველა მათგანს იმისთვის, რომ იყვნენ კეთილი და მომთმენი თანამოსაუბრეები და საკუთარი გზები გაგვიზიარეს.



1

ტექსტი კვალდაკვალ მიჰყვება ჰან ნეფკენსის ფონდის დაკვეთით და თეკლა ასლანიშვილის რეჟისორობით შექმნილი ფილმის “სახელმწიფო სახელმწიფოში” (2022) სიუჟეტს - Fundació Antoni Tàpies Video Art Production ჯილდო.

2

შევარდნაძის ხედვის პირველად გაუფრებიდან ორი ათწლეულის გასვლის შემდეგ წარმოშობილი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა, რომელიც ჩინეთის პრეზიდენტს, სი ძინპინს ეკუთვნის, გარკვეულწილად ეხმიანება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ხედვას.

3

თუ მათი აშენების მომენტს დავუბრუნდებით, ტორონტოს ეს ნაგებობები ინდუსტრიული ზრდის კონტექსტში მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა, როცა ახლადშექმნილი კანადა მის დასახლებულ ტერიტორიებზე რკინიგზის მშენებლობით განამტკიცებდა კოლონიურ მარნუხებს. კანადის დიდი ქალაქების ცენტრალური სადგურები, მაგალითად, „იუნიონ სტეიშენი“ და მის მოპირდაპირედ მდებარე (5-ვარსკვლავიანი) სასტუმრო „ფერმონტ როიალ იორკი“ საუკეთესო ფორმაშია, განაგრძობს ფუნქციონირებას და ჯერ კიდევ სუნთქავს დიდების ჰაერს - ეს შენობები მონუმენტურად გადაჰყურებს ქვეითად მოსიარულეთა გუნდებს ტორონტოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური უბნის, კანადის უოლ სტრიტის სამხრეთ ფლანგზე.

ტორონტოს განაპირას მდებარე, შედარებით მცირე ზომის სასტუმროებიც სარკინიგზო ხაზებს მიუყვება. ერთ დროს, მათ რკინიგზის მნიშვნელოვანი სადგურები და სარკინიგზო ტერიტორიები ემსახურებოდა, როგორც იმ დროისთვის აღმავალი და წარმატებული ინდუსტრიის ცენტრი. როდესაც წარმოებისა და რკინიგზის საქმიანობის მასშტაბებმა იკლო, იგივე ცვლილება განიცადა

## ქეთი/თბილისი

1858 წლის შემოდგომაზე ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას (1802-1870), რომელიც კავკასიაში, დაღესტნის ქალაქ ყიზლარში ჩავიდა, საუკეთესო სასტუმროში გაჩერება სურდა, მაგრამ, როგორც მას უთხრეს, „ყიზლარში სასტუმროები არ არის“<sup>9</sup>. დეკემბერში ფრანგი მწერალი თბილისს ესტუმრა. დიუმას მოგზაურობა აღწერილია მის ნაწარმოებში „კავკასია“, რომლის დიდი ნაწილიც თბილისს ეძღვნება. ქალაქზე საკუთარი შთაბეჭდილებების აღწერისას დიუმა აღტაცებას ვერ მალავს აქ განვითარებული სასტუმროებით, თეატრითა და ოპერით, რომელიც მას პომპეუსის თეატრს აგონებდა.

თბილისის სასტუმროების აშენება ვაჭრებისა და მოგზაურების ცხოვრებას უკავშირდება. მე-19 საუკუნეში, ვაჭრებსა და მოგზაურებს სასტუმროების ნაცვლად აღმოსავლური ტიპის ქარვასლები ემსახურებოდა (Khoshtaria, 2011:7) ქარვასლის ნაგებობები გზის პირას ან დაუსახლებელ ტერიტორიაზე შენდებოდა და გრძელ, მტვრიან გზებზე მოხეტიალე ვაჭრებსა და მოგზაურებს ღამის გასათევს სთავაზობდა. თუმცა, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ქარვასლებმა ფუნქცია დაკარგა და სასტუმროების მშენებლობის ბუმი დაიწყო. 1873 წელს თბილისი-ფოთის



პარკდეილისა და ჯანქშენის<sup>3</sup> მოსახლეობებმაც, რომლებიც უკვე არარსებული სარკინიგზო სადგურების გარშემო ჩამოყალიბდა. აქვე მდებარეობს ჩვენ მიერ შესწავლილი ორი სასტუმროც.

1960-იანი წლებისთვის პარკდეილისა და ჯანქშენის სამეზობლოები (სადაც ქარხნებთან და საწყობებთან ერთად, მე-19 საუკუნის ულამაზესი სახლებიც გვხვდებოდა - დიდები საზოგადოების მაღალი ფენებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო შედარებით ვიწრო სახლები - მუშათა კლასისთვის) უკვე აღარ წარმოადგენდა წარსული წარმატების სურათს.

ქარხნები და საწყობები მიტოვებულს ჰგავდა, სახლები კი ცუდად გარემონტებულს. უფრო დეტალური შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ინდუსტრიულ ნაგებობებში ხელსაქმისა და ხელოვნების პრაქტიკოსებმა, მცირე მეწარმეებმა და მიკრო ბიზნესებმა დაიდეს ბინა. რა თქმა უნდა, ადამიანები აქ ცხოვრობდნენ კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიას არ ჰქონდა საცხოვრებელი ზონის სტატუსი.

რაც შეეხება ედუარდიანულ სასახლეებსა და ვიქტორიანულ მსახურთა სახლებს, ახლა ისინი ქირავდება - დიდი ნაწილი პანსიონის ტიპის ან ეგრეთწოდებული „ერთოთახიანი საცხოვრებლებია“ - ოთახი საერთო სველი წერტილით ან პატარა ბინა, რომელიც ხშირად არა თვითრად, არამედ კვირით ქირავდება. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ გაუყოფელი სახლები სხვადასხვა ემიგრანტი მოსახლეობის საცხოვრებლად იქცა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც

დამაკავშირებელი რკინიგზა გაიხსნა. რუსეთ-ოსმალეთის ომის რუსეთის გამარჯვებით დასრულების შემდეგ, რკინიგზის ხაზი კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა და 1883 წელს ბათუმი, თბილისი და ბაქო ერთმანეთს დაუკავშირდა. აშკარა იყო, რომ ახალი ეპოქა იწყებოდა. შესაბამისად, ხელახლა განისაზღვრა სასტუმროების როლი და ფუნქცია.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, თბილისში სასტუმროებს უცხოელები, ძირითადად ევროპელები აშენებდნენ (Khoshtaria, 2011:92). ეს კარგად ჩანს სასტუმროების ევროპული დასახელებებიდანაც: „მადერი“, „ვეტცელი“ თუ „ლონდონი“<sup>10</sup>. სწორედ ამიტომ, არქიტექტურასთან ერთად, თბილისის ძველი სასტუმროები კონკრეტული ეპოქის ისტორიისა და პოლიტიკის შესახებაც შეიცავს ინფორმაციას.

თავიდან, სასტუმროების ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპებზე, ქართველი მხოლოდ მომსახურე პერსონალი იყო - საქართველოს 1864 წლის ყმების გათავისუფლების შემდეგ უმინაწყოდ დარჩენილი გლეხობა, თუმცა, 1880-იანი წლებიდან, სასტუმროს ბიზნესში ქართველებიც ჩაერთნენ (Khoshtaria, 1011:92-94).

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის პერიოდში (1914-1918 წწ.) თბილისში არსებულმა ბევრმა სასტუმრომ არსებობა შეწყვიტა, თუმცა, საბჭოთა საქართველოში სასტუმროების მშენებლობა განახლდა (Khoshtaria, 2011:123-124). თუ მე-19 საუკუნის თბილისის სასტუმროები ცნობილია ევროპელი მფლობელებით, დასავლური ქალაქების სახელებითა და ამავე წარმომავლობის

კარიბებიდან, პორტუგალიიდან და პოლონეთიდანაა, პანსიონის ტიპის სახლებში მცხოვრებთა უმრავლესობას მარტოხელა ემიგრანტი თუ არაემიგრანტი, დასაქმებული თუ სოციალური შემწეობის მიმღები მამაკაცები შეადგენენ.

1960-იანი წლების ფარმაცევტულმა მიღწევებმა კანადის ფსიქიკური ჯანმრთელობის ძირითად დაწესებულებებში (CAMH) მოთავსებული მრავალი პაციენტის გათავისუფლება და ახალი პაციენტების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. პარკდეილის მოსახლეობის ის წევრები (რომლებიც დამამშვიდებლების მიღების შემთხვევაში აღარ ითვლებოდნენ საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველად) ამბულატორიულ პაციენტებად იქცნენ. არაერთი მათგანი ამ ტერიტორიაზე დარჩა და ბინა პანსიონებში დაიდო, ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ერთ-ერთ სასტუმროსთან ახლოს.<sup>4</sup>

მეორე მხრივ, „ჯანქმენის“ ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე დაიხურა „კანადის წყნაროკეანური რკინიგზის“ (Canadian Pacific Railways) სადგურები, სადაც, ბოლო პერიოდამდე, მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო დასაქმებული. მეორე მსხვილი დამსაქმებელი - ხორცის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ახლა სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, 1990-იანი წლების დასაწყისამდე მუშაობდა. თუმცა, უძრავი ქონებისა და მიმზიდველობის თვალსაზრისით, ეს დასახლება კლებისკენ მიდიოდა. ცხადია, ამ ტერიტორიაზე ასევე დასახლდნენ ახალი ემიგრანტები ზემოხსენებული ქვეყნებიდან, იტალიელებთან და მალტელებთან ერთად.

სტუმრებით, საბჭოთა სასტუმროები თავიანთი მასშტაბებითა და ფუფუნებით იწონებს თავს. ორი საუკუნის წინ თბილისის სასტუმროები მოგზაურობასთან და ვაჭრობასთან ასოცირდებოდა, დღეს კი ისინი ტურიზმის, ბიზნეს ინდუსტრიისა და ახალი სოციალური და კულტურული კლასის განვითარების ნაწილია. თუმცა, ყველაფერი ასე თანმიმდევრულად არ ვითარდებოდა - საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ თბილისის სოციალისტური სასტუმროები დღეს მრავალფუნქციური ბიზნესის, ახალი „შემოქმედებითი კლასისა“ და ტურიზმის ავანგარდად იქცა, მაშინ, როდესაც 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბჭოთა სასტუმროებმა, სანატორიუმებმა და სხვა სახელმწიფო შენობებმა ფუნქცია დაკარგა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გადაცემულ „კომპაქტური განსახლების ობიექტებად“ იქცა?

ის, რაც მე-19 და მე-20 საუკუნეების საქართველოში ორი იმპერიის - რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ჩრდილში ევროპულობის, განვითარების, ეკონომიკური წინსვლის, კულტურისა და არქიტექტურის სიმბოლოს წარმოადგენდა, მე-20 საუკუნის ბოლოს მარცხის, სიღარიბის, უსახლკარობისა და იძულებითი ადგილმონაცვლეობის სიმბოლოდ იქცა. ეს სასტუმროები და მასშტაბური საბჭოთა შენობები დღეს ყურადღების ცენტრშია, როგორც ანმეოს მოდერნიზაციის სახელით შემოჭრილ ცვლილებათა ობიექტები.

## ევგენი/ტორონტო

სწორედ ეს არის კონტექსტი, რომელშიც ჩვენ მიერ განხილული სასტუმროები - „გლადსტონი“ და „ჰეიდონ ჰაუსი“ - როგორც პანსიონები, ისე ემსახურებოდა თავიანთ მაცხოვრებლებს.



კიდევ ერთი პანსიონი და ყოფილი სასტუმრო („პარკიუ არმსი“) მალე უნდა დაცალონ უკანასკნელმა მდგომარეობა, რათა მისი გადაკეთება დაიწყოს. მარცხენა აბრა მომავალ მდგომარეობას აფრთხილებს, რომ ადგილობრივ საჯარო სკოლებში, სავარაუდოდ, მათი შვილებისთვის ადგილები არ იქნება. მარჯვენა აბრა კათოლიკური სკოლის საბჭოს ეკუთვნის.

## „ჰეიდონ ჰაუსი“

„ჰეიდონ ჰაუსი“ 1890 წელს, ძველი სასტუმროს ადგილას აშენდა. „გლადსტონთან“ შედარებით მოკრძალებული, წითელი აგურით ნაშენი, რომანული სტილის ნაგებობა „ჯანქმენის არქიტექტორის“, ჯეიმზ ელისის მიერაა დაპროექტებული

## ქეთი/თბილისი



## სასტუმრო „საქართველო“<sup>11</sup>

1950-იანი წლები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია, როცა საბჭოთა საქართველოში გრანდიოზული პროექტების მშენებლობა დაიწყო. ამ წლებში ევროპელებმა - ამჯერად, გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა, თბილისი კიდევ ერთხელ ააშენეს. 1960-იან წლებში აიგო თბილისის ცნობილი შენობები: თბილისის სატელევიზიო ანძა (1955), სპორტის სასახლე (1955), მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი (1952-1955), თბილისის მეტროპოლიტენი (1966 წელს - რიგით მეოთხე მეტროპოლიტენი მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ) და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები.

საკომუნიკაციო ქსელის, კულტურული სივრცეებისა და სპორტული მოედნების განვითარებასთან ერთად, გრძელდებოდა სასტუმროების შენებაც. სასტუმრო „საქართველო“, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მელიქიშვილის გამზირის №12-ში მდებარეობს, 1959 წელს, თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით დასრულდა. ეს იყო პირველი სასტუმრო საბჭოთა საქართველოში.

შენობა გარეგნულად შთამბეჭდავია



## ავგენი/ტორონტო

და ამ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეესტრშია შეტანილი - იმ შენობათა სიაში, რომელიც ბანკებს, ფოსტებსა და საცხოვრებელ კორპუსებს მოიცავს.<sup>5</sup>



სასტუმრო „ჰეიდონ ჰაუსის“ ხედი, რომელიც სენტ კლერის გამზირს გადაჰყურებს აღმოსავლეთით, ოლდ უესტონ როუდის მიმართულებით. სენტ კლერის ორივე მხარეს მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს.

ამჟამად ეს შენობა ქირავდება და 6 ან 8 მდგმურს იტევს. პირველ სართულზე ორი დაკეთილი მაღაზიაა, თუმცა კვლავ ფუნქციონირებს მინიმარკეტი და ავეჯის მაღაზია. როცა ამ სტატიას ვწერდით, ბოლო სართული, როგორც ამბობდნენ, მთლიანად ცარიელი იყო. ალბათ, სულ მცირე ათი წელია, რაც შენობა ცუდ მდგომარეობაშია და, როგორც მენეჯერი ამბობს, საფუძვლიან რემონტს საჭიროებს.

## ქეთი/თბილისი

თავისი მაღალი სვეტებით. მისი მონუმენტური ფორმები მელიქიშვილის ქუჩის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პარამეტრების თვალსაზრისით, ის მთავარი შენობა იყო ამ ქუჩაზე, დღეს სასტუმროს ნაცრისფერი გარე ფასადი თითქმის შეუმჩნეველია მის მიმდებარედ განლაგებულ ბიზნესცენტრებს, ახლად აშენებულ მაღალსართულიან აპარტამენტებსა და სასტუმროებს შორის.



სასტუმრო „საქართველოს“ წინა ფასადი

გრანდიოზულ საბჭოთა სასტუმროს ექსტერიერიც მდიდრული აქვს. მაღალი, თაღოვანი ქერი, ფართო დერეფნები, მყარი, სქელი კედლები, მასიური კარ-ფანჯრები, უზარმაზარი ჭალები და კიბეების მოჩუქურთმებული მოაჯირები სოციალისტურ სიმდიდრეზე მიგვანიშნებს.

მელიქიშვილის გამზირის მხრიდან შენობის მთავარ შესასვლელში მაღალქერიანი დერეფანია, რომელშიც შენობის გარეგანი შთაბეჭდილება თანდათან ქრება. მდიდრული შენობა მიტოვებული წარსულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფანჯრები მტვრიანია, მაგრამ შენობის შიდა აივნები და ზედა



## ევგენი/ტორონტო



მინიმარკეტი პირველ სართულზე.

როგორც ინტერვიუებიდან შევითქვით, „ჰეიდონი“ ხშირად უცნობი არქიტექტურული ძეგლია ტორონტოს შემოქმედებითი საზოგადოებისთვის, რომელიც კარგად იცნობს „გლადსტონს“. სულ ცოტა ხანია, რაც მიიჩნევა, რომ ის „მაგარ ადგილას“ მდებარეობს.

თუმცა, ამ მაგარ ადგილს ან ირჩევენ, ან არა - ახალგაზრდა მყიდველებისგან ხშირად მოისმენთ: „ან ჰამილტონში გადავალთ საცხოვრებლად (უფრო პატარა, იაფი ქალაქი ტორონტოს გარეთ, სადაც ასევე მიმდინარეობს ჯენტრიფიკაცია) ან სენტ-კლერსა და კილში (მთავარი გზაჯვარედინი „ჰეიდონ ჰაუსთან“ ახლოს)“ - რაც გულისხმობს, რომ ორივე ადგილი ქალაქის გარე სივრცედ მიიჩნევა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქალაქის აქტიური, მხიარული ცენტრისა და მოდური დასავლეთ ნაწილის გასაყარზე მდებარე „ჰეიდონ ჰაუსში“ მხოლოდ

## ქეთი/თბილისი



სასტუმრო „საქართველოს“ დერეფანი

სართულებისკენ მიმავალი კიბე მაინც გვხვდება წარსულის რეკონსტრუქციაში, გვაფიქრებინებს, რომ მდიდარი საბჭოთა მოქალაქეები თუ მათი სტუმრები ოდესღაც აქ კარგ დროს ატარებდნენ. ფართო, წითელხალიჩებიანი დერეფნები უზარმაზარი ჭალებით ის ფასადია, რომლის მიღმაც პოსტსაბჭოთა საქართველოს არასახარბიელო რეალობას ვხედავთ. 1992-1993 წლების ომის შედეგად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები უკვე 29-ე წელია, რაც აქ, „საქართველოში“ ცხოვრობენ.

1991 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა - გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, თუმცა, ამ დამოუკიდებლობის პირველ წლებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე ომი დაიწყო. ამ ომების შედეგად 300000-მდე მოქალაქე იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა,

რამდენიმე მდგმური ცხოვრობდა, რომლებიც, როგორც გვითხრეს, დაბალშემოსავლიანები ან სოციალური შემწეობის მიმღებნი იყვნენ. მენეჯერთან გასაუბრებისას შევითვქვით, რომ შენობა ოჯახის ერთი წევრიდან მეორეს ხელში გადავიდა და ახალმა მეპატრონეებმა მცირე რემონტი წამოიწყეს. ისინი, ასევე „დაეხმარნენ დარჩენილ მდგმურებს ამ ტერიტორიაზე ბინის მოძებნაში“.

„ჩვენ გვინდოდა ყველაფერი სწორად გაგვეკეთებინა, ჩვენ არ ვგავართ ქალაქის ჯურღმულების მესაკუთრეებს“ - თქვა მენეჯერმა და დასძინა, რომ შენობაში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.

მაღალსართულიან კორპუსებთან ერთად, ამ სამეზობლოში მატარებლებიც ბრუნდება, რადგან უახლოეს მომავალში ახალი სადგურის გახსნა იგეგმება ტრამვაის ძველ ნაგებობაში, ზუსტად „ჰეიდონ ჰაუსის“ უკან. საინტერესოა, რომ მშენებლის მიერ მომზადებული სადგურის ციფრულ პროექტში ვერ ვხედავთ ძველი სასტუმროს თუ მის ირგვლივ არსებული სხვა შენობების ხედს, რაც თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ სასტუმროს მომავალი გაურკვეველია.<sup>6</sup>

ამ ტერიტორიის მოსახლეობა სიხარულით ხვდება სადგურს, თუმცა ახალი მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობას ეჭვით უყურებს - მათ შორის იმ პროექტს, რომელიც „ბინგოს“ ძველ დარბაზს ჩაანაცვლებს.

რომელთაგანაც უამრავმა თავი დედაქალაქს და იმ პერიოდში ცარიელ შენობებს შეაფარა. ერთ-ერთი ასეთი თავშესაფარი იყო სასტუმრო „საქართველო“. თბილისში ცხოვრების პირველივე წლებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა მოლოდინები და იმედები მათ აფხაზეთში დაბრუნებას უკავშირდებოდა. სწორედ ამიტომ, „საქართველოს“ შენობა მართლაც რეალური სასტუმროს - მომავალი თაობების მოსაცდელი ოთახის ფუნქციას ასრულებს.

შენობის დერეფნებში ხეტიალი ისტორიული გამოფენის მონახულებას ჰგავდა - კედლებზე დახატული საქართველოსა და ევროკავშირის დროშები ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფებების გამოხატულებაა, გატეხილი სკამისგან დამზადებული კალათბურთის ფარი დერეფანში - საბავშვო მოედანია, ფანჯრის რაფები კი მცენარეების ქოთნებით არის სავსე. იქვე, კოკა-კოლის ბოთლებში მათ მოსარწყავად მოგროვილი წყალია. სადილის სუნიც, რომელიც დერეფნებში ტრიალებს, ამ ადგილის ბუნებრივი მახასიათებელია. სასტუმროს სტანდარტული ნომრის ფართობი 12 კვადრატული მეტრია, რაც ოჯახებისთვის საკმაოდ ვიწროა, დერეფანში სადილის მზადება კი ამსუბუქებს ამ სივიწროვეს. შენობაში სეირნობისას ადვილად შეამჩნიეს, რომ უცხო ვიყავი. „საქართველოს“ მაცხოვრებელმა ქალბატონმა მზიამ ყავაზე დამპატიჟა და აფხაზეთში, გალში მისი დამწვარი ორსართულიანი სახლის ფოტოები დამათვალიერებინა. დამწვარი სახლის ფოტოები სასტუმროს კედელზე ეკიდა, როგორც სამახსოვრო ადგილის პეიზაჟი.

## ევგენი/ტორონტო



საინფორმაციო ნიშანი „ბინგო“-ს დარბაზთან - რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრები არაერთი ხანდაზმული პირისთვის მნიშვნელოვანი ადგილია. ბანერი მრავალსართულიანი კომპლექსით მისი ჩანაცვლების შესახებ გვამცნობს.

მართალია, ზოგიერთი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ შენობები მზეს დაჩრდილავს, მაგრამ სხვებს უხარიათ, რომ ამ ტერიტორიაზე უფრო მეტი ადამიანი და ბიზნესი შემოვა. სასტუმროსგან რამდენიმე კარის დაშორებით მომუშავე მექანიკოსმა გაგვიზიარა, რომ ახალი მშენებლობა გარკვეულ იმედს აჩენს. როდესაც ვკითხეთ, სასარგებლო იქნება მისთვის უფრო მჭიდრო დასახლებაში მუშაობა თუ ბიზნესის გადატანას მოსთხოვენ, მან აღიარა, რომ გარკვეულ ეტაპზე, ადგილმონაცვლეობას ელის.

მეორე სართულზე, ზედაპირულად შერემონტებულ ბინებში, ამჟამად კვლავ ექვსი-რვა მდგმურია.

## ქეთი/თბილისი

მზიასთან საუბარი ორ საკითხს შეეხო: აფხაზეთში დაბრუნების იმედსა და დევნილთა განსახლების სახელმწიფო პროგრამას. ამ ორი თემის ირგვლივ მკვლევრები და მედია ხშირად იყენებენ სიტყვა „მოლოდინს“, მაშინ, როდესაც დევნილები იყენებენ - „იმედს“.

მზია ცოტა ხანია, რაც პენსიაზე გავიდა. შვილიშვილები ჰყავს და ამბობს, რომ მართალია, 29 წელია თბილისში, სასტუმროს ნახევრად დანგრეულ ნომერში ცხოვრობს, მაინც აქვს აფხაზეთში დაბრუნების იმედი. ეს იმედი თავიდან გაჩნდა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ.



სასტუმრო „საქართველოს“ დიდი ხნის მაცხოვრებელი გვაჩვენებს ხედს სამზარეულოდან.


ჩვენს საუბარს მეზობლებიც ესწრებოდნენ. პოლიტიკაზე საუბარი არავის სურდა, მაგრამ აფხაზეთში დაბრუნების თემა ყველასათვის საინტერესო იყო. ქალებმა თქვეს, რომ ომის გამო დროებით დატოვეს აფხაზეთში საკუთარი სახლები და რომ არავინ ელოდა, ეს დროებითი, იძულებითი გადაადგილება 29 წელიწადს ან უფრო დიდხანს თუ



## ავგენი/ტორონტო

ინტერვიუდან შევითქვით, თუმცა ვერ გადავამოწმეთ, რომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიმდინარე მშენებლობის ინვესტირებმა ამ შენობის სანაცვლოდ მფლობელებს 10 მილიონ დოლარზე დიდი თანხა შესთავაზეს. თუმცა, ჯერ-ჯერობით, ახალი მფლობელები უარს ამბობენ შენობის გაყიდვაზე.

### სასტუმრო „გლადსტონი“



ხედი სამგზავრო მატარებლიდან - უესტ ქუჩის სტრიტი და სასტუმრო „გლადსტონი“ (მარცხნივ)

1889 წელს აშენებული „გლადსტონი“, რომელიც ტორონტოში, პარკდეილის სამეზობლოში მდებარეობს, ოთხსართულიანი წითელი აგურის ნაგებობაა. ის ადგილობრივმა არქიტექტორმა, ჯორჯ მარტელ მილერმა დააპროექტა ჩვენ მიერ უკვე ნახსენები რომანული რენესანსის არქიტექტურით - იმ პერიოდში საზოგადოებრივი შენობებისთვის ტრენდული სტილით. ადრეულ 2000-იან წლებში, ახალი მფლობელისა (რომელიც ამჟამად კიდევ ერთხელ შეიცვალა) და საქველმოქმედო საცხოვრებლის სააგენტოს დახმარებით, „გლადსტონის“ მაცხოვრებლების განსახლების ხანგრძლივი პროცესი დაიწყო, ფართომასშტაბიანი რესტავრაციის განხორციელებამდე და სასტუმროს არტ ბუტიკ ოთელად გარდაქმნამდე.

## ქეთი/თბილისი

გასტანდა. ამის დასადასტურებლად მათ გაიხსენეს, თუ როგორ წამოიღეს სახლიდან მხოლოდ რამდენიმე კაბა, რადგან მალე აპირებდნენ შინ დაბრუნებას.

„ცხოვრება ნულიდან დავიწყეთ - სასტუმრო სახლად ვაქციეთ“  
- გადაულაპარაკეს ქალებმა ერთმანეთს სასტუმროს დერეფანში და ყველა თითქოს ჩუმადა დაეთანხმა მათ.

ამ სასტუმროში მხოლოდ დევნილები არ ცხოვრობენ. შენობაში მიკრობიზნესებია განთავსებული; ერთ-ერთ სართულზე პატარა სასტუმროც ფუნქციონირებს, რომელიც პოტენციურ დამსვენებლებს, მისი ფეისბუქის გვერდის მიხედვით, მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებზე სთავაზობს მომსახურებას. სასტუმრო „საქართველოს“ შენობა გარედან დაზიანებული ჩანს, მაგრამ მისი ცენტრალური მდებარეობა და შენობის ეკონომიკური პოტენციალი ხშირი განხილვის საგანია. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ გამოჩნდა ინვესტორი, რომელსაც შეუძლია შენობისგან თანამედროვე სასტუმრო, კაზინო ან ორივე ერთად ააშენოს. მმართველი ძალები ამას პოზიტიურ მიდგომად წარმოგვიდგენენ, რადგან ამ გზით ორი პრობლემა ერთად გვარდება: 29-წლიანი ლოდინის შემდეგ, დევნილები „ნორმალურ“ საცხოვრებელს მიიღებენ, შენობა კი ახალ სიცოცხლეს შეიძენს. მაგრამ როგორი იქნება შენობის ახალი სიცოცხლე?

დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან, „ქაოსური





ნეონის მსგავსი, შუქდიოდური არტ-ინსტალაცია თავად ამ სასტუმროს გამოსახულებით მისივე ქვედა სართულის დერეფანში; ბოლო პერიოდის რეკონსტრუქციები ღამის კლუბის მსგავსი ესთეტიკით - დისკობურთებითა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ლიფტით, რომელიც ამრეკლ, ფერად შუშაშია ჩასმული. ისინი ადრეული 2000-იანი წლების საზეიმო განწყობას ქმნის - იმ დროის, როცა სასტუმრო პირველად გადაკეთდა.<sup>7</sup>

## ხელოვნების მხარდაჭერა

თითქმის 20 წლის შემდეგ, „გლადსტონი“ კვლავ არტ ოტელია. სასტუმროს კედლებსა და ოთახებს თანამედროვე კანადური ხელოვნების ნიმუშები ამშვენებს.


სასტუმროს უკანასკნელი იერსახისთვის, რომელიც ახალ მფლობელებს ეკუთვნის, თითოეულ ოთახში თითო კანადელ არტისტს ნახატის ან სხვა ხელოვნების ნიმუშის განთავსება დაევალა.

განაშენიანების“ გამო, თბილისელები ხშირად ხუმრობენ, რომ ქალაქი და ნებისმიერი ძველი შენობა დროებითია. „მოვა ინვესტორი და აქ, ალბათ, სასტუმროს ააშენებს“ - ამ სიტყვებს ყოველდღიურ საუბარში ხშირად მოისმენთ. თანამედროვე, „ლურჯად შემინული სუპერნაგებობის“<sup>12</sup> მსგავსი, მრავალფუნქციური სასტუმროების მოლოდინი ნაკლებად დადებითი მოვლენაა, ვინაიდან ეს პროცესი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფით მათი წარსულის წაშლას, შეცვლას უფრო ნიშნავს. იბადება კითხვა: ნიშნავს თუ არა მოდური სასტუმროებისა და მრავალფუნქციური ბიზნესცენტრების აშენება ქალაქის რეალურ მოდერნიზებას - ამ პოლიტიკაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდერნიზების გარეშე?

## სასტუმრო „სტამბა“<sup>13</sup>

სასტუმრო „სტამბა“ თბილისის ცენტრში, მერაბ კოსტავას №14-ში მდებარეობს. გამომცემლობა 1930-იანი წლების საბჭოთა ინდუსტრიული კომპლექსი იყო და პირველი ქართული საბჭოთა კომუნისტური გაზეთიც სწორედ აქ იბეჭდებოდა. შენობის რეკონსტრუქცია და მოდერნიზება 2018 წელს დასრულდა. ახლა აქ თანამედროვე მრავალფუნქციური სასტუმრო, გამომცემლობა, ბარი, რესტორანი, კაზინო, წიგნების მაღაზია, მიკრობოსტნეულის ბაღი და საგამოფენო სივრცეებია გახსნილი.

## ევენი/ტორონტო



არტისტი სასტუმრო „გლადსტონის“ სტუდიაში.

რამდენიმე არტისტს ერთდროულად გადასცეს უფასო, საერთო სტუდიის მსგავსი სივრცე სარდაფში, სასტუმროს სხვა ობიექტების მიმდებარედ, როგორიცაა სავარჯიშო ოთახები და სააბაზანოები. სტუდიის კარი (რაც წინასწარ იყო შეთანხმებული) მთელი დღის განმავლობაში ღიაა და სტუმრებს იქ შესვლა და არტისტებთან გასაუბრება შეუძლიათ.

ოცი წლით უკან თუ გავიხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ადრეული 2000-იანი წლების სახელოვნებო პროგრამების დიდი ნაწილი შემცირდა, ხელოვნების ორგანიზაციებზე გაქირავებული ოფისები კი კვლავ სასტუმროს ნომრებად გადაკეთდა. საკვირაო გვიანი საუზმე დრეგშოუების თანხლებით აქაურობის მთავარი მოვლენაა. რასაც ერთ დროს ხელოვნებისა და ლგბტქ+

## ქეთი/თბილისი



„სტამბა თბილისის ტრანსფორმაციის სიმბოლოდ იქცა საბჭოთა ნარჩენიდან დახვეწილ, გლობალურ მეტროპოლიამდე“<sup>14</sup>, კკითხულობთ ინტერნეტში სასტუმროს შესახებ. ეს შენობა ნამდვილად იქცა თბილისის თანამედროვე, მდიდრული ცხოვრების სიმბოლოდ, სადაც ნეონის განათება და ხელოვნურად შექმნილი გამწვანება იზიდავს ადგილობრივ თუ ჩამოსულ კრეატიულ კლასს,<sup>15</sup> ფრილანსერებს, ხელოვანებს, არტ მენეჯერებს, კურატორებს, ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებს და ელიტურ სექსმუშაკებს.



სასტუმრო „სტამბის“ შიდა ეზო

## ეკგენი/ტორონტო

საზოგადოების სახლს უწოდებდნენ, დღესაც იგივე ფუნქციას ინარჩუნებს, თუმცა, შედარებით მოკრძალებულად, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მეზობლად მდებარე „Beaver“ - ამავე თემში პოპულარული დაწესებულება - COVID-ის პანდემიის გამო დაიხურა.

ტომ სლეიტერმა აღწერა პარკდეილის მთელი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა, რომელიც, ფაქტობრივად, 1980-იანი წლებიდან მიმდინარეობდა - მას შემდეგ, რაც ქალაქმა აქტიურად დაიწყო პანსიონებისა და პატარა სასტუმროების რეგულირება და ისინი თანდათან გაუჩინარდა. ამის შედეგად, ეტაპობრივად მოხდა დაბალშემოსავლიანი და სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის განდევნაც, მათი ადგილი კი „გარეუბნიდან ემანსიპირებულმა“ ახალმა საშუალო კლასმა დაიკავა.

ხანგრძლივი გადაადგილების ამ პროცესმა, საბოლოოდ, „გლადსტონამდე“ 2000-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. ვინაიდან სასტუმროში ძირითადად სოციალური დახმარებისა და შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობის მიმღები პირები ცხოვრობდნენ, ან, შესაძლოა იმიტომ, რომ ამ ადამიანების გამოსახლების პროცესი საჯარო და ხილვადი იყო, ეს შემთხვევა გამორჩეული იყო ტორონტოს ჯენტრიფიკაციის კონტექსტში.

ქუინ სტრიტ უესტის რამდენიმე კვარტლის ბოლოში განთავსებული გლადსტონი (ადგილას, სადაც ისედაც მრავლად იყო მცირე სახელოვნებო გალერეები და საწყობები, ისევე, როგორც სულ ახლახან ჯენტრიფიკირებული დრეიკის სასტუმრო) ნაწილობრივ გადავიდა ერთ-ერთი ოჯახის

## ქეთი/თბილისი

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს კომერციული ნიშა საბჭოთა შენობის ნაციონალიზაციას გულისხმობს, ქართულად აქ იშვიათად საუბრობენ. სასტუმროს რესტორნის შიდა სივრცე და ტერასა სამუშაო დღის ნებისმიერ დროს სავსეა. ახალგაზრდა მომსახურე პერსონალი სტუმრებს ქართული სტუმართმოყვარეობით მასპინძლობს. სასტუმროს შიდა ეზო გამწვანებულია ეგზოტიკური მცენარეებით, ხოლო ხის სკამების სულ ბოლო რიგიდან მყუდრო ბაღზე/სკვერზე ხედი იშლება, რომელშიც მცენარეებით დაფარულ ელექტროანძას შენიშნავთ. შიდა ეზოში ახალგაზრდები სელფებს იღებენ ვარდისფერი ნეონის განათების ფონზე, როდესაც ხელოვნებისა და აქტივისტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მიიქარებიან შენობის დაუმთავრებელ ფლიგელში, სადაც მოხვედრა მშენებარე კიბიდან არის შესაძლებელი.<sup>16</sup>



სასტუმრო „სტამნის“ ინტერიერი, რომელიც სარდაფის კიბიდან შიდა ეზოზე გადის

სასტუმროსა და შენობის შესახებ ინგლისურენოვანი რეკლამებისა თუ სტატიების უმეტესობა ამაყად ყვება შემდეგ ისტორიას: „სტუმრები მხოლოდ შენობისა და თბილისის



მფლობელობაში, რომელიც ტორონტოში ცნობილია, როგორც 401 რიჩმონდ სტრიტის - ისტორიული ქონების მმართველი. სასტუმრო ახლადწარმოქმნილი მცირე ბიზნესების, ორგანიზაციებისა და არტ გალერეებისთვის განკუთვნილ სივრცედ გადაკეთდა.

ამ პროცესების შესახებ არსებობს დოკუმენტური ფილმი „Last Call at the Gladstone Hotel“ („უკანასკნელი ზარი სასტუმრო გლადსტონში“). ის მოგვითხრობს კეთილ განზრახვათა ისტორიაზე, რომელსაც ბაზარი და სახელმწიფო რეგულირება უპირისპირდება. სასტუმროს ხელოვანებისა და ლგბტქ+ თემისადმი მეგობრულ ადგილად გარდაქმნასთან ერთად, ქალაქის მმართველობამ მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რასაც ამავე თემის წევრთა გამოსახულების პროცესი მოჰყვა. ამ პროცესის დაწყებამდე მეპატრონეები აცხადებდნენ, რომ მდგმურების გამოსახულება არ იგეგმებოდა. საბოლოოდ, მფლობელებისა და ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით შედეგად, მათ საცხოვრებელი პარკდეილის იგივე თემში გამოძებნეს.

კიდევ უფრო სერიოზული ამბავი, როგორც ეს პირველი ფოტოდან ჩანს - მოძრავი მატარებლის გამოსახულებით - ამ ტერიტორიებზე მსხვილი სამშენებლო პროექტების შეუმჩნეველი დაწყებაა, იქ, სადაც ნელ-ნელა ისედაც მცირდება ხელმისაწვდომი საცხოვრებელი და, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია თემისთვის, მარტოხელა ადამიანების საცხოვრებელი სივრცეები.

2000-იანი წლების დასაწყისიდან,

ისტორიას კი არ ეცნობიან, როდესაც „სტამბის“ წიგნების კოლექციით არიან გარემოცული, არამედ, ისეთ დეტალებსაც კი აქცევენ ყურადღებას, როგორიც შერჩეული აქსესუარებია, განსაკუთრებით სველ წერტილებში - თანმიმდევრული მითითებები, რომლებიც 1930-იანი წლებით თარიღდება.<sup>17</sup>

1992-1993 წლებში აფხაზეთის ომისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, იძულებით გადაადგილებული პირები გამომცემლობა „სამშობლოში“ დასახლდნენ, მაგრამ 2010 წელს, ისინი პოლიციამ კომპენსაციისა და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეთავაზების გარეშე გამოასახლა.<sup>18</sup> გამოასახლების მიზეზი შენობის პრივატიზაცია იყო<sup>19</sup>. ერთი წლით ადრე, ამავე მიზეზით, გამომცემლობიდან გაიყვანეს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებიც.<sup>20</sup>

ამრიგად, ყოფილი გამომცემლობა „სამშობლო“<sup>21</sup> და ამჟამად მოქმედი სასტუმრო „სტამბა“ ერთდროულად საბჭოთა და თანამედროვე არქიტექტურის, მე-20 და 21-ე საუკუნეების ესთეტიკის, სოციალისტური და კაპიტალისტური პოლიტიკის სიმბოლოა და არა მხოლოდ. სასტუმროების ისტორიული მიმოხილვა აჩვენებს, რომ მათი ფუნქციონირება ისეთ გლობალურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა ომი, ეკონომიკური პროცესები და კულტურა. ამიტომ, სასტუმრო დროებით იღებს იმ ფორმას, რასაც მას ეპოქა მიანიჭებს. მიუხედავად ამისა, ამ ცვლილებაში მისი მომავალი პერსპექტივის დანახვაც არის შესაძლებელი.



თემზე ორიენტირებული დეველოპერების, არქიტექტორებისა და ხელოვანების ჯგუფმა, რომელშიც „გლადსტონის“ კრეატიული კლასის წარმომადგენელი მფლობელებიც შედიოდნენ, ერთგვარი თანამშრომლობის ფორმატი ჩამოაყალიბა კომპანიებთან, რომლებიც ამ ტერიტორიაზე სწორედ სასტუმროს გარდაქმნის პერიოდში შემოდიოდნენ. ახალი დეველოპერები, მაღალსართულიანი კორპუსების ასაშენებლად, საბოლოოდ დაანგრევდნენ ინდუსტრიული ეპოქის ზემოხსენებული სანყოფნის კვარტლებს, სადაც მცირე ბიზნესი იყო განთავსებული და არაფორმალური მდგმურები ცხოვრობდნენ - ხშირად შემოქმედებითი კლასის წარმომადგენლები. კონსულტაციის პროცესი მოიცავდა რეკომენდაციებს აქტივისტური, თუმცა ელიტური ჯგუფისგან „Active18“, რომელიც ცდილობს უფრო ჰუმანური იყოს ადგილობრივი მოსახლეობისადმი და ზოგიერთი შენობის მემკვიდრეობა შეინარჩუნოს.<sup>8</sup>

თუმცა, საბოლოოდ, მოსალოდნელია, რომ კომპანიები ქალაქის მმართველობას კრეატიული რეზონირებისა და განსახლების პროცესების გაჭიანურებაში დაადანაშაულებენ, ამ მოტივით უჩივლებენ და მეტ-ნაკლებად იმას გააკეთებენ, რაც სურთ. მოგვიანებით, ამ პროცესს შაბლონად გამოიყენებენ ტორონტოში სხვა პროექტების განმახორციელებელი დეველოპერები - გაივლიან კონსულტაციებს, რათა სახე შეინარჩუნონ, აიღებენ მდგრადი განვითარების ვალდებულებას, შემდეგ კი ბიუროკრატიისა და სასამართლო სისტემის გამოყენებით, ვალდებულების შესრულებას თავს აარიდებენ.

სწორედ ამგვარ გარემოში ხდება ტორონტოს არაერთი მოწყვლადი მოსახლეობისა თუ თემის იძულებითი ადგილმონაცვლეობა; და თუ ზოგიერთ სამეზობლოში ეს პროცესი უკვე ათწლეულებია, რაც მიმდინარეობს - „გლადსტონის“ მსგავსად; სხვა შემთხვევებში, მაგალითად „ჰეიდონ ჰაუსის“ სამეზობლოში ის მხოლოდ ახლა იკრებს ძალას.

## დასკვნა

ჩვენ მიერ შესწავლილი მოსახლეობები „აქტიურად მომლოდინე“ საზოგადოებებად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ადამიანები აგრძელებენ დევნილობაში ცხოვრებას და, ამავდროულად, აწმყოში ჩარჩენილად გრძნობენ თავს, ისევე, როგორც აქტიურად მიემართებიან მომავლის ალტერნატიულ და ცვალებად წარმოდგენებს“.

ამ თემთა ისტორიები, თავისი სახლებით, საშინაო სიმყუდროვის შექმნის პრაქტიკებითა და ადამიანების, როგორც პიროვნებებისა და თემის წევრების ყოველდღიური ბრძოლის ამბებით - საბაზრო ძალების ისტორიას უნდა შევუპირისპიროთ<sup>22</sup>.

მართალია, ლოდინის იდეა განწირულობაზე მიგვანიშნებს, მაგრამ აქტიური ლოდინი იმედსაც მოიცავს. ეს ყოველთვის დადებითი მოვლენა არ არის, თუმცა „წარმოადგენს იმგვარ ხედვებს სამყაროს შესახებ, რომლებიც ქმნის ცვლილების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მნიშვნელოვან პერსპექტივას უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობის გამოსავლენად“ (Brun, 2022:161).

ჩვენი კვლევით დავადასტურეთ, რომ ძველი შენობების მიმართ - განურჩევლად იმისა, ეს შენობები საბჭოთაა თუ არა - არსებობს გავრცელებული შეხედულება, რომ მათი დაძველება „თავის ტკივილია“; მათი დემონტაჟი, მოდერნიზება ან ძველი იერის შენარჩუნება კი ქალაქის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი.

მოდერნიზების ან განახლების სახელით განხორციელებულ ცვლილებებში, როგორც წესი, არ მოიაზრებიან ამ შენობებში მცხოვრები, აქ დასაქმებული ან სტუმრად მყოფი ადამიანები. ამგვარი მოდერნიზება დევნის ადამიანებს ტერიტორიიდან - იქნება ეს პერიფერია თუ სხვა ადგილი იმავე ქალაქში ან არეალში. ამგვარი გარდაქმნების ჰუმანურად განხორციელების მცდელობები, „გლადსტონის“ შემთხვევის მსგავსად, ყოველთვის წარმატებული არ არის და, ისევ და ისევ, საბაზრო ძალების მიერ არის ნაკარნახევი.

განვითარება და მოდერნიზება, როგორც წესი, ხორციელდება იმ ადამიანების გარეშე, ვინც ამ შენობებს სიცოცხლე შეუნარჩუნა - ზოგ შემთხვევაში, სოლიდური ქირის გადახდის, სხვა შემთხვევებში კი შენობის ფიზიკური გარემონტების გზით. რჩება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ცალკეული მეპატრონეებისა და გაუთვლელი საბაზრო ძალების ახირებებზეა დამოკიდებული ის, რომ თბილისსა და ტორონტოში ჯერ კიდევ არსებობს ძველი სასტუმროები და შენობები, რომლებიც მათ მაცხოვრებლებთან ერთად ელის ცვლილებებს.

ამ ლოდინს მკვლევრები ხშირად წარმოაჩენენ, როგორც ნეგატიურ, პასიურ მოვლენას, რომელშიც ჩანს მხოლოდ შედეგი - მოცემულობა, როდესაც ადამიანებს აიძულებენ, დატოვონ შენობები. ამგვარი მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს პროცესს, თუ როგორ შეინარჩუნეს ადამიანებმა ეს შენობები სწორედ ამ „ლოდინში“, აქციეს ისინი სახლებად, აღზარდეს თაობები და წინააღმდეგობა გაუწიეს ისტორიის წაშლას.

1

წლების განმავლობაში მომზადებულ ნაშრომებში ნილ სმითი განსაზღვრავს პროცესს, როდესაც ჯენტრიფიკაციის შედეგად იქმნება ქალაქი, რომელიც დარტყმას აყენებს მოსახლეობის დაბალ ფენებს.

2

“Brewer, John. „Microhistory and the Histories of Everyday Life“. en.cas.uni-muenchen.de, 2010. [https://www.en.cas.uni-muenchen.de/media/e\\_series/cas\\_eseries\\_nr5.pdf](https://www.en.cas.uni-muenchen.de/media/e_series/cas_eseries_nr5.pdf)

3

ჯანქშენი (Junction) ნიშნავს ოთხი სარკინიგზო ხაზის გადაკვეთას

4

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Slater, Tom. Municipally managed gentrification in South Parkdale, Toronto. The Canadian Geographer/Le Géographe canadien 48 (3), 303-325, 2004. 286, 2004.

5

McGinnis, Rick. "What's next for the Heydon House at Old Weston Road?" blogTO. blogTO, 2014 წლის 12 იანვარი. [https://www.blogto.com/city/2014/01/whats\\_next\\_for\\_the\\_heydon\\_house\\_at\\_old\\_weston\\_road/](https://www.blogto.com/city/2014/01/whats_next_for_the_heydon_house_at_old_weston_road/)

6

"St. Clair-Old Weston GO Station", Metrolinx. წვდომა განხორციელდა 2022 წლის 9 ნოემბერს. <https://www.metrolinx.com/en/greaterregion/projects/smarttrack-st-clair-old-weston-go-station.aspx>

7

Ritchie, Kevin. "Inside the Renovated Gladstone House Hotel". NOW Magazine, 2021 წლის 25 ნოემბერი. <https://nowtoronto.com/culture/art-and-design/inside-the-renovated-gladstone-house-hotel>

8

ეს სრული პროცესი ვრცლად არის დოკუმენტირებული და გაანალიზებული დარენ ო'დონელის ნაშრომში - West Queen West Triangle: The Inside Story (2010), რომელიც მოგვანოდა ავტორმა.

9

Tales of the Caucasus, Alexsandre Dumas. („კავკასია“, ალექსანდრე დიუმა).

10

Khoshtaria, David. (ხოშტარია, დავით) „გერმანელთა სასტუმროები ძველ თბილისში“. გერმანულ-ქართული არქივი, 2017 წლის 30 მაისი. <http://german-georgian.archive.ge/ka/blog/16>

11

„საქართველო“ არის ქვეყნის დასახელება ქართულ ენაზე.

12

2020, <https://www.aboutarchitecture.studio/>

13

„სტამბა“ ქართულ ენაზე ნიშნავს გამომცემლობას.

14

Kurzel, Agata. "Stamba Hotel Allows Guests to Experience the History of Its Building." Identity, 11 ნოემბერი, 2020. <https://identity.ae/stamba-hotel-allows-guests-to-experience-the-history-of-its-building/>

15

შემოქმედებითი კლასი ურბანული კვლევების თეორეტიკოსის, რიჩარდ ფლორიდას დაშვებაა სავარაუდო სოციო-ეკონომიკური კლასის შესახებ. რიჩარდ ფლორიდა ცხოვრობს და ასწავლის ტორონტოში.

16

Lindsay, Calum. "Soviet Publishing House in Tbilisi Transformed into Stamba Hotel." Dezeen, 2018 წლის 14 დეკემბერი, <https://www.dezeen.com/2018/12/14/video-stamba-hotel-tbilisi-georgia/>

17

"Stamba Hotel Opens in Former Soviet-Era Publishing House in Tbilisi". Agenda.ge, 2018 წლის 2 მაისი. <https://agenda.ge/en/news/2018/932>

18

„გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოსახლებული დევნილების ნაწილს ხელისუფლება კომპენსაციას არ სთავაზობს“. interpressnews.ge, 26 ივნისი, 2010. <https://www.interpressnews.ge/ka/article/141132-gamomcemloba-samshoblos-shenobidan-gamosaxlebuli-devnilebis-nacils-xelisupleba-kompensacias-ar-stavazobs/>

19

ჩაგანავა, დავით. „სამშობლოდან გამოსახლებულები“. რადიო თავისუფლება. რადიო თავისუფლება, 2010 წლის 27 ივლისი. <https://www.radiotavisupleba.ge/a/2109988.html>

20

„გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოძევებული რედაქციების წარმომადგენლებმა აქცია გამართეს.“  
interpressnews.ge, 2009 წლის 6 აპრილი. <https://www.interpressnews.ge/ka/article/26253-gamomcemloba-samshoblos-shenobidan-gamozevebuli-redakciebis-carmomadgenlebm-a-kcia-gamartes/>

21

სიმბოლურია ქართულ ენაზე სიტყვა „სამშობლოს“ მნიშვნელობა.

22

საქართველოში ნაშენი ფორმისა და იძულებითი ადგილმონაცვლეობის გაგების ეს მიდგომა და შედარებითი პერსპექტივა კარგად არის გადმოცემული Brun-ის ნაშრომში „Understanding Protracted Displacement Through Dwelling (2020)“



# Terrain Cures: Rechoreographing Historic Landscape-based Healing Practices on the Sadgeri Plateau

Sarah Coleman

## Introduction


On the plateaus above Borjomi, an intricate cultural system of rest and healing lies dormant. Sanatoria – once complex interfaces to connect the body with the landscape’s latent healing properties – lie empty, in various states of extreme disrepair. A few of these striking structures host IDPs, a once ‘temporary’ stopgap, now 20 years old, to displacement caused by the wars in Abkhazia. Although the presence of this history’s built vestiges create a sense of being frozen in time (or decay?), the natural features that prefigured and enabled this system persist – animate, dynamic, and changing. Medicinal mineral waters distinct to each village still flow through the basaltic mesas, rising to the surface without mechanical intervention. Respiration of evergreen forests shape the climate and humidity once used to cure lung disorders and tuberculosis. These terrain cures – the potentials of breathing its air, walking its relief, drinking its waters – remain embedded in the landscape.

Yet coherence between these ecological and cultural artifacts has been lost. Though spring waters are still collected at their

source by residents who remain in the villages, visitors generally pass over them for Borjomi or Bakuriani due to lack of any discernible tourism infrastructure. Rural and economic development planning in the region is mostly nonexistent, and even small touristic enterprises have not yet recovered after the impacts of the pandemic.

Nonetheless, the Bakuriani Development Agency will soon seek proposals for the restoration of the Borjomi-Bakuriani railway and its stations, once the primary mode of transportation for health tourists to reach the resorts above Borjomi. Switchbacking through the plateaus’ forests and across its steep river gorges, the revitalization of the 37-kilometer long kukushka railway will likely have profound implications for the historic landscapes and villages along its route.

One hundred- and fifty-kilometers northwest, Tskaltubo serves as a cautionary tale for the types of tourism that tend to emerge in such landscapes. While visitors romanticize the struggle between nature and culture amidst the ruins of the once-grand



**Area of study**

sanatoria, Tskaltubo's residents and the IDPs who now occupy the resorts do not enjoy the privilege which would allow them to aestheticize what they see as relentless decay. Though some sanatoria have been sold to private investors, years later plans for redevelopment remain vague, leaving Tskaltubo's residents in a suspended state of precarity.

Dominant approaches to preservation focus on fixing the built fabric of historic landscapes – concealing signs of decay in the architectural traces of the past, literally and metaphorically freezing sites in a false permanence. However, as in Tskaltubo, many sanatoria along the Borjomi-Bakuriani rail corridor may be beyond repair.

This moment of transition along the kukushka railway corridor calls for a precise and sensitive plan to reintroduce tourism to this cultural landscape, one which might draw upon the history of this human-environment system. Given the uncertainty that surrounds the built fabric of this past, such a plan should consider approaches to tourism that focus not on the preservation of impermanent material traces, but on the cultivation of memory. With this as a goal, such a plan might focus, instead, on reorchestrating historic human-landscape relationships. How might a visitor to this landscape be guided through experiences which unfold spatially and temporally in relationship to the terrain's curative features? What are the

potentials of reorienting visitors in historic attitudes, perspectives, and sensations? And how might such engagements renew the relevance of these actions in the present, allowing them to persist beyond the impermanent architectures that evidence them?

While Borjomi and Bakuriani remain relatively popular tourist hubs, smaller villages that lie between these destinations, along the kukushka's route – Sadgeri, Tba, Tsemi, Libani, Tsagveri – tend only to draw a small number of domestic visitors and families. International visitors tend to pass only through Borjomi en route to destinations further west.


The municipality's Local Action Group has conducted a comprehensive analysis of these village clusters. They point to "good climate and fresh air," "natural resources, mineral water [and associated] medicinal properties," and "cultural and historical heritage" as assets that should be engaged for "sustainable, nature-based tourism" (2020). Georgian heritage and tourism professionals have echoed these calls, advocating for the establishment of ecotourism programming that leverages ecological resources (Khostaria and Chachava 2017, Jinoria

2019), increased connections between villages (Borjomi Local Action Group 2020), and highlighting the region's engineering heritage and health resorts (Khostaria 2017, Sitchinava, 2019).

Despite the identification of historic health tourism as a potential venue for development, a lack of financial resources prevents steps forward. Several of the plateau's sanatoria have been acquired by private investors, with plans to redevelop them into mountain resorts (Libani and Mziuri), but projects have begun and halted again and again – a continuous cycle of promise and precarity familiar to many Georgians.

## Terrain Cures

Borjomi Municipality lies amidst the Lesser Caucasus. Its position along the convergence of the country's humid, western region and the dry eastern region result in a set of hydrological, geological, and climatic conditions that are unique, representing one of the most ecologically diverse regions of Georgia. To the west, the Achara-Imereti Mountain Range weakens approaching cool masses of air, while to the south and the east, the Trialeti Range directs warmer



Landscape types



Anatolian currents into the region, resulting in its famous mild continental climate (Bondyrev et al. 2015).

This climate supports a diverse set of landscapes which include alpine, sub-alpine, mixed coniferous and beech forests as well as alpine and subalpine meadows. Set aside as a game reserve during the tsarist era, these primeval coniferous forests endure. The relief of the region, situated along the Bakuriani fault, results from Paleogenic lava flows. The erosive action of the Gujaretistskali and Borjomula Rivers cut the young lava flows into mesas, forming striking gorges and basaltic cliffs at their edges (Sosson et al. 2010).

Persistent volcanic activity along this fault line causes a great number of mineral springs to emerge. Naturally infused with carbon dioxide, these waters rise to the surface without mechanical intervention. Carbonic acid and chloride dissolve small amounts of minerals as water passes through layers of rock, carrying traces of each to the surface. As a group, they contain over 60 minerals that have been considered beneficial for consumption for nearly two centuries (Tielidze 2019).

The history of healing the body in relation to this landscape is well-known to Georgians. Borjomi, at least, continues to engage this storied past. Established as an early kurort (“cure place”) by Russian elites, it became the Caucasus’ most famous health destination due to this diversity of natural mineral springs. During the 19th century, consuming mineral waters was understood to be a “cure-all,” but as health landscapes became increasingly ‘medicalized’ during the Soviet period, the unique properties of each spring became associated with precise treatments for specific ailments (Manning 2012).



### Climate Therapies

Variations in temperature, taste, smell, and carbonation evidenced each spring’s distinct healing properties which were to be taken at their source – ensuring the stability of the dose — in the prescribed volume and frequency. Sulphurous springs were used to treat skin conditions, saline waters for gastric problems, and iron-rich waters resolved respiratory conditions and restored vigor (Jinoria et al. 2019; Manning 2012).

Built characteristics of the sanatoria complex, including southern exposure of buildings, solaria, aeraria, and walking paths, were carefully designed interfaces between patients and the curative elements of the landscape. Though simply spending time outdoors at health resorts promoted health, climate therapies were a set of specific regimes that orchestrated active and passive engagements with sunlight, air, and forests (Conterio 2019).



Aerotherapies were common treatments, in which exposure to the physical characteristics of open air fortified the body against colds and infectious diseases (Geisler 2014). Coniferous forest environments in particular were favored, which were thought to emit the greatest concentration of “herbal chemicals.” Breathing the fortifying air of these forests, the absorbed “atmospheric vitamins” addressed the problems of diseases that could not be cured by medicine or surgery” (Podolsky 1947). Guidebooks of the region describe in detail this beneficial composition of its forests, which are “laden with the scent of fir, pine and silver fir” (Vadachkoria et al. 1987).

Though the salubrious properties of sun, water and air might be passively consumed, their efficacy could be amplified through active movement. ‘Terrain cures’ were a regimen of doctor prescribed walks in which patients would follow carefully designed paths that stretched from the sanatorium into the broader landscape. Though initially used by patients with cardiac disease, terrain cures were eventually prescribed as prophylactic treatments for all guests (Forchheimer and Irons 1915). Rest points dotted the route, offering benches and dramatic views into the alpine landscape.

While sanatoria and rest homes on the plateau itself (Tsemi, Tba, Gantiadi, Mziuri) were most noted for their climatotherapy offerings, low alpine sanatoria (Tzagveri, Kechkobi, and Libani) specialized in mineral water treatments, established in close proximity to sources. Harnessing these dynamic properties of the landscape, health tourists could travel to the precise location most suited to their needs. This complex understanding of terrain, hydrology, and geology enabled nearly a century and a half of curative, embodied engagements with the landscape.

## “Fixing” the Past

The built remnants of this past materially catalog a sequence of architectural approaches for connecting body to landscape. Sanatoria Plato and Likani represent modernist approaches to these infrastructures, while Libani and Patara Tsemi are striking examples from the early 20th century and the Stalinist period. Typical preservationist approaches might seek to repair these structures which are “significant” to this history — to freeze them in time, to halt their decay.

Indeed, preservation, as a profession, has sought to fix things — both the architectural remains of the past, as well as the meanings that contemporary visitors should associate with them. Often, after a site undergoes technical restoration, an interpretive layer is applied, typically composed of interpretive “armatures.” These signs and information kiosks attempt to educate visitors about the past through semantic channels, placing the ‘representative artifacts’ in their proper ‘period of significance.’

In the context of the Sadgeri Plateau, (and more broadly, within the discipline) such an approach presents several problems. First, while the built “fabric” of this landscape might, for some, be representative of this story of rest and healing in the landscape, the objectification of history implies that the loss of these structures would also represent a loss of associated memory and knowledge. Certainly, the relationship between memory and architecture has been the subject of study of many scholars, designers, and practitioners. However, given the state of many of the sanatoria across the plateau, the lack of funds or investment available for their repair, and the repeated cycles of start-and-stop development, the belief that memory is dependent upon these increasingly impermanent objects leaves little room for optimism.

Second, the impulse of preservation that seeks to fix significance fails to acknowledge that meaning is, in fact, contingent and multivalent. New narratives are constantly projected onto structures or landscapes, accruing and shifting, impermanent. While some may have fond childhood memories of riding the train to Kechkobi or the Railway Workers' Sanatorium, to residents, the persistence of these structures in the landscape might also indicate a lost period of prosperity. For IDPs in the region, the Plato or Borjomi Xeoba buildings may stand for the inertia and broken promises of the Georgian government.

In Tskaltubo, outsiders have projected their own meanings and uses onto sanatoria in similar states of precarity. IDPs occupy more than half of the town's 22 sanatoria. Visiting the once-grand town, there is a strong sense that residents do not control their own place narratives. Though a few spas remain operational, most visitors come to photograph (or be photographed in) the decaying opulence. In June, the American actor Jim Carrey purchased an image of one Tskaltubo interior from the photographer Ryan Koopmans (Georgia Today 2022). The image portrays an "abandoned" hall or performance space overtaken by a lush, digital colony of flowering plants and trees. The collage covers over the shattered glass and plaster which cover the floor, the graffiti on the walls masked out. Out one window, a digital forest obscures smoking chimneys and clothes lines heavy with shirts which emerge from other sections of the building.

In the case that the Sadgeri Plateau's sanatoria or youth camps receive investment for revitalization, the problem of drawing these dispersed architectures into some sort of cohesive narrative — one that is legible to outsiders — remains. While the planned revitalization of the kukushka presents an opportunity to conceptually reconnect each of these villages and their associated health landscapes, there are no additional

infrastructures that might prompt a visitor to disembark from the train before Bakuriani. Given that the future of these "representative" architectures remains unknown, the curative properties that persist in the landscape might instead structure an approach to tourism in the region.

## **Re-orchestrating Historic Healing Practices in the Landscape**

What kind of infrastructure, then, could reunite the disparate cultural and ecological pieces of this historic health landscape into a discernible, narrative whole, one that could tolerate the fading away of some of its "representative" architectures, but also provide flexibility to engage layers of the present? Though the built remnants of this history may recede, the particular and profound features of the landscape that organized a cultural system — its waters, its ancient conifer forest, its system of gorges and mesas, its alpine winds and sun — persist.

The "fixing" tendency of preservation focuses visitors toward objects and their "fixed" interpretations, leaving little room for processes of individual meaning-making. Recent scholarship in the field of interpretive design finds that while visitors undertake journeys to learn about the past, they do not desire facts so much as they seek embodied, place-based experiences. The most meaningful and memorable encounters in heritage landscapes grow from highly sensorial engagements with place, rather than through overly deterministic site readings (Otero-Pailos 2009, Trieb 2009, Staiff 2014).

Rituals of breathing, drinking, and walking the terrain, then, present an opportunity to choreograph historic actions, attitudes, and sensations as an interpretive strategy, rather than fixating on the built vestiges that evidence them. By asserting the

continued relevance of these acts in the present, memory embedded in this landscape is allowed to persist while accruing new layers of meaning. Design's role, then, should be to "establish frames of perception" (Pallasmaa 2009), to provide cultural frameworks that orchestrate encounters with curative, natural features of the Sadgeri Plateau.

During 2021-22, the author explored the potential of one such infrastructure through the form of an interpretive trail. Rather than deploying traditional semantic strategies — "explaining" significance at discrete points — this work drew upon two historic health regimes native to this landscape: the drinking of mineral waters at their source and the walking of terrain cures, the system of graduated paths that connected the sanatorium to the larger territory. These regimes maximized bodily engagement with place, and retain the capacity to reorient visitors in highly sensorial experiences. They afford trail users opportunities to re-engage the historic, intimate link between the landscape's hydrology, geology, ecology and climate and the body's ability to heal in relation to these features.

The proposed route begins at one of the Plateau's rail stations - Tsemi or Tsagveri - where visitors disembark from the Kukushka and join the trail, a secondary modality that both affords and controls access to the underexplored areas of the Plateau. Linking villages, forested slopes, alpine meadows, and mineral water sources, and interweaving alongside and across the rail line, the trail allows visitors to physically connect distinct zones through the act of walking, while tracing a conceptual through line between dispersed sites and across landscapes.

Today, Borjomi and the smaller villages of the plateau often advertise general notions of clean air and "pristine nature." Historically, however, it was well-understood that

each of these resorts — even those within a few kilometers of each other — afforded a distinct combination of scenery, climate, and landscape-based prescriptions whose efficacy could not be replicated outside of their context. For balneological treatments, medicinal mineral waters had to be taken at their source to ensure the stability of the dose (Manning 2012). Therefore, a core idea of this new infrastructure is that the cultural practices it orchestrates are situated — that they can occur nowhere else, that they are inextricable from their particular hydrogeologic, vegetative, or topographic milieu.

Though "terroir" is often used to describe the characteristic taste and flavor imparted to a wine by the soil, topography, and climate in which it is produced, this project extends the idea to the mineral waters that emerge on and around the Sadgeri Plateau. The trail asks visitors to undertake a journey to the precise point of their emergence, where they are invited to make an explicit connection between the source's unique taste, smell, temperature, and carbonation and the particular qualities of its context.

Modest material interventions aim to further amplify the perceptual qualities of these waters. Basalt is ubiquitous in the region's vernacular and infrastructural architecture, and evidences the plateau's volcanic origins. Contact between this stone and mineral springs amplifies the water's particular medicinal qualities, staining basalt fountains throughout the region with colorful efflorescences. Deposits in variations of green, white, and red accumulate on the dark stone, registering the unique mineral- and medicine-laden qualities of each.

Basalt water bars were designed to protect the trail from erosive action of the springs, but also to extend the visual, sonic, and atmospheric traits of the water into or across the trail. Club mosses and lichen coat basalt where mineral waters flow, while clusters of ferns emerge along wet edges, a



Tsemi

repeated planting motif. While these interventions respond to functional requirements of waymarking, they also perform an interpretive function, registering the landscape's hydrologic and geologic phenomena.

Though sanatoria of the Sadgeri Plateau are in varied states of disrepair, much of the infrastructure that once moved or stored water is still functional. Partially buried in the ground, cisterns and channels have remained protected from many of the forces that have caused the disintegration of other historic architectures. This project proposes small repairs and readaptations of these water armatures for new interpretive uses, recasting these once infrastructural forms as sites for occupation and use, as points where water emerges and is presented for drinking. Engaging discrete infrastructures of the historic health landscape and situating them along the temporal sequence of

the walk, a visitor accrues experiences that allow them to infer a pattern of relations between landscape and these cultural forms.

The form of the trail is also used in the intentional sequencing of landscape types. Their spatial variations employ experiential principles of narrative – embarkation, anticipation, arrival, and reorientation. The path is variably organized by the plateau's vernacular architectures and topographies, tracing fence lines across vast meadows, or following river gorges under massive basalt cliffs, drawing them into a shared narrative. Periodic experiences of change illuminate contrasts between landscape types, while also identifying a series of intermediate destinations and views, breaking the journey into a series of shorter walks. As in the medicinal practice of walking a terrain cure, these breaks also orchestrate distinct moments of activity and rest.



## What's Next for the Sadgeri Plateau?

Such an infrastructure might take many forms. While the goal to project forward the unique ecological and hydrological qualities of the Sadgeri Plateau is important, what marks the region as distinct from nearby Borjomi-Kharagauli's 'wilderness' offerings is that it is a cultural landscape; it does not offer an extensive territory of 'untouched' forest, of uninhabited mountain views. Instead, its unique settlement patterns, architectures, and rituals harness, organize, and respond to its particular hydrogeologies, climate, and land cover, evidencing an intricate human-environment system more than a century and a half old.

Georgia, "the country of cultural landscapes," lacks a national cultural landscape designation that would recognize and promote these tightly interwoven fabrics of nature and civilization (Tsintsabadze 2021). The Agency for Protected Areas manages natural resources, while the Ministry of Culture and Monuments Protection preserves distinct "moveable or immovable cultural assets" (Law on Monuments 2008), with little overlap or shared thinking (Tsintsabadze 2021).

As the Bakuriani Development Agency works to revitalize the kukushka and the stations along its route, a cultural landscape framework can help shape decision-making that expands outward from the rail line. Such a framework values both built and ecological assets as inextricable, and supports knowledge of practices, rituals and ways of being in place that link the two. Tourism infrastructures, whether trails, new architectures, or programming, should reinforce these historic connections, while remaining flexible enough to generate a living landscape rather than a monument to the past.

Deep expertise already present in the region that should be drawn upon to redevelop landscape-based tourism infrastructures. Tamar Khostaria's work has been instrumental in promoting and preserving the engineering history of the region, including rail stations and bridges, hydropower stations, and the Borjomi bottling plant. Older residents who remain in the villages often worked in health tourism before its collapse and retain key knowledge of its practices. Others have long cared for libraries, cultural halls, or water sources that were once integrated into this system.

As train stations at each village are restored, they might become hubs that encourage and equip visitors to move outward into the landscape. Perhaps they become places to provision oneself for a walk — to purchase produce, tying into ICCN and Mercy Corps' agrotourism initiatives, or to acquire the iconic sipping vessel designed for collecting and drinking mineral water. Medicinal plants might again become available here, traditions which have been studied and documented extensively by ethnobotanist Rainer Bussmann. Tours of mineral waters — tasting experiences which could guide visitors across the Plateau — might disembark from the stations, offering information on their chemical composition and historic use.

Beyond the Kukushka's route, the future of the built vestiges of this human-environment system remain uncertain. As Georgia continues to grow into an adventure tourism capital, the Sadgeri Plateau has an opportunity to engage specific, place-based approaches to tourism, rather than affording generalized pastiches for an imagined 'international' audience. Instead, the landscape persists — its cycles of seasons and water, its primeval forests — and presents itself, again, as the basis for situated, embodied experiences.

## References

- Berozashvili, K. 2022. 'Interview with Ketevan Berozashvili, tourism officer for Borjomi Municipality'. Interview by Sarah Coleman, 29 April 2022.
- Bondyrev, Igor V., Davitashvili, Z.V., Singh, V.P., 2015. The geography of Georgia: problems and perspectives. Springer International Publishing.
- Borjomi Local Action Group, 2016. Borjomi Local Development Strategy. Delegation of the European Union to Georgia.
- Borjomi Municipality Local Action Group, 2020. Tourism Master Plan for Borjomi Municipality.
- Civil.ge, 2022. 'Borjomi Workers on Strike.' Civil.ge, 6 February, viewed 10 October 2022, <<https://civil.ge/archives/493693>>.
- Conterio, J., 2019. 'Curative Nature: Medical Foundations of Soviet Nature Protection, 1917–1941', *Slavic Review*, 78(1), 23–49.
- Forchheimer, Frederick, I., Ernest Edward, 1915. Forchheimer's therapeutics of internal diseases. D. Appleton and Company.
- Gantiadi Mountain Resort, n.d. 'Climatotherapy'. <<http://www.gantiadi-resort.com/climatotherapy.html>> (accessed 10.2.22).
- Geisler, J.C., 2014. The Soviet Sanatorium: Medicine, Nature and Mass Culture in Sochi, 1917–1991. Doctoral Dissertation.
- Georgia Today, 2022. 'Jim Carrey Buys NFT of Tskaltubo Photo.' Georgia Today, 2 June, viewed 10 October 2022, <<https://georgiatoday.ge/jim-carrey-buys-nft-of-tskaltubo-photo/>>.
- Jinoria, B., 2019, March. Landscape potential, ecosystem service and geoecological characteristics of the tourist development of the borough Tsaghveri and adjacent areas. In ISCONTOUR 2019 Tourism Research Perspectives: Proceedings of the International Student Conference in Tourism Research (Vol. 7, p. 277). BoD–Books on Demand.
- Khoshtaria, T., 2017. 'The role of the engineering heritage in the branding of Borjomi City (Georgia, Samtskhe-Javakheti region)'. 2nd International Conference on Business Management, Cyprus, 15–16 November.
- Law of Georgia on Cultural Heritage, 2008. Law of Georgia.
- Lywood, G., 2018. 'Strengthening the Tsarist Empire's Immune System: Environmental Cures Along Crimea's Coast of Health', in Breyfoyle, N.B. (ed.) *Eurasian environments*. University of Pittsburgh Press, pp. 265–279.
- Manning, P., 2012. The semiotics of drink and drinking. Continuum.
- Otero-Pailos, J 2009. 'Mnemonic Value and Historic Preservation', in: Trieb, M. (ed.) *Spatial Recall: Memory in Architecture and Landscape*. Routledge, pp. 240–258.
- Pallasmaa, J 2009. 'Space, Place, Memory and Imagination: The Temporal Dimension of Existential Space,' in Trieb, M. (ed.) *Spatial Recall: Memory in Architecture and Landscape*. Routledge, pp. 16–41.
- Sitchinava, T., 2019. 'Identification of contemporary challenges of popular Soviet-time resorts of Georgia: the case of Tsagveri and Tskaltubo'. ISCONTOUR 2019 Research Conference, Innsbruck, October 7–9.
- Sosson, M., Rolland, Y., Müller, C., Danelian, T., Melkonyan, R., Kekelia, S., Adamia, S., Babazadeh, V., Kangarli, T., Avagyan, A. and Galoyan, G., 2010. 'Subductions, obduction and collision in the Lesser Caucasus (Armenia, Azerbaijan, Georgia), new insights'. Geological Society, London, Special Publications, 340(1), pp. 329–352.
- Staiff, R., 2016. Re-imagining heritage interpretation: enchanting the past-future. Routledge.
- Khoshtaria, T.K. and Chachava, N.T., 2017. The planning of urban green areas and its protective importance in resort cities (case of Georgian resorts). *Annals of Agrarian Science*, 15(2), pp. 217–223.
- Tielidze, L. ed., 2019. *Geomorphology of Georgia*. Springer International Publishing.
- Trieb, M 2009. 'Remembering Ruins, Ruins Remembering', in Trieb, M. (ed.) *Spatial Recall: Memory in Architecture and Landscape*. Oxford University Press, pp. 195–217.
- Tsintsabadze, N., 2021. 'Interview with Nato Tsintsabadze, ICOMOS Georgia President'. Interview by Sarah Coleman, 29 October 2021.
- Zazanashvili, N., Gagnidze, R., Nakhutsrishvili, G. 2000. 'Main types of vegetation zonation on the mountains of the Caucasus'. *Acta Phytogeographica Suecica* 85, 7–16.

# მკურნალი რელიეფები: ლანდშაფტით კურნების ისტორიული მეთოდების აღდგენა სადგერის პლატოზე სარა კოლმანი

## შესავალი

ბორჯომის ზემოთ მდებარე პლატოებზე დასვენებისა და მკურნალობის რთული კულტურული სისტემა თვლემს. სანატორიუმები - ერთ დროს კომპლექსური მექანიზმები, რომლებიც სხეულს ლანდშაფტის ფარულ სამკურნალო თვისებებთან აკავშირებს, უპატრონოდ არის მიტოვებული და მძიმე, ავარიულ მდგომარეობაშია. ზოგიერთ შთამბეჭდავ ნაგებობაში დევნილები არიან შესახლებულნი. აფხაზეთის ომის პერიოდში, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის გადაწყვეტის ეს „დროებითი“ გზა უკვე 20 წელს ითვლის. მართალია, ამ ისტორიული ნაგებობების ნარჩენები დროის შეჩერების (ან წგრევის?) განცდას იწვევს, მაგრამ ის ბუნებრივი მახასიათებლები, რომლებიც წინ უძღოდა ამ სისტემას და მისი ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნიდა, კვლავ აგრძელებს არსებობას ცოცხალი, დინამიკური და ცვალებადი სახით. თითოეული სოფლის უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლები ისევ მიედინება ბაზალტის გორაკებზე და მინის ზედაპირზე მექანიკური ჩარევის გარეშე ამოდის. მარადმწვანე

ტყეებში ის კლიმატი და ტენიანობა ყალიბდება, რაც ოდესღაც ფილტვების დაავადებებისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ბუნების ამ სამკურნალო თვისებების - აქაური ჰაერის სუნთქვის, ამ რელიეფზე სიარულის, აქაური წყლების სმის პოტენციალი ჯერ ისევ რჩება ადგილობრივი ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილად.

თუმცა, ამ ეკოლოგიურ და კულტურულ არტეფაქტებს შორის კავშირი დაიკარგა. მართალია, სოფლად დარჩენილი მოსახლეობა ისევ აგროვებს წყაროს წყალს, მაგრამ გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სტუმრები, როგორც წესი, გვერდს უვლიან ამ ტერიტორიებს და ბორჯომისა და ბაკურიანისკენ მიემართებიან. რეგიონში, როგორც წესი, არ ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა; მცირე ტურისტულ საწარმოებს კი ჯერაც არ დაუძლევიან პანდემიის გავლენა.

და მაინც, ბაკურიანის განვითარების

სააგენტო უახლოეს მომავალში გეგმავს წინადადებების მიღებას ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზისა და მისი სადგურების აღდგენის შესახებ. ოდესღაც ეს რკინიგზა სამედიცინო ტურისტების გადაადგილების ძირითადი საშუალება იყო ბორჯომის ზემოთ მდებარე კურორტებზე მოსახვედრად. პლატოების ტყეებსა და მდინარის ციცაბო ხეობებზე აღმა-დაღმა მოძრავი „კუკუშკის“ 37-კილომეტრიანი სარკინიგზო მაგისტრალის განახლება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ამ მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებსა და ისტორიულ ლანდშაფტზე.

ჩრდილო-დასავლეთით, 150 კილომეტრში მდებარე წყალტუბო ერთგვარი გამაფრთხილებელი ზღაპარივითაა ტურიზმის იმ სახეებისთვის, რაც ამგვარ ლანდშაფტში შეიძლება განვითარდეს. სანამ ერთ დროს დიდებული სანატორიუმების ნანგრევებში ვიზიტორები რომანტიკულად აღიქვამენ აქ მიმდინარე ბუნებისა და კულტურის ჭიდილს, ამ კურორტებზე ამჟამად მცხოვრები წყალტუბოს მოსახლეობა და იძულებით გადაადგილებული პირები არ სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რაც მათ ამ შენობებით (რომლებსაც სრულიად გაჩანაგებულად აღიქვამენ) ესთეტიკური სიამოვნების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. მართალია, ზოგიერთი სანატორიუმი კერძო ინვესტორზე გასხვისდა, რეკონსტრუქციის გეგმები ისევ ბუნდოვანია, რის გამოც წყალტუბოს მოსახლეობა გაურკვეველ მდგომარეობაში რჩება.

ინფრასტრუქტურის შენარჩუნების გაბატონებული მიდგომები ისტორიული ლანდშაფტების არქიტექტურული იერსახის ფიქსირებაზე ფოკუსირდება - წარსულის არქიტექტურული კვალის დაზიანების ნიშნების დაფარვასა და, პირდაპირ თუ მეტაფორულად,

ასეთი ადგილების ცრუ მუდმივობაში გაყინვაზე. თუმცა, წყალტუბოს მსგავსად, ბორჯომ-ბაკურიანის სარკინიგზო დერეფნის გასწვრივ არსებული მრავალი სანატორიუმი, შესაძლოა, აღარც ექვემდებარებოდეს შეკეთებას.

„კუკუშკას“ სარკინიგზო დერეფნის გასწვრივ მიმდინარე ამ გარდაქმნის მომენტში, ამავე კულტურულ ლანდშაფტში ტურიზმის აღსადგენად აუცილებელია ზუსტი და მგრძნობიარე გეგმა, რომელიც ამ ადამიანურ-ეკოლოგიური სისტემის ისტორიას დაეფუძნება. იმ გაურკვევლობათა გათვალისწინებით, რაც წარსულის არქიტექტურულ იერსახეს სდევს თან, ამგვარი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მიდგომებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ცვალებადი მატერიალური კვალის შენარჩუნებაზე, არამედ მეხსიერების წახალისებაზე. თუ ეს მიზანი გათვალისწინებული იქნება, ასეთი გეგმა ადამიანისა და ლანდშაფტის ისტორიული ურთიერთობების აღდგენაზე ფოკუსირდება. როგორ შეიძლება ამ გარემოს სტუმარმა იხელმძღვანელოს გამოცდილებით, რომელიც რელიეფის სამკურნალო მახასიათებლებთან მიმართებით, სივრცესა და დროში ვითარდება? როგორ შეუძლიათ სტუმრებს ხელახალი ორიენტირება ისტორიულ დამოკიდებულებებში, პერსპექტივებსა და შეგრძნებებში? როგორ შეიძლება ასეთი სახის ურთიერთქმედებამ განაახლოს ამგვარ ქმედებათა აქტუალურობა აწმყოში, რაც შესაძლებელს გახდის მათ არსებობას ცვალებადი არქიტექტურის მიღმა?

მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომი და ბაკურიანი შედარებით პოპულარულ ტურისტულ ცენტრებად რჩება, პატარა სოფლები, რომლებიც „კუკუშკას“ მარშრუტის გასწვრივ, ამ მიმართულებებს შორის მდებარეობს: სადგერი, ტბა, ცემი, ლიბანი და



წალვერი, როგორც წესი, მხოლოდ მცირე რაოდენობით ადგილობრივ ვიზიტორებსა და ოჯახებს იზიდავს. საერთაშორისო ვიზიტორები, ჩვეულებრივ, მხოლოდ ბორჯომის გავლით გადაადგილდებიან, როცა დასავლეთის მიმართულებით მიდიან.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა ამ სოფლების კლასტერების ამომწურავი ანალიზი განახორციელა. კვლევა ყურადღებას ამახვილებს „კარგ კლიმატსა და სუფთა ჰაერზე“, „ბუნებრივ რესურსებზე, მინერალურ წყლებსა [და მათთან დაკავშირებულ] სამკურნალო თვისებებზე“, ისევე, როგორც „კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე“, როგორც აქტივებზე, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს „მდგრადი, ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმისთვის“ (2020). კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწე ქართველი სპეციალისტები გამოეხმაურნენ ამ მოწოდებებს და მხარი დაუჭირეს ეკოტურიზმის პროგრამის ჩამოყალიბებას, რომელიც ეკოლოგიურ რესურსებს გამოიყენებს (Khostaria and Chachava 2017, Jinoria 2019), გაზრდის სოფლებს შორის კავშირს (Borjomi Local Action Group 2020) და რეგიონის საინჟინრო მემკვიდრეობასა და გამაჯანსაღებელ კურორტებს გაუსვამს ხაზს (Khostaria 2017, Sitchinava, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად სამკურნალო ტურიზმი განვითარების პოტენციურ მიმართულებად განისაზღვრა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის მომდევნო ნაბიჯების გადადგმას. პლატოს რამდენიმე სანატორიუმი კერძო ინვესტორებმა შეიძინეს და მათ მთის კურორტებად გარდაქმნას გეგმავენ (ლიბანსა და მზიურში), თუმცა, ეს პროექტები არაერთხელ დაიწყო და შეჩერდა, რაც მრავალი ქართველისთვის კარგად ნაცნობი,

დაპირებებისა და გაურკვევლობის უწყვეტი ციკლია.

## მკურნალი რელიეფები

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მცირე კავკასიონის მთათა სისტემაშია განლაგებული. მისი მდებარეობა ქვეყნის ტენიანი დასავლეთ ნაწილისა და მშრალი აღმოსავლეთ ნაწილის შეერთების ადგილას უნიკალური ჰიდროლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობების ჩამოყალიბებას იწვევს და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ეკოლოგიურად მრავალფეროვანი რეგიონია. დასავლეთით მდებარე აჭარა-იმერეთის ქედი ჰაერის გრილი მასების შემოსვლას ასუსტებს, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე თრიალეთის ქედი ანატოლიიდან წამოსული თბილი ჰაერის ნაკადებს მიმართავს რეგიონისკენ, რაც მის ცნობილ, რბილ კონტინენტურ კლიმატს წარმოქმნის (Bondyrev et al. 2015).

ამგვარი კლიმატი ლანდშაფტების მრავალფეროვანი ჯგუფის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომელთა შორისაა ალპური, სუბალპური, შერეული წიწვოვანი და წიფლის ტყეები; ასევე ალპური და სუბალპური მდელოები. ცარიზმის ეპოქაში სამონადირეო ნაკრძალად განსაზღვრული ეს უძველესი წიწვოვანი ტყეები დღესაც არსებობს. რეგიონის რელიეფი, რომელიც ბაკურიანის რღვევის გასწვრივ მდებარეობს, პალეოგენური ლავისგან არის წარმოქმნილი. მდინარეების: გუჯარეთისწყლისა და ბორჯომულას ეროზიული მოქმედების შედეგად, ახალგაზრდა ლავის ნაკადებმა ე.წ „მაგიდა მთები“ წარმოქმნა, მათ კიდეებზე კი შთამბეჭდავი ვიწრო ხეობები და ბაზალტის კლდეები ჩამოაყალიბა (Sosson et al. 2010).

სტაბილური ვულკანური აქტივობის შედეგად, ამ რღვევის ხაზის გასწვრივ ჩნდება დიდი რაოდენობით მინერალური

წყაროები. ეს წყლები ბუნებრივად გაჯერებულია ნახშირორჟანგით და ზედაპირზე მექანიკური ჩარევის გარეშე ამოდის. როდესაც წყალი ქანების შრეებს გაივლის, ნახშირმჟავა და ქლორის ანიონი მცირე რაოდენობით მინერალების გახსნას უწყობს ხელს და თითოეული მათგანის კვალი ზედაპირზე ამოაქვს. ეს წყაროები, ჯგუფურად, 60-ზე მეტ მინერალს შეიცავს, რომელთა მიღებაც სასარგებლოდ ითვლება თითქმის ორი საუკუნეა (Tielidze 2019).

ამ ლანდშაფტთან დაკავშირებული სხეულის გაჯანსაღების ისტორია ქართველებისთვის კარგად არის ცნობილი. სულ მცირე, ბორჯომი განაგრძობს ამ ისტორიული წარსულის ნაწილად ყოფნას. ბუნებრივი მინერალური წყაროების ასეთი მრავალფეროვნების გამო, რუსული ელიტის მიერ ადრეულ კურორტად („სამკურნალო ადგილი“) ქცეული ტერიტორია კავკასიის ყველაზე ცნობილ გამაჯანსაღებელ დასასვენებელ ადგილად ჩამოყალიბდა. მე-19 საუკუნეში მინერალური წყლები „ყველაფრის წამალი“ ეგონათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც სამკურნალო ლანდშაფტები უფრო მეტად „სამედიცინო“ გახდა - საბჭოთა პერიოდში, თითოეული წყაროს უნიკალური თვისებები კონკრეტული დაავადებების კონკრეტულ მკურნალობას დაუკავშირდა (Manning 2012).

ტემპერატურის, გემოს, სუნისა და კარბონირების ცვალებადობა თითოეული წყლის კონკრეტულ სამკურნალო თვისებებს ადასტურებს, რომელთა მიღებაც უშუალოდ მათი წყაროდან უნდა მომხდარიყო, დადგენილი მოცულობითა და სიხშირით, რაც დოზის სტაბილურობას უზრუნველყოფდა. გოგირდის წყლები კანის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა, მარილიანი წყლები - კუჭის პრობლემებისთვის, ხოლო

რკინით მდიდარი წყაროები სასუნთქი სისტემების დაავადებებს კურნავდა და ენერგიას აღდგენას უწყობდა ხელს (Jinoria et al. 2019; Manning 2012).

სანატორიუმის კომპლექსის არქიტექტურული მახასიათებლები, მათ შორის სამხრეთისკენ მიმართული შენობები, მზიანი და სუფთა ჰაერით სავსე სივრცეები თუ სასეირნო ბილიკები ლანდშაფტის სამკურნალო ელემენტებსა და პაციენტებს შორის კონტაქტის საგულდაგულოდ ჩაფიქრებული, მაკავშირებელი რგოლები იყო. მიუხედავად იმისა, რომ შენობის გარეთ გატარებული დროც კი ხელს უწყობდა ჯანმრთელობას, კლიმატური თერაპია გულისხმობდა კონკრეტულ რეჟიმთა ერთობლიობას, რომლებიც მზის სინათლესთან, ჰაერსა თუ ტყეებთან აქტიურ და პასიურ კონტაქტს აწესრიგებდა (Conterio 2019).

აეროთერაპია გავრცელებული პროცედურა იყო, რომლის დროსაც სუფთა ჰაერის ფიზიკური მახასიათებლების ზემოქმედება სხეულს გაციებისა და ინფექციური დაავადებების მიმართ უფრო ამტანს ხდიდა (Geisler 2014). განსაკუთრებული უპირატესობა წინვოვანი ტყის გარემოს ენიჭებოდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ის ყველაზე დიდი კონცენტრაციით გამოყოფდა „მცენარეულ ნივთიერებებს“. ამ ტყეების გამაჯანსაღებელი ჰაერის სუნთქვისას შთანთქმული „ატმოსფერული ვიტამინები“ იმ დაავადებათა პრობლემებს აგვარებდა, რომელთა განკურნებაც შეუძლებელი იყო მედიკამენტებით ან ქირურგიული გზით (პოდოლსკი 1947). რეგიონის გზამკვლევებში დეტალურად არის აღწერილი ამ ტყეების სასარგებლო შემადგენლობა, რომლებიც „გაჟღენთილია სოჭის, ფიჭვისა თუ ევროპული სოჭის სურნელით“ (Vadachkoria et al. 1987).



კოლაჟი: ლიბანი

მიუხედავად იმისა, რომ მზის, წყლისა და ჰაერის გამაჯანსაღებელი თვისებების პასიური მოხმარებას სასარგებლოა, აქტიური მოძრაობით შესაძლებელია მათი ეფექტურობის ამაღლება. „ტერენკური“ ექიმის მიერ დადგენილი სეირნობის სამედიცინო რეჟიმი იყო - პაციენტები დადიოდნენ საგულდაგულოდ შემუშავებულ ბილიკებზე, რომლებიც, თავის მხრივ, სანატორიუმიდან უფრო ფართო ლანდშაფტზე იყო გადაჭიმული. მართალია, თავდაპირველად მას გულის დაავადების მქონე პაციენტები იყენებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, როგორც პროფილაქტიკურ მკურნალობას, მას ყველა სტუმარს უნიშნავდნენ (Forchheimer and Irons 1915). შესვენების ადგილები მთელ მარშრუტებზე იყო მიმოფანტული, განიერი სკამებითა და ულამაზესი ხედებით, რომლებიც ალპურ ლანდშაფტებს გასცქეროდა.

თუ კლიმატოთერაპიული შეთავაზებებით ყველაზე ცნობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები (ცემი, ტბა, განთიადი, მზიური) თავად პლატოზე იყო

განთავსებული, ქვედა ალპური ზონის სანატორიუმები (წაღვერი, კეჩხოზი და ლიბანი), რომლებიც მინერალური წყლებით მკურნალობით გამოირჩეოდა, წყაროებთან ახლოს განლაგდა. ლანდშაფტის ამ დინამიკური თვისებების გამოყენებით, სამედიცინო ტურისტებს ზუსტად იმ ადგილას შეეძლოთ ჩასვლა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მათ საჭიროებებს. რელიეფის, ჰიდროლოგიისა და გეოლოგიის ამგვარმა, კომპლექსურმა გაგებამ შესაძლებლობა შექმნა, თითქმის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ჩამოყალიბებულიყო ლანდშაფტთან ურთიერთქმედების სამკურნალო ფორმები.

## წარსულის „დაფიქსირება“

წარსულის ეს ნაშთები სხეულის ლანდშაფტთან დამაკავშირებელი არქიტექტურული მიდგომების ერთგვარი მატერიალური კატალოგია - სანატორიუმები „პლატო“ და „ლიკანი“ ამ ინფრასტრუქტურების მოდერნისტული გამოვლინებებია,

„ლიბანი“ და „პატარა ცემი“ კი მე-20 საუკუნის დასაწყისისა და სტალინური პერიოდის თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენს. შენარჩუნებაზე ორიენტირებული ტიპური მიდგომების მიზანი იმ სტრუქტურების „შეკეთებაა“, რომლებიც „მნიშვნელოვანია“ ამ ისტორიისთვის - მათი დროში გაყინვა, მათი ნგრევის შეჩერებაა.

მართლაც, შენარჩუნება, როგორც პროფესია, დაფიქსირებას ცდილობს - იქნება ეს წარსულის არქიტექტურული ნარჩენები თუ ის „მნიშვნელობები“, რაც ამ ნარჩენებზე თანამედროვე მნახველებს უნდა გაახსენდეთ. ხშირად, მას შემდეგ, რაც ტექნიკური რესტავრაცია ხდება, გამოიყენება ინტერპრეტაციული შრე, რომელიც, როგორც წესი, ერთგვარი ინტერპრეტაციული „არმატურისგან“ შედგება. ეს აბრები და საინფორმაციო ჭიხურები მიზნად ისახავს, სტუმრებს წარსულის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა სემანტიკური არხებით - „რეპრეზენტაციული არტეფაქტების“ განთავსებით სწორ დროს, მათი „მნიშვნელობის პერიოდში“.

სადგერის პლატოს შემთხვევაში (და, უფრო ფართოდ, მთელი დისციპლინის კონტექსტში) ამგვარ მიდგომას რამდენიმე პრობლემა ახლავს თან. პირველ რიგში, ამ ლანდშაფტის არქიტექტურული „ქსოვილი“ ზოგიერთისთვის შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც აქ დასვენებასა და განკურნებასთან დაკავშირებული; მაგრამ ისტორიის ობიექტივიზაცია გულისხმობს, რომ ამ სტრუქტურების დაკარგვას შესაბამისი მეხსიერებისა და ცოდნის დაკარგვაც მოჰყვება. ცხადია, მეხსიერებასა და არქიტექტურას შორის დამოკიდებულება მრავალი მეცნიერის, დამპროექტებლისა და პრაქტიკოსის შესწავლის საგანია. თუმცა, პლატოზე არაერთი სანატორიუმის მდგომარეობა; მათი შეკეთებისთვის

საჭირო სახსრების თუ ინვესტიციების ნაკლებობა და რეკონსტრუქციის დანყება-შეჩერების განმეორებადი ციკლები; ისევე, როგორც რწმენა, რომ მეხსიერება დამოკიდებულია ამ უფრო და უფრო მეტად ცვალებად ობიექტებზე - თითქმის არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს.

მეორე საკითხია, რომ შენარჩუნების იმპულსი, რომელიც ცდილობს დააფიქსიროს მნიშვნელობა, არ აღიარებს, რომ ეს მნიშვნელობა, რეალურად, პირობითი და მრავალვალენტიანია. სტრუქტურებსა თუ ლანდშაფტებზე მუდმივად იქმნება ახალი ამბები, გროვდება ან იცვლება - ისინი არ არის მუდმივი. შესაძლოა, ზოგისთვის ბავშვობის მოგონებები კეჩხოში ან რკინიგზის მუშათა სანატორიუმში მატარებლით მგზავრობას უკავშირდება, თუმცა აქაური მოსახლეობისთვის ამ ნაგებობათა ლანდშაფტში ცხოვრება, შესაძლოა, დაკარგული კეთილდღეობის პერიოდს უკავშირდებოდეს. რეგიონში მცხოვრები დევნილებისთვის, შესაძლოა, პლატოს ან ბორჯომის ხეობის შენობები საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობასა და შეუსრულებელ დაპირებებს აღნიშნავდეს.

მსგავს მდგომარეობაში მყოფ წყალტუბოს სანატორიუმებს არაადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი მნიშვნელობები და ფუნქცია მიანიჭა. ქალაქის 22 სანატორიუმიდან დევნილებს ნახევარზე მეტი აქვთ დაკავებული. ოდესღაც დიდებული ქალაქის მონახულებისას გრჩება ძლიერი განცდა, რომ მოსახლეობა ვერ აკონტროლებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ მნიშვნელობებს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სპა ფუნქციონირებს, ვიზიტორთა უმეტესობა აქ იმისთვის მოდის, რომ ფოტო გადაუღოს დანგრეულ სიმდიდრეს (ან თავად



გადაუღონ ასეთ გარემოში). ივნისში, ამერიკელმა მსახიობმა ჯიმ კერიმ ფოტოგრაფ რაიან კუპმანსისგან წყალტუბოს ერთ-ერთი ინტერიერის ფოტო შეიძინა (Georgia Today 2022). ფოტოზე „მიტოვებული“ დარბაზის ან სასცენო სივრცის გამოსახულებაა, რომელიც დაფარულია აყვავებული მცენარეებისა და ხეების დიდი ციფრული კოლონიით. კოლაჟზე ასახულია დამსხვრეული შუშა და თაბაშირი, რომლებიც ფარავს იატაკს, კედლებზე არსებული წარწერები შენიღბულია. ერთ-ერთი ფანჯრიდან ჩანს ციფრული ტყე, რომლითაც გადაფარულია კვამლიანი საკვამურები და სარეცხის თოკებზე გაფენილი პერანგები, რომლებიც შენობის სხვა ნაწილებიდან ჩანს.

იმ შემთხვევაში, თუ სადგერის პლატოს სანატორიუმების ან ახალგაზრდული ბანაკების აღდგენისთვის ინვესტიციები განხორციელდება, პრობლემად რჩება ამ გაფანტული არქიტექტურის ერთიან, გარკვეული სახის გამაერთიანებელ ნარატივში მოქცევა. მართალია, დაგეგმილი „კუკუშკას“ აღდგენა ერთგვარი შესაძლებლობაა თითოეული ამ სოფლის და მათი მკურნალი ლანდშაფტების ხელახალი, კონცეპტუალური დაკავშირებისთვის; თუმცა, არ არსებობს დამატებითი ინფრასტრუქტურა, რამაც შეიძლება აიძულოს ვიზიტორი, მატარებლიდან ბაკურიანამდე ჩამოვიდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ „რეპრეზენტაციული“ არქიტექტურების მომავალი უცნობია, ლანდშაფტში შენარჩუნებულმა სამკურნალო თვისებებმა, შესაძლოა, რეგიონში ტურიზმისადმი მიდგომის შეცვლაც გამოიწვიოს.

ლანდშაფტების ისტორიული სამკურნალო მეთოდების გადახალისება რა სახის ინფრასტრუქტურას შეუძლია გააერთიანოს ამ

ისტორიულად მკურნალ ლანდშაფტთა განსხვავებული კულტურული და ეკოლოგიური ნაწილები გარჩევად, მთლიან ნარატივში, რომელიც აიტანს მასში შემავალი ზოგიერთი „რეპრეზენტაციული“ არქიტექტურის ნელ-ნელა გაქრობას, თუმცა, ამავდროულად, საკმარისად მოქნილი იქნება იმისთვის, რომ აწმყოში არსებული შრეები მოიხელოთ? ამ ისტორიის არქიტექტურული ნაშთები, შესაძლოა, თანდათან გაქრეს, მაგრამ ამ ლანდშაფტის განსაკუთრებული და უმნიშვნელოვანესი თვისებები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა აქაური კულტურული სისტემის ჩამოყალიბებას: ადგილობრივ წყლებს, უძველეს წინვოვან ტყეებს, ვიწრო ხეობებსა თუ კლდეების სისტემას, ალპურ ქარებსა და მზეს - გაძლებს.

შენარჩუნებისთვის დამახასიათებელი „დაფიქსირების“ ტენდენცია სტუმრების ყურადღებას ობიექტებზე და მათ „ფიქსირებულ“ ინტერპრეტაციებზე ამახვილებს, რაც მცირე შესაძლებლობას ტოვებს მნიშვნელობების ინდივიდუალურად მინიჭებისთვის. ბოლო პერიოდის კვლევები ინტერპრეტაციული დიზაინის სფეროში აჩვენებს, რომ როდესაც სტუმრები აქ წარსულის შესახებ შესახებ ინფორმაციის მისაღებად ჩამოდიან, მათ იმდენად ფაქტები არ აინტერესებთ, რამდენადაც ადგილისგან ფიზიკური გამოცდილების მიღება. კულტურული მემკვიდრეობის ლანდშაფტთან ყველაზე საფუძვლიანი და დაუვინყარი შეხება მიიღწევა სწორედ ადგილთან ძლიერი სენსორული კონტაქტით და არა უაღრესად დეტერმინისტული ინტერპრეტაციით (Otero-Pailos 2009, Trieb 2009, Staiff 2014).

ამ თვალსაზრისით, სუნთქვის, წყლის სმისა თუ სეირნობის რიტუალები შესაძლებლობას გვაძლევს, აღვადგინოთ ისტორიული მოქმედებები, დამოკიდებულებები და


შეგრძნებები, როგორც ინტერპრეტაციის სტრატეგია და არა როგორც მათ დამადასტურებლად ნაშენი ნარჩენების დაფიქსირება. ამ მოქმედებების აწმყოშიც აქტუალობის მტკიცებით, შესაძლებელი ხდება ამ ლანდშაფტში ჩაქსოვილი მესხიერების შენარჩუნება, მნიშვნელობათა ახალი ფენების დაგროვებასთან ერთად. ამრიგად, დიზაინის როლი „აღქმის ჩარჩოების ჩამოყალიბება“ (Pallasmaa 2009) უნდა იყოს, რათა ის კულტურული ჩარჩოები შექმნას, რომლებიც სადგურის პლატოს სამკურნალო, ბუნებრივ მახასიათებლებთან შეგვახვედრებს.

2021-22 წლებში, ავტორმა ერთ-ერთი ასეთი ინფრასტრუქტურის პოტენციალი გამოიკვლია ინტერპრეტაციული ბილიკის ფორმით. ტრადიციული სემანტიკური სტრატეგიების გამოყენების - მნიშვნელობის ცალკეულ ადგილებში „ახსნის“ - ნაცვლად, ნამუშევარი ეყრდნობოდა ამ ლანდშაფტისთვის დამახასიათებელ ორ ისტორიულ სამკურნალო რეჟიმს: მინერალური წყლების წყაროდან დაღევასა და მკურნალ ადგილებში სიარულს (ტერენკურს), საფეხურებად დაყოფილი ბილიკების სისტემის მიხედვით, რომელიც სანატორიუმს უფრო დიდ ტერიტორიასთან აკავშირებდა. ეს რეჟიმები მაქსიმალურად ზრდიდა ადგილთან სხეულებრივ კავშირს და სტუმრებს რეორიენტაციის უნარს უნარჩუნებდა ძლიერი სენსორული გამოცდილებებისას. ამ მეთოდის დახმარებით, ბილიკზე მოსეირნეებს შეეძლოთ ლანდშაფტის ჰიდროლოგიას, გეოლოგიას, ეკოლოგიასა და კლიმატს შორის ისტორიული, ღრმა კავშირის თუ ამ მახასიათებლებთან ურთიერთობაში მყოფი სხეულის განკურნების უნარის ხელახლა აღმოჩენა.

შემოთავაზებული მარშრუტი იწყება პლატოს ერთ-ერთი სარკინიგზო სადგურიდან - ცემიდან ან წაღვერიდან,

სადაც ვიზიტორები „კუკუშკადან“ ჩამოდიან და ბილიკის გაყოლას იწყებენ. ეს არის მეორადი მოდალობა, რომელიც პლატოს შეუსწავლელ უბნებზე წვდომისა და კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. ბილიკი ერთმანეთთან აკავშირებს სოფლებს, ტყიან ფერდობებს, ალპურ მდელოებსა და მინერალურ წყაროებს და, ამავე დროს, მისდევს და კვეთს სარკინიგზო ხაზს. ეს შესაძლებლობას აძლევს ვიზიტორებს, ფეხით სიარულისას ერთმანეთთან ფიზიკურად დააკავშირონ სხვადასხვა ზონები და, იმავდროულად, მიაკვლიონ მიმოფანტულ ადგილებსა და ლანდშაფტებს შორის საერთო კონცეპტუალურ ხაზს.

ბორჯომი და პლატოს პატარა სოფლები ხშირად რეკლამას უკეთებენ სუფთა ჰაერისა და „ხელუხლებელი ბუნების“ შესახებ ზოგად იდეებს. თუმცა, ისტორიულად ცნობილია, რომ თითოეული ეს კურორტი - თუნდაც ისინი, რომლებსაც ერთიმეორისგან რამდენიმე კილომეტრი ამორებს, გვთავაზობდა ხელების, კლიმატისა და ლანდშაფტზე დაფუძნებული დანიშნულებების განსაზღვრულ კომბინაციას, რომელთა ეფექტურობის აღდგენაც შეუძლებელია ამ კურორტების კონტექსტის მიღმა. ბალნეოლოგიური მკურნალობისთვის აუცილებელი იყო სამკურნალო მინერალური წყლების მიღება წყაროდან, დოზის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით (Manning 2012). შესაბამისად, ამ ახალი ინფრასტრუქტურის ძირითადი იდეა ისაა, რომ კულტურული პრაქტიკა, რომელიც აქ ხორციელდება, კონკრეტულ ადგილთან არის დაკავშირებული - იგი სხვაგან არსად გვხვდება და განუყოფელია კონკრეტული ჰიდროგეოლოგიური, მცენარეული თუ ტოპოგრაფიული გარემოსგან.



## ბილიკის რუკა

მართალია, ტერმინი „ტერუარი“ (მიკროკლიმატი) ხშირად აღწერს ღვინისთვის დამახასიათებელ გემოსა და სურნელს, რომელსაც მას არსებული ნიადაგი, ტოპოგრაფიული მახასიათებლები და კლიმატი ანიჭებს, მაგრამ ეს იდეა, ამ პროექტის ფარგლებში, სადგერის პლატოსა და მის ირგვლივ არსებულ მინერალურ წყლებზეც გავავრცელეთ. ბილიკი ვიზიტორებს სთხოვს ამ წყაროების წარმოქმნის ზუსტ წერტილამდე გაყოლას, სადაც მათ წყაროს უნიკალურ გემოსთან, სუნთან, ტემპერატურასთან, კარბონირებასა თუ მის სხვა განსაკუთრებულ თვისებებთან ცხადი კავშირის შეგრძნება ელით.

შედარებით მცირე მასშტაბის მატერიალური ჩარევები ამ წყლების შესამჩნევი თვისებების კიდევ უფრო გაძლიერებას ისახავს

მიზნად. რეგიონის ადგილობრივ და ინფრასტრუქტურულ არქიტექტურაში ყველგან გავრცელებულია ბაზალტი, რაც ადასტურებს პლატოს ვულკანურ წარმოშობას. ამ ქვასა და მინერალურ წყაროებს შორის კონტაქტი აძლიერებს წყლის განსაკუთრებულ სამკურნალო თვისებებს და ბაზალტის შადრევნებს ფერადი კრისტალებით ღებავს მთელ რეგიონში. მუქი ფერის ქვაზე გროვდება მწვანე, თეთრი და წითელი ფერის ვარიაციები, რაც თითოეული წყაროს უნიკალურ, მინერალებითა და სამკურნალო საშუალებებით გაჯერებულ თვისებებს გვჩვენებს.

ბაზალტის სადრენაჟო ღარები დაპროექტებულია წყაროების ეროზიული მოქმედებისგან ბილიკის დასაცავად, ისევე, როგორც წყლის ვიზუალური, აკუსტიკური და ატმოსფერული თვისებების



გასაძლიერებლად - ბილიკზე ან მის გასწვრივ. ბაზალტი ლიკოპოდიუმებითა და ლიქენებით არის დაფარული მინერალური წყლების სადინარებში, ხოლო გვიმრები სველი ნაპირების გასწვრივ ჩნდება. მცენარეების ამგვარი განლაგება პერიოდულად მეორდება. ამგვარი ჩარევა ხელს უწყობს გზის მონიშვნის ფუნქციურ მოთხოვნებს და, ამავდროულად, ინტერპრეტაციულ ფუნქციასაც ასრულებს, რადგან ლანდშაფტის ჰიდროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესებს ასახავს.

მართალია, სადგერის პლატოს სანატორიუმები ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი, რომლებშიც ოდესღაც მოძრაობდა ან ინახებოდა წყალი, კვლავ ფუნქციონირებს. ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული ცისტერნები და არხები დღესაც დაცულია მრავალი

ისეთი ძალის მოქმედებისგან, რამაც სხვა ისტორიული არქიტექტურის ნგრევა გამოიწვია. ეს პროექტი წყლის ამ დამცავი ნაგებობების მცირედ შეკეთებასა და ახალი ინტერპრეტაციული გამოყენებისთვის მათ ხელახალ ადაპტირებას გვთავაზობს; ასევე, ძველი ინფრასტრუქტურული ფორმების გარდაქმნას საქმიანობისა და მოხმარების ობიექტებად - ადგილებად, სადაც წყალი გადმოდის და საიდანაც მისი დაღევა შესაძლებელია. ისტორიულად მკურნალი ლანდშაფტის ცალკეული ინფრასტრუქტურული ობიექტების გამოყენება და მათი განლაგება სასაეირნო ბილიკის დროითი თანმიმდევრობის გასწვრივ, ხელს უწყობს ვიზიტორებს გამოცდილების დაგროვებაში, რაც, თავის მხრივ, მათ ლანდშაფტსა და ამ კულტურულ ფორმებს შორის არსებული ურთიერთკავშირის მოდელის გააზრების შესაძლებლობას აძლევს. ბილიკის ფორმა გამოიყენება, ასევე,

სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტების თანმიმდევრობის მიზნობრივი განსაზღვრის დროს. მათი სივრცითი ვარიაციები ეყრდნობა ნარატივის ემპირიულ პრინციპებს: გამგზავრება, მოლოდინი, ჩასვლა და ხელახალი ორიენტირება. ბილიკი ცვალებადია და წარმოდგენილია პლატოს ადგილობრივი არქიტექტურითა და ტოპოგრაფიით, მიჰყვება ღობეების ხაზებს უზარმაზარ მდელოებზე ან მდინარის ვიწრო ხეობებს ბაზალტის მასიური კლდეების ქვეშ, საბოლოოდ კი ამ ყველაფერს ერთ საერთო ნარატივად აერთიანებს. ცვლილებების პერიოდული გამოცდილება ყურადღებას ამახვილებს ლანდშაფტის ტიპებს შორის არსებულ კონტრასტებზე, ისევე, როგორც განსაზღვრავს რიგ შუალედურ მიმართულებებსა და ხედებს, რაც მთელ მოგზაურობას უფრო მოკლე სასაეირნო მონაკვეთებად ყოფს. რელიეფით მკურნალობის პრაქტიკის მსგავსად, ამგვარი შესვენებები ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოყოფს აქტივობისა და დასვენების პერიოდებს.

## რა იქნება შემდეგი სადგერის პლატოსთვის?

ასეთმა ინფრასტრუქტურამ მრავალი ფორმა შეიძლება მიიღოს. სადგერის პლატოს უნიკალური ეკოლოგიური და ჰიდროლოგიური თვისებების განვითარება მნიშვნელოვანია, თუმცა ამ რეგიონს მასთან ახლოს მდებარე ბორჯომ-ხარაგაულის „ველური ბუნების“ შეთავაზებისგან ის განასხვავებს, რომ წარმოადგენს კულტურულ ლანდშაფტს. ის არ გვთავაზობს „ხელუხლებელი“ ტყის, უკაცრიელი მთებისა და ხედების ვრცელ ტერიტორიებს. სამაგიეროდ, მისი უნიკალური დასახლების მოდელები, არქიტექტურა და რიტუალები იყენებს, ორგანიზებას უწევს და პასუხობს ამ ადგილის კონკრეტულ ჰიდროგეოლოგიურ მახასიათებლებს, კლიმატსა და მიწის



საფარს და ადასტურებს საუკუნე-  
ნახევარზე უფრო ძველი ადამიანი-  
გარემოს რთული სისტემის არსებობას.

საქართველოს, „კულტურული  
ლანდშაფტების ქვეყანას“, არ აქვს  
განსაზღვრული ეროვნული კულტურული  
ლანდშაფტი, რომელიც აღიარებს  
და ხელს შეუწყობს ბუნებისა და  
ცივილიზებული სამყაროს ამ მჭიდროდ  
გადაჯახულ ქსოვილებს (Tsintsabadze  
2021). დაცული ტერიტორიების სააგენტო  
ბუნებრივ რესურსებს მართავს, ხოლო  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო კონკრეტულად „მოძრავ  
ან უძრავ კულტურულ ფასეულობებს“  
(საქართველოს კანონი კულტურული  
მემკვიდრეობის შესახებ, 2008 წ.). ამ  
ინსტიტუტებს შორის თითქმის არ ხდება  
თანხვედრა გარკვეულ საკითხებზე  
ან ერთობლივი მუშაობა (Tsintsabadze  
2021).

როდესაც ბაკურიანის განვითარების  
სააგენტო „კუკუშკასა“ და მის  
მარშრუტზე მდებარე სადგურების  
აღდგენაზე მუშაობს, კულტურული  
ლანდშაფტის ჩარჩოს შეუძლია  
ხელი შეუწყოს გადანაცვეტილების  
მიღების ისეთი პროცესის  
ფორმირებას, რომელიც გასცდება  
მხოლოდ სარკინიგზო ხაზს. ასეთი  
ჩარჩო ღირებულად მიიჩნევა  
და ერთმანეთისგან არ ყოფს  
არქიტექტურულ და ეკოლოგიურ  
აქტივებს; მხარს უჭერს პრაქტიკების,  
რითუალებისა და ადგილზე ყოფნის  
იმ გზების შესახებ ცოდნას,  
რომლებიც ამ ორი ტიპის აქტივებს  
ერთმანეთთან აკავშირებს.  
ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ,  
იქნება ეს ბილიკები, ახალი  
არქიტექტურა თუ პროგრამების შექმნა,  
უნდა განამტკიცოს ეს ისტორიული  
კავშირები და, ამავდროულად,  
საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რათა  
უზრუნველყოს ცოცხალი ლანდშაფტი  
წარსულის ძეგლის ნაცვლად.



ჭრილი: სოფლის გზა

რეგიონში უკვე არსებობს საფუძვლიანი  
ცოდნა და გამოცდილება, რომელიც  
ლანდშაფტზე დაფუძნებული  
ტურისტული ინფრასტრუქტურის  
ხელახალ განვითარებას უნდა  
მოხმარდეს. თამარ ხოშტარიას  
მიერ შესრულებულმა სამუშაომ  
მნიშვნელოვანი როლი შეასრულა  
რეგიონის საინჟინრო ისტორიის, მათ  
შორის რკინიგზის სადგურებისა და  
ხიდების, ჰიდროელექტროსადგურებისა  
და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის  
პოპულარიზაციასა და შენარჩუნებაში.  
უფროსი ასაკის მოსახლეობა,  
რომელიც სოფლებში რჩება,  
ძირითადად სამედიცინო ტურიზმის  
სფეროში მუშაობდა, სანამ ეს სფერო  
ფუნქციონირებდა. ისინი კვლავ ფლობენ  
მნიშვნელოვან ცოდნას აღნიშნული  
მეთოდების შესახებ, დანარჩენები კი  
დიდი ხანია ზრუნავენ ბიბლიოთეკებზე,  
კულტურულ დარბაზებსა თუ წყაროებზე,  
რომლებიც ოდესღაც ამ სისტემაში იყო  
ინტეგრირებული.

როდესაც თითოეულ სოფელში აღდგება მატარებლის სადგურები, ისინი შეიძლება იქცეს ცენტრებად, რომლებიც წახალისებს და მოამზადებს ვიზიტორებს ლანდშაფტისკენ გადაადგილებისთვის. შესაძლოა, ისინი იქცეს ადგილებად, სადაც ვიზიტორები შეძლებენ მოიმარაგონ ყველაფერი, რაც ფეხით სიარულისთვის არის საჭირო - შეიძინონ პროდუქცია, ჩაერთონ ICCN-ისა და „მერსი ქორფის“ აგროტურისტულ ინიციატივებში, შეიძინონ მინერალური წყლის ასაღებად ან დასაღვავად შექმნილი ცნობილი ჭურჭელი. შესაძლოა, აქ ისევ ხელმისაწვდომი გახდეს სამკურნალო მცენარეები - საუბარია ტრადიციებზე, რომლებიც საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა ეთნობოტანიკოსმა რაინერ ბუსმანმა. მინერალური წყლების ტურებმა, შესაძლოა, მიმართულება მისცეს ვიზიტორებს პლატოზე - დაგემოვნების გამოცდილება შეიძლება დაიწყოს სადგურებიდან, წყლის ქიმიური შემადგენლობისა და ისტორიული გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად.

„კუკუშკას“ მარშრუტის მიღმა, ადამიანის-გარემოს სისტემის ზემოხსენებული ნაშენი ნარჩენების მომავალი გაურკვეველი რჩება. საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის დედაქალაქად გადაქცევის პროცესის პარალელურად, წარმოსახვითი „საერთაშორისო“ აუდიტორიისთვის განზოგადებული ასლების შეთავაზების ნაცვლად, სადგურის პლატოს აქვს პოტენციური ტურიზმის სპეციფიკური, ადგილზე დაფუძნებული მიდგომები განახორციელოს. ლანდშაფტი კი - აქაური სეზონებისა და წყლის ციკლები, აქ არსებული უძველესი ტყეები - განაგრძობს არსებობას და კვლავ წარმოგვიდგენს თავს, როგორც კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებული, განსხეულებული გამოცდილების საფუძველი.



ბაზალტი

# Swimming in the Black Sea

Kate Robinson

In 1938, on the brink of the Second World War, the Anglo American surrealist poet Edward James commissioned the Belgian painter, René Magritte, to create 'La Durée poignardée' for his London ballroom. A steam-train thunders through the centre of a hearth with no grate in a wooden-panelled room above which a large gilded mirror reflects the back of a clock, a candlestick and a seemingly vast, empty, indeterminate space. What could be more homely than a hearth? And yet what could be more unsettling than a steam-train running through it?



The steam engine developed by the Scotsman, James Watt, was pivotal to the development of the Industrial Revolution initiating the rapid expansion of commerce. Perhaps this was the reason Magritte chose the image for the painting. The train he depicted is a Stanier Class 5MT Black Five developed by the London, Midland and Scottish Railway Company, formed in 1923, at the time, the largest commercial enterprise in the British Empire. The title is usually translated in English as 'Time Transfixed' but Magritte preferred the more literal 'Ongoing Time Stabbed by a Dagger'.

Analysis has shown that he over-painted a canvas titled 'Spring Eternal' in which a naked male reclines, a tiny ballerina arising from his pelvis. The wheels of the steam-train correlate with the ballerina's tutu. Despite the obvious, as well as the hidden, sexual underpinnings of the image, there might be other reasons Magritte chose to juxtapose the archetypal image of a hearth with such a symbol of modernity as the train. Perhaps he was inspired by the famous analogy of a speeding steam-train used by Einstein to illustrate the Theory of Relativity (1916, section 8). In Einstein's example a train is struck by lightning demonstrating ideas of simultaneity and the physics of time leading to current theories of entanglement across distances both small and great.<sup>1</sup>

Or maybe Magritte was referencing the French philosopher Henri Bergson's ideas on time, going some way to explain why he was so particular about the translation of the 'durée' of the title as 'Ongoing Time'. For Bergson, *durée* is ongoing, psychological time as opposed to 'temps', the sliced

up, measured time of the clock. Bergson described *durée* to Einstein as the 'the very flow, continuous and undivided, of our inner life'<sup>2</sup> (Bergson, 1922, p. 360). And so - despite its painterly precision, despite the big black clock on the mantelpiece - Magritte's work is not so much about the mathematical measurement of time but about something deeper and more primal.

For the historian Timothy Snyder we are living in an age dominated by the politics of time. He describes how this has led us from a politics of inevitability into a politics of eternity that is heading towards a politics of catastrophe. Snyder's politics of inevitability is based on an assumed story that there are no alternatives to known laws of progress:

'In the American capitalist version of this story, nature brought the market, which brought democracy, which brought happiness. In the European version, history brought the nation, which learned from war that peace was good, and hence chose integration and prosperity.'

(Snyder, 2018, p.7).

The old Soviet Union had its own version in which 'nature permits technology; technology brings social change; social change causes revolution; revolution enacts utopia' (Snyder, 2018, p.7).

Americans and the western member states of the EU, he says, kept on believing in their stories of inevitability after the Soviet Union imploded in 1991, 'and so raised a millennial generation without history'. But after the financial crisis of 2008 and economic inequality grew, 'time horizons shrank'; fewer believed in a future that 'held a better version of the present'; and the story of inevitability came to an end, ushering in the politics of eternity:

'Whereas inevitability promises a better future for everyone, eternity places one nation at the centre of the cyclical story of victimhood. Time is no longer a line into the future, but a circle that endlessly returns the same threats from the past... within eternity, no one is responsible because we all know that the enemy is coming no matter what we do.'

(Snyder, 2018, p.7).

Putin's Russian version, 'schizofascism': a violent and 'futureless life amid wisps of what might have been' (Snyder, 2018, p.126). Snyder says that newness, novelty, creativity, originality, is the only way out of this endless circling. 'Remember Rosa Parks,' he says. 'The moment you set an example, the spell of the status quo is broken, and others will follow.' (Snyder, 2017, p.51) And he quotes Hannah Arendt: 'Beginning, before it becomes a historical event, is the supreme capacity of man; politically, it is identical with man's freedom.' (Snyder, 2018, p.111)

Ukraine's Revolution of Dignity in 2014 was a year which also saw the Scottish Independence Referendum. Both of these events can be seen within the context of beginning anew amidst the politics of eternity. On November 21, 2013, investigative journalist, Muslim refugee, Mustafa Nayyem in protest against Yanukovich's sudden declaration that Ukraine would not sign the association agreement with the EU, posted: "Likes don't count". Within days peaceful protesters began to amass in Kyiv's Independence Square. The protests grew through the early months of 2014. 'They came to the Maidan, and they stayed. And in so doing,' says Snyder, 'they took part in the creation of a new thing: a nation.' (2018, p.124)

Fellow artist Hannah Shumska was my roommate during an arts residency at the Yermilov Centre in Kharkiv in 2017. During our late-night discussions she told me her own



personal stories of travelling to Kyiv during The Euro Maidan and how being a part of it had changed her life, igniting her political fire. Hannah's stories resonated with me on many levels. The Revolution of Dignity chimed with my own experience of the Scottish Independence Referendum. In the months leading up to the vote - when the snipers, the rubber and the live bullets and the tear gas were tearing through Ukraine's Revolution - political debate was electrifying Scotland. 'Yes' and 'Better Together' split the nation; while there was no violence to speak of, still families and friends found themselves on either side of the divide. The 'Better Together' campaign focused on dangers and risks. The 'Yes' campaign was utopian, exemplified by Scottish artist and author, Alasdair Gray's epigram, 'Work as if you live in the early days of a better nation,' a text engraved on a wall of the Scottish Parliament Building.

The turnout on September 18th for what the then First Minister called a 'once in a generation event' was almost 85% (BBC, 2014). Despite the outcome - 55% for the continuation of the Union - the political strength of the Scottish National Party has ensured that the case for Independence is still alive and earlier this year First Minister Nicola Sturgeon announced the publication of the new Scottish Independence Referendum Bill (Sturgeon, 2022). But there was another reason Hannah's stories resonated with me. And this was because of 'dùthchas'. A Gaelic word prevalent during the Highland Clearances, dùthchas is about the earth. It translates as 'place of birth' and 'birth-tie'; 'countenance'; 'heredity'; 'native temper, spirit or blood'. Its root is in 'dùth', which as well as meaning 'natural' and 'native', means 'meet, just, proper, fit' (Faclair Gaidhlig, 375). Dùthchas suggests a sense of patriotism; it is both physical - a location, a place on the earth, a visage - as well as psychical, implying the idea of spirit and ancestral lineage. With similarities to the German concept of 'Heimat', at a superfi-

cial level, the connection, in dùthchas, with blood and soil is reminiscent of the 'Blut und Boden', 'blood and soil', of the fascist slogans of Nazi Germany. The catchphrase 'Blut und Boden' encouraged the Volk-skörper, the ethnic body politic, to expand its 'Lebensraum' (living space) into the East. However, the concept and the history of the word dùthchas is the antithesis of fascist.

Gaelic was the principal tongue of Scotland for many centuries but it was banned in the seventeenth century, ironically, by a Scottish King. Son of Mary Queen of Scots, known as James VI in Scotland, he succeeded to the English throne, becoming James I after the Union of the Crowns in 1603. James commissioned the King James Bible in 1604, a translation read to the present day. But his Statutes of Iona, passed in 1609, were less visionary, undermining the power of Gaelic by seeking to end the language in favour of English. These days - despite Scottish Government support - it is spoken by only around 1.1% of the population (Scottish Census, 2011). But it is still at home in the tangled margins and on the western islands lacing the Atlantic. A language surviving on the periphery, at the edges, Gaelic is, importantly, a non-colonial speech. Retaining its original roots, it does not encroach - either physically or psychically - on others' borders. Evolving from the relationship of people with their local landscape it imbues the environment with meaning.

Although I don't speak the language, I was able to experience its subtleties, collaborating with fluent Gaelic speakers, when I worked on 'Uainead|Degree of Greenness' in 2016, the year before I travelled to Ukraine. A play in English and Gaelic, it explored intersections between landscape and language, focussing particularly on the shades of green and the hues of light that exist in Gaelic but which are lost in English. The 'glas' (shining grey-green) of the side of a wave in the sea; the 'gorm' (slate

blue-green) of a loch; the 'uaine' (verdant yellow-green) of a meadow.

A contemporary understanding of dùthchas, this fringe concept, has something valuable to say to our experience as the politics of eternity seems to slide towards a politics of catastrophe and technological control. Dùthchas can be understood as an integrated philosophy of care, an 'idea of unity existing between land, people, all living creatures, nature and culture' (Riach, 2022), a poetic practice.

I had travelled from Glasgow to Kyiv to Kharkiv with a handful of Scottish earth in my rucksack, a symbol of my cultural roots. I planned to mix the earth with the chernozem, the fertile black earth of Ukraine, a sign of my Eastern European origins, in a sculptural painting for an exhibition in which artists explored shifting architectures of personal and national identity (Perceived Identities: to have or to be, 2017). I had followed the events of the Revolution of Dignity closely online but it was another thing altogether to be here and to begin to understand from the inside. As soon as I arrived in Kyiv the reverberations of the war were clear: army veterans arriving from the front at the train station, wounded, on the streets; placards in the Maidan; battle-torn flags draped in the National Museum of the History of Ukraine; the wall of remembrance for the fallen near the St Michael's Golden Domed Monastery. My chest vibrated as army helicopters flew overhead and I sensed a knotty, dense, complicated atmosphere in my whole body, sticky as cobwebs. I was relieved the ambience was lighter in Kharkiv. But even here was the ubiquitous blue and yellow tent on Freedom Square, a reminder of the conflict. Inside, the tent was arranged like a neat army encampment; stacked wooden pallets, sand bags, plastic bags of clothes, a table of well-thumbed books, a curtained enclosure with a canvas bed. I talked with the army veteran manning the exhibition. He was

wearing an England football top. We communicated in international sign language. He gave me a piece of army camouflage to tie onto the netting outside - prayer flags - memories of the fallen and the wounded and the families hurt, fluttering in the breeze. He tied a blue and yellow ribbon around my wrist.

At the Yermilov, I collaborated with artists Bella Logachova and Alexandr Prisyazhenko to make a short film called 'Listen If...' (2017) named after a popular poem by Vladimir Mayakovsky that begins:

Listen  
if stars are lit  
it means - there is someone who needs it.  
It means - someone wants them to be,  
that someone deems those specks of spit  
magnificent...

(Mayakovsky, 1914)

In the centre of a Kharkiv housing scheme in the midst of the pouring rain Bella drew a circle of chalk around a 'fictive border' and spoke of her feelings about the ongoing conflict in the Donbas.

I became preoccupied with the idea of Crimea, with the idea of a peninsula jutting into the water, attached to the motherland by tiny threads of earth. And the motif of the Black Sea itself became, for me, a symbol not only of geography and of the tangible environment, but of time and space, a fluid place of psychological and poetic significance, an amorphous sea of the collective soul.

I made a diptych of lino-prints, printed at Kharkiv Academy of Art, representing the land fringing the Black Sea called 'This is the Land, We Have Our Inheritance'. In one print the Black Sea flows east; in the other west. Leopards lie beneath a juniper tree, an image from the poem 'Ash Wednes-

day' by T.S. Eliot (1930) from which I took the title:

...This is the land which ye  
Shall divide by lot. And neither  
division nor unity Matters. This is the  
land. We have our inheritance.

And I mixed my Scottish earth with the chernozem of Ukraine in a large painting, 257 x 204cm, which included flotsam and jetsam I had gathered on long walks through the city: dried leaves gathered from the ground of the Kharkiv Synagogue; dust from the pathway of Kharkiv Cemetery No 2; holy oil from the Orthodox Cathedral of the Dormition of Mary; a shiny muddy Starbucks Siren from a disposable coffee cup; plastic shards of gold confetti from Ukrainian Independence Day; soil and a rose from the garden of the Roman Catholic Cathedral; dirt from the edge of Turboatom, the Defence Industry on Muskovsky Avenue; and fine gravel from beneath the pavement of Freedom Square. The painting was titled *Swimming in the black sea: In memory of Hannah telling me her grandmother's story of the Holodomor*.<sup>3</sup>

After the residency was over, I travelled by sleeper train on the long night journey across Ukraine, from the east to the west. I shared a compartment with a woman from Poland, swapping snacks, communicating together in international sign language. When I slept, I sort-of dreamed, words from a poem by Eliot turning around and around in my mind: 'the time of the rose and the time of the yew-tree are of equal duration'.

On route through Kyiv, I awoke briefly and it seemed to me as if its lights were like hundreds of little falling stars. During the day I watched black crows swooping over the fields of sunflowers. I met up with my mother and my aunt in Lviv, the place where

barrister Philippe Sands says east and west meet, in his book about the search for laws that can enshrine universal values of the good (Sands, 2016).<sup>4</sup>

From Lviv, we travelled by bus through the countryside to Brody. Here, the streets with their low houses painted grey and green and yellow seemed very narrow to me after the broad avenues of Kharkiv. We went to a cemetery on the outskirts near the forest of pine and wandered amongst the tall graves, the sun beating down, spiky grass grazing our knees, looking for signs of our ancestors. But we didn't find any there. It was only when we came back into the town — passing a tree-lined road, an avenue that led towards the school — the three of us turned to look at each other. 'It was there. Just there. That's where they lived.' Our ancestors weren't in the burial ground, they were right here in the centre; our Ukrainian *dùthchas*. We all felt it. Someone passing by saw our excitement and took a snapshot — my mother and my aunt and me, our handbags dumped in a pile at our feet, standing arm-in-arm in our long flappy sundresses and our head-scarves in the yellow autumnal street beside a plant-pot with cornflowers and marigolds.

Simone Weil took the last train from Paris to Marseilles on June 13th 1940, the day before the Nazis moved in and occupied the capital. She had always thought the railways caused havoc from the point of view of uprootedness; now they were the vehicle of her own escape and displacement. Via the Aïn-Sebaa refugee camp in Casablanca and then New York, Weil came at last to London where she worked for the Free French, the government in exile, tasked with researching the possibilities of bringing about the regeneration of her old country. She composed her book-long report during the early months of 1943: 'The Need for Roots, Prelude to a Declaration of Duties towards Mankind'. Weil says

we are uprooted. We are uprooted in the towns, in the countryside, we are uprooted as nations. Uprootedness is the severing of connections, the dissolution of a sense of community, a collective malaise. She identifies a cause in military conquests 'and in this sense conquest is nearly always an evil' (Weil, 1952, p.42). But there are other causes: colonisation and enslavement, unemployment, over-industrialisation, economic inflation and a culture that is directed towards an atomising science 'without any window onto the world beyond' (Weil, 1952, p.43). Her maxim: 'Whoever is uprooted himself uproots others. Whoever is rooted himself doesn't uproot others' (Weil, 1952, p.45).

Her vision of the public good is of diverse, unique communities rooted in the land, sustained by the souls of the living, the dead and generations to come, with 'no equivalent in the entire universe' (Weil, 1952, p. 8). 'Just as there are certain culture-beds for certain microscopic animals,' she says, there are 'certain types of soil for certain plants, so there is a certain part of the soul in every one and certain ways of thought and action communicated from one person to another which can only exist in a national setting, and disappear when a country is destroyed.' (Weil, 1952, pp. 151-152) She describes the sense of shame brought about by the adoption of the Vichy Government in her native France. Every Frenchman, she writes, 'knows that one part of his soul sticks so closely to France, that when France is taken away it remains stuck to her, like the skin does to some burning object, and is thus pulled off' (Weil, 1952, p.152).

She talks about a need for forms of patriotism that are fit for the modern nation, but which are based on older, knottier, subtler, forms. She says these are 'diffuse, nomadic'. She describes these types of allegiance as something that 'expanded or contracted according to degrees of sim-

ilarity and common danger', something 'mixed up with different kinds of loyalty', something based on fidelity, on rights and obligations, something that was bound up with 'the public good'. 'The whole,' she says, 'formed something very complicated, but also very human' (Weil, 1952, 98-99). Healthy forms of patriotism involve allegiance to the earth itself - a patriot gardener, a patriot farmer - the land a 'vital medium' in which that which is good must be treasured: In defining one's native country as a certain particular vital medium, one avoids the contradictions and lies which corrode the idea of patriotism. There is one's own particular vital medium; but there are others besides. It has been produced by a network of causes in which good and evil, justice and injustice have been mixed up together... and, such as it is, deserves to be guarded like a treasure for the good it contains (Weil, 1952, p. 154).

There are parallels between Weil's idea of roots and the Gaelic idea of *dùthchas*. They both embody a form of environmental patriotism so close to the vital medium of the earth they are, paradoxically, world-wide in scope. Physical as well as spiritual; about values that are meet, just, proper, fit; about the local as well as the universal; about finding, respecting and responding with love to the macrocosmic in the microcosm.



1

The Nobel Prize in Physics 2022 was awarded jointly to Alain Aspect, John F. Clauser and Anton Zeilinger “for experiments with entangled photons, establishing the violation of Bell inequalities and pioneering quantum information science”. The Nobel Prize in Physics 2022. NobelPrize.org. Nobel Prize Outreach AB 2022. Wed. 5 Oct 2022. <<https://www.nobelprize.org/prizes/physics/2022/summary/>>

2

Own translation: 'l'écoulement même, continu et indivisé, de notre vie intérieure'.

3

The Holodomor (1932-33) was the man-made famine that occurred in Ukraine while it was under Soviet control. Estimates of the number of Ukrainians who perished during the Holodomor range from 3.5 to 10 million people.

4

Sands - in forensic detail - describes the legal work of the prosecutors Hersch Lauterpacht (1897-1990) and Raphael Lemkin (1900-59) during and after the Second World War to bring the perpetrators of international violence to account. Lauterpacht and Lemkin's work lead to the inclusion of the terms 'crimes against humanity' and 'genocide' in the judgement at the Nuremberg trials in 1946.

## Bibliography:

Bergson, H. In the minutes of The French Society of Philosophy, 6th April, 1922 available at: [http://s3.archive-host.com/membres/up/784571560/GrandesConfPhiloSciences/philosc13\\_einstein\\_1922.pdf](http://s3.archive-host.com/membres/up/784571560/GrandesConfPhiloSciences/philosc13_einstein_1922.pdf)

BBC, 2014, interview with Scottish First Minister available at: <https://www.bbc.co.uk/news/av/uk-scotland-29196661>

Logachova, B., Prisyazhnenko, A., Robinson, K., Listen!..., 2017, available at: <https://www.youtube.com/watch?v=rACo9zqdR5U&t=3s>

Einstein, A., Special and General Theory of Relativity, 1916. Available at: [https://en.wikisource.org/wiki/](https://en.wikisource.org/wiki/Relativity:_The_Special_and_General_Theory/Part_I#Eliot,_T.S.,_Collected_Poems_1909-62_(London:_Faber_&_Faber,_2002))

Relativity:\_The\_Special\_and\_General\_Theory/Part\_I# Eliot, T.S., Collected Poems 1909-62 (London: Faber & Faber, 2002)

Faclair Gaidhlig available at: <https://archive.org/details/faclairgidh102dweluoft/page/375/mode/1up?view=theater> Mackie, J.D., A History of Scotland (London: Penguin Books, 1991)

Mayakovsky, Vladimir, Listen!, 1914 available at: <https://www.poemhunter.com/poem/listen-131/> McGilchrist, I., The Matter with Things Vols I & II, (London: Perspectiva Press, 2021)

Pittock, M., Scotland: The Global History 1603 to the Present (U.S.: Yale, 2022)

Riach, A., 'Dúthchas: The word that describes understanding of land, people and culture' in The National, 7th February 2022

Robinson, K., 2016, Uainead|Degree of Greenness, Gaelic Arts & National Theatre of Scotland Swimming in the black sea: In memory of Hannah telling me her grandmother's story of the Holodomor, earth on canvas, 2017

This is the Land, We Have Our Inheritance I, print on paper, Limited Edition, 2017

This is the Land, We Have Our Inheritance II, print on paper, Limited Edition, 2017

Perceived Identities: to have or to be (2017) [Exhibition] Yermilov Arts Centre, Kharkiv, Ukraine. 1st -30th September 2017.

Sands, Philippe, East West Street (Great Britain: Weidenfeld & Nicholson, 2016)

Snyder, T., On Tyranny (London: Random House, 2017)

The Road to Unfreedom (London: Vintage, 2019)

Sturgeon, N., Scottish Independence Referendum Bill, Ministerial Statement, 28th June 2022 available at: <https://www.youtube.com/watch?v=da6asWeAyiQ>

Weil, Simone, The Need for Roots: Prelude to a Declaration of Duties towards Mankind, (London: Routledge and Keegan Paul, 1952)

# შავ ზღვაში ცურვა

## ქეით რობინსონი

1938 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ანგლო-ამერიკელმა სიურრეალისტმა პოეტმა, ედვარდ ჯეიმსმა, თავისი ლონდონის სახლის საცეკვაო დარბაზისთვის ბელგიელ მხატვარს, რენე მაგრიტს ტილო დაუკვეთა, სახელწოდებით *La Durée poignardée*. ორთქლმავალი გუგუნით შედის ბუხარში, რომელსაც არა აქვს გისოსი, ხის პანელებით მოპირკეთებულ ოთახში. დიდი მოოქრული სარკე საათის უკანა მხარეს, შანდალს და უზარმაზარ, ცარიელ, გაურკვეველ სივრცეს ირეკლავს. რა შეიძლება იყოს ბუხარზე მყუდრო? და მაინც, რა შეიძლება იყოს მასში შემავალ ორთქლმავალზე შემაშფოთებელი? შოტლანდიელი ჯეიმს ვატის მიერ გამოგონებულმა ორთქლის ძრავამ საკვანძო როლი შეასრულა ინდუსტრიულ რევოლუციაში და ვაჭრობის სწრაფი განვითარება გამოიწვია. შესაძლოა, მაგრიტმა სწორედ ამიტომ აირჩია ეს გამოსახულება თავისი ნამუშევრისთვის. ნახატზე გამოსახული მატარებელი ლონდონის, მიდლენდისა და შოტლანდიის რკინიგზის კომპანიის მიერ შექმნილი Stanier Class 5MT Black Five-ია. კომპანია 1923 წელს დაარსდა და იმ დროისთვის ბრიტანეთის იმპერიის უმსხვილესი კომერციული საწარმო იყო. ნამუშევრის სახელი, ჩვეულებრივ, ინგლისურად ითარგმნება, როგორც „Time Transfixed“ („განგმირული დრო“), მაგრამ მაგრიტს უფრო პირდაპირი თარგმანი ერჩივნა - „Ongoing Time Stabbed by a Dagger“ („ხანჭალჩაცემული განგრძობითი დრო“). ანალიზმა აჩვენა, რომ ავტორმა

ახალი ნამუშევარი გადაახატა ტილოს, სახელწოდებით „უსასრულო გაზაფხული“, რომელზეც გამოსახული იყო ნახევრადმწოლიარე შიშველი კაცის მენჯიდან ამოზრდილი მინიატიურული ბალერინა. ორთქლმავლის ბორბლები ბალერინას კაბის ადგილს ემთხვევა. ღია თუ დაფარულ სექსუალურ ქვეტექსტებს მიღმა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მიზეზებიც, თუ რატომ გადაწყვიტა მაგრიტმა ბუხრის არქექტიპული ხატი მოდერნულობის ისეთ სიმბოლოსთან დაეკავშირებინა, როგორიც მატარებელია. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამით იყო შთაგონებული აინშტაინის სწრაფად მქროლი ორთქლმავლის ცნობილი ანალოგია, რომელიც მეცნიერმა ფარდობითობის თეორიის საილუსტრაციოდ გამოიყენა (1916, section 8). აინშტაინის შემთხვევაში, მატარებელი, რომელსაც ელვა ეცემა, გამოხატავს ერთდროულობისა და დროის ფიზიკის იდეებს, რომლებსაც ჩახლართულობის თანამედროვე თეორიებამდე მივყავართ მცირე და დიდი მანძილების მასშტაბით.<sup>1</sup> ან იქნებ მაგრიტი ფრანგი ფილოსოფოსის, ანრი ბერგსონის იდეებს ეხმიანებოდა დროის შესახებ?! ამ შემთხვევაში ცხადი ხდება, თუ რატომ თვლიდა მხატვარი, რომ „Durée“ - „განგრძობით დროდ“ უნდა თარგმნილიყო. ბერგსონისთვის „Durée“ განგრძობითი, ფსიქოლოგიური დროა და განსხვავდება საათის გაზომვადი, დაყოფილი დროის, „Temps“-ისაგან. ბერგსონმა აინშტაინს „Durée“ განუმარტა, როგორც „ჩვენი შინაგანი ცხოვრების განგრძობითი და დაუნაწევრებელი დინება“ (Berg-

son, 1922, p. 360). მაშ ასე, მიუხედავად გამომსახველობითი სიზუსტისა და დიდი შავი საათისა ბუხრის თავზე, მაგრიტის ნამუშევარი გულისხმობს არა იმდენად დროის მათემატიკურ საზომს, რამდენადაც რაღაც უფრო სიღრმისეულსა და პირველადს.

ისტორიკოსი ტიმოთი სნაიდერი მიიჩნევს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დროის პოლიტიკით მართულ ეპოქაში. ის აღწერს, თუ როგორ მიგვიყვანა ამან გარდაუვალობის პოლიტიკიდან მარადისობის პოლიტიკამდე, რომელიც კატასტროფის პოლიტიკისაკენ მიექანება. სნაიდერის გარდაუვალობის პოლიტიკა ეფუძნება ვარაუდს, რომ არ არსებობს პროგრესის უკვე ნაცნობი კანონების ალტერნატივა:

„ამ ისტორიის ამერიკული, კაპიტალისტური ვერსიის მიხედვით, ბუნებამ მიგვიყვანა ბაზრამდე, ბაზარმა მიგვიყვანა დემოკრატიაში, ხოლო დემოკრატია - ბედნიერებამდე. მისი ევროპული ვერსიით, ისტორიამ შექმნა ერები, რომლებმაც ომის საშუალებით ისწავლეს, რომ მშვიდობა კარგია და აირჩიეს ინტეგრაცია და კეთილდღეობა“

(Snyder, 2018, p.7).

ადრეულ საბჭოთა კავშირს ჰქონდა თავისი ვერსია, რომლის მიხედვითაც „ბუნება იძლევა ტექნოლოგიის საშუალებას; ტექნოლოგიას მოაქვს სოციალური ცვლილებები; სოციალური ცვლილებები იწვევს რევოლუციას; რევოლუცია კი ხორცს ასხამს უტოპიას“ (Snyder, 2018, p.7).

სნაიდერის სიტყვებით, ამერიკას და ევროკავშირის წევრ დასავლეთის ქვეყნებს, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჯერ კიდევ სწამდათ

გარდაუვალობის ამ პოლიტიკის „და ასე გაზარდეს მილენიალების თაობა, ისტორიის გარეშე“. მაგრამ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, როცა ეკონომიკური უთანასწორობა გაიზარდა, „დროის ჰორიზონტები შეიკუმშა“ - სულ უფრო ცოტა ადამიანს სჯეროდა მომავლის, რომელიც „ანმყოფი უკეთესი ვარიანტი იქნება“. ასე დასრულდა გარდაუვალობის ამბავი და თავისი ადგილი მარადისობის პოლიტიკას დაუთმო. „გარდაუვალობა გვპირდება უკეთეს მომავალს ყველასთვის, მაშინ, როცა მარადისობა მსხვერპლად ყოფნის ციკლური ისტორიის ცენტრში ერთ ერს მოაქცევს. დრო აღარ არის მომავლისკენ მიმართული წრე, არამედ წრეა, რომელიც უსასრულოდ აბრუნებს წარსულის საფრთხეებს... მარადისობაში არავინაა პასუხისმგებელი, რადგან ყველამ ვიცით, რომ რაც არ უნდა ვქნათ, მტერი მაინც მოვა“ (Snyder, 2018, p.7). არსებობს პუტინისეული, რუსული ვერსიაც - „შიზოფაშიზმი“: ძალადობრივი, „მომავლის გარეშე ცხოვრება იმის ფონზე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო“ (Snyder, 2018, p.126). სნაიდერი ამბობს, რომ ამ დაუსრულებელი წრიდან ერთადერთი გამოსავალი სიახლე, ინოვაციები, შემოქმედება და ორიგინალობაა: „გაიხსენეთ როზა პარკსი“ - ამბობს ის - „იმ მომენტში, როცა მაგალითს იძლევი, სტატუს-კვოს შელოცვა გარღვეულია და სხვები გამოგყვებიან“ (Snyder, 2017, p.51). შემდეგ ის ციტირებს ჰანა არენდტს:

„იქამდე, სანამ ისტორიულ მოვლენად იქცევა, დასაწყისი ადამიანის უზენაესი შესაძლებლობაა; პოლიტიკური თვალსაზრისით, ის ადამიანის თავისუფლების იდენტურია.“

(Snyder, 2018, p.111).

2014 წელს, უკრაინის „ღირსების რევოლუციის“ პარალელურად, შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმიც ჩატარდა. ორივე ეს მოვლენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მარადისობის პოლიტიკის ახალი ცხოვრების დაწყების კონტექსტი. 2013 წლის 21 ნოემბერს, მუსლიმმა დევნილმა და გამომძიებელმა ჟურნალისტმა, მუსტაფა ნაიემმა გააპროტესტა იანუკოვიჩის მოულოდნელი განცხადება იმის შესახებ, რომ უკრაინა ხელს არ მოაწერდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. იანუკოვიჩმა თქვა, რომ „ლაიქები არ ითვლება“. რამდენიმე დღეში მშვიდობიანმა პროტესტანტებმა კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე დაიწყეს შეკრება. პროტესტი 2014 წლის პირველ თვეებში გაძლიერდა. „ისინი მოვიდნენ და დარჩნენ მაიდანზე და ამით მონაწილეობა მიიღეს ახალი ერის შექმნაში“ - ამბობს სნაიდერი. (2018, p.124).

2017 წელს ხარკოვში, ერმილოვის ცენტრში არსებულ არტ-რეზიდენციაში ოთახს მხატვარ ჰანა შუმსკაიასთან ვიყოფდი. ერთ-ერთი საუბრისას, გვიან ღამით, მან თავისი პირადი ისტორია გამიზიარა. მომიყვა, თუ როგორ მონაწილეობდა კიევში „ევრომაიდანის აქციებში“, თუ როგორ შეცვალა ამ პროცესმა მისი ცხოვრება და როგორ გააღვივა მასში პოლიტიკური ცეცხლი. ჰანას ისტორია მრავალმხრივ შემეხო. „ღირსების რევოლუცია“ შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმთან დაკავშირებულ ჩემს გამოცდილებას ეხმიანებოდა. არჩევნების შემდეგ თვეებში, როცა უკრაინის რევოლუცია სნაიპერების, რეზინისა თუ ნამდვილი ტყვიების და ცრემლსადენი გაზის თანხლებით მიმდინარეობდა, შოტლანდიაში პოლიტიკური დებატები სულ უფრო მწვავედებოდა. „კი“ და „ერთად უკეთესია“ ერს ორად ყოფდა; სანამ ხილული ძალადობა არ არსებობდა, ოჯახები და მეგობრები

სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. კამპანია „ერთად უკეთესია“ რისკებსა და საფრთხეებზე იყო ორიენტირებული. კამპანია „კი“ უტოპიური იყო და ასახავდა შოტლანდიელი მხატვრისა და მწერლის, ალესდერ გრეის ეპიგრავს: „იმუშავე ისე, თითქოს უკეთესი ერის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ცხოვრობ“ - ეს ტექსტი შოტლანდიის პარლამენტის შენობაზეა ამოტვიფრული.

18 სექტემბერს მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 85% იყო (BBC, 2014). ამას შოტლანდიის მაშინდელმა პირველმა მინისტრმა უწოდა „მოვლენა, რომელიც მთელ თაობაში ერთხელ ხდება“. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმის შედეგად 55% კავშირში დარჩენას მიემხრო, შოტლანდიის ნაციონალური პარტია გაძლიერდა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გააგრძელა. ამ წლის დასაწყისში, შოტლანდიის პირველმა მინისტრმა, ნიკოლა სტარჯონმა განაცხადა, რომ გამოქვეყნდებოდა ახალი კანონპროექტი შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შესახებ (Sturgeon, 2022). თუმცა, არსებობდა სხვა მიზეზიც, რატომაც ჰანას მონათხრობი ასე ახლოს მივიტანე გულთან. ეს იყო „Dùthchas“. „Dùthchas“ გელური სიტყვაა, რომელიც მთიანი შოტლანდიიდან ხალხთა გადასახლებისას იყო გავრცელებული და „მინას“ ნიშნავს. ითარგმნება, როგორც „დაბადების ადგილი“, „კავშირი დაბადებასთან“, „სახე“, „მემკვიდრეობითობა“ თუ „ეროვნული ხასიათი, სული ან სისხლი“. სიტყვის ფესვია „Dùth“, რაც ერთროულად ნიშნავს „ბუნებრივს“, „მშობლიურს“, „შესაბამისს, სამართლიანს და სწორს“ (Faclair Gaidhlig, 375). „Dùthchas“ პატრიოტიზმის გრძნობას გულისხმობს: როგორც ფიზიკურს - ადგილმდებარეობას, ადგილს დედამიწაზე, სახეს; ისე - ფსიქიკურს, მოიცავს რა სულისკვეთების იდეასა



და წინაპართა ხაზს. გერმანულში არსებობს მსგავსი ცნება - „Heimat“. ერთი შეხედვით, „Dùthchas“-ის მნიშვნელობაში ნაგულისხმევი სისხლი და მიწა გერმანულ „Blut und Boden“-ს მოგვაგონებს - სიტყვათშეთანხმებას, რომელიც ნაცისტური გერმანიის სლოგანად გამოიყენებოდა. დევიზი „Blut und Boden“ აღვიძებდა „Volk-skörper“-ს, ეთნიკური სხეულის პოლიტიკას და მის Lebensraum-ს (საცხოვრებელ სივრცეს) აღმოსავლეთის მიმართულებით აფართოებდა. მაგრამ სიტყვა „Dùthchas“-ის კონცეფცია და ისტორია ფაშისტურის ანტიუთებისაა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში, გელური შოტლანდიის მთავარი ენა იყო, სანამ მე-17 საუკუნეში, ირონიულად, შოტლანდიელი მეფის მიერ არ აიკრძალა. საუბარია მარია სტიუარტის შვილზე, რომელიც შოტლანდიაში ცნობილი იყო, როგორც ჯეიმს VI და რომელიც 1603 წელს, სამეფო კართა გაერთიანების შემდეგ ინგლისის მეფე, ჯეიმს I გახდა. 1604 წელს ჯეიმსმა გასცა „მეფე იაკობის ბიბლიის“ შექმნის ბრძანება, რომლის თარგმანიც დღემდე იკითხება. თუმცა, მის მიერვე 1609 წელს მიღებული „იონას კანონები“ ნაკლებად შორსმჭვრეტელი იყო, როდესაც გელური ენის გავლენის შემცირებას ემსახურებოდა ინგლისურის სასარგებლოდ. დღევანდელ დღეს, შოტლანდიის მთავრობის ძალისხმევით მიუხედავად, ამ ენაზე მხოლოდ მოსახლეობის დაახლოებით 1.1% საუბრობს (Scottish Census, 2011). მიუხედავად ამისა, შორეულ პერიფერიასა და ატლანტის ოკეანის განაპირა კუნძულებზე გელური ჯერ კიდევ ისმის. მნიშვნელოვანია, რომ ეს ენა, რომელიც პერიფერიასა და ქვეყნის კიდეებში შემოინახა, არაკოლონიალური ფენომენია; ინარჩუნებს ფესვებს და არ არღვევს სხვათა საზღვრებს, არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად; ამოიზრდება ადამიანებისა და მათი ადგილობრივი

ლანდშაფტის ურთიერთქმედებიდან და აზრს სძენს გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ გელურად ვერ ვსაუბრობ, ამ ენის სრულფასოვნად მცოდნეებთან თანამშრომლობით, გარკვეულ ნიუანსებში ჩაღრმავება შევძელი. ეს იყო 2016 წელს, უკრაინაში გამგზავრებამდე, როცა სპექტაკლ „Uainead|Degree of Greenness-ზე“ ვმუშაობდი. ორენოვანი (გელური და ინგლისური) პიესა ლანდშაფტისა და ენის გადაკვეთას იკვლევდა განსაკუთრებული ფოკუსით მწვანე ფერისა და შუქის ტონალობებზე, რომლებიც არსებობს გელურში, მაგრამ დაკარგულია ინგლისურში. ამის მაგალითებია: „glas“ (კაშკაშა მონაცრისფრო მწვანე) - ზღვის ტალღის კიდეების; „gorm“ (ფიქალის მოლურჯო მწვანე) - ტბისა ან ყურესი; „uaine“ (ხასხასა მოყვითალო მწვანე) - მდელოსი.

„Dùthchas“-ის, ამ მოსაზღვრე კონცეფციის თანამედროვე გაგება რაღაც ფასეულს შეიცავს ჩვენი გამოცდილებისთვის, რადგან მარადისობის პოლიტიკა თითქმის კატასტროფის პოლიტიკისა და ტექნოლოგიური კონტროლისკენ მიდის. „Dùthchas“ შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ზრუნვის შეთანხმებული ფილოსოფია, პოეტური პრაქტიკა - როგორც „მინის, ადამიანების, ყველა ცოცხალი არსების, ბუნებისა და კულტურის ერთიანობის იდეა“ (Riach, 2022).

გლავზოდან კიევში წავედი, იქიდან კი ხარკოვში. ზურგჩანთაში ერთი მუჭა შოტლანდიის მიწა მედო - ჩემი კულტურული ფესვების სიმბოლო. მინდოდა შემექმნა სკულპტურული ტილო, რომელშიც ამ მიწას ჩერნოზემს, უკრაინის ნაყოფიერ მიწას შევურევდი, რაც ჩემი აღმოსავლეთ ევროპული ფესვების ნიშნად მიმაჩნდა. ნამუშევარი განკუთვნილი იყო გამოფენისთვის,

რომლის ფარგლებშიც არტისტები ეროვნული და პირადი იდენტობის ცვალებად არქიტექტურას იკვლევდნენ („იდენტობების აღქმა: ქონა თუ ყოფნა, 2017). ყურადღებით ვაკვირდებოდი ინტერნეტით „ღირსების რევოლუციის“ მოვლენებს, მაგრამ სულ სხვა რამ იყო აქ ყოფნა და ამბის შიგნიდან გაგება. ომის შედეგები კიევში ჩამოსვლისთანავე შევიგრძენი: არმიის ვეტერანები, რომლებიც ფრონტიდან სადგურზე ჩამოდიოდნენ; დაჭრილი ადამიანები ქუჩებში; პლაკატები მაიდანზე; დაფლეთილი საბრძოლო დროშები უკრაინის ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში; ზოლოტოვერხო-მიხაილოვსკის მონასტერთან დაცემულთა მემორიალური კედელი. სამხედრო ვერტმფრენების გადაფრენისას გული მიჩქარდებოდა და მთელი სხეულით ვგრძნობდი ობობის ქსელივით წებოვან, ჩახლართულ, შესქელებულ, როტულ ატმოსფეროს. ხარკოვში სიტუაცია ოდნავ უფრო მსუბუქი იყო და მეც შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ თავისუფლების მოედანზე აქაც ყველგანმყოფი ცისფერ-ყვითელი კარავი იდგა, როგორც კონფლიქტის მესიერება. კარავი სამხედრო ბანაკივით იყო მოწყობილი: ერთმანეთზე დაწყობილი ხის პალეტები, ქვიშით სავსე ტომრები, პოლიეთილენის პარკები ტანსაცმლით, მაგიდა, რომელზეც გაცვეთილი წიგნები ეწყო, ფარდებით შემოსაზღვრული სივრცე, სადაც საწოლი იდგა. გავესაუბრე არმიის ვეტერანს, რომელიც გამოფენაზე მუშაობდა და ინგლისის დროშიანი მაისური ეცვა. ჟესტების საერთაშორისო ენაზე ვსაუბრობდით და მან კამუფლაჟის ნაგლეჯი მომცა, რომ გარეთ არსებულ ბადეზე მიმემაგრებინა, როგორც სალოცავი დროშა - მოგონება ბრძოლაში დაცემულებზე, დაჭრილებზე, გამწარებულ ოჯახებზე. მოგონება, რომელსაც ქარი ააფრიალებდა. შემდეგ კისერზე უკრაინის დროშის ლენტეი შემაბა.

იერმილოვში ბელა ლოგაჩოვასთან და ალექსანდრ პრისიაჟენკოსთან ერთად გადავიღე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მომისმინეთ, თუ...“ (2017). სახელწოდება ვლადიმირ მაიაკოვსკის ცნობილი ლექსის პატივსაცემად შევურჩიეთ. ლექსი ასე იწყება:

მომისმინეთ!  
თუ ვარსკვლავები ციმციმებენ -  
ნიშნავს - რომ ეს ვინმეს სჭირდება?  
ნიშნავს - რომ ვინმეს მათი  
არსებობა უნდა?  
ნიშნავს - რომ ვიღაცისთვის  
ეს პაწაწინა ნაწილაკები  
მარგალიტებია?

(Mayakovsky, 1914).

ხარკოვის საცხოვრებელი მასივის ცენტრში, კოკისპირულ წვიმაში ბელამ „წარმოსახვითი საზღვრის“ გარშემო ცარცით წრე შემოხაზა და დონბასში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ თავისი ემოციები გამოხატა. მე დავფიქრდი ყირიმზე, წყალში შეჭრილ ნახევარკუნძულზე, რომელიც სამშობლოსთან მიწის თხელი ძაფებით არის დაკავშირებული. მაშინ შავი ზღვის საკითხი ჩემთვის რალაც უფრო დიდის სიმბოლოდ იქცა, ვიდრე გეოგრაფია ან მატერიალური გარემოა; შეიძინა დროისა და სივრცის განზომილება; იქცა ფსიქოლოგიური და პოეტური ცოდნის თხევად განსხეულებად, კოლექტიური სულის ამორფულ ზღვად. შევქმენი ლინოგრაფიურების დიპტიხი, სახელწოდებით „აი, მიწა. ჩვენი მემკვიდრეობა“. ლინოგრაფიურები ხარკოვის ხელოვნების აკადემიაში დაიბეჭდა და მათზე გამოსახულია შავი ზღვის განაპირა მიწები. ერთ გრაფიურაზე შავი ზღვა აღმოსავლეთით მიედინება, მეორეზე - დასავლეთით. ღვიის ხის ქვეშ ლეოპარდები წვანან - ეს არის გამოსახულება ტ.ს. ელიოტის ლექსიდან „ფერფლის ოთხშაბათი“

(1930). სახელწოდებაც სწორედ აქედან ავიღე:

....აი, მიწა, რომელსაც თქვენ  
დააქუცმაცებთ.  
მაგრამ არც გაყოფა და არც  
არგაყოფა არ იმნიშვნელებს.  
აი, მიწა. ჩვენი მემკვიდრეობა.

შოტლანდიური მიწა უკრაინულ  
ჩერნოზემს შევურიე დიდი ზომის  
ნახატში (257 x 204 სმ), რომელშიც,  
ასევე, ქალაქში სეირნობისას  
ნაპოვნი ბევრი დეტალი გამოვიყენე:  
გამხმარი ფოთლები ხარკოვის  
სინაგოგის ეზოდან; ხარკოვის № 2  
სასაფლაოს მტვერი; ყოვლადწმინდა  
ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან  
წამოღებული ნაკურთხი ზეთი; Star-  
bucks-ის ერთჯერადი ჭიქის ბრჭყვიალა  
და ჭუჭყიანი ეტიკეტი; რომაული  
კათოლიკური ტაძრის ბაღის მიწა და  
ვარდი; ჭუჭყი მუსკოვსკის გამზირზე  
მდებარე თავდაცვის ინდუსტრია  
„ტურბოატომიდან“ და წვრილი ხრეში,  
რომელიც თავისუფლების მოედნის  
ტროტუარიდან ავიღე. ნამუშევარს  
ჰქვია „შავ ზღვაში ცურვა: ჰანას  
მოსაგონებლად, რომელიც ბებიათა  
ამბავს მიყვებოდა ჰოლოდომორზე“.<sup>2</sup>

რეზიდენციის დასრულების შემდეგ,  
მატარებლით გადავჭერი მთელი  
უკრაინა, აღმოსავლეთიდან  
დასავლეთისკენ. კუპეში ჩემთან ერთად  
პოლონელი ქალი იყო, რომელსაც  
წასახემსებლებს ვუცვლიდი და  
ჟესტების ენით ვესაუბრებოდი. ძილში,  
სიზმარივით, სულ ელიოტის ლექსის  
ფრაგმენტი მიტრიალებდა თავში:

„ვარდის დრო და ურთხლის დრო  
თანაბარია“.

როცა კიევს გავდიოდით, ცოტა ხნით  
გამომეღვიძა და მომეჩვენა, რომ  
ქალაქის განათებები ასობით პატარა,  
ჩამოვარდნილი ვარსკვლავი იყო.  
ღღის განმავლობაში ვაკვირდებოდი,  
როგორ ტრიალებდნენ შავი ყვავები  
მზესუმზირის მინდვრების თავზე.  
ლვივში დედას და დეიდას შევხვდი.  
წიგნში კანონების ძიების შესახებ,  
რომლებსაც სიკეთის უნივერსალური  
ფასეულობების გამყარება შეუძლია,  
ბარისტერი ფილიპ სენდსი წერს, რომ  
ლვივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის  
გადაკვეთის ადგილია (Sands, 2016).<sup>3</sup>

ლვივიდან ავტობუსით ბროდის  
მიმდებარე სოფლებისკენ გავემართეთ,  
სადაც დაბალი; ნაცრისფრად, მწვანედ  
და ყვითლად შეღებილი სახლებით  
მოფენილი ქუჩები ძალიან ვიწროდ  
მეჩვენა ხარკოვის ფართო გამზირებთან  
შედარებით. ფიჭვნართან ახლოს,  
სასაფლაოზე მივედით და ბევრი  
ვიხეტილეთ მაღალ საფლავეებს  
შორის. მზე აჭერდა, ეკლიანი ბალახი  
მუხლებს გვიჩხაპნიდა, წინაპრების  
ნაკვალევს ვეძებდით, მაგრამ  
იქ ვერაფერი ვიპოვეთ. მხოლოდ  
მაშინ, როცა ქალაქში დავბრუნდით  
და სკოლისკენ მიმავალ ხეივანს  
დავადექით, მოულოდნელად მივხვდით  
და ერთმანეთს შევუბრუნდით: „აი,  
სად ყოფილან. აქ, აქ ცხოვრობდნენ“.  
ჩვენი წინაპრები სასაფლაოზე კი არა,  
აქ იყვნენ, ცენტრში; ჩვენი უკრაინელი  
„dùthchas“-ები. ეს ყველამ ვიგრძენით.  
გამვლელმა შეამჩნია ჩვენი აღელვება  
და ფოტო გადაგვიღო: მე, დედა და  
დეიდა, ფეხებთან მიყრილი ჩანთებით,  
მხარდამხარ ვდგავართ გრძელ,  
ფრიალა სარაფნებსა და თავსახვევებში  
გამოწყობილები, შემოდგომის  
გაყვითლებულ ქუჩაზე, ღიღილოების  
ქოთნისა და გულყვითელების გვერდით.

1940 წლის 13 ივნისს სიმონ ვეილმა  
პარიზი მარსელისკენ მიმავალი ბოლო  
მატარებლით დატოვა, ნაცისტების  
მიერ დედაქალაქის დაკავებამდე ერთი

დღით ადრე. ყოველთვის მიიჩნევდა, რომ რკინიგზა ქაოსს იწვევს და ადამიანებს თავიანთი ფესვებისგან აშორებს; ახლა კი მატარებელი მისთვის გადარჩენისა და გადაადგილების საშუალებად ქცეულიყო. კასაბლანკაში დევნილთა ბანაკ ან-სებაადან ნიუ-იორკში წავიდა და ბოლოს, როგორც იქნა, ლონდონამდე მიაღწია, სადაც „თავისუფალი საფრანგეთის“ ემიგრაციაში მყოფი ხელისუფლების სამსახურში ჩადგა და მშობლიური ქვეყნის რეაბილიტაციის გზების კვლევა დაიწყო. სწორედ იქ, 1943 წლის დასაწყისში დაწერა „ფესვების აუცილებლობა, კაცობრიობის წინაშე ვალდებულებების დეკლარაციის პრელუდია“. ვეილი ამბობს, რომ ჩვენ ფესვები აღარ გვაქვს. ჩვენი ფესვები ამოძირკველია ქალაქებიდან, სოფლებიდან და გამქრალია ჩვენი, როგორც ერის რაობიდან. ფესვების არქონა კავშირების რღვევას, ერთიანობის გრძნობის განღვევას, კოლექტიური უკმარისობის განცდას ნიშნავს. მისთვის ეს სამხედრო დაპყრობათა მიზეზია „და ამ თვალსაზრისით, დაპყრობა თითქმის ყოველთვის ბოროტებაა“ (Weil, 1952, p.42); მაგრამ არსებობს სხვა მიზეზებიც: კოლონიზაცია და დამონება, უმუშევრობა, გადაჭარბებული ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკური ინფლაცია და კულტურა, რომელიც მეცნიერების ატომებად დაშლისკენ არის მიმართული „ყოველგვარი ფანჯრის გარეშე სამყაროს მიღმა“ (Weil, 1952, p.43). ვეილის მაქსიმა: „ის, ვისაც არ აქვს ფესვები, სხვებსაც ართმევს ფესვებს. ის, ვინც ფესვგადგმულია, სხვებს ფესვებს არ ართმევს“ (Weil, 1952, p. 45). საზოგადოებრივი სიკეთის მისეული ხედვა მრავალფეროვანი, უნიკალური საზოგადოებების არსებობას ეფუძნება, რომლებსაც ფესვები მიწაში აქვთ გადგმული და რომელთაც ცოცხლების, მკვდრებისა და მომავალი თაობების სულები უმაგრებს ზურგს, რისი „ეკვივალენტიც მთელ სამყაროში

არ არსებობს“ (Weil, 1952, p. 8).

„სწორედ ისე, როგორც კონკრეტული მიკროსკოპული ცხოველებისთვის არსებობს ცალკეული კულტურული გარემო; კონკრეტული მცენარეებისთვის - კონკრეტული სახის ნიადაგი, სწორედ ასე არსებობს ყოველი ადამიანის სულში ამ სულის კონკრეტული ნაწილი და აზროვნებისა თუ მოქმედების მეთოდები, რომელთა არსებობაც მხოლოდ ეროვნულ გარემოშია შესაძლებელი. სულის ეს ნაწილი ქრება, როცა ქვეყანა ინგრევა“ (Weil, 1952, pp. 151-152).

ის აღწერს მშობლიურ საფრანგეთში ვიშის რეჟიმის დამყარებით გამოწვეული სირცხვილის გრძნობას: „თითოეულმა ფრანგმა იცის, რომ მისი სული მჭიდროდ არის საფრანგეთთან დაკავშირებული. როცა საფრანგეთს გვართმევენ, სულის ეს ნაწილი რჩება მასზე მიწებებული, როგორც კანი ცხელ საგანზე და ამიტომ, ის გვეგლიჯება“ (Weil, 1952, p.152).

ვეილი საუბრობს, ასევე, პატრიოტიზმის თანამედროვე ერებისთვის შესაფერის ფორმებზე, რომლებიც ძველ, უფრო რთულ და ნატიფ ფორმებზეა დაფუძნებული, რასაც „გაფანტულ და მომთაბარე“ ფორმებს უწოდებს. ის აღწერს თავდადების ამ ფორმებს, როგორც რაღაცას, რაც „ფართოვდება ან იკუმშება მსგავსებისა და ზოგადი საფრთხის დონეების მიხედვით“; რაღაცას, რაც „შერეულია ერთგულების სხვადასხვა სახეებთან“; რაც ემყარება ერთგულებას, უფლებებსა და ვალდებულებებს; რაც შეკავშირებულია „საზოგადოებრივი სიკეთით“. ვეილი ამბობს, რომ ეს ყველაფერი „აყალიბებს რაღაც ძალიან რთულს, მაგრამ ამავედროულად, ძალიან ადამიანურს“ (Weil, 1952, 98-99). პატრიოტიზმის ჯანსაღი ფორმები თავად მიწის ერთგულებას გულისხმობს - პატრიოტ მეზაღეს, პატრიოტ მიწათმოქმედს



- მიწა „ცხოველმყოფელი გარემოა“, რომელშიც ყველაფერი, რაც მასში კარგია, სათუთად უნდა შენარჩუნდეს: „თუ სამშობლოს გარკვეულ სასიცოცხლო გარემოდ აღვიქვამთ, შევძლებთ თავიდან ავირიდოთ წინააღმდეგობა და ტყუილი, რომლებიც პატრიოტიზმის იდეას ანადგურებს. არსებობს შენი საკუთარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირადი სივრცე, მაგრამ არსებობს სხვებიც. ის წარმოიქმნა რიგი მიზეზებით, რომლებშიც ერთმანეთს შეერია სიკეთე და ბოროტება, სამართლიანობა და უსამართლობა... და ვინაიდან ისეთია, როგორიც არის, იმსახურებს დავიცვათ, როგორც საგანძური, იმ სიკეთისთვის, რომელსაც შეიცავს“ (Weil, 1952, p. 154).

გარემოსთვის, რომ პარადოქსულად, ორივე ეს იდეა მსოფლიო მასშტაბს იძენს; ორივე აერთიანებს ფიზიკურ და სულიერ სფეროებს; ორივე დგას ფასეულობებზე, რომლებიც შესაბამისი, სამართლიანი და შესაფერისია; ორივე არის ლოკალურიც და უნივერსალურიც და ორივე გულისხმობს მაკროკოსმოსურის პოვნას, დაფასებას და სიყვარულით გაცემას მიკროკოსმოსში.

ფესვების ვეილისეულ იდეასა და გელურ „dùthchas“-ს შორის გარკვეული პარალელები არსებობს. ორივე მათგანი გარემოსდაცვითი პატრიოტიზმის ფორმას განასახიერებს, რომელიც იმდენად ახლობელია დედამიწის სასიცოცხლო მნიშვნელობის

1

2022 წელს ნობელის პრემია ფიზიკაში გადაეცათ ალენ ასპეს, ჯონ ფ. კლაუზერსა და ანტონ ცაილიგერს 1 „ელსპერიმენტისთვის ჩახლართულ ფოტონებზე, ბელის უთანასწორობის დარღვევის დადგენისა და კვანტური ინფორმაციული მეცნიერების სფეროში ინოვაციური საქმიანობისთვის“. ნობელის პრემია ფიზიკაში, 2022 წ. NobelPrize.org. Nobel Prize Outreach AB 2022. Wed. 5 Oct 2022. <<https://www.nobelprize.org/prizes/physics/2022/summary/>>

2

ჰოლოდომორი (1932-1933) იყო საბჭოთა კავშირის დროს უკრაინაში ხელოვნურად შექმნილი შიმშილი. ცნობების მიხედვით, ჰოლოდომორის დროს დაღუპული უკრაინელების რიცხვი 3.5-დან 10 მილიონამდე აღამიანია.

3.

სენდსი ზედმინვენიტი სიზუსტით აღწერს პროკურორების, ხერშა ლაუტერპახტისა (1897 - 1990) და რაფაელ ლემკინის (1900-1959) საქმიანობას მეორე მსოფლიო ომის დროს - თუ როგორ ცდილობდნენ ისინი საერთაშორისო ძალადობაში დამნაშავეთა პასუხისმგებლობაში მიცემას. ლაუტერპახტისა და ლემკინის წყალობით, 1946 წლის ნიუმბერგის პროცესის განაჩენში გამოყენებულ იქნა ტერმინები „დანაშაული კაცობრიობის წინაშე“ და „გენოციდი“.

### Editorial Team

Gigi Shukakidze  
Tinatin Gurgenidze  
Otar Nemsadze  
Elene Pasuri  
Leander Nowack

### Tbilisi Architecture Biennial

#### 2022 Brand Identity

Levan Asatiani

#### Book Design

Mariam Gogiashvili

#### Translation and Proofreading

Elene Pasuri  
Giorgi Kartvelishvili  
Natuka Natsvlashvili  
Nato Kirvalidze  
Nato Zedelashvili  
Alexandra Aroshvili  
Leander Nowack

### Photo Documentation

Giorgi Kolbaia  
Anka Gujabadze  
Sandro Sulaberidze  
Irakli Garakanidze  
Grigory Sokolinsky  
Guram Kapanadze

### Tbilisi Architecture Biennial 2022 Team

Liza Bokeria  
Tina Donadze  
Tinatin Gurgenidze  
Tamar Janashia  
Natalia Kapanadze  
Otar Nemsadze  
Elene Pasuri  
Mariam Shergelashvili  
Alexi Soselia  
Lado Shonia  
Gigi Shukakidze

### Project Partners

Fundació Mies van der Rohe  
Lisbon Architecture Triennale  
Tbilisi Architecture Biennial  
Barleti University Tirana  
Coopera e.V.  
The APSS Institute  
Pavilion of Culture  
Trans-Media-Akademie Hellerau

### Supporters

Creative Europe  
Fundació Mies van der Rohe

### Printed by

Printon a.s., Tallinn, Estonia, 2025

### Published By

© Tbilisi Architecture Biennial,  
2025

\*Part of the The New Cross  
National Temporality project  
NCNTP

ISBN: 978-9941-8-7607-3



Co-funded by  
the European Union



RESEARCHING  
COMMON  
TERRITORIES



Federal Foreign Office



LEAVE  
NO ONE  
BEHIND



Hungarian  
Museum  
of Architecture



Monument Protection  
Documentation  
Centre



**Note:** Each of the texts in this publication expresses the authors' ideas and does not necessarily represent the point of view of the Tbilisi Architecture Biennial.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA).

Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

## Text Contributors

Tamar Janashia	Aleksandre Gachechiladze	Zurab Menagharishvili
Julien Prebel	Sarah Aziz	Eliko Bendeliani
Tamar Kalandadze	Tbilisi Collective	Benjamin Hackenberger
Nino Sakandelidze	ΦOPMA	Darya Tsymbalyuk
Thomas Ibrahim	Salome Katamadze	Nina Dyrenko
Matevž Čelik	Duccio Fantoni	KoozArch
Martynas Germanavičius	Ana Chorgolashvili	Nushi Film
Irhana Šehović	Giorgi Rodionov	Sabine Hornig
Dunja Krvavac	Thomas Dumke	Jean-Philippe Vassal
Ethel Baraona Pohl	Megi Davitidze	Locument
Triin Ojari	Annamaria Chelidze	Mareike Wenzel
Nini Palavandishvili	Bachir Benkirane	Irakli Zhvania
Michał Murawski	Nino Tchatchkhiani	Martin Thim
Elena Markus	Levan Asatiani	Miljena Vuckovic
Dijana Vučinić	Lado Shonia	Evangelina Liknous
Armina Pilav	Martin Zaicek	Evelina Gambino
Manuel Herz	Andrea Kalinová	Tekla Aslanishvili
Maksym Rokmaniko	Katie Sartania	Eugene Slonimerov
Polina Baitsym	Gabriel Shubinidze	Sarah Coleman
Da Hyung Jeong	Anna Pashynska	Kate Robinson
Ed Pulford	Tanya Pashynska	
Davit Beitrishvili	Irma Natchkebia	

UKRAINIAN  
EMERGENCY  
ART FUND



## სარედაქციო გუნდი

გიგი შუკაკიძე  
თინათინ გურგენიძე  
ოთარ ნემსაძე  
ელენე ფასური  
ლიანდერ ნოვაკი

## თბილისის არქიტექტურის

ბიენალე 2022 ბრენდის

ვიზუალური იდენტობა

ლევან ასათიანი

## წიგნის დიზაინი

მარიამ გოგიაშვილი

## თარგმანი და კორექტურა

ელენე ფასური  
გიორგი ქართველიშვილი  
ნატუკა ნაცვლიშვილი  
ნატო კირვალიძე  
ნატო ზედელაშვილი  
ალექსანდრა აროშვილი  
ლიანდერ ნოვაკი

## ფოტო დოკუმენტაცია

გიორგი ყოლბაია  
ანკა გუჯაბიძე  
სანდრო სულაბერიძე  
ირაკლი გარაყანიძე  
გრიგორი სოკოლინსკი  
გურამ კაპანაძე

## თბილისის

არქიტექტურის ბიენალე

2022 გუნდი

ლიზა ბოკერია  
თინა დონაძე  
თინათინ გურგენიძე  
თამარ ჯანაშია  
ნატალია კაპანაძე  
ოთარ ნემსაძე  
ელენე ფასური  
მარიამ შერგელაშვილი  
ალექსი სოსელია  
ლადო შონია  
გიგი შუკაკიძე

## პროექტის პარტნიორები

Fundació Mies van der Rohe  
Lisbon Architecture Triennale  
Tbilisi Architecture Biennial  
Barleti University Tirana  
Coopera e.V.  
The APSS Institute  
Pavilion of Culture  
Trans-Media-Akademie Hellerau

## მხარდამჭერები

Creative Europe  
Fundació Mies van der Rohe

## დაბეჭდილია

Printon a.s., ტალინი, ესტონეთი,  
2025


## გამომცემელი

© თბილისის არქიტექტურის  
ბიენალე, 2025

New Cross National Temporality  
(NCNTP) პროექტის ფარგლებში

ISBN: 978-9941-8-7607-3

AT\_



თბილისის მერია  
TBILISI CITY HALL



VOLUME





**შენიშვნა:** ამ გამოცემაში წარმოდგენილი თითოეული ტექსტი გამოხატავს ავტორების იდეებს და არ წარმოადგენს თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ოფიციალურ მოსაზრებას.

დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ. გამოხატული მოსაზრებები და აზრები ეკუთვნით მხოლოდ ავტორს/ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის კავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. არც ევროპის კავშირი და არც EACEA არ არიან პასუხისმგებელნი ამ მოსაზრებებზე.

## ტექსტის კონტრიბუტორები

თამარ ჯანაშია	ალექსანდრე გაჩეჩილაძე	ირმა ნაჭყებია
ჟულიენ პრებელი	სარა აზიზი	ზურაბ მენაღარიშვილი
თამარ კალანდაძე	თბილისის კოლექტივი	ელიკო ბენდელიანი
ნინო საკანდელიძე	ΦΟΡΜΑ	ბენჯამინ ჰაკენბერგერი
თომას იბრაჰიმი	სალომე ქათამაძე	დარია ციმბალიუკი
მატეუშ ჩელიკი	დუჩიო ფანტონი	ნინა დირენკო
მარტინას გერმანავიჩიუსი	ანა ჩორგოლაშვილი	KoozArch
ირჰანა შეჰოვიჩი	გიორგი როდიონოვი	ნუში ფილმი
დუნია კრვავაცი	თომას დუმკე	საბინე ჰორნიგი
ეთელ ბარაონა პოლი	მეგი დავითიძე	ჟან-ფილიპ ვასალი
ტრიინ ოიარი	ანამარია ქელიძე	Locument
ნინი ფალავანდიშვილი	ბაშირ ბენკირანი	მარაიკე ვენცელი
მიჰალ მურავსკი	ნინო ჩაჩხიანი	ირაკლი ჟვანია
ელენა მარკუსი	ლევან ასათიანი	მარტინ ტიმი
დიანა ვუჩინიჩი	ლადო შონია	მილენა ვუკოვიჩი
არმინა პილავი	მარტინ ზაჩიეკი	ევანგელინა ლიკნოუსი
მანუელ ჰერცი	ანდრეა კალინოვა	ეველინა გამბინო
მაქსიმ როკმანიკო	ქეთი სართანია	თეკლა ასლანიშვილი
პოლინა ბაიციმი	გაბრიელ ჩუბინიძე	ევგენი სლონიმეროვი
დე ჰიუნგ ჯონგი	ანა პაშინსკა	სარა კოულმენი
ედ პულფორდი	ტანია პაშინსკა	ქეთი რობინსონი
დავით ბეიტრიშვილი		



( павільйон культури )



W2KSHOP



